

მანიკო ვაჩგას დროსა

ხეობი
ხეობი

მარიო ვარგას ლიოსა

ხუთი კუთხე

ესპანურიდან თარგმნა
მაკა გოგოლაშვილმა

ალონსო კუეტოს

1. მარისას სიზმარი

ნუთუ სიზმარს ხედავდა? მარჯვენა ტერფზე უჩვეულო სიმხურვალეს გრძნობდა, რაც მთელ სხეულს უფორიაქებდა და აგრძნობინებდა, რომ ლოგინში მარტო არ იყო. მერე მოგონებები აეშალა, კროსვორდით ნელ-ნელა შეივსო და გონებაში დალაგდა. გაახსენდა, რომ ივანშმეს, ღვინო დალიეს და მშვენიერ გუნებაზე დადგნენ. ლაპარაკობდნენ ტერორისტებზე, ფილმებსა და ათასგვარ სისულელეზე, მერე კი ჩაბელამ მოულოდნელად საათს დახედა, აღელვებული წამოიჭრა ფეხზე და შესძახა: „ღმერთო ჩემო, სადაცაა კომენდანტის საათი დაიწყება! ლა რინკონადამდე ველარ მივასწრებ! რა სწრაფად გავიდა დრო!“ მარისა არწმუნებდა, ამაღამ ჩემთან დარჩი, არაფერი დაშავდება, კიკეც, დირექტორთა საბჭოს დავალებით, უთენია არეკიპას ლუდსახარში წავიდა საქმეების მოსაგვარებლად. ჩაბელამ ქმარს დაურეკა. ლუსიანომ, როგორც ყოველთვის, ცოლს მშვიდად მოუსმინა და დაარწმუნა, ნუ გეშინია, დილით ბავშვებს კოლეჯის ავტობუსზე არ დავაგვიანებინებო. რა თქმა უნდა,

ჯობდა ჩაბელა მარისასთან დარჩენილიყო, ვიდრე კომენდანტის საათის დარღვევის გამო, საპატრულო პოლიციას დაეჭირა. ეს წყეული კომენდანტის საათი! თუმცა ტერორიზმზე საშინელება რალა უნდა ყოფილიყო?!

იმ ღამეს ჩაბელა მარისასთან დარჩა. ახლა ერთად იწვნენ და მარისა გრძნობდა, რომ მეგობარი მის ფეხს ნაზად, სასიამოვნოდ და თბილად ეხებოდა. ცდილობდა გაეხსენებინა, მაინც როგორ აღმოჩნდნენ ისინი ასე გვერდიგვერდ ამ უზარმაზარ ცოლქმრულ საწოლში. ამ საწოლის დანახვისას ჩაბელამ მეგობარს ხუმრობითაც კი უთხრა: „მარისიტა, ერთი გამაგებინე, რამდენ ადამიანს იტევს ეს შენი უზარმაზარი საწოლი?“ მარისას გაახსენდა, რომ თავდაპირველად ისინი ერთმანეთისგან კარგა მოშორებით იწვნენ. მერე კი, ნეტა როგორ მოხდა, რომ ასე ახლოს აღმოჩნდნენ ერთმანეთთან და ახლა ჩაბელას ფეხი მის ფეხს ეხებოდა?!

მარისა გასუსული იწვა და განძრევას ვერ ბედავდა, მეგობარი რომ არ გაეღვიძებინა, რადგან თუ ჩაბელა ფეხს გაწევდა, ის ნეტარი შეგრძნება მაშინვე გაქრებოდა, მარისას ფეხიდან მთელ სხეულში რომ დაუარა და ერთიანად ააფორიაქა. ცოტა ხანში ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა. მარისა ხედავდა ჟალუზებსა და კომოდზე მოცეკვავე შუქრდილებს, გარდერობისა და აბაზანის კარებს, კედლებზე სურათების კუთხეებს, უდაბნოს პეიზაჟზე გამოსახულ ტილსას გველ-ქალს; მერე სასადილო ოთახში თვალი მოჰკრა სზისზლოს ტოტემს, ფეხიან ლამპას და ბეროკალის ქანდაკებას. მალე თვალები დახუჭა და ყურში ჩაბელას სუსტი, ზომიერი სუნთქვა ჩაესმა. ვინ იცის, იქნებ იმ წუთში მასაც იგივე ესიზმრებოდა და სწორედ ამის გამო მოუნდა მეგობართან სი-ახლოვე?!

გაოცებული და თან დარცხვენილი მარისა ვერა და ვერ გარკვეულიყო, ეს ყველაფერი მის თავს ძილში ხდებოდა თუ ცხადში, მაგრამ

ცოტა ხანში მიხვდა იმას, რაც მისმა სხეულმა უკვე იცოდა: ალგზნე-
ბული იყო. მეგობრის ფეხი მის ფეხს რომ შეეხებო, მთელ სხეულში სიმ-
ხურვალე იგრძნო და ახლა ფეხებშია ხელს თუ ჩაიცურებდა, სისვე-
ლეს იგრძნობდა. „ხომ არ გაგიჟდი, როდის აქეთაა, ქალი ალგაგ-
ზნებს?“ უთხრა საკუთარ თავს. ეს შეგრძნება მისთვის უცხო არ ყო-
ფილა, ზოგჯერ მასტურბაციაზეც არ ამბობდა უარს, მაგრამ ამ
დროს ყოველთვის კაცს წარმოიდგენდა ხოლმე და ქალზე ფიქრი
არასდროს მოსვლია თავში! ახლა კი გრძნობდა, რომ მთელი სხე-
ული უცახცახებდა და გიჟური ვნებით შეპყრობილს სურდა, მარტო
მათი ფეხები კი არა, სხეულებიც შეხებოდნენ ერთმანეთს, უნდოდა
მთელი არსებით შეეგრძნო მეგობრის სითბო და სიახლოვე.

აფორიაქებულმა მარისამ თითქოს ძილში ამოიხვნეშა, ოდნავ შე-
ირხა და გვერდი იცვალა, მაგრამ ჩაბელას არ შეხებია და მიხვდა,
რომ ახლა სულ მცირე მანძილი აშორებდა მის ზურგს, დუნდულებსა
და ფეხებს, უფრო ცხადად ჩაესმოდა ყურში მეგობრის სუნთქვა და
სულ ახლო გრძნობდა მისი სუნთქვის სითბოს. მერე ჩაბელას უფრო
მიუჩოჩდა და თითქოსდა შემთხვევით მარჯვენა ხელი თეძოზე და-
ადო. „რა კარგი ყოფილა ეს კომენდანტის საათი“, გაიფიქრა იმ წუთს
და იგრძნო, რომ გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ჩაბელა ძილ-ბურანიდან
გამოერკვა და თეძოდან ხელი ააღებინა: „მომაშორე ეგ ხელი, ნუ მე-
ხები, ხომ არ გაგიჟდი? რა გჭირს?“ უთხრა მეგობარს, ისე რომ არ
განძრეულა და კვლავ ღრმა ძილს მისცა თავი. ჩაბელა ფშვინავდა და
მისი სუნთქვა მარისას სასიამოვნოდ ელამუნებოდა სახეზე. ეს ნამ-
დვილი სიგიჟე იყო, თუმცა მარისას დროდადრო ისევ ახსენდებოდა
კომენდანტის საათი, სინათლის გათიშვა, ადამიანების გატაცება.
საბრალო კაჩიტო, ტერორისტების ბომბები და იმასლა ფიქრობდა:
„მანც სად ვცხოვრობთ, ეს რა ქვეყანაა!“.

მარისა ხელისგულით შეიგრძნობდა მეგობრის ნაზ, მხურვალე
თეძოს. კანი ოდნავ სველი ჰქონდა, რაც ტანის კრემის ბრალი უნდა

ყოფილიყო. ვითომ ჩაბელამ სააბაზანოში მისი კრემი წაისვა? მარისას იგი შიშველი არ უნახავს, მოკლე, ნახევრად გამჭვირვალე საღამური ჩაბელამ გარდერობში ჩაიცვა და როცა მარისა საძინებელში შევიდა, მეგობარი გამჭვირვალე პერანგში იხილა, რომელშიც ფეხები, თეძოები და დუნდულები მოუჩანდა. „ორი შვილი გააჩინა და მაინც რა ლამაზი სხეული აქვს! ეს ალბათ იმ ვარჯიშების ბრალია, კვირაში სამჯერ რომ ასრულებს“, გაიფიქრა მაშინ. მერე ისევ შეეცადა, ისე ფრთხილად მიჩოჩებოდა ჩაბელას, რომ არ გაეღვიძებინა. ახლა უკვე სულ ახლოს იყო მასთან და თავი ბედნიერად მიაჩნდა, რადგან სუნთქვისას მისი თეძოების, დუნდულებისა და ფეხების შეხებას შეიგრძნობდა. ცოტა ხანში ჩაბელამ ფეხები აამოძრავა, მარისამ კი გაიფიქრა, რომ მისი მეგობარი ახლა ნამდვილად გაიღვიძებდა და ამ სიგიჟის მოწმე გახდებოდა, თუმცა უკან დახევას არ აპირებდა და მაინც რაღაცის მოლოდინში იყო. კი მაგრამ რას ელოდებოდა? დიახ, აღვზნებულ მარისას მეგობრის მომდევნო შეხების იმედი ჰქონდა. მან მარჯვენა ხელი ისევ დაადო ჩაბელას თეძოზე და ფეხებს შორის სისველე იგრძნო.

ჩაბელა შეირხა და მარისას ეგონა, გული სადაცაა გაუჩერდებოდა, თვალები მაგრად დახუჭა და თავი მოიმიძინარა. ჩაბელამ მხოლოდ ხელი ასწია და საკუთარ თეძოზე, მეგობრის ხელს დაადო. იქნებ მარისას ხელის მოშორება უნდოდა? სულაც არა! ჩაბელამ მას ხელზე ნაზად მოუჭირა ხელი, მსუბუქი მოძრაობით თეძოდან ააღებინა, ფეხებშია ჩაიცურა და მის ხელში ჩაბლუჯულ საკუთარ თითებზე მარისამ მეგობრის ბოქვენზე აბურძგნული თმა და მხურვალე, ნოტიო ხვრელი იგრძნო. მერე ის იყო მარისას აცანცახებული სხეული მეგობრის სხეულს გადაეხლართა. მისი ხელის მოძრაობას ჩაბელა თავად მართავდა და მარისაც მას კლიტორის, სურვილისაგან დასველებულ, ბაგეებს უსრესდა, უწევდა და ხუთივე თითს უხახუნებდა. ახლა ეს ორი აცანცახებული სხეული ერთმანეთთან შერწყმას ლამობდა.

მარისამ სახე მის თმაში ჩარგო, თავი ნელა გადაუწია და ყურზე და კისერზე ვნებიანად დაუწყო კოცნა, ლოკვა და კბენა. ცოტა ხანში ჩაბელა მარისასკენ შეტრიალდა და მისი ტუჩები მოძებნა. ახლა ქალები საწოლზე იხლართებოდნენ, ერთმანეთს კლიტორებს ულოკავდნენ სასოწარკვეთით და ხარბად იქამდე უკოცნიდნენ ძუძუებს, იღლიებსა და მუცელს, ვიდრე დაუოკებელი და ძლიერი ცახცახი არ შეიგრძნეს.

ცოტა ხანში ვნებადამცხრალი, მაგრამ სასოწარკვეთილი მარისა იძულებული გახდა საკუთარ თავთან ელიარებიანა, რომ გონება დაეებინდა. ჩაბელაც თითქოს მხოლოდ ახლა გამოერკვა ღრმა ძილიდან. ამ უჩვეულო ვნების დროს, რომელიც მათთვის ასე მოულოდნელად მოხდა, არც ერთს კრინტი არ დაუძრავს. მალე მარისამ ისევ საშინელი სიცარიელე იგრძნო, კვლავ კომენდანტის საათი გაახსენდა და თითქოს შორიდან აფეთქების ხმაც შემოესმა, რამდენიმე საათში გამოეღვიძა. დილის ფერფლისფერი სინათლე დარაბებიდან ოთახში შეჭრილიყო. მარისა მარტო იწვა ლოგინში. საშინელმა უხერხულების გრძნობამ მთელი არსებით შეძრა. ნუთუ ყველაფერი ნამდვილად მოხდა? არა, ეს შეუძლებელი იყო. არადა, მოხდა! სააბაზანოდან ხმაური შემოესმა, შეშინებულმა თვალები დახუჭა და თავი მოიძინარა. მერე თვალები ოდნავ გაახილა და დაინახა, რომ ჩაბელას უკვე ჩაეცვა და წასვლას აპირებდა.

– მაპატიე, მარისა, გაგაღვიძე. – თქვა მან ერთობ ბუნებრივი ხმით.

– რა სისულელეა, – წაიბუტბუტა მარისამ ისე, თითქოს ძლივს გაიგო მისი ნათქვამი. – უკვე მიდიხარ? არ ისაუზმებ?

– არა, ძვირფასო, – მიუგო მეგობარმა მშვიდად. იგი არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა და თითქოს ისევ ის ძველი ჩაბელა ლაპარაკობდა. როგორც ჩანს, სირცხვილს დიდად არ განიცდიდა, ლოყები შეფაკლული არ ჰქონდა და მის დიდ, მუქ თვალებში გარყვნილების ან უხამსობის კვალიც არ ჩანდა.

- გავიქცევი, მინდა ბავშვებს კოლეჯში წასვლამდე მივუსწრო. მასპინძლობისთვის უღრმესი მადლობა, შევეხმიანოთ ერთმანეთს, გკოცნი.

კარის ზღურბლიდან ჩაბელამ მეგობარს კოცნა გამოუგზავნა და გავიდა.

მარისა ლოგინში გაიზმორა, მერე მოიკუნტა და ადგომა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ ზეწარში გაეხვია. ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად მოხდა და ამის საუკეთესო სამხილი ის იყო, რომ ახლა შიშველი იწვა, ხოლო მისი დაჭმუჭნული სალამური იქვე, ლოგინის კიდეზე ეგდო. მერე ზეწარი ასწია და რატომღაც გაეცინა, როცა საკუთარ ფეხებთან დაუდევრად მიგდებულ ჩაბელას პერანგიც დაინახა. სიცილი პირზე შეაშრა. ღმერთო ჩემო! ნანობდა მომხდარს? რა თქმა უნდა, ნანობდა. ჩაბელას კი არაფერი ეტყობოდა. ნუთუ ამ საქმეში უკვე ჰქონდა გამოცდილება? წარმოუდგენელი იყო! ისინი ერთმანეთს დიდი ხანია იცნობდნენ, ყველა საიდუმლოს უმხელდნენ და თუ ჩაბელა ოდესმე ასეთ რამეს ჩაიდენდა, მარისას აუცილებლად გადაუშლიდა გულს. ან იქნებ არც არაფერი ეთქვა? ნეტა ეს ამბავი შეცვლიდა მათ ურთიერთობას? წესით არ უნდა შეეცვალა! ჩაბელიტა მისი საუკეთესო მეგობარი იყო და დასავით უყვარდა. რა ელოდათ მომავალში? ისევ იმეგობრებდნენ? მაგრამ ახლა მათ შორის ხომ ეს შემზარავი საიდუმლო ჩამდგარიყო?! ღმერთო ჩემო, ალბათ ყველაფერი დაესიზმრა, წარმოუდგენელია ეს სინამდვილეში მომხდარიყო! მარიამ იმ დილით წყალი გადაივლო, ჩაიცვა და ისაუბმა, მერე საქმეები დაავალა მოახლეს, მსახურს და მზარეულს, ამ დროს კი საკუთარ თავს ეკითხებოდა: „ნუთუ ეს ნამდვილად ჩავიდინე?“. რა მოხდებოდა, ამ ამბავს კიკე თუ შეიტყობდა? გაბრაზდებოდა? ეჭვიანობის სცენას მოუწყობდა ცოლს, თითქოს მამაკაცთან ელალატოს? უნდა ეთქვა ქმრისთვის? არა, ამის შესახებ არასდროს არავის უნდა გაეგო. შუადღისას კიკე

დაბრუნდა არეკიპადან და ცოლს ცნობილი „ლა იბერიკას“ შოკოლადები და პაკეტით როკოტო ჩამოუტანა. მარისამ ქმარს აკოცა და ჰკითხა, როგორ ჩაიარა ლუდის მწარმოებლებთან შეხვედრამ..

„კარგად, გრინგიტა, გადავწყვიტეთ აიაკუჩო ლუდით აღარ მოვამარაგოთ, ტერორისტები და ფსევდოტერორისტები ისეთ გადასახადებს გვთხოვენ, რომ ნამდვილად გავკოტრდებით“. მარისა ქმარს ცალი ყურით უსმენდა და საკუთარ ფიქრებში იყო წასული. „რატომ არაფერი მაგრძნობინა ჩაბელამ, რატომ იქცეოდა ისე, თითქოს არაფერი მომხდარა? რა სულელია! რატომღაც მგონია, რომ თავადაც სირცხვილით იწვოდა, ამიტომ მოიკატუნა თავი, ვითომ არაფერი ახსოვდა და ვერაფერს ხვდებოდა. არა, მარისიტა, ეს სიზმარი არ ყოფილა, ყველაფერი მოხდა და მომავალში კიდევ მოხდება თუ არა, ეს არავინ იცის!

მთელი კვირა გამბედაობა არ ეყო, ჩაბელასთვის დაერეკა და გულში ნატრობდა, მეგობარი თავად შეხმიანებოდა. რა უცნაურია! აქამდე არასოდეს ყოფილა, ამდენ ხანს ტელეფონით მაინც არ დაკავშირებოდნენ ან არ შეხვედროდნენ ერთმანეთს. მაგრამ ამაში უცნაური, ალბათ, არც არაფერი იყო. შესაძლოა, ჩაბელაც მარისასავით უხერხულად გრძნობდა თავს და მის გამოჩენას ელოდა. იქნებ გაბრაზებული იყო? მაგრამ რატომ? განა ამ საქმეში პირველი ნაბიჯი თვითონ ჩაბელამ არ გადადგა? მარისა მხოლოდ ხელით შეეხო თეძოზე, ეს კი მისი მხრიდან შეიძლებოდა უნებლიე საქციელი ყოფილიყო. სწორედ ჩაბელამ აიღო მარისას ხელი, ფეხებს შორის ჩაიციურა და ვნება დაიოკა. რა გამბედაობაა! როცა მარისა ამაზე ფიქრს იწყებდა, ლოყები შეეფაკლებოდა ხოლმე და სურვილი უჩნდებოდა გიჟივით გადაეხარხარა.

მარისა ერთი კვირა ამ განცდებსა და ფიქრებში იყო. გაუაზრებლად მიჰყვებოდა ბლოკნოტში ჩამოწერილ განრიგს: იტალიურის გაკვეთილებს უნდა დასწრებოდა, ბიძაშვილის – მარგოტის გათხოვებასთან დაკავშირებით ბიძასთან და დეიდასთან ჩაის დასალევად

შეევლო, კიკეს გაჰყოლოდა თანამშრომლებთან დაგეგმილ ორ სადილზე, სადაც მეწარმეები მეუღლეებთან ერთად იყვნენ მიწვეული, მშობლები მოენახულებინა. თავის ბიძაშვილ მათილდესთან ერთად კინოშიც წავიდა, მაგრამ ფილმს მასზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რადგან ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა ის შემთხვევა და საკუთარ თავს გამუდმებით ეკითხებოდა, ნუთუ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. კოლეჯის მეგობრებთან გამართულ ლანჩზე ყველანი საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ. მარისა უინტერესოდ, ცალი ყურით უსმენდა მათ. ლაპარაკობდნენ საბრალო კაპიტოზე, ორიოდე თვის წინ რომ მოიტაცეს. როგორც თქვეს, ნიუ-იორკის სადაზღვევო კომპანიიდან ექსპერტი ჩამოსულიყო, რომელიც გამოსასყიდის შესახებ ტერორისტებს უნდა მოლაპარაკებოდა, ხოლო კაჩიტოს ცოლს, საბრალო ნინას ფსიქოთერაპიული მკურნალობა დაუწყია. ერთ ღამეს მარისა ძალიან დაიბნა, როცა ენრიკემ ალერსი დაუწყო, მაგრამ მალე ყოველგვარი ხალისი დაკარგა და ცოლს უთხრა: „ვერ გამიგია, რა გემართება, გრინგიტა! ჩვენი ცოლქმრობის ათი წლის განმავლობაში ასე მოჩვარულს პირველად გხედავ. ტერორისტები ხომ არ მოქმედებენ ასე შენზე? აჯობებს, დავიძინოთ!“

ხუთშაბათ დღეს, ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, რაც ის ამბავი მოხდა თუ არ მოხდა, ენრიკე ოფისიდან ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა. ცოლ-ქმარი ტერასაზე ვისკის სვამდა. ზღვას და ლიმას პეიზაჟს გაჰყურებდნენ და რა თქმა უნდა, იმხანად ყველასთვის საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობდნენ. საქმე ეხებოდა „სენდერო ლუმინისოს“ და ტუპაკ ამარუს რევოლუციონერთა თავდასხმებს, ადამიანების გატაცებასა და ელექტროანძების აფეთქებას, რის გამოც ღამე ქალაქის რაიონები სიბნელეში იძირებოდა ხოლმე. აფეთქებებს ტერორისტები გვიან ღამით და გამთენიისას აწყობდნენ, რის გამოც ლიმას მოსახლეობას მოსვენება დაკარგული ჰქონდა. რამდენიმე თვის წინ ცოლ-ქმარმა სწორედ ამ ტერასიდან იხილა იქვე ახლოს, გორაკზე, ჩირალდნებით გამოსახული ჩაქუჩი და ნამგალი, როგორც

წინასწარმეტყველება იმისა, რაც მოხდებოდა, თუკი ომს სენდერისტები მოიგებდნენ. ენრიკე ამბობდა, რომ საწარმოებს აუტანელ პირობებში უწევდათ მუშაობა, უსაფრთხოების სამსახურები გიჟური ტემპით აორმაგებდნენ ფასებს, სადაზღვევო კომპანიები ბონუსების გაზრდას ცდილობდნენ და თუ ბანდიტები თავის მიზანს მიაღწევდნენ, მალე პერუც კოლუმბიის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, საიდანაც ტერორისტების შიშით მეწარმეები მასობრივად პანამაში ან მაიამიში გარბოდნენ და იქ განაგრძობდნენ თავიანთ საქმიანობას. ეს ყველაფერი კი სიტუაციის გართულებას, დამატებით ხარჯებს და დანაკარგებს ნიშნავდა. „ძვირფასო, შესაძლოა ჩვენც მოგვიწიოს პანამაში ან მაიამიში გამგზავრება“, უთხრა ენრიკემ მარისას. სწორედ ამ დროს მსახური კინტანილია ტერასაზე გამოჩნდა და მარისას უთხრა: „სენიორა ჩაბელა ტელეფონთან გთხოვთ“. „ტელეფონი საძინებელში გამომიტანე“, უთხრა მსახურს მარისამ და წამოდგომისას კიკეს ხმა შემოესმა: „გრინგიტა, ჩაბელას უთხარი, ამ დღეებში ლუსიანოს დავურეკავ და ყველა შევიკრიბოთ“.

მარისა საწოლზე რომ ჩამოჯდა და ტელეფონის ყურმილი აიღო, იგრძნო, რომ ფეხები უკანკალებდა. „მარისიტა ხარ?“ გაისმა ყურმილში ჩაბელას ხმა. „რა კარგია, რომ დარეკე, ვნერვიულობდი, ხვალ დილითვე ვაპირებდი შენთან დარეკვას“. მიუგო მარისამ.

– საშინელი გრიპი მქონდა და ვიწექი, მაგრამ უკვე გამიარა, – უთხრა ჩაბელამ. – ძალიან მომენატრე, ძვირფასო.

– მეც მომენატრე. – უპასუხა მარისამ. – აქამდე კვირაც კი არ გავიდოდა, ერთმანეთი რომ არ გვენახა, არა?

– გირეკავ, რომ დაგპატიჟო, და, წინასწარ გაფრთხილებ, უარს არ მივიღებ! ორი ან სამი დღით მაიამიში ვაპირებ წასვლას, ბრიკელ ავენიუზე, ჩემს ბინაში რალაც საქმე მაქვს მოსაგვარებელი. წამოდი ჩემთან, გეპატიჟები. ბილეთები ორივესთვის მაქვს, ბონუსები დამიგროვდა და ბილეთები უფასოდ მერგო. ხუთშაბათს შუალამისას

მივფრინავთ, პარასკევს და შაბათს იქ გავატარებთ და კვირას დავბრუნდებით. ძვირფასო, უარი არ გამაგონო, თორემ გავბრაზდები.

– რა თქმა უნდა, წამოვალ. – უთხრა მარისამ და ეგონა, გული მკერდიდან ამოუვარდებოდა. – ახლავე ვეტყვი კიკეს და თუ შემეწინააღმდეგება, გავეყრები. ნუ ღელავ, ყველაფერს მოვაგვარებ, დიდი მადლობა, აღფრთოვანებული ვარ ამ შემოთავაზებით.

მარისამ ყურმილი დაკიდა და ამჯობინა დასამშვიდებლად ცოტა ხანს ადგილიდან არ დაძრულიყო. მისი არსება ნეტარებას შეეპყრო და ენითაუწერელ ბედნიერებას გრძნობდა. ყველაფერმა ჩაიარა და მომავალ ხუთშაბათს ის და ჩაბელა მაიამიში გაემგზავრებოდნენ, სამი დღით შეძლებდნენ დაევიწყებინათ კომენდანტის საათი, ადამიანების გატაცება, უშუქოდ დარჩენილი, ჩაბნელებული ქალაქი და მთელი ეს საშინელება. როცა ტერასაზე დაბრუნდა, ენრიკე გაეხუმრა: „ის ვინც თავისთვის იცინის, ჩადენილი ცოდვები ახსენდება. შეიძლება გავიგო, ასე რატომ გიბრწყინავს თვალები?“ „არ გეტყვი, კიკე, გინდაც მომკლა, მაინც არ გეტყვი. – გაეპრანჭა ქმარს მარისა და ყელზე ხელები მოხვია: – ჩაბელამ სამი დღით მაიამიში დამპატიჟა და ვუთხარი, თუ წასვლის ნებას არ მომცემს, გავეყრები-მეთქი“.

2. მოულოდნელი სტუმრობა

ინჟინერი ენრიკე კარდენასი, რომელსაც შინაურები კიკეს ეძახდნენ, უცნაურმა და უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო, როდესაც კაბინეტში შესული მავანი ჟურნალისტი მისკენ ხელის ჩამოსართმევად გამოემართა. ნეტა რამ გაუჩინა მას ეს გრძნობა? სტუმარი სიარულში ტარზანს ბაძავდა, ხელების ქნევით დადიოდა, თეძოებს არხევდა და რატომღაც ტროპიკული ტყის მეფეს ჩამოჰგავდა. ცბიერი ლიმონის გამო ისედაც დაბალი შუბლი კიდევ უფრო პატარა მოუჩანდა, გაზეპილი თმა კი რკინის ჩაფხუტივით ედგა თავზე. ჟურნალისტს იისფერი ველვეტის შარვალის ხელთათმანივით შემოტმასნოდა ტანზე, მაღალი პლატფორმიანი ყვითელი ფეხსაცმლით კი აშკარად სიმალის მომატებას ცდილობდა. ენრიკეს იგი საოცრად მახინჯი და უგემოვნო მოეჩვენა.

– ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ინჟინერო კარდენას! – სტუმარმა პატარა, თხელი ხელი გაუწოდა და ენრიკემ იგრძნო, ჩამორთმევისთანავე როგორ გაუოფლიანდა ხელისგული. – როგორც იქნა, მეღირსა თქვენთვის ხელის ჩამორთმევა.

კაცს გამკვივანი ხმა, დამცინავი კილო, ეშმაკური თვალები და რაქიტული ტანი ჰქონდა. მალე ენრიკემ იგრძნო, რომ ოთახში ოფლის საშინელი სუნი დადგა. ნეტა ამ სუნის ბრალი ხომ არ იყო, ამ სუბიექტის დანახვისას ასე ცუდად რომ იგრძნო თავი?

– ძალიან ვწუხვარ, ვიცი, რომ ბევრჯერ დარეკეთ, – ნაძალადევად მოუბოდიშა ენრიკემ. – სამწუხაროდ, ყველა მსურველის მიღება არ შემძლია. ვერც კი წარმოიდგენთ რა დატვირთული სამუშაო განრიგი მაქვს.

– მშვენივრად წარმომიდგენია! – მიუგო კაცუნამ. მის მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს იატაკზე ჭრიალი გაჰქონდა, ცისფერ პიჯაკზე ჭრელი ჰალსტუხი ყელზე ყულფივით ჰქონდა ჩამოცმული. ხმის ტემბრის ჩათვლით იგი არასრულფასოვანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ერთი შეხედვით ასე, ორმოცი-ორმოცდაათი წლის უნდა ყოფილიყო.

– რა საოცარი ხედი იშლება აქედან, ინჟინერო! აი, იქ, სან-ქრისტეფორეს მთა მოსჩანს, არა? რომელ სართულზე ვართ ახლა, მეოცეზე თუ ოცდამეერთეზე?

– ოცდამეერთეზე. – მიუგო ენრიკემ. – იღბალი გქონიათ, დღეს მზიანი ამინდია და შეგიძლიათ ამ ხედით დატკბეთ. ჩვეულებრივ წელიწადის ამ დროს, მთელი ქალაქი ნისლშია გახვეული.

– როცა გრძნობ, რომ მთელი ლიმა შენს ფერხთით არის გადაშლილი, ეს უზარმაზარი ძალაუფლების შეგრძნებას იწვევს ადამიანში. – გაიხუმრა სტუმარმა, მუქი, მოუსვენარი თვალები აახამხამა და კიკეს მოეჩვენა, რომ მისი ყოველი სიტყვა ყალბი იყო. აი, თუნდაც – „რა მყუდრო ოფისი გაქვთ, ინჟინერო“. „ნება მომეცით, ამ სურათებს თვალი შევაგლო“.

სტუმარმა ოთახს ჩამოუარა და მთელი მონდომებით შეუდგა მილების, ბორბლების, დგუმების, წყლის ავზებისა და ტუმბოების ნახვების თვალიერებას. ეს სურათები დიზაინერმა ლეონორსიტა არ-

ტიგასმა ინჟინრის სამუშაო ოთახში იმიტომ დაკიდა, რომ ისინი აბსტრაქტულ გრავიურებს ჰგავდა. ლეონორსიტას წყალობით, ამ შთამბეჭდავ იეროგლიფურ ნახაზებს პერუს ლანდშაფტის მშვენიერი ფოტოები ენაცვლებოდა, რომლებიც ენრიკეს მთელი ქონება დაუფჯდა.

– მინდა საკუთარი თავი წარმოგიდგინოთ. ერთი ჩვეულებრივი ჟურნალისტი, როლანდო გარო ვარ და ყოველკვირეულ ჟურნალ „დესტაპესს“ ვხელმძღვანელობ.

სახემოღიძარმა გარომ ენრიკეს სავიზიტო ბარათი გაუწოდა. მისი გამკვივანი ხმა ყურს საშინლად ჭრიდა და კიკე მიხვდა, რომ მის სუნზე მეტად, სწორედ ამ ხმამ შეაწუხა.

– გიცნობთ, სენიორ გარო. – კიკე შეეცადა თავაზიანი ყოფილიყო. – თქვენი სატელევიზიო პროგრამაც ნანახი მაქვს. მგონი, პოლიტიკური მიზეზით დაიხურა, არა?

– პროგრამა სიმართლის გამო დახურეს, რომელსაც არც დღეს ჰყავს და არც არასოდეს ჰყოლია მომხრეები პერუში. – განაცხადა ჟურნალისტიმა სიმწრის ღიმილით. – არაერთი რადიო და სატელევიზიო პროგრამა დამიხურეს. ადრე თუ გვიან „დესტაპესსაც“ დახურავენ, მაგრამ უკვე აღარ მადარდებს, ეს ამ ქვეყნის ჩვეულებრივი პოლიტიკაა! – სტუმარი გამომწვევად იქცეოდა და ენრიკე უკვე ნანობდა, შეხვედრაზე რომ დათანხმდა. მაგრამ რა უნდა ექნა? მისმა თანაშემწემ, რომელსაც უკვე ყელში ჰქონდა ამოსული გაროს სატელეფონო ზარები, ინჟინერს ჰკითხა: „როგორ მოვიქცე, ვუთხრა, რომ ვერასოდეს შეძლებთ მის მიღებას? მაპატიეთ, მაგრამ ამის ატანა აღარ შემიძლია. ოფისში ყველა გაგვაგიჟა. კვირების განმავლობაში დღეში ხუთჯერ თუ ექვსჯერ მაინც რეკავს“. ენრიკეს აზრით ჟურნალისტებთან შეხვედრა საჭირო, მაგრამ თან საშიშიც იყო. ახლა კი გული უგრძნობდა, რომ ეს ვიზიტი კარგს არაფერს მოუტანდა.

– სენიორ გარო, მითხარით, რითი შემიძლია დაგეხმაროთ? – ენ-

რიკემ შეამჩნია, რომ სტუმრის ღიმილი ავისმომასწავებელმა, დაუინებულმა მზერამ შეცვალა. – თუ საქმე რეკლამას ეხება, პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არ გვანტერესებს, რადგან ერთ-ერთ კომპანიასთან უკვე გვაქვს დადებული ხელშეკრულება და განყოფილების სარეკლამო ადმინისტრირებას ის ახორციელებს.

მაგრამ სტუმარს აშკარად ეტყობოდა, რომ ამჟამად ჟურნალისტური საქმიანობა არ იყო მისი ინტერესის სფერო. ახლა კაცუნას საკმაოდ სერიოზულად ეჭირა თავი, უნმოდ ათვალიერებდა ენრიკეს და თითქოს სიტყვებს ეძებდა, რომ იგი წყობიდან გამოეყვანა. უკვე აშკარად გაღიზიანებული კიკე ელოდებოდა, როდის იტყოდა სტუმარი სათქმელს. მერე მოუსვენრობა დაეტყო და ვერ მიმხვდარიყო, რა ჰქონდა ჩაფიქრებული ამ ბრიყვს.

– პირადი დაცვა რატომ არ გყავთ, ინჟინერო? – ჰკითხა უეცრად გარომ. – ყოველ შემთხვევაში, ეს არ შეიძლება.

გაოცებისგან ენრიკემ მხრები აიჩჩია.

– იცით, ბუნებით ფატალისტი ვარ და ვფიქრობ, მოსახდენი მაინც მოხდება. თავისუფლება მიყვარს, ამიტომ დაცვის გარემოცვაში, ალბათ, ვერ შევძლებდი ცხოვრებას და თავს ტყვედ ვიგრძნობდი.

„ეს ტიპი ჩემთან ინტერვიუს ჩამოსართმევად თუ მოვიდა, ვერაფერს ეღირსება და სასწრაფოდ უნდა გავაძევო აქედან“. გაიფიქრა ენრიკემ.

– სენიორ კარდენას, ეს ძალიან დელიკატური საკითხია. – ისე ჩუმად თქვა ჟურნალისტმა, თითქოს ეშინოდა, კედლებსაც ყურები არ ჰქონდეთ და არ გაიგონ ჩემი ნათქვამიო. მერე კი, ვიდრე გავარჯიშებულ, ნელ ტემპში განაგრძობდა ლაპარაკს, თეატრალური მანერით გახსნა ტყავის გაცრეცილი ჩანთა, საიდანაც ყვითელი თასმით შეკრული საქალაქადე ამოიღო, მუხლებზე დაიდო და მღრღნელის თვალებით დაიწყო ენრიკეს ბურღვა. ამ მზერაში ინჟინერმა გარკვეული მუქარაც კი შენიშნა. მაინც რა საჭირო იყო ამ ტიპთან შეხ-

ვედრა! განა ლოგიკური არ იქნებოდა, ეს კაცი მის ერთ-ერთ თანაშემწეს მიეღო, მოესმინა მისთვის და ასე მოეშორებინა თავიდან?! მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო და ეს, ალბათ, სანანებლად გაუხდებოდა.

– ინჟინერო, ამ საქალაქდეს დაგიტოვებთ! მინდა, გულდასმით შეისწავლოთ. – უთხრა გარომ და მეტისმეტად საზეიმოდ გაუწოდა ენრიკეს. – აი, როცა გადახედავთ, მიხვდებით, რატომ გადმოგეცით პირადად და არ ვანდე თქვენს თანაშემწეებს. გარწმუნებთ, „დესტაპესი“ არასოდეს გამოაქვეყნებს მსგავს სიმდაბლეს.

სტუმარი ერთხანს ღუმდა და თვალს არ აცილებდა ენრიკეს, მერე კი გამკვივანი ხმით ისევ განაგრძო:

– არ მკითხოთ, როგორ ჩამივარდა ხელში ეს მასალა, მაინც არ გეტყვი, რადგან საქმე პროფესიულ, ჟურნალისტურ ეთიკას ეხება, ალბათ იცით, რასაც ნიშნავს ეს.

თავად მე ყოველთვის პატივისცემით ვეკიდები ჩემს წყაროებს, თუმცა არსებობენ ისეთი ჟურნალისტებიც, რომლებიც ამით კარგ ფულს შოულობენ. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, სწორედ ამის გამო დავიჟინე თქვენთან პირადად შეხვედრა. ქალაქში საკმაოდ ცნობილი ადამიანი ხართ, ბევრი ცდილობს თქვენს ავტორიტეტს, კაპიტალსა და ძალაუფლებას ზიანი მიაყენოს. ასეთ წარმატებას პერუში არ პატიობენ, შურს და ბოღმას ჩვენთან, სხვა ქვეყნებზე უფრო ღრმად აქვს ფესვები გადგმული. უბრალოდ, მინდა დაგარწმუნოთ, რომ თუკი ვინმეს სურს თქვენი რეპუტაციის შელახვა, შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამას ვერასოდეს შეძლებს ვერც ჩემი და ვერც „დესტაპესის“ მეშვეობით. ვერ შევეგუები სიმდაბლესა და უღირსობას. უბრალოდ, თქვენთვისვე იქნებოდა უკეთესი, ყველაფერში გარკვეულიყავით. თქვენი მტრები ბოროტად გამოიყენებენ ამ სიბინძურეს, რათა დაგაშინონ, მერე კი, ღმერთმა უწყის, რამდენის გამოძალვას შეეცდებიან.

ჟურნალისტი ცოტა ხანს გაჩუმდა და სული მოითქვა, მერე კი

მხრები აიჩეჩა და განაგრძო:

– ბუნებრივია, ამ ბინძურ თამაშში რომ ჩავრთულიყავი და ეს მასალა გამომეყენებინა, ჟურნალის ტირაჟს სამჯერ ან ოთხჯერ გაზრდიდით, მაგრამ, თქვენდა საბედნიეროდ, ინჟინერო, პერუში ჯერ კიდევ არიან პრინციპული ჟურნალისტები. სენიორ კარდენას, იცით, რატომ ვიქცევი ასე? იმიტომ რომ პატრიოტი მგონიხართ. თქვენ ის კაცი ხართ, რომელსაც თავისი კომერციული საქმიანობის გარდა, სამშობლოს ბედიც აღელვებს. იმ დროს, როდესაც ტერორიზმით შეშინებული ადამიანები ქვეყნიდან გარბიან და მთელი ქონება უცხოეთში მიაქვთ, თქვენ აქ რჩებით, საწარმოებს აფუძნებთ, უმკლავდებით შიშს და ცდილობთ ეს ქვეყანა ფეხზე დააყენოთ. კიდევ ერთ რამეზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. ამას სრულიად უსასყიდლოდ ვაკეთებ, და გასამრჯელო რომც შემოგეთავაზებინათ, უარს გეტყვოდით. აქ იმისთვის მოვედი, რომ ეს საქალაქე თქვენთვის გადმომეცა, რათა საკუთარი ხელით გადაყართ ეს ნაგავი და მშვიდად დაიძინოთ. ინჟინერო, არავითარ კომპენსაციას არ მოვითხოვ, მხოლოდ მინდა სინდისი მქონდეს სუფთა. ახლა კი წავალ. ვიცი, რომ ძალიან მოუცლელი ბრძანდებით და აღარ მინდა, ძვირფასი დრო წაგართვათ.

ჟურნალისტი ფეხზე წამოდგა და ენრიკეს ხელი გაუწოდა, რომელსაც ამ ოფლიან ხელთან შეხებამ ისევ უსიამოვნო შეგრძნება დაუტოვა. მერე დაინახა, ეს კაცუნა ფართო, მტკიცე ნაბიჯით როგორ გაეშურა კარისკენ, გააღო და უკან მოუხედავად გაიხურა.

ვიდრე საქალაქედს დახედავდა, დაბნეულმა და ნირწამხდარმა ენრიკემ ჭიქა წყლით გაავსო და სულმოუთქმელად გამოცალა. საქალაქედს სამუშაო მაგიდაზე, მის წინ იდო. თასმის შეხსნა რომ დაიწყო, იგრძნო, როგორ უკანკალებდა ხელები. რა უნდა ყოფილიყო? იმ ტიპის ნალაპარაკევით თუ იმსჯელებდა, კარგი არაფერი. საქალაქედში გამჭვირვალე ქალაქში გახვეული რაღაც იდო. ფოტოები? ფრთხილად დაიწყო ქალაქდის შემოხსნა, მაგრამ ველარ მოითმინა,

ქალაქი გახია და პირველი ფოტო დაინახა. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა მისთვის, რომ ელდანაკრავივით შედგა და ფოტოების დასტა ხელიდან გაუვარდა. მერე სკამიდან ჩამოცურდა და ოთხზე მდგარი, იატაკიდან მათ შეგროვებას შეუდგა. გაოგნებული და შეშინებული წამით დახედავდა და მონაცვლეობით ერთმანეთის ქვეშ მალავდა. გრძნობდა, რომ გული გამალებით უცემდა და ჰაერი არ ჰყოფნიდა. ენრიკე იატაკზე იჯდა, ხელში ოციოდე ფოტო ეჭირა, უკვე მერამდენედ ათვალეირებდა მათ და თვალებს არ უჯერებდა. ეს შეუძლებელი იყო, დიას, შეუძლებელი. ფოტოებმა კიკეს ისევ გაახსენეს ის იუგოსლავიელი და ჩოსიკაში მომხდარი ამბები, რომელიც დიდი ხნის დავიწყებული ეგონა.

თავს საშინლად დათრგუნულად და განადგურებულად გრძნობდა; ფეხზე ძლივს წამოდგა და ფოტოები მაგიდაზე დააწყო; პიჯაკი გაიხადა, ჰალსტუხი მოიშვა და თვალდახუჭული დაენარცხა სკამზე. შეეცადა დამშვიდებულიყო, საღად ეფიქრა და სიტუაცია ცივი გონებით განესაჯა, მაგრამ ვერ შეძლო. მერე მიხვდა, რომ, თუ არ დამშვიდდებოდა, ნამდვილად გული გაუსკდებოდა. კარგა ხანს ასე იჯდა, წარმოიდგინა თავისი საბრალო დედა, მარისა, ნათესავები, საქმიანი პარტნიორები, მეგობრები, საზოგადოების აზრი. „დალახვროს ეშმაკმა, ამ ქვეყანაში ხომ ძალლი და ღორი მიცნობს“. გაიფიქრა მერე და შეეცადა ღრმად ესუნთქა. – ეს აშკარა შანტაჟი იყო. თავად კი შეგნებულად დაგებული მახის სულელური მსხვერპლი გახდა. ეს ყველაფერი ხომ ორი წლის წინ თუ კიდევ უფრო ადრე მოხდა ჩოსიკაში?! როგორ შეიძლებოდა ამის დავიწყება! როგორც ახსოვდა, იმ იუგოსლავიელს კოსუტი ერქვა. კი მაგრამ, მაინცდამაინც ახლა საიდან გაჩნდა ეს ფოტოები? ან იმ საზიზღარ ტიპს როგორ ჩაუვარდა ისინი ხელში? ენრიკეს კი უთხრა, ამ ფოტოებს არასოდეს გამოვაქვეყნებ და გასამრჯელოსაც არ ვითხოვო, მაგრამ ეს იმასაც მიანიშნებდა, რომ ამ ტიპს სულ სხვა გეგმები ჰქონდა. თავს ღებდა, პრინ-

ციპული ადამიანი ვარო, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამ სრულიად ამორალურ ბოროტმოქმედს გადაწყვეტილი ჰქონდა კიკე დაემანტაჟებინა, ცხოვრება დაენგრია და მიწასთან გაესწორებინა. მერე ყველაფერი ცხადად წარმოიდგინა: დედის სათნო სახეზე გამონატული აღშფოთება და შიში; ძმების რეაქცია ამ ფოტოების დანახვისას; თვალწინ დაუდგა ფერმკრთალი, გაოცებული მარისა და მისი ტირილისგან დასიებული ლაჟვარდისფერი თვალები. ძალიან უნდოდა სადმე გაუჩინარებულიყო, მაგრამ ახლა დაუყონებლივ უნდა დალაპარაკებოდა ლუსიანოს. ღმერთო, რა სირცხვილია! ან იქნებ სჯობდა, სხვა ადვოკატისთვის მიემართა? არა, ამ ფოტოებს სხვას ვერავის ჩაუგდებდა ხელში, მხოლოდ თავის საუკეთესო მეგობარს ლუსიანოს ენდობოდა.

ტელეფონის ხმა გაისმა და ენრიკე სკამზე შეხტა. თანაშემწემ შეახსენა, თერთმეტი საათისთვის მაღაროელთა ასოციაციასთან გაქვთ შეხვედრაო. „ღიახ, ღიახ, მძლოლს უთხარით, შესასვლელთან დამელოდოს, ახლავე ჩავალ“.

სააბაზანოში შევიდა და პირზე წყალი შეისხა, თან მტანჯველი ფიქრი არ ეშვებოდა. ნეტა რა მოხდებოდა, თუ ამ ფოტოებს ის გაზეთები და ჟურნალები გამოაქვეყნებდნენ, რომლებსაც ადამიანების ჭუჭყიანი თეთრეულის გამოძიებურებით ედგათ სული? გადაწყვიტა, სასწრაფოდ ენახა ლუსიანო. იგი მხოლოდ ენრიკეს საუკეთესო მეგობარი კი არა, მისი ადვოკატიც იყო და ლუსიანოს საადვოკატო ბიურო ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ორგანიზაციად მიიჩნეოდა ლიმაში. ღმერთო ჩემო! რა მოულოდნელი იმედგაცრუება იქნებოდა ეს მისი მეგობრისთვის, რომელსაც ყოველთვის სჯეროდა, რომ კიკე კარდენასი უნაკლო ადამიანი იყო.

3. უქმეები მაიამიში.

მარისა და ჩაბელა შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს ხორხე ჩავესის აეროპორტში შეხვდებოდნენ. ავიაკომპანია LAN-ის მიერ ლამის რეისის გამოცხადებამდე, ისინი VIP სალონში შევიდნენ და რეისის მოლოდინში, მინერალური წყალი დალიეს. სალონში ყველა მაგიდა დაკავებული იყო, მაგრამ ბართან მოშორებით ერთი თავისუფალი შენიშნეს. მარისას გაშლილ ქერა თმაზე ლენტი გადაეჭირა, უმაკიაჟოდ შესანიშნავად გამოიყურებოდა. მოკასინები, დარიჩინის ფერი შარვალის ეცვა და იმ ფერისავე დიდი ჩანთა ეჭირა. ჩაბელას კი მაკიაჟი გულდასმით გაეკეთებინა, ღია მწვანე ქვედატანი, გულამოდებული ბლუზა, ტყავის ქურთუკი, ფეხზე კი სანდლები ეცვა. შავი დაწნული თმა წელამდე სცემდა.

– რა კარგია, კიკემ რომ გამოგიშვა და ჩემთან ერთად წამოსვლა შეძელი. – მხიარულად უთხრა ჩაბელამ მარისას, სანამ მაგიდას მიუსხდებოდნენ. – დღეს განსაკუთრებულად ლამაზი ხარ! მაინც რატომ?!

– ვიფიქრე, კიკე წამოსვლის ნებას თუ არ დამრთავს, ნებისმიერ

ხრიკს მივმართავ-მეთქი. – მიუგო მარისამ და გაწითლდა. – მაინტერესებდა, რას მეტყოდა. ჩემმა ქმარმა კი უბრალოდ მითხრა, რა თქმა უნდა, წადიო. მაგრამ ამ ბოლო დროს კიკე ძალიან უცნაურად იქცევა და თითქოს ღრუბლებში დაფრინავს. ისე კი, სილამაზეზე თუ მიდგა საქმე, შენი ეგზოტიკური ნაწნავით ნამდვილ დედოფალს ჰგავხარ.

– კიკეს რაც სჭირს, მშვენივრად ვიცი. – მიუგო ჩაბელამ სერიოზულად. – მასაც ის აწუხებს, რაც ლუსიანოს, შენ, მე და მთელ ქვეყანას. როცა ელექტროენერგიას მუდმივად გითიშავენ, ხედავ, როგორ აფეთქებენ ბომბებს, იტაცებენ და კლავენ ადამიანებს, შეიძლება ასეთ ქალაქში ან ქვეყანაში მშვიდად იგრძნო თავი?! კარგია, კვირის ბოლოს, ცოტა ხნით მაინც რომ გამოვეცალეთ იქაურობას. კაპიტოზე რამე ხომ არ გაირკვა?

– მგონი, გამტაცებლები მის ოჯახს გამოსასყიდის სახით ექვს მილიონ დოლარს სთხოვენ. – მიუგო მარისამ. – ნიუ-იორკის ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიიდან გრინგო ჩამოვიდა და მოლაპარაკებებს აწარმოებს. ის საბრალო ორ თვეზე მეტია, რაც გაიტაცეს, არა?

– მის ცოლს, ნინას ვიცნობ. – მიუგო ჩაბელამ. – საშინელ მდგომარეობაშია, ფსიქოლოგთან დაიწყო სიარული. მარისა, ყველაზე მეტად იცი, რა მთრგუნავს? ამ ყველაფერს საკუთარი თავის და ლუსიანოს გამო კი არა, ჩვენი ქალიშვილების გამო განვიცდი. მაგიჟებს იმაზე ფიქრი, რომ ერთ დღეს შეიძლება ისინიც გაიტაცონ. მე და ლუსიანომ ვიფიქრეთ, სადაზღვევო კომპანია Prosegur-თან ხელშეკრულება გაგვეფორმებინა, რომ მას ჩვენი ოჯახი, ქონება, განსაკუთრებით კი ბავშვები დაეცვა, მაგრამ უზარმაზარი თანხა მოითხოვეს.

– კაჩიტოს გატაცების შემდეგ ეს კიკემაც იფიქრა, მაგრამ გვითხრეს, ძალიან სახიფათოაო, ამიტომ გადავიფიქრეთ. დაცვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, როგორც ამბობენ, შეიძლება თვითონვე გაგიტაცონ. ეს რა ქვეყანაში ღავიბადეთ, ჩაბელიტა!

- კოლუმბიაში ამაზე უარესი ხდება, მარისა. თურმე იქ ადამიანებს მხოლოდ კი არ იტაცებენ, არამედ თითებს და ყურებს აჭრიან, რომ ახლობლები კიდეც უფრო შეძრწუნდნენ. ჰოდა, ვინ იცის, კიდეც რა საშინელებებს სჩადიან.

- რა ბედნიერებაა, რომ სამი დღით ამ ყველაფერს თავს დავაღწევთ და მაიამიში ვიქნებით. - თქვა მარისამ, მზის სათვალე მოიხსნა და მეგობარს შეხედა. მის ცისფერ თვალებში საოცარი ვნება და სინაზე ირეკლებოდა. მარისამ შეამჩნია, როგორ წამოწითლდა ჩაბელა, უხერხულობის დასაფარად, ძალით გაიცინა და მეგობარს ხელი ნაზად მოუჭირა ხელზე. მარისამ მას თავზე ხელი გადაუსვა. - ჩემო საყვარელო, რომ იცოდე, როგორ გიხდება ეს ნაწნავი!

- ძალიან მეშინოდა, რომ წამოსვლაზე არ დამთანხმდებოდი. - ჩურჩულით უთხრა ჩაბელამ და კვლავ ხელზე მოუჭირა ხელი.

- ალბათ ხუმრობ, არ იცი, როგორ მხიბლავს მაიამი! - შესძახა მარისამ და გადაიხარხარა. ჩაბელამაც ყასიდად დაიწყო სიცილი. ერთხანს ასე იცინოდნენ, თვალები უბრწყინავდათ და უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთისა, თუმცა მათ მზერაში უხამსობაც გაკრთებოდა ხოლმე, რომლის შენიღბვასაც ორივე ცდილობდა.

LAN-ის კომპანიის ბიზნეს კლასით ყოველთვის უამრავი ხალხი მგზავრობდა. მეგობრები სხვა მგზავრებისგან მოშორებით, პირველ რიგში დასხდნენ. ვახშამზე უარი განაცხადეს და თითო ჭიქა ღვინოს დასჯერდნენ.

ხუთსაათიანი ფრენისას ბევრ რამეზე ილაპარაკეს. იმდამიხდელ ამბავს არც ერთი არ შეხებია, მაგრამ ორივეს რალაც ეჭვი ღრღნიდა და სიტუაციის განმუხტვას ნერვიული სიცილით ცდილობდა. „ნეტავ, რა მოხდება მაიამიში, ისევ თავს ვარიდებთ ამ საკითხს?“ ეკითხებოდა საკუთარ თავს თვლემამორეული მარისა, თუმცა ზუსტად იცოდა, რომ ასე არ მოხდებოდა. თანაც მისი წარმოსახვა ვერ უძლებდა მაცდურად ტკბილ და გაბედულ ფიქრს, თუ როგორ შეიძლებოდა მომ-

ხდარიყო ეს ყველაფერი. მერე წარმოიდგინა, მაიაში როგორ მივიდოდნენ ჩაბელას სახლში, მარისა მეგობარს გრძელ ნაწნავს გაუშლიდა, თითებით შეიგრძნობდა მის სწორ და შავ თმას და დროდადრო დაიხრებოდა მის საკოცნელად.

მაიაში გამთენიისას ჩაფრინდნენ. აეროპორტიდან მანქანით წავიდნენ, რომლის ქირაობის თადარიგიც ჩაბელას ჯერ კიდევ ლიმადან დაეჭირა. ადრიან დილას გზებზე დიდი მოძრაობა არ იყო და შინ სწრაფად მივიდნენ. ლუსიანოს ბინა ბრიკელ ავენიუზე მდებარე ერთერთ შენობაში იყო განთავსებული და მისი ფანჯრებიდან ზღვა და კი ბისკეინი მოჩანდა. უნიფორმიანმა კარისკაცმა, რომელიც კუბური აქცენტით ლაპარაკობდა, ქალებს ჩემოდნები თანამედროვე პენტჰაუზში აატანინა, საიდანაც ფანჯრები პირდაპირ პლაჟს გადაჰყურებდა. მარისა ამ ბინაში ორი წლის წინ იყო, როცა მაიამიდან ნიუ-იორკში აპირებდა გამგზავრებას. ახლა შენიშნა, რომ კედლებზე ახალი სურათები ეკიდა, მათ შორის ლამის ნახატიც იყო, რომელიც ჩაბელას ადრე ლიმაში ჰქონდა. ოთახს სოტოს და მორალესის ნამუშევრებიც ამშვენებდა, ბინაში დეკორაციაც შეეცვალათ.

– რა საოცრებაა, ჩაბელიტა. ერთი შეხედვით, აქედან რა ლამაზია ზღვა. წამოდი, ტერასაზე გავიდეთ!

კარისკაცმა ჩემოდნები ჰოლში დააწყო.

ტერასიდან მართლაც შესანიშნავი ხედი იშლებოდა. დიდებული სანახავი იყო ჩამწკრივებული ხეები, კი ბისკეინის შენობების გრძელი რიგი, აქაფებული ტალღები რიტმულად ეხეთქებოდნენ ოკეანის მომწვანო-მოცისფრო ნაპირს.

– თუ გინდა, ცოტა დავისვენოთ, მერე კი პლაჟზე ჩავიდეთ და ვიბანაოთ. – ჩუმად უთხრა ჩაბელამ მეგობარს. მარისამ ყურთან მისი თბილი სუნთქვა იგრძნო და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ჩაბელამ მას თეძოებში ხელები სტაცა და თავისკენ მიიზიდა.

მარისას არაფერი უთქვამს, თვალდახუჭული დაიხარა, რათა ის

ტუჩები მოეძებნა, ახლა მის ყელს, ყურებს და თმას ნაზად რომ კოცნიდა. მერე ერთი ხელით ჩაბელას ნაწნავი აიღო, მეორე ხელი კი თმაში შეუცურა და წასჩურჩულა: „ძვირფასო, თუ ნებას მომცემ, ნაწნავს გაგიშლი, მინდა გაშლილი თმა დაგიკოცნო“. ასე ჩახუტებულებმა სასტუმრო ოთახი, სასადილო, დერეფანი გაიარეს და ჩაბელას საძინებელში შევიდნენ.

ფარდები გაწეული იყო და ოთახში ზომიერად შემოდინდა სინათლე. ფართო საძინებელში იატაკზე ხალიჩა დაეფინათ, კედლებზე კი მარისამ სზისზლოს, ჩავესის, ბოტეროს ნამუშევრები და ვასარელის ორი გრავიურა შენიშნა. საწოლის ორივე მხარეს თანამედროვე დიზაინის ღამის ღამპა იდგა. ქალები ერთმანეთს ტანსაცმელს ხდიდნენ, ეალერსებოდნენ და კოცნიდნენ. აღგზნებულ, სიამოვნებისგან გაოგნებულ მარისას ამ დაძაბულ წუთებში საიდანღაც ნაზი მუსიკა შემოესმა, რომელიც ვილაცას თითქოს საგანგებოდ შეერჩია, რათა ნეტარებით თავბრუდახვეულებს უფრო მძაფრად და ღრმად შეეგრძნოთ განმარტოებისა და ბედნიერების ეს წუთები. მათ ერთმანეთი უყვარდათ და ტკბებოდნენ ალერსით, გარედან კი მანქანების და რუპორების ხმა ისმოდა. უკვე კარგად გათენებულიყო და მარისას მოეჩვენა, რომ ოკეანის ტალღები ახლა კიდევ უფრო მძლავრად ეხეთქებოდა ნაპირს. მერე ძალაგამოცლილს ჩაეძინა. ჩაბელას გაშლილი თმა სახეზე და ყელზე ჩამოშლოდა და მარისას მკერდზეც ეყარა.

როცა გამოეღვიძა, სულ ახლოს ჩაბელას სხეული იგრძნო. მას თავი ბალიშის ნაცვლად მარისას მხარზე, ცალი ხელი კი თავის სწორ და მკვირვ მუცელზე ჩამოედო.

– დილა მშვიდობისა, ძილისგუდა! – მოესმა მას უეცრად და შუბლზე მისი ტუჩების შეხება იგრძნო. – ანგელოზები გესიზმრებოდა? ძილში სულ ილიმებოდი.

მარისა ჩაბელასკენ მიიწია, ყელზე აკოცა და ცალი ხელით მუცელსა და ფეხებზე დაუწყო ალერსი. „გეფიცები, ასეთი ბედნიერი

არასოდეს ვყოფილვარ! " წაიჩურჩულა მან და ეს მართლაც ასე იყო, რადგან თავს ნამდვილად ბედნიერად გრძნობდა. ჩაბელა მისკენ გადაბრუნდა, მოეხვია, ტუჩებზე მიეტანა და თითქოს სიტყვებით მის სხეულში შეჭრას ლამობსო, უთხრა:

– მეც, ჩემო საყვარელო. ეს დღეები სულ იმაზე ვოცნებობდი, როდის გავიღვიძებდი ასე ერთად. ყოველ ღამე შენზე ფიქრში ვიკლავდი ვნებას.

ისინი გაშმაგებით კოცნიდნენ, სხეულებით ეხახუნებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ სიყვარულის აქტის დასაწყებად ორივეს ქანცი გამოსცლოდა. ახლა მარისას თავი ჩაბელას მხარზე ჩამოედო, ის კი მეგობრის მეჩხერ თმას ბოქვენზე თითებით ეთამაშებოდა.

– ნამდვილად მუსიკის ხმა ყოფილა. ვიფიქრე, მომესმა-მეთქი. ნეტავ საიდან მოდის? – თქვა მარისამ.

ჩაბელამ მუსიკას ყური მიუგდო.

– ბინის დასალაგებლად ჩემთან ერთი სიმპათიური სალვადორელი გოგონა დადის და ალბათ მან ჩართო. ბერტოლა ჰქვია, მოგვიანებით გაგაცნობ. კარგად მუშაობს, გადასახადებს იხდის, მაცივარიც პროდუქტით სავსე დამახვედრა, ერთი სიტყვით, სანდო ადამიანია. არ გშია? გინდა საუბმეს მოგიმზადებ? – ჰკითხა ბოლოს მარისას.

– არა, ჯერ არ მინდა, ასე ყოფნა შესანიშნავია, არ წახვიდე. – მიუგო მარისამ და მეგობარს თეძოებში მოჰკიდა ხელები. – შენი სხეულის შეგრძნება მსიამოვნებს და ვერც კი წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვარ.

– მარისიტა, ერთი საიდუმლო უნდა გაგანდო. – ჩურჩულით უთხრა ჩაბელამ მეგობარს და მარისამ ნაზი კბენა იგრძნო ყურის ბიბილოზე. – ჩემს ცხოვრებაში პირველად ვწევარ ქალთან.

მარიამ თავი წამოწია, რომ მისთვის თვალელებში ჩაეხედა. ჩაბელა სერიოზული და ცოტა არ იყოს დარცხვენილი ჩანდა. მუქი, ღრმა თვალეები, კრიალა კანი, ნატიფი სახის ნაკვთები და სქელი ტუჩები ჰქონდა.

– მეც, ჩაბელა. – წაიჩურჩულა მარისამ. – მეც პირველად ვარ ქალთან, თუმცა, შეიძლება არც დამიჯერო.

– მართალს ამბობ? – უნდობლად ჰკითხა მეგობარმა.

– გეფიცები, – მარისამ ჩაბელას ყელში ჩარგო თავი. – მაგრამ კიდევ გეტყვი რაღაცას! ამ ყველაფერზე საერთოდ მცდარი წარმოდგენა მქონდა. როცა გავიგებდი, რომ ვიღაც ქალს ქალები მოსწონდა, ვფიქრობდი, რომ ეს გარყვნილებაა და ზიზლსაც კი ვგრძნობდი. რა სულელი ვარ, არა?

– ზიზლი არა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა კი მკლავდა, – მიუგო ჩაბელამ. – მაგრამ მართალია, როცა ამბობენ, მანამდე არავინ გაკიცხო, ვიდრე საკუთარ თავზე არ გამოცდიო. იმ ღამით, როცა თეძოზე ხელით შემეხე და შენი სხეული ვიგრძენი, საშინლად აღგზნებულს გამეღვიძა. მანამდე ასეთი რამ არასდროს მიგრძნია. შენს ყოველ შეხებაზე ლამის გული მკერდიდან ამომვარდნოდა და დღემდე არ ვიცი, როგორ გავბედე, ხელი როგორ მოგაკიდე და...

– ჰო, მაიძულე, აი, აქ შეგხებოდი. – წაიჩურჩულა მარისამ, ჩაბელას ფეხები გააშლევინა, ბოქვენზე ნაზად შეეხო და კლიტორის ბაგეებზე გაუხახუნა თითები. – შეიძლება, გითხრა, რომ მიყვარხარ? თუ ამას მნიშვნელობა არა აქვს შენთვის?

– მეც მიყვარხარ. – მიუგო ჩაბელამ და ნაზად ააღებინა ხელი. – იცოდე, თუ ველარ შევხვდებით, ნამდვილად დარდით მოგკვდები. გინდა ფარდები გადავწიო? აქედან ძალიან ლამაზად მოჩანს ზღვა.

მარისა თვალს არ აშორებდა ჩაბელას და როცა იგი საწოლიდან მთლად შიშველი წამოდგა, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მისი სხეული ზედმეტ სიმსუქნეს არ დაემახინჯებინა და ისევ წვრილი წელი და მკვრივი მკერდი ჰქონდა. ჩაბელამ კედელზე ღილაკს თითი დააჭირა და ფარდა გადასწია. ფანჯრიდან შემოჭრილმა სინათლემ ოთახი მთლიანად გაანათა. ეს ბინა ჩაბელას ღიმილს სახლივით ელეგანტურად და სადად, ყოველგვარი ზედმეტობების გარეშე მოეწყო.

თავად ჩაბელაც და ლუსიანოც ხომ ზუსტად ასე სადად გამოიყურებოდნენ თავიანთი ჩაცმულობითა თუ ლაპარაკის მანერით.

– რა ლამაზი ხედია აქედან, არა? – ჩაბელა საჩქაროდ ისევ ლოგინში დაწვა და ზეწარი წაიფარა.

– გეთანხმები, ჩემო ძვირფასო, მაგრამ შენ უფრო ლამაზი ხარ. დიდ მადლობას გიხდის მაშინდელი ლამისთვის! ის ყველაზე ბედნიერი ღამე იყო ჩემს ცხოვრებაში, ჩაბელა.

– ჩემო ენამოქარგულო, აი, ისევ აღვიგზნე! – უთხრა ჩაბელამ და მისი ტუჩები მოძებნა. – ახლავე ყველაფერს ანაზღაურებ.

უკვე შუადღე იყო მეგობრები, ლოგინიდან რომ წამოდგნენ, ხალათები მოიცვეს და ფეხშიშველებმა საუბზე მოამზადეს, თან საუბრობდნენ. მარისამ ენრიკეს ოფისში დაურეკა და თუმცა ქმარმა დაამშვიდა, კარგად ვარო, ქალმა მის ხმაში უცნაური სევდა შენიშნა. ჩაბელა ლუსიანოს ვერ დაუკავშირდა, სამაგიეროდ ელაპარაკა დედას, რომელიც მისი მოგზაურობის დროს ბავშვებთან რჩებოდა ხოლმე მის სახლში. დედამ უთხრა ჩაბელას, რომ მისი ქალიშვილები ახლა კოლეჯში იყვნენ, და როგორც კი დაბრუნდებოდნენ, დაურეკავდნენ.

– კიკეზე ნუ ინერვიულებ, მარისა. – დაბეჯითებით უთხრა ჩაბელამ მეგობარს. – გარწმუნებ, არაფერი სერიოზული არ იქნება. იმ წყეული ტერორისტების გამო მასაც იგივე სჭირს, რაც დღეს თითოეულ პერუელს. ხანდახან ლუსიანოსაც მოაწვება ხოლმე შავბნელი ფიქრები. მაგალითად, წინა კვირას ისიც კი მითხრა, თუ სიტუაცია არ შეიცვლება, უმჯობესია პერუდან წავიდეთო. ნიუ-იორკში იმ კომპანიაში შეძლებს მუშაობას, სადაც კოლუმბიის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პრაქტიკას გადიოდა. მაგრამ მე უარი ვუთხარი. დედაჩემის დარდი მაქვს, როგორ დავტოვო, სადაცაა სამოცდაათის გახდება, თანაც არც ის მინდა, ჩემი შვილები ამერიკულ ყაიდაზე გაიზარდონ.

კარგად ისაუბმეს. საუბმებზე ხილის წვენი, იოგურტები, თოხლოდ

მოხარული კვერცხი და ინგლისური მაფინები ჰქონდათ. მერე ყავაც დალიეს და გადაწყვიტეს საღამოს მაიამი ბიჩზე კარგ რესტორანში წასულიყვნენ.

როცა მეგობარს მარისამ ჰკითხა რა საქმეების მოგვარებას აპირებდი მაიამიშიო, ჩაბელამ გულიანად გადაიხარხარა.

– არანაირი საქმე არა მაქვს. ეს საბაბი იყო, რომ აქ წამომეყვანე.

მარისამ მისი ხელი აიღო და აკოცა. მერე ორივე საბანაო კოსტიუმში გამოეწყო და პირსახოცებით, კრემებით, მზის სათვალეებით და ჩალის ქუდებით შეიარაღებული პლაჟზე წავიდნენ გასარუჯად. ნაპირზე ცოტა ხალხი იყო და საკმაოდ ცხელოდა, მაგრამ ზღვიდან მონახერი ნიაფი ჰაერს მაინც აგრილებდა.

– რა მოხდება, ჩვენს ამბავს ლუსიანო თუ გაიგებს? – ჰკითხა მარისამ მეგობარს.

– ალბათ მოკვდება. – მიუგო ჩაბელამ. – ჩემი ქმარი მთელ მსოფლიოში ყველაზე პურიტანი და კონსერვატიული ადამიანი მგონია. წარმოგიდგენია, დღემდე მაიძულებს, რომ ერთმანეთს ჩამქრალ შუქში ვესიყვარულოთ. კიკე რა აზრის იქნებოდა ამაზე?

– წარმოდგენა არ მაქვს, – მიუგო მარისამ. – მაგრამ არა მგონია, რომ ამ ამბავმა აღაშფოთოს. ძალიან სერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას კი ტოვებს, მაგრამ მასაც ხშირად ათასი უხამსობა მოსდის ხოლმე თავში. გინდა საიდუმლოდ გითხრა? ხანდახან მეუბნება, ძალიან აღმაგზნებ თუ ჩემი თანდასწრებით ჯერ ქალს მოეფერები, მერე კი მეო.

– ეშმაკმა დალახვროს, შეგვიძლია ზოგჯერ კიკესაც ვასიამოვნოთ ხოლმე. – გაეცინა ჩაბელას. – აბა, ვინ იტყვის, რომ ქმარი დაგიბეჩავდა?!

მერე ორივემ აღიარა, რომ ქმრების საკითხში ძალიან გაუმართლათ, მათ გვერდით ძალიან ბედნიერად გრძნობდნენ თავს და გადაწყვიტეს, რაც მოხდა, არასოდეს გაემჟღავნებინათ, რათა ამით ზიანი არ მიეყენებინათ თავიანთი ცოლქმრული თანაცხოვრებისთვის.

ამასთან, უკეთ უნდა შეესრულებინათ მოვალეობები, აქტიურად ემოქმედათ და ქმრებისთვის ცხოვრება გაელამაზებინათ.

მეგობრებმა გადაწყვიტეს მოგვიანებით საყიდლებზე ან კინოში წასულიყვნენ, სალამოს კი მაიამი ბიჩის ან კი ბისკეინის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში ევახშმათ და ფრანგული შამპანური დაეღლიათ. ეს მართლაც რომ დაუვიწყარი უქმეები უნდა ყოფილიყო.

4. მეწარმე და ადვოკატი

ლუსიანო კასასბელიას საადვოკატო ბიურო სან ისიდროში, ენრიკეს ოფისიდან რამდენიმე კვარტალში მდებარეობდა. ადრე კიკე იქამდე მუდამ ფეხით მიდიოდა, მაგრამ ახლა MRTA-ს მიერ ადამიანების გატაცების და სენდერო ლუმინოსოს თავდასხმების გამო იძულებული იყო, მანქანით ევლო. მძლოლმა ენრიკე პირდაპირ ოფისის შესასვლელთან ჩამოსვა. ორგანიზაციას მთელი შენობა ეკავა. ენრიკემ მძლოლს სთხოვა დაეცა და მეხუთე სართულზე, მეგობრის კაბინეტში ავიდა. ლუსიანოს თანაშემწემ კიკეს უთხრა, ადვოკატი უკვე გელოდებათ და შეგიძლიათ მასთან პირდაპირ შეხვიდეთო.

ენრიკეს დანახვისას ლუსიანო ფეხზე წამოდგა, მეგობარს ხელი გაუყარა და მოხერხებულ, გასაშლელი სავარძელთან მიიყვანა. სავარძლები შემინული ბიბლიოთეკის თაროებთან იდგა. თაროებზე სიმეტრიულად ეწყო უამრავი ტყავისყდიანი წიგნი. ოთახში ყველაფერი – ხალიჩა, ნახატები და ფოტოები – ლუსიანოს მსგავსად ელეგანტურად, სადად და კონსერვატიულად გამოიყურებოდა და ნისლიანი ბრიტანეთის ასოციაციას იწვევდა. შემინულ ჩარჩოებში მას

ჩაბელას და ქალიშვილების ფოტოები ჩაესვა, აქვე მისი ახალგაზრდობის დროინდელი ფოტოც იდო, რომელზეც ლუსიანოს მოსამართლის ფორმა ეცვა. ეს სურათი ლიმას კათოლიკური უნივერსიტეტის დამთავრების აღსანიშნავად გადაეღო, ხოლო მეორე, უფრო დიდებულ ფოტოზე ადვოკატი კოლუმბიის უნივერსიტეტში, დოქტორის ხარისხის მინიჭების ცერემონიაზე იყო აღბეჭდილი. კიკეს კარგად ახსოვდა, ღვთისმშობლის სახელობის ცნობილ კოლეჯში სწავლისას ლუსიანოს ყოველ წელს „ბრწყინვალე მოსწავლის პრემიით“ რომ აჯილდოებდნენ.

– აი, უკვე რამდენიმე კვირაა, ერთმანეთი არ გვინახავს, კიკე. – უთხრა ადვოკატმა და მეგობარს მუხლზე დაჰკრა ხელი. ლუსიანოს ფეხსაცმელი თითქოს ეს-ესაა გაეპრიალებინა, ხელში სათვალე ეჭირა, ზოლიან, უზადოდ დაუთოებულ პერანგზე სახელოები აეკაპიწებინა და, როგორც ყოველთვის, ჰალსტუხი და აჭიმები ეკეთა. მაღალი ტანის გამხდარ ლუსიანოს ღია ფერის მოგრძო თვალები და ფერფლისფერი თმა ჰქონდა, რომელიც გვერდზე გადაევარცხნა და ეტყობოდა, რომ გამელოტება ნაადრევად დასწყებოდა. – მშვენიერი მარისა როგორ არის?

– კარგად, კარგად, – ღიმილით მიუგო ენრიკემ და გაიფიქრა: „ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვართ, მაგრამ დავრჩებით კი მეგობრებად, როცა იგი ყველაფერს შეიტყობს?“ ამის გაფიქრებამ ააფორიაქა, სირცხვილი იგრძნო და შემცბარი ხმით დასძინა: – მარისა კი კარგად არის, მე ვარ ცუდად, ლუსიანო! ამიტომაც მოვედი შენთან.

ადვოკატმა შეამჩნია, რომ ენრიკეს ხმა უკანკალებდა, ამიტომ სერიოზული სახე მიიღო, ყურადღებით დააკვირდა მეგობარს და გასამხნევებლად უთხრა:

– კიკე, ცხოვრებაში გამოსავალი ყოველთვის არსებობს, სიკვდილის გარდა. ახლა, როგორც მეტყვის ხოლმე ჩემი უმცროსი ქალიშვილი ლუსიანა, მიდი და ყველაფერი მიაძებე.

– რამდენიმე დღის წინ ოფისში დაუპატიჟებელი სტუმარი, ვინმე

როლანდო გარო მეწვია. – წაიბუტბუტა ენრიკემ და იგრძნო, რომ ხელის გულები გაუოფლიანდა.

– ჟურნალისტ გაროს გულისხმობ? – ჰკითხა ლუსიანომ. – მაშინ ეს კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოს. მაგ კაცს ცუდი სახელი აქვს.

ენრიკემ მშრალად აღწერა როლანდო გაროს ვიზიტი. დროდადრო ჩუმდებოდა და ცდილობდა საჭირო სიტყვები შეერჩია. ლუსიანო უხმოდ, მშვიდად უსმენდა და არ აჩქარებდა. ბოლოს კიკემ ჩანთიდან ყვითელი თასმით შეკრული საქალაქადე ამოიღო, მეგობარს გაუწოდა და ცხვირსახოცით შუბლი და ხელები შეიმშრალა, რადგან ოფლში გახვითქულიყო და სუნთქვა უჭირდა.

– ვერ წარმოიდგენ, რამდენ ხანს ვყოყმანობდი, სანამ აქ მოსვლას გავბედავდი. – მოუბოდიშა მეგობარს თავდახრილმა ენრიკემ. – ძალიან მრცხვენია და საკუთარი თავი მძულს, მაგრამ ეს ისეთი პირადული და საჩოთირო საკითხია, რომ არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა. ამ ამბავს შენ გარდა ნამდვილად ვერავის გავანდობდი. ხომ იცი, ძმასავით მიყვარხარ!

ენრიკეს ხმა ჩაუწყდა და, შეშინებული მიხვდა, რომ სადაცაა ატირდებოდა. ლუსიანო მაგიდაზე დაიხარა და მეგობარს გრაფინიდან წყალი დაუსხა.

– მოდი, ჯერ დამშვიდდი, კიკე! – ადვოკატმა მხარზე ხელი დაადო. – რა თქმა უნდა, სწორად მოიქეცი, ჩემთან რომ მოხვედი; აი, ნახავ, რაც არ უნდა ცუდად გქონდეს საქმე, გამოსავალს მაინც ვიპოვით.

– იმედი მაქვს, როცა ყველაფერს გაიგებ, არ შემიძლებ, ლუსიანო. – ჩურჩულით თქვა ენრიკემ და მეგობარს საქალაქადეზე ანიშნა. – დიდი სიურპრიზი გელოდება, მიდი, გახსენი!

– ჩემო ძველო მეგობარო, ადვოკატი ადამიანებისთვის ხომ მოძღვარივით არის. – მიუგო ლუსიანომ და სათვალე გაიკეთა. – ნუ ლელავ, ჩემმა პროფესიამ ბევრი რამ მასწავლა, ასე რომ, კარგსაც,

ცუდსაც და ყველაზე უარესსაც კი მომზადებული ვხვდები.

ენრიკე თვალს ადევნებდა, როგორ ფრთხილად შემოხსნა ლუსიანომ საქალაქდეს თასმა და ქალაქში გახვეული ფოტოების შეკვრა ამოიღო. მერე მისი გაოცებული და გაფითრებული სახეც დაინახა. ადვოკატს ენრიკესკენ აღარ გაუხედავს, არც ხმა ამოუღია, ახლა იგი აუჩქარებლად, ერთმანეთის მიყოლებით ათვალეიერებდა სკანდალურ ფოტოებს. კიკეს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და იმ წუთში მოეჩვენა, თითქოს დრო გაჩერდა. მერე გაახსენდა, ბავშვობაში ერთად როგორ ემზადებოდნენ გამოცდებისთვის. ლუსიანო მაშინაც ასე ყურადღებით ჩაჰკირკიტებდა წიგნებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა იგი მთლიანად წონასწორობიდან გამოეყვანა იმას, რასაც ხედავდა. მეთოდურად, ერთმანეთის მიყოლებით ყოველ ჯერზე ხელახლა იწყებდა ფოტოების თვალეიერებას. ბოლოს თავი ასწია, ენრიკეს შეშფოთებული მზერა მიაპყრო და გულგრილად ჰკითხა:

– კიკე, ამ ფოტოებზე ნამდვილად შენ ხარ? – მე ვარ, ლუსიანო, ვწუხვარ, მაგრამ ასეა!

ადვოკატმა თავი დაუქნია და ჩაფიქრდა. მერე სათვალე მოიხსნა და ენრიკეს მუხლზე მეგობრულად დაჰკრა ხელი.

– ეს აშკარად შანტაჟია. – დასძინა ბოლოს, თან დროის გაყვანის მიზნით, ფოტოები ქალაქში ფრთხილად გაახვია, საქალაქში ჩადო და თასმა გადაუჭირა. – ფულის დაცინცვლა აქვთ გადაწყვეტილი შენთვის, მაგრამ ჯერ უნდათ გაგტეხონ და სერიოზული სკანდალით დაგაშინონ. იქნებ ეს საქალაქდე აქ დატოვო? უჯრაში ჩაკეტავ. არ არის საჭირო, ვინმემ ნახოს, განსაკუთრებით კი მარიამ.

ენრიკე დაეთანხმა მეგობარს, წყალი მოსვა და გულზე მოეშვა. იმ წუთს ეგონა, რაკი ამ საქალაქდეს თავიდან მოიშორებდა და ეცოდინებოდა, რომ ფოტოები ლუსიანოს ოფისში საიმედოდ იყო შენახული, მუქარაც გაქარწყლდებოდა.

– თარიღი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ფოტოები ორიოდე წლის წინ ჩოსიკაში უნდა იყოს გადაღებული. ვფიქრობ, ეს ყველაფერი იმ

იუგოსლავიელის, სერბის თუ ხორვატის მოწყობილია. ერთხელ მოგიყევი კიდევ, ვინმე კოსუტი, გახსოვს?

– იუგოსლავიელი? კოსუტი? – ლუსიანომ უარის ნიშნად თავი გააქნია. – არა, ეს არაფერს მეუბნება. პირადად ვიცნობ?

– მგონი ერთხელ გაგაცანი, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ. – დასძინა კიკემ. – სერბი ან ხორვატი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში თავად ასე ამბობდა. მალაროებში უნდოდა კაპიტალის დაბანდება, სარეკომენდაციო წერილებიც კი მოიტანა „მორგან ჩეიზიდან“ და „ლომბარდ ბანკიდან“. ახლა ვიხსენებ, კოზაკი, კუზაკი, კოსუტი თუ რალაც ამგვარი ერქვა. სადღაც მისი სავიზიტო ბარათებიც უნდა მქონდეს. უცნაური, საიდუმლოებით მოცული ტიპი იყო, ერთ მშვენიერ დღეს კი უეცრად გაუჩინარდა და იმ დროიდან მასზე აღარაფერი მსმენია. დარწმუნებული ხარ, რომ არ გახსოვს?

– დარწმუნებული ვარ. – მიუგო ლუსიანომ. მერე მეგობარს თვალი გაუსწორა და მკაცრად ჰკითხა: – ეს ორგია მან მოაწყო და ფოტოებიც მანვე გადაიღო?

– აზრზე არ ვარ, ვინ გადაიღო ეს ფოტოები. – მიუგო კიკემ. – ფიქრობ, ამას დავუშვებდი? მაგრამ ეჭვი მაგ ტიპზე მაქვს, რადგან ეგ კოზაკი, კუზაკი თუ კოსუტი აღმოსავლეთ ევროპიდან ჩამოვიდა და სწორედ იმ დროს იქ იმყოფებოდა.

– მახე დაგიგეს და შენც, ბრიყვივით გაები. დარწმუნებული ხარ, რომ ეს ორი წლის ამბავია? მაშ, ეგ ტიპი ახლა რატომ გამოჩნდა?

– მეც სწორედ ეგ მაინტერესებს, – მიუგო ენრიკემ. – ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ. ლიმაში ხშირად ჩამოდიოდა, სასტუმრო „შერატონში“ ცხოვრობდა. აქ ხალხი გავაცანი. ერთ დღესაც მაცნობა, სასწრაფოდ ნიუ-იორკში მივდივარ და მალე დავბრუნდებიო, მაგრამ მას შემდეგ მაგ ტიპზე აღარაფერი მსმენია. ამბობდა, მილიონობით დოლარის დაბანდება მინდაო. მეც დავებმარე და მალაროელთა ასოციაციაში მივყევი, იქაურ ხალხს შევახვედრე. ესპანურად კარგად ლაპარაკობდა და გამომძალველს ნამდვილად არ ჰგავდა.

ლუსიანო, არც კი ვიცი, რა გითხრა. ნამდვილი სულელი ვარ. შეიძლება არ დამიჯერო, მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ენრიკეს სიტყვა გაუწყდა და აღარ იცოდა როგორ ემართლებინა თავი. სახე აჭარხლებოდა, თვალებს ახამხამებდა და საშინლად რცხვენოდა. უნდოდა გაქცეულიყო და თავის საუკეთესო მეგობარს აღარასოდეს დანახვებოდა.

– დამშვიდდი, კიკე. – გაუღიმა ლუსიანომ. – ასეთ შემთხვევებში ყველაფერი ცივი გონებით უნდა აწონდაწონოს კაცმა. კიდევ ხომ არ დალევ წყალს?

– იმ ჟურნალისტის მოსვლა ისეთი მოულოდნელი იყო! – უთხრა ენრიკემ. – მის დანახვაზე საოცარი ზიზლის გრძნობა გამიჩნდა. მლიქვნელურად იქცეოდა, მღრღნელის თვალებით მიყურებდა და ძალიან ანტიპათიური იყო. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემს დასაშინტაჟებლად იყო მოსული.

– ეს ფოტოები სწორედ იმიტომ მოგიტანა, რომ სკანდალით დაეშინებინე, – დაეთანხმა ლუსიანო. – და, როგორც ჩანს, მიზანს მიაღწია. პირველ ყოვლისა, გეტყვი, რომ მაგისტანა ტიპებთან ყველაზე არასწორი საქციელი მოლაპარაკებების დაწყებაა. ერთხელ თუ გაუვათ, მერე კიდევ ბევრჯერ გამოგძალავენ ფულს, მაგრამ ფოტოების ყველა ნეგატივს არასოდეს ჩაგიგდებენ ხელში. ასე რომ, ეს პროცესი არასოდეს დამთავრდება. ერთადერთი აზრი, რაც ახლა გონებაში მიტრიალებს, ის არის, რომ გაიძვერა ჟურნალისტი კარგად უნდა დავაშინოთ. მაგრამ ვფიქრობ, რომ ის ამ საქმეში მხოლოდ შუამავალი და იარაღი უნდა იყოს. ვილაც იუგოსლავიელი რომ ახსენე, იმას რა ერქვა?

– ზუსტად აღარ მახსოვს, კოსუკი, კოსოკი თუ კოსუტი ერქვა. – გაუმეორა ენრიკემ. – მისი სავიზიტო ბარათები და სარეკომენდაციო წერილების ასლები უნდა მქონდეს სადღაც. მაღაროებში უნდოდა ფულის დაბანდება და პერუში პარტნიორებს ეძებდა. წვეულებებს

მართავდა და ფულს მდიდარი კაცივით ფლანგავდა. შემდეგ კი მოულოდნელად მაცნობა, სასწრაფოდ ნიუ-იორკში უნდა წავიდეთ. ამის შემდეგ გაუჩინარდა და ახლა ამ ფოტოებით ისევ თავი შემახსენა, ორი თუ ორ-ნახევარი წლის შემდეგ. ვერ გამიგია, საერთოდ, რა ხდება?

ლუსიანომ არაფერი უპასუხა, ეტყობოდა გამოსავალს ეძებდა.

– რაზე ფიქრობ, ლუსიანო?

– ღრეობაზე იმ კაცის და გოგოების გარდა კიდევ ვინმე ნაცნობი თუ იყო? – კითხვა შეაგება ადვოკატმა.

– არა, მხოლოდ ჩვენ ვიყავით გოგოებთან ერთად. – მიუგო ენრიკემ.

– იქ ფოტოგრაფიც უნდა ყოფილიყო. – დასძინა ლუსიანომ. – ვერ იხსენებ, ვის შეიძლება გადაეღო ეს ფოტოები?

– ამის უფლებას არავის მივცემდი. – გააპროტესტა კიკემ. – წარმოდგენა არა მაქვს, როგორ შეიძლებოდა ასე დაეგემათ ეს ყველაფერი. აზრადაც კი არ მომსვლია, რომ მახეს მიგებდნენ. რა მოხდება, ახლა ამ ფოტოებს „დესტაპესი“ თუ გამოაქვეყნებს? დარწმუნებული ვარ, ეგ ვულგარული ჟურნალი არც გადაგიფურცლავს. სიბინძურისა და ჭორების ნამდვილი ჭაობია.

– ჰო, ერთი-ორჯერ ჩამივარდა ხელში და თვალი გადავაავლე. – მიუგო ლუსიანომ. – მომისმინე, ორი ბრწყინვალე ადვოკატი გვყავს, რომლებიც ასეთ საქმეებზე მუშაობენ. დაველაპარაკები მათ, მაგრამ ჯერჯერობით საქმის დეტალებზე არაფერს ვეტყვი. ვნახავ, ისინი რას ფიქრობენ ან რას მირჩევენ და დაგირეკავ. ამასობაში კი შეეცადე დამშვიდდე. ამ საკითხზე კრინტი არავისთან დაძრა. თუ საჭირო გახდა, ფუნიმორიმდე და თავად დოქტორამდეც მივალთ. და რა თქმა უნდა, გაროს აღარ შეხვდე და ტელეფონითაც არ დაელაპარაკო.

ლუსიანო წამოდგა და ენრიკე კარამდე მიაცილა. რამდენიმე სიტყვით მარისა და ჩაბელა გაიხსენეს და გადაწყვიტეს, ქალები ალბათ

ძალიან კმაყოფილები არიან, რომ კვირის ბოლოს მაიამიში იქნებიან. ამ დღეებში კი, რა თქმა უნდა, შევიკრიბებით და დროს ერთად გავატარებთო. ლუსიანო იხტიბარს არ იტყვდა და ისე იქცეოდა, თითქოს ამ ამბის შემდეგ მათ ურთიერთობაში არაფერი შეცვლილიყოს.

ენრიკე მეგობრის ოფისიდან კიდევ უფრო დათრგუნული გამოვიდა. ნალველი მოეძალა და დარწმუნებული იყო, რომ იმ ტიპის მოულოდნელი სტუმრობის შემდეგ მის ცხოვრებაში ძველებურად აღარაფერი იქნებოდა.

5. ქორების გამოქვაბული

– მე შენ ჩამოწელილი ძუძუების, ღიპის და უზარმაზარი, უფორმო უკანალის გადაღება გთხოვე, – შესძახა განრისხებულმა როლანდო გარომ და ისე აიქნია ხელი, თითქოს აპირებდა ფოტოები შეშინებული ფოტოგრაფისტვის პირდაპირ სახეში შეეყარა. – შენ კი კარგი გარეგნობის, ახალგაზრდა ქალის ფოტოები მომითრიე. არ მესმის, სეფერინო. ნუთუ ისეთი გაუგებარი ენით ვლაპარაკობ, რომ მაგ შენს ბრაქიცეფალურ თავში არაფერი შედის?

– ძალიან ვწუხვარ, სენიორ. – წაიბურტყუნა სეფერინო არგუელიომ. „დესტაპესის“ ფოტოგრაფი გამხდარი ტანის, გაურკვეველი ასაკის მეტისი იყო. გრძელი სწორი თმა მხრებამდე სცემდა, სქელი წარბები ჰქონდა, ლურჯი ჯინსი და ფლოსტები ეცვა. დირექტორს გადმოკარკლული თვალებით მისჩერებოდა და ეტყობოდა, ძალიან შეშინებული იყო. – შემიძლია შოუს სხვა ფოტოები მოგიტანოთ, სენიორ.

გარო ფოტოგრაფს არ უსმენდა და მის განადგურებას მზერითა და ღრიალით აპირებდა.

– თავიდან აგისსნი და ვნახოთ, თუ ამჯერად მაინც შევა რამე მაგ

შენი ბრონტოზავრის გამოთავყვანებულ გოგრაში. – ამჯერად უფრო ხმადაბლა უთხრა გარომ. იგი თავისი სამუშაო მაგიდიდან მთლიანად განაგებდა ჟურნალის პატარა რედაქციას, რომელიც სურვილის უბანში, დანტეს ქუჩაზე ორსართულიან შენობაში იყო განთავსებული. სწორედ ამ მაგიდიდან ადევნებდა გარო თავალს თორმეტ რედაქტორსა და ინფორმატორს, რომლებიც კომპიუტერებს მიშტერებოდნენ ან ქალაქებში ჰქონდათ თავი ჩარგული. ახლა ვერც ერთი მათგანი, ყველაზე ცნობისმოყვარე ესტრელიტა სანტიბანიესიც კი ვერ ბედავდა თავის აწევას და იმ საშინელი სიტუაციისთვის თავლის მიდევნებას, რომელშიც ახლა ფოტოგრაფი იმყოფებოდა. დილის საათებში აქ ქუჩიდან საბარგო მანქანების, გამყიდველებისა და მახლობელი ბაზრობის ხმაური ისმოდა.

– რა თქმა უნდა, გავიგე, რაც მითხარით, სენიორ. – ბუტბუტებდა ფოტოგრაფი. – გეუბნებით, რომ ყველაფერი გასაგებია.

– ვერა, ვერაფერი გაიგე! – ისე დაიღრიალა როლანდო გარომ, რომ სეფერინო არგუელიომ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. – აქ არ ვაპირებთ, იმ დაბრეცილს რეკლამა გავუკეთოთ ან ბონუსები ავუწიოთ! საქმე მის ჩაძირვას, გასვრას და სამუდამო დისკრედიტაციას ეხება. დიახ, იგი შოუდან უნდა გააძევეთ იმის გამო, რომ მახინჯი და ბებერია და იმის გამოც, რომ უკანალის ქნევა კარგად არ ეხერხება. ფოტოების საშუალებით უნდა ავხსნათ სტატიის არსი, სადაც ვამბობთ, რომ დაბრეცილის გამოსვლები საშინლად უხარისხო სანახაობად იქცა და ამაზე თავალს აღარავინ დახუჭავს. ამასთან მან არც ცეკვა იცის და არც სიმღერა. ამიტომ ამ სიმახინჯის გამოსვლა სცენაზე საშინელებათა ფილმებს ჰგავს. ახლა მაინც გაიგე, რას ვამბობ, თუ ისევ არაფერი შეგივიდა მაგ თავში?

– რა თქმა უნდა, გავიგე, სენიორ, – გაიმეორა გაფითრებულმა ფოტოგრაფმა, რომელიც ენას ძლივს ატრიალებდა და ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა იქაურობას. – დედას გეფიცებით, ყველაფერი გავიგე.

– ძალიან კარგი, – გარომ ფოტოები იატაკზე დაყარა და სეფერინო არგუელიოს უთხრა: – ახლა კი კეთილი ინებე და ეს ჯართი სანაგვე ყუთში ჩაყარე.

ფოტოგრაფი დაიხარა, ფოტოები აკრიფა და ნაცემი ძალღივით გაშორდა იქაურობას. ვიდრე ამ ვიწრო ფართში რედაქცია განთავსდებოდა, ის საცხოვრებელი ბინის სასადილო ოთახი იყო. უბრალო მაგიდები ადგილის სიმცირის გამო ერთმანეთზე მიედგათ, ხოლო ბათქაშჩამოცვენილ კედლებზე „დესტაპესის“ ძველი, უსახური და გახუნებული გვერდები ეკიდა, რომლებზეც მყვირალა სათაურები იყო წარმოდგენილი. როლანდო გარო თავის სამუშაო მაგიდას დაუბრუნდა და შემადლებულ ადგილზე მოკალათდა, საიდანაც საშუალება ჰქონდა რედაქციის თანამშრომლებისთვის თვალი ედევნებინა. მერე შეეცადა დამშვიდებულიყო და ჩაფიქრდა, ასე ძალიან რატომ გააღიზიანა იმ დაბრეცილი ქალის ცუდმა ფოტოებმა. ზედმიწევნით მკაცრად ხომ არ მოექცა საბრალო სეფერინო არგუელიოს, რომელიც თავადაც აზრზე არ იყო, რა დიდი სამსახური გაუწია, ჩოსიკას ფოტოები რომ მოუტანა? ალბათ, ასე იყო. მან კი იგი მთელი რედაქციის წინაშე დაამცირა. სეფერინოს ადგილას, თავმოყვარე ადამიანი სამსახურიდან წავიდოდა. მაგრამ ფოტოგრაფი მეტისმეტად ღარიბი იყო და თავს საკუთარი თავმოყვარეობის დაცვის უფლებას ვერ მისცემდა, და თუ ცოლ-შვილიც ჰყავდა, მაშინ მით უფრო იძულებული იყო, აეტანა ეს დამცირება და ჟურნალში მუშაობა გაეგრძელებინა, რადგან ამ სამუშაოში აღებული უბადრუკი ხელფასი მას, უბრალოდ, არსებობის საშუალებას მისცემდა. ეს ცოტა არ იყოს, გაროს ზიზღს იწვევდა, მაგრამ მეორე მხრივ, ჩოსიკას ფოტოების წყალობით, სეფერინო ახლა მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული. „აი, ეს მესმის!“ თქვა თავისთვის გარომ. თუ საქმეები კარგად წავიდოდა, სეფერინოს აუცილებლად დაასაჩუქრებდა, ხალხის აზრი და სიძულვილი კი მას ოცნების ახდენაში ხელს ვერ შეუშლიდა. ამის გა-

ფიქრებისას რედაქტორმა კმაყოფილება იგრძნო. ყველასთვის საძულველი იყო, ნიშნავს, რომ შენი ეშინიათ და გაღიარებენ. ეს პერუელებს კარგად ეხერხებათ. ისინი იმ ფეხსაცმელს ლოკავენ, რომელიც მათ თელავს. ამის ნათელი მაგალითები კი ფუხიმორი და დოქტორი არიან. ახლა კი საკმარისია! უნდა დავევიწყებინა დამცირებული სეფერინო და მუშაობას შესდგომოდა.

სინამდვილეში გარო სეფერინოზე კი არა, იმ დაბრეცილ ქალზე იყო გაბრაზებული. და, იცით რატომ? იმიტომ რომ ორიოდე თვის წინ, „Magaly“-ის ცნობილ პროგრამაში მონაწილეობის დროს მან თქვა: სირცხვილია, რომ ქვეყანაში „დესტაპესის“ მსგავსი ჟურნალები არსებობს, რომლებიც სახელოვან ადამიანებს საექვო ამბებს მიაწერენ და ათასგვარ ტყუილს ბეჭდავენ მათ პირად ცხოვრებაზე. აღშფოთებული ქალი დაჟინებით უარყოფდა იმ ცილისწამებას, რაც სენიორ გაროს ყვითელმა პრესამ დაბეჭდა მის შესახებ. ჟურნალი წერდა, თითქოს დაბრეცილს პოლიციამ შეასწრო, როცა მას ტაქსიში ვილაც ტიპთან სექსი ჰქონდა. რა საშინელებაა წარმოიდგინო დანჯღრეულ მანქანაში ვნებით შეპყრობილი შიშველი დაბრეცილი! ნეტა ან ის მახინჯი ვინ უნდა ყოფილიყო, ამ ქონიანმა ბოზმა რომ გამოიჭირა. გარომ სწორედ იმ დღიდან ჩაიდლო თავში, ამ ქალისთვის უსიამოვნებები შეექმნა და სამსახურის გარეშე დაეტოვებინა, მაგრამ მის გასანადგურებლად ჯერ ერთი საკითხი უნდა შეესწავლათ. და, აი, ისიც უკვე თითქმის მზად იყო. რეტაკიტამ მშვენიერი გამოძიება ჩაატარა. ამიტომ დაბრეცილს დიდი იმედგაცრუება ელოდა, მას სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ და იძულებული გახდებოდა, მეძავობა დაეწყო, რომ შიმშილით სული არ ამოსძვრომოდა. როლანდომ საკმაოდ დამაჯერებლად გააფრთხილა „მონუმენტალის“ ხელმძღვანელი: „იცოდე, ვიდრე ეგ დაბრეცილი შენ შოუში იცეკვებს, ბევრი თავის ტკივილი გექნება, მეგობარო“. ეს როლანდოს ერთგვარი ფორმულა იყო, რომლის გამოც რადიოსა და ტელევიზიის

სცენარისტები, მიუზიკ ჰოლის მოცეკვავეები, პროდიუსერები, სატელევიზიო არხები და ერთი სიტყვით მთელი ეს „ფაუნა“, რომელსაც დაბრეცილი „არტისტებს“ უწოდებდა, შიშით კანკალებდა.

გარო ფენზე წამოდგა და ხულიეთა ლეგისამონს დაუძახა. რეტაკიტა ისეთი პატარა ტანის იყო, რომ ზურგიდან ბავშვი გეგონებოდა. შავგვრემანს ხვეული თმა ჰქონდა და მუდამ დაჭმუჭნული ბლუზა, სპორტული შარვალი და ფენსაცმელი ეცვა. გამხდარი იყო და ავადმყოფური გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ქალში იყო რაღაც მომხიბვლელი. მის გამჭოლ მზერასა და უზარმაზარ ჭკვიან თვალეში ისეთი საოცარი თავხედობა და სიმტკიცე გამოსჭვიოდა, რომ როლანდო გარო ხანდახან ფიქრობდა, მგონი მინახავს, ასეთი გამოხედვა რომელიღაც ცხოველს აქვსო. ეს ქალი მზერით თითქოს სულს უბურღავდა ადამიანს და საკუთარი სიბილწის გამო უხერხულობას აგრძნობინებდა.

– რეტაკიტა, აბა, როგორ მიდის სტატიის საქმე?

– ვმუშაობ, მალე დავამთავრებ. – მიუგო მან და როლანდოს თავისებურად მიაშტერდა. ეს ქალი თვალეზს არასოდეს ახამხამებდა და მთელ სამყაროს ამრეზით უყურებდა, მაგრამ გაროს რატომღაც სწყალობდა და ძალღივით ერთგული იყო მისი. – ფიქრი ნუ გაქვს, დაბრეცილზე ისეთი ამბები მოვიძიე, რომ გეფიცები, ეგ ამიერიდან ვეღარ გაიხარებს. რაღაც უმნიშვნელო დანაშაულისთვის რომელიღაც ბავშვთა კოლონიაში გაუმწესებიათ, ტყუილია, თითქოს ეგ ქალი მექსიკაში ცნობილი მოცეკვავე და მომღერალი იყო. ამის დამადასტურებელი ფაქტი არ არსებობს. ხუთ კუთხეში ერთ ცნობილ ბეზიაქალთან ორი აბორტი აქვს გაკეთებული, იმ ქალს მეც ვიცნობ და ყველაზე მაგარი კი ის არის, რომ დაბრეცილის შვილი ნარკოტიკების გამსაღებელი ყოფილა და ამჟამად ქალთა ციხეში იხდის სასჯელს. .

– შესანიშნავია, რეტაკიტა, – როლანდომ მხარზე ხელი დაჰკრა,

– მასალა უხვად გვაქვს და უკვე შეგვიძლია ეგ ქალი პირდაპირ ჯოჯოხეთში გავამგზავროთ.

– სულ ცოტა დამრჩა და დავამთავრებ. – გაუღიმა გაროს რეტაკიტამ და სამუშაო მაგიდას დაუბრუნდა. – „იმედს არასოდეს მიცრუებს“, გაიფიქრა როლანდომ და ქალს გახედა, რომელსაც სკამზე ბალიში დაედო, რათა მაგიდის სიმაღლეს გასწორებოდა. რეტაკიტა გაროს დიდი აღმოჩენა იყო. იგი რედაქციაში დაახლოებით ორი წლის წინ მოვიდა. დაძონძილი ცისფერი ჯინსი და უთასმებო ფესაცემელი ეცვა. ხელში ხელნაწერი ფურცლები ეჭირა, რომლებიც როლანდოს გადასცა და გაბედულად დასძინა: „სენიორ, ძალიან მინდა ჟურნალისტი ვიყო და „დესტაპესში“ ვმუშაობდე“. გარო დაინტერესდა, რა განათლება, ხარისხი ან გამოცდილება ჰქონდა მას ამ სფეროში.

– არავითარი, – აღიარა რეტაკიტამ. – მაგრამ ჩემი სტატია მოგიტანეთ, და, თუ შეიძლება, წაიკითხეთ.

გარო რაღაცით დააინტერესა ამ ქალმა და ხელნაწერი წაიკითხა. ოთხი გვერდი მთლიანად ეძღვნებოდა ერთ-ერთ სატელევიზიო ვარსკვლავს. ხელნაწერის ავტორი იმდენ ღვარძლს და შხამს ანთხევდა და ისეთ წინააღმდეგობრივ, უარყოფით ხასიათს ავლენდა, რომ გაროზე ამან მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თავიდან პატარ-პატარა საქმეებს ავალეებდა, თვალყურს ადევნებდა და მცირე გასამრჯელოს აძლევდა. ხულიეტას მისთვის იმედი არასოდეს გაუცრუებია. ეს ქალი ჟურნალისტად იყო დაბადებული და მიზნის მისაღწევად, მზად იყო საკუთარი დედის მკვლელიც გამხდარიყო. განსაკუთრებით კი მაშინ, თუ საქმე ბინძურ და უხამს ინტრიგას ეხებოდა. ახლა მას დაბრეცილზე გენიალური და თან გამანადგურებელი სტატია უნდა დაეწერა. და, რაკი რეტაკიტა მუდამ იზიარებდა დირექტორის ფობიებსა და ზრახვებს, ჟურნალის შემდეგი ნომრისთვის სტატია უკვე მზად უნდა ჰქონოდა, რომელსაც ოცდაოთხ საათში

სტამბაში ჩაუშვებდნენ. ჯობდა ყველა სხვა საქმე გადაედო და მხოლოდ ეს ეკეთებინა, რომ ბოლო დღეს ჩვეული გიჟური ტემპით არ ემუშავა. ჟურნალის გაშვებამდე კი აუცილებლად ექნებოდა სხვა მასალა, რომელსაც უკვე მზა სტატიას დაამატებდა ან მასში რაღაც ცვლილებებს შეიტანდა.

მანც რა ასაკის იყო როლანდო გარო? ეს მან არც თავად, და, სავარაუდოდ, არც სხვამ იცოდა. მისი ნამდვილი გვარიც უცნობი იყო. იგი დედას მიეტოვებინა და ბავშვთა სახლში როლანდოსთვის ლაზარო დაურქმევიათ, რადგან ალბათ წმინდა ლაზაროს დღე იყო, როცა „ფენშიშველმა მონაზვნებმა“ ატირებული ბავშვი ლიმაში, ბარიო ალტოში, კვარტალ ხუნინის და უანუკოს ქუჩების კუთხეში ერთ-ერთი დაწესებულების შესასვლელთან დაგდებული იპოვეს. ალბინოს და ლუისა ტორესებს, რომლებმაც ლაზარო იშვილეს, როგორც ჩანს, მისი სახელი არ მოეწონათ და როლანდო დაარქვეს. გაროს ახსოვდა, რომ ბავშვობაში როლანდო ტორესი იყო, მაგრამ რაღაც პერიოდში, უცნობი მიზეზით მას გვარი შეუცვალეს და გარო გახდა. მერე კი მის პირადობის მოწმობასა და პასპორტშიც ეს გვარი ეწერა. როლანდოს ბევრი არასოდეს უფიქრია თავის მისტიკურ წარმოშობაზე და თავიდან იცილებდა უხერხულ სიტუაციებს, მაგრამ ჰქონდა რთული პერიოდებიც, როცა ჩორილიოში, თავის სახლში ყოფნისას, მას დამამშვიდებელი აბები უნდა დაეღია და ცხრა საათის განმავლობაში სძინებოდა. ამის შემდეგ რეტდასხმულივით გაბრუნებული იღვიძებდა და თავს ზომბივით გრძნობდა. მერე გადაწყვიტა აბები მხოლოდ დეპრესიულ და უიმედო მდგომარეობაში მიეღო, მაგრამ ფსიქიატრმა უთხრა, რომ მისი პათოლოგიური ფსიქიკიდან გამომდინარე, ეს დიდი რისკი იქნებოდა და შეიძლებოდა ჭკუიდან შეშლილიყო ან საერთოდ მომკვდარიყო. რა მოხდებოდა, მართლა რომ გაგიუბულიყო? მაშინ ლიმას ქუჩებში მაწანწალასავით ცხოვრება მოუწევდა, რადგან მას შემდეგ, რაც მშობლებმა გა-

უმხილეს, რომ იგი ბავშვთა თავშესაფრიდან წამოიყვანეს, როლანდო სახლიდან გაიქცა და ამქვეყნად სრულიად მარტო აღმოჩნდა. ქალებთან კი ჰქონდა ხოლმე ურთიერთობა, მაგრამ თავისი საშინელი ხასიათის გამო, ვერც ერთს ვერ ეწყობოდა. ქალები გარბოდნენ მისგან ან თავად ტოვებდა ხოლმე მათ.

რიკარდო პალმას ნაციონალურ კოლეჯში სწავლის მეხუთე წელს მშობლებმა უთხრეს, რომ აყვანილი იყო. ეს კოლეჯი სურკილიოში, „დესტაპეს“ შორიახლო მდებარეობდა. იმ ღამით იგი სახლიდან გაიქცა და მამობილს მთელი დანაზოგი ფული მოპარა, რომელსაც ეს უკანასკნელი თავის საძინებელში დაყრილი აგურების უკან, ტყავის საქალაღეში ინახავდა. ექვსასიოდე სოლი მას რამდენიმე თვე ეყო, რათა ლიმას ცენტრში, იაფფასიან ბინაში ეცხოვრა. თავის გამოსაკვებად არანაირ საქმეს არ თაკილობდა, სადგომებზე მანქანების რეცხვიდან საბარგო მანქანების დატვირთვამდე. ერთ დღესაც მიხვდა თავის მოწოდებას ცხოვრებაში, რაკი საკუთარ თავში გარკვეული ნიჭი აღმოაჩინა: ეს იყო ჟურნალისტური საქმიანობა ჭორების სამყაროში.

ყველაფერი ოკონიას ქუჩაზე ერთ-ერთ სასადილოში დაიწყო, სადაც იგი იაფად სადილობდა და ერთსა და იმავე კერძს ჭამდა – ერთი თეფში წვნიანი, ბრინჯიანი ლობიო და ჭიქა კომპოტი. ერთხელ „ულტიმა ორას“ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რომელიც გაროს სასადილოში ხვდებოდა ხოლმე, უთხრა, რომ სულ მალე გამოაშკარავებდა სანდრა მონტეროს საქმეს. ამბობდნენ, რომ ქალი ქმარს თავის კოლეგასთან ფელიპე კაილიომანასთან ღალატობდა და ამან ჭორების სამყაროში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჟურნალისტმა გაროს ამ საქმეში თანამშრომლობა შესთავაზა და რაკი როლანდომ გუჟანით იგრძნო, რომ საქმე მომგებიანი იყო, დათანხმდა. იგი მოდარაჯე ძალღვივით ჩაუსაფრდა სახლთან გადაცემის წამყვანს და ოცდაოთხი საათიც არ გასულა, აღმოაჩინა, რომ ქალი ფელიპეს (რაკი ორივე დაქორწინებული იყო, ეს ორმაგ ცოლქმრულ ღალატს ნიშნავდა და

ორივეს ედებოდა ბრალი) ბოლივარის მოედნის კუთხეში, პუებლო ლიბრეს ქუჩაზე მდებარე ბინაში ხვდებოდა. ეს ფაქტები საკმარისი იყო იმისთვის, რომ „ულტიმა ორას“ ფოტოები გადაეღო მოლაღატე წყვილისთვის.

ასე დაიწყო ჟურნალისტ როლანდო გაროს, როგორც „ულტიმა ორას“ სკანდალისტი ინფორმატორის კარიერა. ამ გაზეთს რაულ ვილიარანი ხელმძღვანელობდა. სწორედ მან დაუდო პერუში სათავე სენსაციურ პრესას. გარო ინფორმაციას რედაქტორს გადასცემდა, რომელსაც სკანდალების აგორებაში დიდი გამოცდილება ჰქონდა. ამრიგად, ინფორმატორი მუდმივად უკარგავდა მოსვენებას მეძავებს, საშუალო დონის მომღერლებს, თეატრისა და რადიოს მსახიობებს, კაბარესა და მიუზიკ ჰოლის მეპატრონეებს. გარო საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა ამ „ფაუნას“, რადგან დაწინაურებამდე, პარალელურად ჯერ უბრალო მიმომხილველად, მერე კი რადიოს, ხოლო მოგვიანებით სატელევიზიო პროგრამების დირექტორად მუშაობდა. ამ ადამიანებს იგი სურვილისამებრ, საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა და დაუნდობლად უწყობდა ხელს მათ გახრწნას. გაროს თავისი მომხრეები ჰყავდა, ისინი აღტაცებული ხვდებოდნენ იმ ფაქტების გამომზეურებას, რითიც იგი მომღერლებისა და მუსიკოსების არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას ამხელდა, მათი გარყვნილება და ინტიმური კავშირები დღის სინათლეზე გამოჰქონდა, მაშინ როცა ეს სიბინძურე და უხამსობა ხშირად გაბუქებული ან საერთოდ თითიდან გამოწოვილი იყო. როლანდოს ყველა წამოწყება წარმატებით სრულდებოდა, მაგრამ დიდხანს არც ერთ საქმეს არ მიჰყვებოდა, რადგან მის მიერ აგორებული სკანდალები ხშირად მისივე მხილებისა და პროვოცირების მიზეზი ხდებოდა. ეს სკანდალები გაროს სამართალდამცავებთან, პოლიციასთან და იმ პირებთან უქმნიდნენ პრობლემებს, რომლებიც მისი საქმიანობით ზარალდებოდა. ჟურნალ-გაზეთების, რადიოს და სატელევიზიო არხების დირექ-

ტორებს შეურაცხყოფილი ადამიანები ხშირად მუქარას და პროტესტს უთვლიდნენ, ამიტომ ბოლოს და ბოლოს საქმე იმით მთავრდებოდა, რომ მას სამსახურიდან ითხოვდნენ. იმ პერიოდში როლანდომ საკმაოდ ბევრი ფული იშოვა, მაგრამ რაკი ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდა, ხშირად ცარიელზე რჩებოდა და მხოლოდ გადანახული ფულით არსებობდა. ყოფილა შემთხვევები, რომ უსახსრობის გამო ქუჩაშიც დარჩენილა. მეგობრების ნაცვლად მას მხოლოდ დროებითი საქმიანი ნაცნობები ჰყავდა, მაგრამ მტრების სიმცირეს ნამდვილად არ განიცდიდა. ეს როლანდოს აიძულებდა, მუდმივ შიმში ეცხოვრა, თუმცა თვითკმაყოფილების გრძნობა მუდმივად თან სდევდა.

უკვე სამი წელი იყო „დესტაპესი“ არსებობდა და გაროს საქმეებიც საკმაოდ კარგად მიდიოდა. ხმები დადიოდა, რომ ამაში დოქტორის ხელი ერია, რომელიც თითქოსდა ამ მარგინალური ყოველკვირეული ჟურნალის მფარველი და საიდუმლო მეპატრონე უნდა ყოფილიყო. „დესტაპესს“ რეკლამა არ ჰქონდა, ამიტომ გაყიდვების თვალსაზრისით მოიკოჭლებდა და ხარჯებს ძლივს ფარავდა. მისი ბიუჯეტის შევსებას კი როლანდო ცნობილი ვარსკვლავებისა და პროდიუსერების შანტაჟით ახერხებდა. იგი იმუქრებოდა, რომ მათ საიდუმლო დანაშაულებებზე სიმართლეს გამოაქვეყნებდა ან ფულს იმ ადამიანებისგან იღებდა, რომლებსაც თავიანთ მტრებზე ან კონკურენტებზე შურისძიება სურდათ, რათა მათთვის სახელი გაეტეხათ და გაემასხარავებინათ. გაროს სახელზე სასამართლოში ბევრმა დაზარალებულმა შეიტანა საჩივარი, მაგრამ როლანდომ ჟურნალისტიკისთვის საჭირო უნარების წყალობით ყველა მუქარა და საშიშროება თავიდან აიცილა.

მაგრამ ეს ძველი ამბები არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც მას ახლა რეტაკიტას და სეფერინო არგუელიოს წყალობით ეპყრა ხელთ. გარომ თვალეები დახუჭა და ინჟინერი ენრიკე კარდენასის გა-

ოცებულის სახე გაახსენდა, როცა მას საქალაქო ფოტოები გადასცა. როლანდოს ყოველთვის სჯეროდა, რომ რომელიმე ხელსაყრელი შემთხვევა მას ოდესმე სახელს, ძალაუფლებას, სიმდიდრეს ან სამივეს ერთად მოუტანდა და დარწმუნებული იყო, რომ ეს ღმერთის საოცარი საჩუქარი იქნებოდა, რომელიც მას პირდაპირ ციდან მოეფლინებოდა.

– ბატონო დირექტორო, სტატია უკვე დავამთავრე. ახლა კი დაბრეცილს ნამდვილად დედას ვუტირებთ. – უთხრა რეტაკიტამ გაროს, ნაბეჭდი ფურცლები გაუწოდა და ჩვეული უძრავი მზერით მიაჩერდა. თვალებით, რომლებშიც ბოროტი ჩანაფიქრის მიმართ დიდი იმედი იკითხებოდა.

6. არტისტის დაღუპვა

ხუან პეინეტა სერაფინის თანხლებით სასტუმრო „მოგოლიონი-დან“ გამოვიდა და ხირონ უაიაგას ერთ-ერთ ქუჩას გაუყვა. ჯერ ძალიან ადრე იყო და ღამის ცენტრი უკაცრიელი ჩანდა. აქ მხოლოდ მეეზოვეებს, მაწანწალებს და მათხოვრებს თუ ნახავდა კაცი. ადრე გაღვიძების მოყვარული აჩხავლებული სვავები გზაზე დაყრილ ნაგავს კენკავდნენ. აქა-იქ თითქოს ემოლიენტეს გამყიდველებიც დალანდა, რომლებსაც თავისი დრო მოეჭამათ და ქალაქის რელიკვიად ქცეულიყვნენ. მერე კიდევ ერთხელ შეეცადა გაეხსენებინა, რა ერქვა იმ ყმაწვილს, ვიდრე საყოველთაოდ ცნობილი არტისტი გახდებოდა. რობერტო არევალო? არა, ასე ნამდვილად არ ერქვა. ჯერაც შენახული ჰქონდა სასტუმრო „მოგოლიონის“ ოთახში, მუყაოს ყუთში ის დაბადების მოწმობა, რომელშიც მისი ძველი სახელი და გვარი ეწერა, მაგრამ ჯიუტად არ კითხულობდა, რადგან უნდოდა როგორმე თვითონ გაეხსენებინა! ორი დღე ებრძოდა გულმავიწყობას. მესხიერებაში ჩავარდნები ჰქონდა, ამიტომ ძალიან თრგუნავდა გონებაში უწესრიგოდ გაბნეული ბგერები და დიდხანს ცდილობდა თავი მო-

ეყარა მათთვის, იქნებოდა ეს დავიწყებული სიტყვა, სახელი თუ წაშლილი ამბავი. მხოლოდ ორადორი ადამიანის სახელი არასოდეს ავიწყდებოდა. ერთ-ერთ მათგანი მისი ბავშვობის დროინდელი კერპი, უკვდავი ბარდი ფელიპე პინგლო იყო, მეორე კი – როლანდო გარო, რომელმაც ცხოვრება გაუნადგურა. ამიტომ კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ ყურნალ-გაზეთებს და რადიომაუწყებლობას გაროზე სალანძღავ წერილებს უგზავნიდა, თუმცა მხოლოდ რამდენჯერმე გამოეხმაურნენ. ხუანმა კი წერილების ამგვარი შეუპოვარი წერით გაითქვა სახელი და ყველას დასაცინი გახდა.

ემანსიპაციის ქუჩაზე, როგორც ყოველთვის, დიდი მოძრაობა იყო, სერაფინი ქუჩის კუთხეში გაჩერდა და ხუანს დაელოდა, რომ ხელში აეყვანა. ხუანმა კატა ხელში აიყვანა, გზაზე გადაიყვანა და ქუჩის მეორე მხარეს დასვა. მათი ურთიერთობა დაახლოებით სამი წლის წინათ, როგორც ხუანი ამბობდა, „ჩემი დეკადანსის წლებში“ ჩაისახა. თუმცა არა! მისი ნამდვილი დეკადანსი დაახლოებით ათი წლის წინ, ან შესაძლოა, უფრო ადრეც დაიწყო, როცა მან პროფესია შეიცვალა და საკუთარ მოწოდებას უღალატა. იმ დღეს ოთახში რომ შევიდა, ხუანმა თავის საწოლზე მოკალათებული კატა დაინახა; სასტუმრო „მოგოლიონის“ ამ ოთახს მხოლოდ ერთი ფანჯარა ჰქონდა და გომური ან სორო უფრო ეთქმოდა. ცხოველი ფანჯრიდან შემომძვრალიყო. „ახლავე გაეთრიე აქედან!“ ხელების ქნევით შეჰყვირა ხუანმა და შეშინებული კატაც იატაკზე გადმოხტა, მაგრამ საბრალოს სიარული უჭირდა, ფეხებს ძლივს დაათრევდა და განწირული ხმით ჩხაოდა. ხუანს კატა ძალიან შეეცოდა, აიყვანა და ისევ საწოლზე დასვა, მერე რძეც უწილადა, რომელსაც ძილის წინ სვამდა და მეორე დღესვე უფასო მუნიციპალურ ვეტერინალურ კლინიკაში წაიყვანა. ვეტერინარმა ცხოველი გასინჯა და ხუანს უთხრა, კნუტს ფეხები მოტეხილი კი არა, დაბეჭილი აქვს, რაც დარტყმით უნდა იყოს გამოწვეული, ალბათ ერთ-ერთმა ქუჩის ბიჭმა ქვა პირდაპირ ფეხებ-

ში მოახვედრა. კატას განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა არ დასჭირვებია და სწრაფად გამოჯანმრთელდა. ხუანმა ცხოველი სერაფინ ალვარეს კინტეროს პატივსაცემად სერაფინად მონათლა, მისი მფარველობა იკისრა და ეს პატარა არსება მისი მეგობარი, ცხოვრების თანამგზავრი და უცვლელი თანამეინახე გახდა. მაგრამ კატა თავისუფალ ცხოვრებას იყო მიჩვეული, დროდადრო რამდენიმე დღით გაუჩინარდებოდა ხოლმე, მერე კი დაბარებულივით ისევ ბრუნდებოდა. ამიტომ ხუანი გომურში ფანჯარას ყოველთვის ღიას ტოვებდა, რომ სერაფინს თავისუფლად შეძლებოდა აქეთ-იქით სეირნობა.

უცნაური არსება იყო სერაფინი. ხუან პეინეტამ არასოდეს იცოდა, რა მოსწონდა კატას ან რის მიმართ იყო გულგრილი. ცხოველს პატრონი ხან ნამდვილი კატისებური სიყვარულით უყვარდა, ხან კი მის ხელებში რკალად მოიხრებოდა ხოლმე და უდიდეს სიამოვნებას განიცდიდა, როცა ხუანი მას ყელზე ან მუცელზე ეფერებოდა. ზოგჯერ ხუან პეინეტა მას ძველ პოემებს უკითხავდა. ეს ხოსე სანტოს ჩოკანოს, ამაღო ნერვოს, გუსტავო ადოლფო ბეკერის, ხუან დე დიოს პესას, ხუანა დე იბარბოუროუს და გაბრიელა მისტრალის ის კეთილი პოემები იყო, რომელთა ფრაგმენტებიც მის გონებას ჯერ კიდევ შემორჩენოდა. სერაფინი მას ამაღელვებელი ყურადღებით უსმენდა, „ყურადღება კი აპლოდისმენტების ტოლფასიაო“, ამბობდა ხუანი. თუმცა კატა ზოგიერთი პოემის მიმართ გულგრილობას იჩენდა, უღვაშების ლოკვას იწყებდა და დასაძინებლად ემზადებოდა. ეს ხუანისთვის ერთგვარად შეურაცხმყოფელი იყო. ასეთ წუთებში იგი პოემების ციტირებას აღარ აგრძელებდა და ზურგს შეაქცევდა ხოლმე სერაფინს. „დიდი ეგოისტი და უმადური კატაა“, – ფიქრობდა იგი. დიახ, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ცხოველს ძალიან მიეჩვია, თანაც სერაფინი ერთადერთი არსება იყო, რომელიც უყვარდა, თუ არ ჩავთვლით ვილირულეტეროს, სქელ კრესილდას და ავადსახსენებელი როლანდო გაროს სხვა დანარჩენ მსხვერპლს, რომლებიც

ნელ-ნელა იხოცებოდნენ და ხუანს მარტოსულობისთვის სწირავდნენ. „ახლა კი ნამდვილად მარტოხელა ხარ, ხუან პეინეტა“, ეუბნებოდა საკუთარ თავს და უკვე მერამდენედ იმეორებდა სიტყვას „მარტოხელა“.

არც თავისი ძველი სიყვარულის, კრეოლური სიმღერის გენიოსის ფელიპე პინგლოს ასაკს ივიწყებდა და საკუთარი ასაკიც კარგად ახსოვდა: სამოცდაცხრამეტი წელი. ხუანი უძლებდა დროის ქარტახილებს, რადგან მართალია, უძწეო, მაგრამ ჯანმრთელი იყო. მისი ასაკისთვის არაბუნებრივი არაფერი სჭირდა. ცოტა ყურს აკლდა, მხედველობა არ უვარგოდა, ვნებათაღელვა აღარ აწუხებდა და ვარიკოზის გამო ნელი, გაუბედავი ნაბიჯით დადიოდა. ზამთრობით ყელის კატარი ან გრიპი თუ შეაწუხებდა ხოლმე. ამრიგად, ფიზიკური თვალსაზრისით არაფერს უჩიოდა, მეხსიერება კი დღითი დღე უქვეითდებოდა, და, ვინ იცის, შესაძლოა ერთ დღესაც იმ მოჩვენებად ქცეულიყო, რომელმაც არ იცის ვინ არის, რა ჰქვია ან სად იმყოფება. ამიტომ საკუთარ თავზე იცინოდა და ამბობდა: „რა უბადრუკი აღსასრული გელის, სახელგანთქმულო ხუან პეინეტა!“.

იყო კი სახელგანთქმული? რაღაც თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, იყო. განსაკუთრებით იმ დროს, როცა ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ნომრებს შორის თეატრებში პოეტურ ნიმუშებს კითხულობდა. ბეკერის „კვლავ დაბრუნდებიან შავი მერცხლების“ წაკითხვის შემდეგ, მაცურებელი მას დიდხანს და მხურვალედ უკრავდა ტაშს. სიამოვნებით კითხულობდა ჩოკანოს „ამ ნაღვლიან ინკას ყოველთვის მეოცნებე სახე და მიბნედილი თვალები ჰქონდა, პირზე კი სიმწრის ღიმილი დასთამაშებდა“, ნერუდას პოეზიიდან: „ამალამ შემძლია ყველაზე ნაღვლიანი ლექსები ვწერო“, ან „მიყვარს შენი მოუხელთებელი ღიმილი“. განსაკუთრებით კი ფელიპე პინგლოს „ვალსების“ ლექსების კითხვა უყვარდა. ავტოგრაფებს სთხოვდნენ და მიმართავდნენ „სენიორ პოეტო“, მაგრამ ხუანი ყოველთვის თავმდაბალი იყო, შეუსწორებდა ხოლმე და ეუბნებოდა, – პოეტი კი არა,

მხოლოდ პოეზიის მკითხველი ვარო. ლექსებს რადიოშიც კითხულობდა, მაგრამ არასოდეს გამოსულა ტელევიზიით, რომელიც პოეზიას რატომღაც არ სწყალობდა. დროდადრო კითხვა უწევდა ოჯახებსა და დღესასწაულებზე, მიღებებზე, პირველ ზიარებაზე, ქორწილებში, დაბადების დღეზე, დაკრძალვაზე, სადაც მას კარგ გასამრჯელოს უხდიდნენ. თუმცა ხუანი ფულს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, და რაც ჭეშმარიტ სიამოვნებას ანიჭებდა, ეს კითხვა იყო. უყვარდა გენიოსების მიერ განცდილი მგრძობიარე სიტყვების გამეორება; ამ ლამაზ გრძობებს ხომ კეთილხმოვანი პოეზიის მუსიკა ახლდა თან: ხუანს ახსოვდა, ხანდახან ლექსების კითხვისას გრძობები ისე მოერეოდა ხოლმე, რომ თვალები ცრემლით ევსებოდა.

ასეთი უსაზღვრო აღფრთოვანება და სიყვარული ფელიპე პინგლოს მიმართ ხუანს მამისგან გამოჰყვა. მამამისი პინგლოს მეგობარი იყო და მის ჭირსა თუ ლხინს ხშირად იზიარებდა. 1899 წელს დაბადებულ ბარდს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა და ოცდაჩვიდმეტი წლისა გარდაიცვალა, თუმცა თავისი კომპოზიციებით კრეოლური მუსიკა ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, როგორსაც ვალსმა და პოლკამ, მარინერამ ან ტონდერომ, თავისი წარმატებული არსებობის განმავლობაში, ვერც მანამდე და ვერც შემდეგ ვერ მიაღწია. ხუანს პინგლოს შესახებ მამა უყვებოდა. მართალია, მამამისი არც მომღერალი იყო და არც მუსიკოსი, მაგრამ ბოჰემასთან და ბარიო ალტოს კრეოლურ საზოგადოებასთან ურთიერთობდა. სწორედ ამ გარემოში დაწერა ფელიპემ თავისი კომპოზიციების დიდი ნაწილი, რომლებმაც ასეთ ცნობილ ადამიანად აქცია. ხუანს მამა უამბობდა, რომ 1930 წელს თავად დაესწრო იმ კონცერტს კალიაოში, ალფონსო XIII-ს თეატრში, რომელზეც მომღერალმა ალსიდეს კარენიომ პირველად შეასრულა პინგლოს ცნობილი ვალსი „პლებეი“. ხუან პეინეტას და ატანასიას ქორწილზე კი პატარძლის ყვავილების თაიგული კრეოლური მუსიკის უკვდავი ბარდის ძეგლთან დადეს, რომელიც მისი

მშობლიური სახლის წინ ყოფილა აღმართული. პინგლო ქვეყნიერებას ხუთი კუთხის მახლობლად, ბარიო ალტოს ცენტრში მოვლინებია, მერე კი მან სამასამდე ვალსი და პოლკა შექმნა. ხუან პენიეტამ ბევრი მათგანი ზეპირად იცოდა, დანარჩენი კი სქელ რვეულში ჰქონდა ჩაწერილი. მან, როგორც დეკლამატორმა, კადნიერება გამოიჩინა და შეეცადა ცნობილი ბარდის ვალსების ტექსტები ერთმანეთთან კომპოზიციურად დაკავშირებინა, რასაც იგი მსმენელებს ყოველთვის წინასწარ ამცნობდა ხოლმე.

მისი აზრით, პინგლო მარტო კომპოზიტორი და მუსიკოსი კი არა, უდიდესი პოეტიც იყო. ხუანის გამოსვლებს მაშინაც დიდი წარმატება ხვდა წილად, როცა იგი მის ლექსებს, მაგალითად „ერმელინდას“, „პლებეის, „გლენის ლოცვას“, „როსა ლუსს“, და „კვარტალში დაბრუნებას“ მუსიკის გარეშე კითხულობდა. „ამელია“ კი პინგლოს პირველი ცნობილი ვალსი იყო, რომელიც მან ჯერ კიდევ ბავშვობაში დაწერა. პოეზიის კითხვას ხუანი ყოველთვის, ცნობილი ბარდის ცხოვრების მთარული თუ ნამდვილი ისტორიების მოყოლით იწყებდა. პინგლოს თავისი ხანმოკლე ცხოვრება გაჭირვებასა და ავადმყოფობაში გაეტარებინა, მაგრამ მან შეძლო და პერუს მუსიკაში ის ახალი რიტმები დაამკვიდრა, რომელიც ჩრდილოამერიკულ ფოქსტროტსა და უან-სტეპში იღებდა სათავეს და იმხანად ძალიან მოდაში იყო. ამასთან მან განსაკუთრებით პოპულარული გახადა ისეთი საკრავი, როგორიც ტუჩის ჰარმონიკაა. პინგლო ცაცია იყო, ამიტომ გიტარა უკულმა ეჭირა და მისი თქმით, ეს მას საშუალებას აძლევდა თავისი კომპოზიციები ახალი ტონალობებითა და რიტმით გაემდიდრებინა.

ხუან პენიეტამ ატანასია პოეზიის კითხვის დროს გაიცნო. ამ ქალის გახსენება არ უყვარდა, რადგან მასზე მოგონებები აფორიაქებდა, თრგუნავდა და მის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებდა. მაგრამ რაღა დროს ეს იყო! განა შეეძლო მას ატანასიას მეხსიერებიდან ამოგდება?! იმ დღეს ქალი ლიმას კლუბ „აპურიმაკის“ პირველ რიგ-

ში, სხვა მსმენელებთან ერთად იდგა. ნაცრისფერი ქვედატანი, მწვანე ბლუზა, თეთრი ფეხსაცმელი ეცვა და ხუანს სულგანაბული უსმენდა, მერე კი თავგამოდებული უკრავდა ტაშს. ატანასიას სიცილის დროს მარგალიტივით კბილები მოუჩანდა, თვალები უბრწყინავდა და ლოყებზე ღრმულები უჩნდებოდა. მათ ხუანის გამოსვლის შემდეგ, შესვენებაზე გაიცნეს ერთმანეთი. მაშინ ქალმა უთხრა, რომ ლიმას ცენტრალურ ფოსტაში ტელეფონისტად მუშაობდა, გაუთხოვარი იყო და დანიშნულიც არ ჰყავდა. მერე სალამო გაგრძელდა, ცოტა დალიეს, ბოლერო, ვალსი და უაინო იცეკვეს. აი, ასე დაიწყო მათი ურთიერთობა, რომელიც ჯვრისწერითა და დიდი ხნის ცოლქმრობით დამთავრდა. ხუანმა იგრძნო, რომ ცრემლები დაჰაღუპით წამოუვიდა და ნაოჭები დაუსველდა. ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა უყურადღებობის გამო უეცრად ფიქრები გაექცეოდა და გონებაში მოგონებები ამოუტივიტივდებოდა ხოლმე.

მერე ხუანი ნაზარენას ეკლესიაში წავიდა. სერაფინმა იცოდა, ტაძარში კატების შესვლა რომ აკრძალული იყო და თუ შევიდოდა, მონაზვნები ცუდ დღეში ჩააგდებდნენ; ამიტომ იქვე ახლოს ხეზე აძვრა და პატრონს დაელოდა. წირვა ჯერ არ დაწყებულყო და მრევლი ნელ-ნელა იკრიბებოდა. ხუანი პირველ რიგში დაჯდა და არანასიაზე მოგონებებით დანალვლიანებულს, მალე ჩაეძინა. მოგვიანებით იგი ზარების რეკვამ გამოალვიდა და როცა დილის ლოცვას უსმენდა, საკუთარ თავს ჰკითხა, ნეტავ, ღვთის მსახურებაზე თუ დავაგვიანებდი, ამით უფლის წინაშე ცოდვას ჩავიდენდი თუ ეს არავითარ გავლენას არ მოახდენდა იმ ჩემს კარგ თუ ცუდ ქმედებებზე, რომლებმაც მომავალში ჩემი ბედი უნდა განსაზღვროსო? ხუან პეინეტა ბავშვობიდან მორწმუნე იყო, მაგრამ ასაკმა და მეხსიერების დაკარგვამ კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა. წირვას კვირაობით ესწრებოდა; ახლა პროცესიები, ლოცვა, ვედრება და მარხვის წმინდა ქადაგება დაწყებულიყო.

ეკლესიიდან გამოსულს, სერაფინი პირდაპირ ფეხებში გაეხლართა. მერე სასტუმრო „მოგოლიონისკენ“ ორმოცდახუთი წუთი ნელი და ფრთხილი ნაბიჯით მიდიოდა და „სამ ხუმარაზე“ ფიქრობდა, რომელიც მის არტისტულ სარიერას წინ გადაეღობა. ამ ცნობილ გადაცემას ლიმაში ყველა უყურებდა. ხუანი და ატანასაც მიუსხდებოდნენ ხოლმე შაბათობით ტელევიზორს, როცა მენდოსიტაში, კატარა სახლში ცხოვრობდნენ. ხუანის გამოსვლებითა და ატანასიას ხელფასით მათ ამ სახლის დაქირავება შეძლეს. ქალმა იქაურობა ავეჯით გემოვნებიანად მოაწყო, რადგან კონტრაქტების მხრივ მის ქმარს კარგად მისდიოდა საქმე. პოეზიის წასაკითხად მას თეატრებში, დეპარტამენტის კლუბებში, კრეოლურ, მეგობრულ წრეებში და ხანდახან ღამის კლუბებშიც კი იწვევდნენ. ამასთან იგი „რადიო თავისუფლების“ „პოეზიის საათშიც“ გამოდიოდა. ხუანს მოსწონდა თავისი სამუშაო, ატანასიასთან დაქორწინების შემდეგ თავს ბედნიერად გრძნობდა და როცა პოეზიას კითხულობდა, ყოველთვის მადლობას სწირავდა ღმერთს იმის გამო, რომ იგი ასეთი მოწყალე იყო მის მიმართ.

მერე, ხუანისთვის მოულოდნელად, აღმოჩნდა, რომ მისით „ამერიკა ტელევიზიონი“ დაინტერესდა, რის შესახებაც მას „რადიო თავისუფლების“ დირექტორმა აცნობა. ხუანს შეტყობინება დაუტოვეს, რომ იგი არც მეტი, არც ნაკლები სატელევიზიო არხის მფლობელს სელონიო ფერეროს უნდა დაკავშირებოდა. ასეც მოიქცა, ფერეროს დაურეკა და ისინი ტელეარხის შენობის მახლობლად კაფეში შეხვედრაზე შეთანხმდნენ, სადაც სელონიომ ხუანი ყავაზე დაპატიჟა. ბატონი ფერერო მაღალი ტანის იყო, გემოვნებით ეცვა. მოვლილ თითებზე ბეჭდები აეჩონჩხლა, ხოლო მაჯაზე საათი ეკეთა, რომლის მინაც სინათლეს ათასჯრად ირეკლავდა. ფერერო ისეთი თავდაჯერებული ჩანდა, რომ ხუან პენეტამ ამ ნახევრად ღმერთკაცის სიახლოვეს, ცოტა არ იყოს შეცბუნებულად და არარაობად იგრძნო თავი.

– ხუან პეინეტა! მეგობარო, ბევრი დრო არ მაქვს, ამიტომ მოკლედ გეტყვით, – ფერერო დაჯდა და ორი ყავა შეუკვთა, – საქმე ისაა, რომ „სამი ხუმარას“ ერთერთ შემსრულებელს ტიბურსიოს, ღვიძლის სიმსივნე აქვს, ამიტომ მხოლოდ ამ თვის ბოლომდე შეძლებს მუშაობას. საბრალო, არადა ჯერ სულ ახალგაზრდაა! აშკარად გაგიმართლათ, რადგან ამ მიზეზით პერუს ტელევიზიის ერთერთ ყველაზე პოპულარულ გადაცემაში ვაკანსია გაჩნდა. ამიტომ გეკითხებით, ხომ არ შეცვლიდით ტიბურსიოს?

ხუანმა გაოცებისგან პირი დაალო. მას, პოეზიის კითხვის ხელოვანს, სთავაზობენ, ვიღაც მდაბიო ტაკიმასხარა შეცვალოს, რომელსაც სამუშაოს შესრულება აღარ შეუძლია?

– პირი დახურეთ, ბუზი არ შეგიფრინდეთ! – გაეცინა სელონიო ფერეროს და ხუანს მხარზე ხელი დაჰკრა. – დიახ, ვიცი, რომ ჩემი შეთავაზება იგივეა, თითქოს ადამიანს ლატარეაში დიდი თანხა მოეგოს! ჰოდა, რატომღაც ავიკვიატე, რომ მხოლოდ თქვენ იქნებოდით ჩოლო ტიბურსიოს საუკეთესო შემცვლელი. ინტუიცია კი არასოდეს მღალატობს. ცოტა ხნის წინ „არეკიპას კლუბში თქვენს გამოსვლას ვუყურე და ლამის სიცილით გავიგუდე. მერე ვიფიქრე, ეს კაცი ზედგამოჭრილი იქნება ჩემი „სამი ხუმარასათვის“-მეთქი.

ხუან პეინეტამ თავი ისე შეურაცხყოფილად იგრძნო, რომ ფეხზე წამოდგომა დააპირა, რათა ამ ყოვლისშემძლე ბატონისთვის პირში მიეხალა: „მე არტისტი ვარ და თქვენი შეთავაზება ჩემს პროფესიულ თავმოყვარეობას შეურაცხყოფს, ისე რომ სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს“, მაგრამ ბატონმა სელონიომ ხუანს ხელით ანიშნა, ნუ ჩქარობო.

– ვწუხვარ, მეგობარო, მაგრამ ძალიან ცოტა დრო მაქვს. – გაიმეორა ფერერომ და მოღურ მაჯის საათზე დაიხედა. – ჩემს წინადადებას თუ დათანხმდებით, თვეში ათი ათას სოლს გადაგიხდით. შემდეგ კი თუ იმედს გამიმართლებთ, ანაზღაურების გაზრდაზეც შეგ-

ვიძლია დავილაპარაკოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულებას გავაუქმებთ. მოსაფიქრებლად ორიოდ დღეს მოგცემთ. ჩემთვის პატივი იყო თქვენი გაცნობა, სენიორ ხუან პეინეტა!

ფერერომ ფული გადაიხადა, მერე კი ხუანმა დაინახა, რომ იგი დიდი ნაბიჯებით გაემურა თავისი ოფისისკენ. რაო, რა უთხრა? თვეში ათი ათას სოლს მოგცემო? ხომ არ მოესმა? პეინეტასთვის რთული იყო ამის დაჯერება, რადგან სიცოცხლეში არ ენახა ამდენი ფული. თვეში ათი ათასი? შინ დარეტიანებული დაბრუნდა. შინაგანად გრძნობდა, რომ სისულელე იყო ასეთ შემოთავაზებაზე უარის თქმა, რომელიც თავად ილბალმა გამოუგზავნა.

„მაგ გადაწყვეტილებით შენს არტისტულ კარიერას ბოლო მოუღე“, – გაიფიქრა ახლა, როგორც მანამდეც არაერთხელ უფიქრია. „სიხარბემ დაგძლია, პოეზია კლოუნადაში გაცვალე, ჭეშმარიტ ხელოვნებას ხანჯალი ჩაეცი. აი, სად დაიწყო შენი დეკადანსი“.

სასტუმრო „მოგოლიონში“ დროულად მივიდნენ, რომ შესასვლელთან, პატარა დარბაზში, დარაჯის, სოსელესის გვერდით დაეკავებინათ ადგილი. ახლა ისინი აქ, „რადიო პოპულარის“ ტალღაზე როლანდო გაროს პირიდან გადმონთხეული შხამისა და ცილისწამების მსმენელები უნდა გამხდარიყვნენ. ამ გადაცემას „ცოცხალ მჭევრმეტყველებაში გაცხადებული ტყუილ-მართალი“ ერქვა.

ძილის წინ ხუან პეინეტამ აკანკალებული ხელით და დაღრეცილი ასოებით „რადიო პოპულარს“ საკუთარი და ბევრი სხვა რადიოსმენელის სახელით წერილი მისწერა. აღშფოთებული ხუანი წერილში აღნიშნავდა: „კარგი იქნებოდა, თუ იმ გულისამრევი უხამსობის გამო, რომელსაც ბატონი როლანდო გარო თავის გადაცემაში ანთხევს, სახელად „ჭორების გუდას“ დაარქმევდა. ის ხომ რადიოსადგურს არცხვენს და თავლაფს ასხამს!“ ხუანმა წერილს თავისი სახელი და გვარი მიაწერა და კონვერტში ჩადო. მეორე დღეს კი გაგზავნიდა.

7. პიკეს აგონია

შენს თავს აშკარად რაღაც ხდება, ძვირფასო! მგონი, ძალიან სერიოზული ამბავი უნდა იყოს! – უთხრა ქმარს მარისამ. – ძალიან ვწუხვარ! ახლა კი ყველაფერი უნდა მიამბო.

– არაფერი ხდება, გრინგიტა. – კიკე ცოლის დამშვიდებას შეეცადა და ნაძალადევად გაიღიმა. – უბრალოდ, მეც სხვებივით ვლელავ, ამ საშინელ ვითარებაში რომ გვიწევს ცხოვრება, ეს არის და ეს!

– კიკე, პერუში ტერორიზმი ისედაც კარგა ხანია მძვინვარებს, ამიტომ შენ რომ გგონია, არც ისეთი სულელი ვარ! – არ აპირებდა უკან დახევას მარისა. – ჭამით არ ჭამ, არ გძინავს და სრულიად განადგურებული ჩანხარ. სწორედ გუშინ მეუბნებოდა დედაშენი: „ენ-რიკე ძალიან გახდა, ექიმთან არ აპირებს წასვლასო?“ მითხარი, რა გჭირს, ბოლოს და ბოლოს შენი ცოლი ვარ, იქნებ შევძლო და რამით დაგეხმარო? რაც არ უნდა იყოს, ყველაფერი უნდა მიამბო!

ცოლ-ქმარი სან ისიდროს პენტკაუსის ტერასაზე საუბმობდა. მარისა ხალათში და ჩუსტებში იყო, ენრიკე კი ახლახან გამოსულიყო სააბაზანოდან და, უკვე გაპარსული და გამოწყობილი, ოფისში წასვლას აპირებდა. ირგვლივ ისეთი ნისლი ჩამოწოლილიყო, რომ შორს

არც ზღვა და არც შენობასთან განლაგებული გოლფის სათამაშო მოედნები აღარ ჩანდა. ფორთოხლის წვენი, თოხლოდ მოხარშული კვერცხი, კარაქიანი და ხილფაფიანი ტოსტები, რომელიც მოახლე კინტანილიამ კიკეს მაგიდაზე დაუწყო, ხელუხლებელი იყო. ენრიკემ მხოლოდ ყავა დალია და ახლა გულისტკივილით შეჰყურებდა მარისას დარდიან სახეს და მის მოკიაფე, თითქოსდა ნამტირალევ, ცისფერ თვალებს. მერე ცოლს მიუახლოვდა და ლოყაზე აკოცა. ქალმა ქმარს ხელები კისერზე შემოხვია.

– კიკე, ძვირფასო, რაც არ უნდა გჭირდეს, მომიყევი, რომ მეც გავიზიარო შენი გასაჭირი. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ! – შეევედრა მარისა.

– გრინგიტა, ჩემო სიცოცხლევ, მეც მიყვარხარ, – კიკე ცოლს მოეხვია. – შენი აფორიაქება არ მინდოდა, მაგრამ თუ შენსას არ იშლი, მოგიყვები.

მარისამ ხელები ჩამოუშვა და ენრიკემ შენიშნა, როგორ გაფითრებოდა ქალს სახე და ტუჩები უცახცახებდა. მან ქერა თმა ჩვეული მოძრაობით გაისწორა და ქმარს მოლოდინით სავსე თვალები მიაპყრო. „ახლაც უწინდებურად მშვენიერია, არა, კიდევ უფრო მშვენიერი! ჩვენი ქორწინების შემდეგ, პირველად მოხდა, რომ ათი დღეა ერთმანეთს არ მოვსიყვარულებივართ“. მაინც მოასწრო ამის გაფიქრება დაბნეულმა კიკემ.

– ჯერჯერობით არაფერი მომხდარა, მაგრამ შეიძლება მოხდეს. – ენრიკე ნელა ლაპარაკობდა და თან ცდილობდა, ნათქვამი რაც შეიძლება, მეტად შეელამაზებინა. – ვილაც მემუქრება, გრინგიტა, რა თქმა უნდა ანონიმურად.

– ნუთუ „სენდერო ლუმინოსოს“ ან „MRTA“-ს ტერორისტები გემუქრებიან? – ჩურჩულით ჰკითხა მარისამ.

– ჯერ არ ვიცი მათი ვინაობა, შესაძლოა ტერორისტები ან სხვა თავზებელაღებული ავაზაკები არიან. ეჭვი არ მეპარება, ფულის გა-

მოძალვა უნდათ, მაგრამ არ შეგეშინდეს! ამაზე ლუსიანოს უკვე დაველაპარაკე და ახლა ვარკვევთ, ვინ შეიძლება იყოს ამ საქმეში გარეული. ძვირფასო, იცოდე, ამის შესახებ სიტყვა არავისთან დავცდეს, ეს ამბავი თუ გახმაურდა, საქმე კიდევ უფრო გართულდება.

– რამდენს ითხოვენ? – ჰკითხა მარისამ.

– ჯერ არაფერი შემოუთვლიათ, არ ვიცი. – მიუგო ენრიკემ. – ჯერჯერობით მხოლოდ მემუქრებიან. გპირდები, რომ დღეიდან ყველაფერს მოგიყვები. გამორიცხული არც ის არის, რომ ვინმე ნაძირა-ლა გვეხუმრებოდეს ბოროტად, რათა ცხოვრება გაგვიმწაროს.

– პოლიციაში იყავი? – ჰკითხა მარისამ ენრიკეს და ხელზე ხელი მოუჭირა. – უკვე იციან, რომ ჩვენ ყველას, განსაკუთრებით კი შენ, დახმარება გვჭირდება? შეუძლებელია, რომ ასეთი საფრთხე მიაჩუმათო, კიკე! ღმერთო ჩემო, გული მიგრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან ჩვენც მოგვადგებოდნენ და კაჩიტოს ბედს გავიზიარებდით!

– ვხედავ, ამ ამბავმა ჩემზე მეტად შენ შეგაშინა. – უთხრა კიკემ ცოლს და ლოყაზე მიეფერა. – ახლა ხვდები, რატომ არ მინდოდა შენთვის არაფრის თქმა, გრინგიტა?

კიკემ საათს დახედა: ცხრის თხუთმეტი წუთი იყო.

– ლუსიანოს უნდა შევხვდე და ამ საკითხზე დაველაპარაკო. – უთხრა ენრიკემ ცოლს, ფეხზე წამოდგა და თავზე აკოცა. – ძალიან გთხოვ, მარისა, არ ინერვიულო!

გეფიცვები, ცუდი არაფერი მოხდება და თან გპირდები. რომ აღარაფერს დაგიმაღავ.

კიკე ავტოფარეხში ჩავიდა, სადაც მძლოლი ელოდებოდა. მერე მანქანაში ჩაჯდა და ქუჩაში გავიდნენ: ლიმაში ერთი ჩვეულებრივი, ნაცრისფერი დილა გათენებულყო. ნესტიანი ჰაერი „მერსედეს-ბენცის“ მინებს ორთქლავდა, ენრიკეს ტანსაცმელს ატენიანებდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამ ნესტს მისი კანი გამოყოფდა. სანხონის გამზირზე მოძრაობა ძალიან გადატვირთული იყო. ენრიკემ

არ იცოდა, სწორად მოიქცა თუ არა, როცა მარისას დამშვიდებას თავისივე შეთხზული ამბით შეეცადა. თუმცა ადვილი შესაძლებელია, ეს ამბავი მთლად შეთხზულიც არ ყოფილიყო და ის გაიძვერა ჟურნალისტი სწორედ „სენდერო ლუმინოსოს“ ან „MRTA“-ს ჰყოლოდა დაქირავებული. დიახ, რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაძლებელი იყო!

მძლოლი აგუსტინი მანქანას ჩვეულებისამებრ გულისყურით მართავდა, დაბნეული ენრიკე კი თავის პრობლემებზე ფიქრობდა. როლანდო გაროს სტუმრობის შემდეგ მან მოსვენება დაკარგა. ყველაზე აუტანელი კი ეს გაურკვეველობა იყო, რადგან არ იცოდა, ის ბოზიშვილი გარო კიდეც რა ხრიკებს მიმართავდა და თავის თანამზრახველებთან ერთად რამდენს მოითხოვდა. დიახ, შეუძლებელი იყო, რომ იმ ნაძირალას ამ საქმეში მარტოს ემოქმედა. მაგრამ რა ხალხი იყო მის ზურგს უკან ამოფარებული? ნუთუ ის იუგოსლავიელი? მან ჩოსიკაში ენრიკეს აშკარად მახე დაუგო, მაგრამ ორი წლის შემდეგ, თანაც ასე მოულოდნელად რატომ გამოჩნდა? იმ წყეული ჟურნალისტის ვიზიტის შემდეგ კიკეს ყველაზე მეტად ის აფორიაქებდა, რომ არ იცოდა, რას ითხოვდნენ მისგან ან კიდეც რა შეიძლებოდა მომავალში დასტყდომოდა თავს. ამ ამბიდან ათი დღე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შეხებია მარისას. მას შემდეგ, რაც დაქორწინდნენ, ასეთი რამ პირველად ხდებოდა. „მაინც როგორი უგუნური უნდა იყო კაცი, როცა ასეთი ლამაზი და ვნებიანი ქალი გიწევს გვერდით? მარისა ამას არასოდეს მაპატიებს“. ეს უკვე მერამდენედ გაიფიქრა ენრიკემ. ყოველ ჯერზე, როცა ის ორგია ახსენდებოდა, გულისრევის შეგრძნება უჩნდებოდა. მაგრამ განა საკუთარი სისულელით არ აღმოჩნდა იმ სქელი, თუთიყუშების მსგავსი, დათხაპნილი ბოზების გარემოცვაში?! „კიკე, ახლა მაინც ხვდები, რომ სულელი ხარ და საშინელება ჩაიდინე?“ ეუბნებოდა აღშფოთებული საკუთარ თავს.

აგუსტინს მშვიდად მიჰყავდა მანქანა, ენრიკე კი შეშინებული

აქეთ-იქით იყურებოდა და იცოდა, რომ გამორიცხული არ იყო, კაჩიტოსავით ისიც გაეტაცებინათ. ამ კაცის გატაცებამ ხომ მთელი ლიმა დაზაფრა! ნეტავ, მართალი თუ იყო, რომ მის დასაბრუნებლად ექვს მილიონ დოლარს ითხოვდნენ? გამტაცებლებთან მოსალაპარაკებლად ნიუ-იორკიდან ჩამოსული კაცი მაგარი ვინმე ჩანდა და საკუთარ პოზიციებს ადვილად არ დათმობდა, მაგრამ ამასობაში შეიძლებოდა კაჩიტო მოეკლათ. ამისგან პერუში, ენრიკეს ჩათვლით, არავინ იყო დაზღვეული. მას შემდეგ, რაც ქვეყანას ტერორიზმის ტალღამ გადაუარა, კიკეს თავიდან არ შორდებოდა მსგავსი ფიქრები, გაროს სტუმრობამ და იმ ფოტოების ნახვამ კი შიში უფრო მეტად გაუძლიერა.

ლუსიანო კიკეს თავის სამუშაო ოთახში ელოდებოდა. იქვე მაგიდაზე ორი ფინჯნით ახლად მოდუღებული ყავა იდგა.

– კიკე, უნდა დამშვიდდე! – უთხრა ადვოკატი მეგობარს. – რა გჭირს? ადამიანის სახე აღარ გადევს! ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ჯერ ბრძოლაც არ დაწყებულა, შენ კი უკვე ფარ-ხმალი დაყარე.

– ნერვები დაგლეჯაზე მაქვს, ლუსიანო. – თავი გააქნია კიკემ და სავარძელში ჩაეშვა. – არ იფიქრო, რომ საკუთარი თავი ან მარისა მადარდებს, არც იმაზე ვწუხვარ, რომ ეს ყველაფერი ძვირი დამიჯდება. უბედურება ის არის, რომ ფოტოებს თუ გამოაქვეყნებენ, დედაჩემი ამ ამბავს გადაყვება. ხომ იცი, ჩემი მოხუცი როგორი კონსერვატორი და მორწმუნე კათოლიკეა! დარწმუნებული ვარ, ამ ფოტოებს თუ ნახავს, ნამდვილად გულის შეტევა დაემართება ან გაგიჟდება. აბა, ახლა კი საქმეს მივხედოთ. რას ამბობენ შენი ადვოკატები?

– ჯერ უნდა დამშვიდდე, კიკე. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ ფოტოების გამოქვეყნება ვერ შეძლონ. – გაამხნევა ლუსიანომ მეგობარი. – ორივე ადვოკატი დარწმუნებულია, რომ ჯერჯერობით საუკეთესო გამოსავალი ლოდინი იქნება. ვნახოთ, ისინი რას მოიმოქ-

მედებენ. რა უნდათ? რამდენს ითხოვენ? ბოლო საკითხის გამო აუცილებელია მათთან მოლაპარაკება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია, გარანტია მივიღოთ, რომ ნეგატივებს უკლებლივ გადმოგვცემენ. ამასობაში კი კატეგორიულად უნდა უარყო, რომ ფოტოებზე შენ ხარ.

– ადვოკატები იცნობენ გაროს? რა იციან მის შესახებ?

– ძალიან კარგად იცნობენ. – მიუგო ლუსიანომ. – ის ხომ ყვითელ პრესაში ჭორების გამავრცელებელი ჟურნალისტია! როგორც ჩანს, ამ მლიქვნელმა, უმნიშვნელო და მარგინალურმა ტიპმა სკანდალებით შეძლო კარიერის გაკეთება. მსახიობებს, სცენარისტებს და ტელეწამყვანებს აშანტაჟებს, ფულს სძალავს და ამ მეთოდით მიზანს თუ ვერ აღწევს, მათი პირადი ცხოვრების დეტალები გამოაქვს სააშკარაოზე. მოკლედ, ამით სულდგმულობს. ჭორების გავრცელები-სა და ცილისწამების გამო ბევრჯერ ჰქონია სასამართლოში საქმე, მაგრამ მას ჟურნალისტური ასოციაციები მფარველობენ და პრესის თავისუფლების არგუმენტით, მოსამართლეები თითქმის ყოველთვის ხურავენ მის საქმეს და უდანაშაულოდ აღიარებენ. გაროზე უამრავი ჭორი დადის, მათ შორის იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა იგი დოქტორის ერთ-ერთი აგენტია, რომელიც თავისი ჟურნალისტური საქმიანობით მთავრობის მოწინააღმდეგეებს სახელს ულახავს და მათ შესახებ სკანდალურ ისტორიებს აქვეყნებს. ჩემი კომპანიის ორივე ადვოკატი ფიქრობს, რომ ამ საქმის თავი და თავი გარო არ უნდა იყოს, იგი მხოლოდ უბრალო ჭანჭიკი და იარაღია, რომელსაც ამ საქმის ნამდვილი მოთავეები და სულისჩამდგმელები ინფორმატორად იყენებენ. იურისტები იმან გააოცა, რომ გარომ პირადად გაბედა შენისთანა გავლენიანი მეწარმის დაშანტაჟება. დოქტორთან უნდა მოვითხოვოთ შეხვედრა, მასთან მეწარმეთა ასოციაციების პრეზიდენტებთან და მაღაროელთა საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მივიდეთ და ვაიძულოთ საჭირო ზომები მიიღოს.

ვინ იცის, იქნებ სხვა მეწარმეებიც შეწუხებულნი არიან მსგავსი მუქარით. მიხვდი, რას ვამბობ კიკე?

– რა თქმა უნდა, მიხვდი. საკუთარი თავი მძულს, როცა წარმოვიდგენ, რამდენი ადამიანი შეიტყობს ჩემს ამბავს! მართალი ხარ, ჯობია ჭკუით ვიმოქმედოთ და დოქტორს მივმართოთ. მას შეუძლია დააშინოს გარო და ათქმევინოს, ვინ არიან ამ საქმის შემკვეთები.

– ადვოკატების აზრით ამ ოპერაციაში მაღალი ეშელონების ხელი უნდა ერიოს, გამორიცხული არც საერთაშორისო მაფიის მონაწილეობაა.

ლუსიანომ მეგობარს გულითადად გაუღიმა, მაგრამ კიკეს პირზე ღიმილი არ დასტყობია. კომპანიის ადვოკატებმა ამ სისულელის გარდა ვერაფრის მოფიქრება ვერ შეძლეს? გაროს უკან რომ ვილაც იდგა, ეს ხომ ენრიკემ პირველივე წუთიდან იცოდა!

– ამაზე უარესი არ შეიძლებოდა, კიდევ რამე დამმართოდა, არა, ლუსიანო?

ადვოკატმა სერიოზული სახე მიიღო.

– მართლაც და, ძმაო, ამაზე უარესს ვერაფერს მოიფიქრებდა კაცი! კი მაგრამ, ნუთუ ეჭვიც კი არ გაქვს, ვინ შეიძლება ამ საქმის უკან იდგეს? – ჰკითხა მან კიკეს.

– ლუსიანო, ნამდვილად არავიზე ვეჭვობ, მაგრამ იქნებ უფრო გარკვევით მითხრა, რატომ მეკითხები ამას?

– ვფიქრობ, ამაში ის ცოდვებით სავსე დოქტორია გარეული. – ჩუმად მიუგო ლუსიანომ. სწორედ ის ცდილობს ხოლმე ინტრიგების ხლართვას, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ საქმე დიდ ფულს ეხება.

– ფუხიმორის პირად მრჩეველს გულისხმობ? – გაოცდა კიკე.

– დიახ, სწორედ ეგ ტიპია მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი და პერუს ნამდვილი მეპატრონე. – განუმარტა ლუსიანომ. – ადვოკატები სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ ეგ სუბიექტი ამგვარი საქმეებითაა დაკავებული. ხარბი და ფულის მოხვე-

ჭით შეპყრობილი ადამიანია. ფიქრობენ, ქვეყანაში წვრილი მეწარმეების დაშანტაჟება სწორედ მისი ხელდასხმით ხდება, მაგრამ ყველას გააოცებს ის ამბავი, რომ შენი რანგის მეწარმეზეც განხორციელდა ასეთი რამ. ამიტომ ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება თუ დოქტორთან შეხვედრაზე „CONFIEP“-ის და მალაროელთა ასოციაციის წარმომადგენლებიც იქნებიან. ამან შეიძლება ოდნავ მაინც შეაშინოს, თუ ის ნამდვილად გარეულია ამ ამბავში. თანაც როგორც უკვე ვითხარი, ჭორები დადის, რომ ერთ-ერთი ჟურნალისტი, რომელსაც დოქტორი თავისი პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ იყენებს, სწორედ გაროა. ისიც იცი, რომ ძირითადად დოქტორი აფინანსებს იმ ბინძურ ჟურნალს, რომელშიც შეურაცხმყოფელ სტატიებს, ათასგვარ უხამსობას აქვეყნებენ და ლაფში სვრიან მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანების რეპუტაციას. ახლა ხომ მიხვდი, რაც ხდება, კიკე?

ენრიკეს იმ წუთს გაუელვა აზრმა, რომ ამ ფოტოების უკან თუ მართლაც თავად დაზვერვის სამსახურის შეფი იდგა, მისი გადარჩენის შანსი არ არსებობდა. როგორ უნდა დაპირისპირებოდა იგი ასეთ ძლიერ და ვერაგ ადამიანს, თანაც პრეზიდენტის მრჩეველს? მერე გაახსენდა, რომ დოქტორი ერთხელ ნანახი ჰყავდა, როცა იგი მეწარმეების ერთ-ერთ ვახშამზე დაუპატიჟებლად, სრულიად მოულოდნელად მოვიდა. ტანმორჩილ, ჩასუქებული და ერთი შეხედვით კეთილგანწყობილ დოქტორს ლურჯი, შემოტმასნილი პიჯაკი ეცვა და გადმოგდებული ღიპის დამალვას ცდილობდა. მერე დამსწრე საზოგადოებას მიმართა და დაარწმუნა, რომ ქვეყანაში კერძო წარმოება დაცული იქნებოდა, ვიდრე მთავრობას სათავეში ინჟინერი ფუხნიმორი ედგა. აღნიშნა ისიც, რომ რეჟიმს რეფორმების სისრულეში მოსაყვანად სულ მცირე, ოცი წელი მაინც სჭირდებოდა, ეს პერუს ეკონომიკას გააძლიერებდა და ქვეყანას ახალი სამყაროსკენ გაუხსნიდა გზას. მისი აზრით, ტერორიზმთან ბრძოლაში სრულიად გამართლებული იყო „ძლიერი ხელის“ პოლიტიკა, თუმცა მერე ყველას შიშის

ზარს სცემდა ამ სიტყვების გამეორება, რომელიც მან იქ წარმოთქვა: „ოცი ათასი ადამიანის სიკვდილი არაფერს ნიშნავს, თუნდაც მათ შორის თხუთმეტი ათასი უდანაშაულო იყოს! სამაგიეროდ, ასე ხუთი ათას ტერორისტს მაინც მოვუღებთ ბოლოს“. კიკეს ახლა ისიც მოაგონდა, რომ ვახშამზე დამსწრეებმა ერთი გაბღენძილი, მლიქვნელი და უგემოვნოდ ჩაცმული ტიპი შენიშნეს, რომელიც ყვითელ ფეხსაცმელსა და ლურჯ პიჯაკში გამოწყობილიყო. მაშინ მისი დანახვისას მეწარმეებს სიცილი აუტყდათ.

– ამ ყველაფრის თავკაცი თუ ის ტიპი აღმოჩნდება, ჩემი საქმე წასულია, ლუსიანო. – ჩურჩულით თქვა ენრიკემ.

– დაბეჯითებით არავის უთქვამს, რომ ეგ კაცია გარეული, დამშვიდდი. ეს მხოლოდ ერთ-ერთი ვარაუდია. დროზე ადრე ნუ დაშინდები, ნურც იმას იფიქრებ, რომ დოქტორს მართლა ასეთი დიდი ძალაუფლება აქვს.

– მაშინ მითხარი, როგორ მოვიქცე?

– ის, რომ ისინი ორი წელი იცდიდნენ, ვიდრე ამ ფოტოებს გადმოგცემდნენ, რაღაცაზე უნდა მიაწინებდეს. – თქვა ლუსიანომ. – შეეცადე შენი ურთიერთობის დეტალები გაიხსენო იმ იუგოსლავიელთან, ჩოსიკას ორგანიზება რომ მოახერხა. მასთან დაკავშირებული ყველა წერილი და შეტყობინება მოძებნე, რადგან აშკარად ის ტიპია ამ ყველაფრის ავანჩავანი. ახლა უნდა დაველოდოთ. ადვოკატები გვირჩევენ, რომ არანაირი ინიციატივა არ გამოვიჩინოთ, სანამ ისინი ნიღბებს არ ჩამოიხსნიან, და, რაც მთავარია, ამ ამბავში პოლიცია არ უნდა ჩავრიოთ. ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს დოქტორთან შეხვედრის მცდელობა. პირველ ყოვლისა არ უნდა შეგამჩნიონ, რომ აღელვებული ხარ და გეშინია. გარომ ფოტოები დასაშინებლად მოგიტანა, მაგრამ ძალიან მალე ალბათ საკუთარ თავს გამოავლენს და მაშინ უკვე გვეცოდინება, რა საქმეებს ხლართავს, და ამის მიხედვით შევიმუშავებთ სამოქმედო გეგმას.

კიდევ ცოტა ხანს ილაპარაკეს, მერე ლუსიანო შეეცადა კიკე და-ერწმუნებინა, მარისასთან ერთად, რამდენიმე დღით, სადმე გამ-გზავრებულიყო. ენრიკემ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა და მეგობარს უთხრა, რომ ამ პრობლემის გარდა, უამრავი საქმე ჰქონ-და, რომელიც ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებასთან იყო დაკავ-შირებული, თანაც ახლა ღიმიდან წასვლა უარესად ააფორიაქებდა. ბოლოს მეგობრებმა დათქვეს, რომ მომავალ კვირას ცოლებთან ერ-თად სადმე, მაგალითად, „გრანხა ასულში“ ისაღილებდნენ და ლუ-სიანომ კიკე კარამდე მიაცილა.

ენრიკეს ოფისში უამრავი წერილი და შეტყობინება დახვდა. მას იქ უანკაველიკას მაღაროების უსაფრთხოების უფროსიც ელოდებო-და. სენიორ ურიოლას ნაოჭებით დასერილი სახე და გრძელი უღვა-ში ჰქონდა, ხელები მოკრივეს მიუგავდა და სახიდან ღიმილი არ შორდებოდა. მან კიკეს არცთუ კარგი ამბები მოუტანა და აცნობა, ამ თვეში მაღაროებში მოსამსახურე პერსონალის და, როგორც ჩანს, თავად პოლიციის ურთიერთშეთანხმებით ასაფეთქებელი ნივთიე-რებების ქურდობა მოხდა. საბედნიეროდ, ყველაფერმა სროლისა და მსხვერპლის გარეშე ჩაიარა, და, რა თქმა უნდა, დაცვამ ამჯერადაც ვერაფერი შეამჩნიაო.

– ეს ჩაკეტილი წრეა, – განაცხადა ბოლოს სენიორმა ურიოლამ. – მაგრამ როგორმე უნდა მოვახერხოთ, რომ სახალხო გვარდიამ მაღა-როებიდან თავისი ხალხი გაიყვანოს. გარწმუნებთ, ჩემი ხალხით შეე-ძლებ ბოლო მოვულო ქურდობას. გვარდიას დაბალი ხელფასები, სა-მაგიეროდ შესანიშნავი ალიბი აქვს იმისათვის, რომ გაგვძარცვოს, მერე კი ყველაფერი „სენდერო ლუმინოსოს“ და „MRTA“-ს გადააბრა-ლოს.

ურიოლას შემდეგ ენრიკე კიდევ სამ ადამიანს შეხვდა, მერე ტე-ლეფონით ნიუ-იორკში კარგა ხანს ილაპარაკა, მაგრამ ინჟინერს დი-დი ნებისყოფა დასჭირდა იმისთვის, რომ ყველასთვის მოესმინა და

ეპასუხა. გაროს სტუმრობის შემდეგ აკვიატებულ აზრებს ვერ იშორებდა თავიდან, ამასთან ვერაფრით ახერხებდა დეტალებში გაეხსენებინა ჩოსიკაში გატარებული საღამო. ნუთუ იუგოსლავიელმა სასამელში რამე ნარკოტიკული საშუალება ჩაუყარა? ახსოვდა, რომ ცუდად იყო, თავი დაცარიელებულივით ჰქონდა და ღებინების შეგრძნებაც აწუხებდა. თორმეტი საათისთვის, როცა ბოლო შეხვედრა დაამთავრა, ენრიკემ თანაშემწეს უთხრა, ტელეფონით არავისთან აღარ დაეკავშირებინა, რადგან სასწრაფო საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი და განმარტოება სჭირდებოდა.

სინამდვილეში კიკეს მარტო დარჩენა უნდოდა. იმ წუთში ოფისის საქმეების მოგვარება მის ძალებს აღემატებოდა, რადგან გონება სხვა პრობლემებით ჰქონდა გადატვირთული. მთელი საათი იჯდა სავარძელში გაქვავებული და უაზროდ გასცქეროდა ქალაქს. რა უნდა ექნა? როდემდე გაგრძელდებოდა ეს გაურკვეველობა? მერე ძილი მოერიდა, შეეცადა არ დაეძინა, მაგრამ მხოლოდ ისღა გაიფიქრა, „ეს საშინელებააო“ და ჩაეძინა. შეიძლება კარგიც იყო, რომ ხშირად უწევდა იმის კეთება, რაც არასოდეს მოსწონდა, მაგალითად გოლფის თამაშს სწავლობდა, იაპონელებისა და უსაქმურების გასართობს, რადგან ეს სასარგებლო იყო ნერვებისთვის. აფორიაქებულს გამოეღვიძა: ორის თხუთმეტ წუთზე „კლუბ დე ლა ბანკაში“ საქმიანი სადილი ჰქონდა. პირი დაიბანა, თმა დაივარცხნა და თანაშემწეს დაუძახა.

თანაშემწემ მას შეტყობინებების გრძელი სია გადასცა, მერე კი ენრიკეს ყურში ჩაესმა.

– იმ ჟურნალისტიმაც დარეკა, წინა კვირას რომ გეწვიათ. – და დასძინა: – გარო, არა? – დიახ, როლანდო გარომ. ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ სასწრაფო საქმე ჰქონდა, მერე თავისი ტელეფონის ნომერი დატოვა. როგორ მოვიქცე? შეხვდებით თუ უარით გავისტუმრო?

8. რეტაკიტა

რეტაკიტა შეერთა, როდესაც იგრძნო, რომ „სურკილიოდან“ ხუთი კუთხის მიმართულებით მიმავალ ავტობუსში ვილაც ცუდი განზრახვით უკან ამოუდგა. ქალმა ქამარზე დაბნეული დიდი ინგლისური ქინძისთავი მოიძრო, ხელში მოიმარჯვა და ავტობუსის მეორე შეჯანჯლარებას დაელოდა; მართლაც უცნობმა შეჯანჯლარებით ისარგებლა, რათა მის უკანალს შეხებოდა. რეტაკიტა მისკენ შეტრიალდა და უზარმაზარი თვალებით მრისხანედ მიაჩერდა. კაცუნამ, რომელიც მასზე კარგა უფროსი იქნებოდა, ქალს მზერა მაშინვე აარიდა. რეტაკიტამ ქინძისთავი პირდაპირ სახესთან მიუტანა და დაემუქრა:

– კიდევ თუ გაბედავ ჩემთან მოახლოებას, ამ ქინძისთავს პირდაპირ მაგ მყრალ ჭუჭუში ჩაგარჭობ. თანაც იცოდე, რომ მოწამლულია.

ავტობუსში ხალხს სიცილი აუტყდა. შემცბარმა კაცუნამ კი თავი ისე დაიჭირა, თითქოს მისმა სიტყვებმა ძალიან გააოცა:

– მაგას მე მეუბნებით, სენიორა? კი მაგრამ, რა მოხდა?

– მე გაგაფრთხილე, ნაბიჭვარო! – მკაცრად მოუჭრა რეტაკიტამ

და ზურგი შეაქცია.

– დარცხვენილმა უცნობმა ხმა ველარ ამოიღო და მგზავრების სიცილ-ხარხარის თანხლებით, მომდევნო გაჩერებაზე კუდამოძუებული ჩავიდა, რეტაკიტას გაახსენდა, რომ ასეთი რამ ორჯერ უკვე გადახდა თავს. პირველი შემთხვევა ამავე მარშრუტის ავტობუსში, „ბარბონესისკენ“ მიმავალ გზაზე მოხდა. მან უმსგავსო საქციელისთვის ვილაც ბიჭზე ქინძისთავით იძია შური; გამწარებულმა ბიჭმა ტკივილისგან განწირული ყვირილი მორთო, მგზავრები გაოცდნენ, მძღოლმა კი მკვეთრად დაამუხრუჭა მანქანა.

– ამის მერე გეცოდინება, რომ მხოლოდ დედაშენს უნდა გაეხახუნო ხოლმე, პედერასტო – დაიკვივლა რეტაკიტამ, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ სიტუაციიდან იოლად ვერ გამოძვრებოდა, თანაც გაუმართლა, რომ ავტობუსი იმ დროს გაჩერებული იყო. ამიტომ სასწრაფოდ ძირს ჩავიდა და კვარტალ ხუნინისკენ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

მეორე შემთხვევის დროს რეტაკიტამ ქინძისთავი მალალ, მუწუკებიან მულატ ბიჭს ჩაარჭო, რომელიც მას უკნიდან ამოუდგა და გაეხახუნა. აი, მაშინ კი რეტაკიტას არ გაუმართლა, რადგან ტკივილისგან გაცოფებულმა უცნობმა ქალს ხურდა დაუბრუნა, და ძალიან ცუდად წაუვიდოდა საქმე, მგზავრებს ბიჭისთვის ხელი რომ არ შეეშალათ. ბოლოს საქმე პოლიციამდე მივიდა და რეტაკიტა მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ჟურნალისტის დამადასტურებელი მოწმობა აჩვენა. მან მშვენივრად იცოდა, რომ პოლიციელებს კანონდამრღვევებსა და მოძალადეებზე მეტად, ჟურნალისტების ეშინოდათ.

ავტობუსმა გზა განაგრძო. ვიდრე ის ტიპი უკანალზე ფათურს დაუწყებდა, რეტაკიტა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. ახლა იგი ისევ იმ ფიქრებს დაუბრუნდა და საკუთარ თავს ჰკითხავ: ნუთუ ემოლიენტეს გამყიდველები საერთოდ გაუჩინარდნენ? ქუჩაში ურიკით ვინმეს რომ დაინახავდა, აუცილებლად მივიდოდა და გამოიძიებდა, რას

ყიდდნენ, მაგრამ, როგორც წესი, აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ნაყინის, გამაგრილებელი სასმელების ან ტკბილეულის გამყიდველები იყვნენ. ემოლიენტეთი უკვე ძალიან იშვიათად თუ ვაჭრობდა ვინმე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ სასმელს ყავლი გასვლოდა და ღიმას ეგრეთ წოდებული პროგრესის ფონზე მალე ქალაქში აღარავის ეცოდინებოდა, რა იყო ემოლიენტე.

რეტაკიტას ბავშვობა განუყრელად იყო დაკავშირებული ამ ტრადიციულ, კრეოლურ სასმელთან, რომლის შემადგენლობაშიც ქერი, სელის თესლი, ბოლდო და ცხენის კუდიც შედიოდა. გოგონა მთელი ბავშვობა თვალს ადევნებდა როგორ ამზადებდნენ ემოლიენტეს მამამისი და მისი კოჭლი, თვალში სინათლეგამოლეული შეგირდი, რომელსაც მეტსახელად კოხინოვას ეძახდნენ. იმ ხანებში ქალაქის ცენტრში ყველგან ნახავდით ემოლიენტეს გამყიდველებს და მათ ურიკებს. ისინი ხშირად ფაბრიკებთან, დოს დე მაიოს მოედანთან და არგენტინის გამზირის გაყოლებზე იყრიდნენ თავს. რეტაკიტას მამა კი იტყოდა ხოლმე: „ჩემი საუკეთესო კლიენტები დროსტარების მოყვარულები და უბრალო მუშები არიან“. გოგონა მას ხშირად დაჰყვებოდა ემოლიენტეს გასაყიდად, სასმელს კი დიდი ქილებით, ურიკით მიათრევდნენ. ემოლიენტეს კოხინოვა ბრენიას პატარა მამულში ამზადებდა. ეს მამული არიკას გამზირის ბოლოს მდებარეობდა, იქ, სადაც ძველი ქალაქი მთავრდება, გაშლილი, უდაბური ადგილები იწყება და ლა პერლამდე, ბელიავისტამდე და ელ კალიაომდე გრძელდება. რეტაკიტას მშვენივრად ახსოვდა, რომ მამამისის მუდმივი კლიენტები ღამლამობით ბარებში მოხეტიალე ლოთები და უბრალო მუშები იყვნენ, რომლებიც „არგენტინა დე კოლონიალის“ და „პუნტე დე ენერსიტოს“ ახლოს არსებულ ფაბრიკებში უთენია იწყებდნენ შრომას. გოგონა მამას ეხმარებოდა, კლიენტებს ჭიქებში უსხამდა ემოლიენტეს და დაჭრილ ქაღალდებს აწვდიდა, ხელსაწმენდების მაგივრობას რომ სწევდნენ. სხვა დღეებში მამას რეტაკიტა სკოლაში

მიჰყავდა, ხოლო თავად, როგორც კი ქალაქში მეეზოვეები და საგზაო მოძრაობის პოლიციელები გამოჩნდებოდნენ, ვაჭრობას იწყებდა. იმ დროს ემოლიენტებს გამყიდველები სულ მცირე, ოთხ საათს მუშაობდნენ. ეს ძალიან მძიმე და სახიფათო სამუშაო იყო. რეტაკიტას მამას რამდენჯერმე თავს დაესხნენ და მთელი დღის ნავაჭრი წაართვეს. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ საბრალო კაცი სრულიად გალატაკდა. ამიტომ დაფიქრებული ადამიანი უცნაურს ვერაფერს დაინახავდა იმაში, რომ ემოლიენტეს გამყიდველები ღიმიას ქუჩებიდან საერთოდ გაქრნენ.

რეტაკიტა მამას დედაზე არასოდეს ეკითხებოდა. არ იცოდა, დედა ცოცხალი იყო თუ მკვდარი, ან შვილი რატომ მიატოვა. და რადგან მამაც არასოდეს ახსენებდა ცოლს, ხულიეტა პატივის სცემდა მის დუმილს და ერთხელაც კი არ უკითხავს მისთვის დედის შესახებ. მამა მშვიდი ბუნების, სიტყვაძუნწი კაცი იყო და დღეების განმავლობაში შეეძლო ერთი სიტყვაც არ დასცდენოდა, ქალიშვილის მიმართ კი სიმკაცრეს არასოდეს იჩენდა. ხულიეტა მას სინაზით იხსენებდა, რადგან თავისი ქალიშვილისთვის მართლაც კარგი მამა იყო. ასეა თუ ისე, იგი ყოველთვის ზრუნავდა, რომ რეტაკიტას კოლეჯი დაემთავრებინა, მომავალში უსწავლელი არ დარჩენილიყო და მასავით მძიმე ცხოვრება არ ჰქონოდა. ხულიეტას მამამ წერა-კითხვა არ იცოდა და ამას ძალიან განიცდიდა. მისთვის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი ის საღამო იყო, როცა ქალიშვილმა ჟურნალისტის მოწმობა აჩვენა. ეს საბუთი რეტაკიტას როლანდო გარომ მისცა, მას შემდეგ, რაც მასთან ხელშეკრულება გააფორმა, და იგი ჟურნალში რეპორტიორად მიიღო.

ხუთ კუთხეში რეტაკიტა ავტობუსიდან ჩამოვიდა, მაგრამ ვიდრე სახლამდე მივიდოდა, შვიდი კვარტალი ფეხით უნდა გაეგლო. ტენიენტე არანსიბიას გზაჯვარედინზე იგი ყველა კუთხე-კუნჭულს ცნობდა, ნაცნობებს კი თავის დაკვრით ან ხელის აწევით ესალმებოდა. კარგად იცნობდა პერუელ სპირიტუალისტს, რომელიც კლიენტებს

მხოლოდ ღამით ემსახურებოდა, რადგან ეს ხელსაყრელი დრო იყო სულებთან დასაკავშირებლად; აფთიაქარს, იმ სახლში რომ ცხოვრობდა, სადაც როგორც ამბობდნენ, ვალსების დიდოსტატი ფელიპე პინგლო დაიბადა; რეტაკიტა გასცდა კინტა ერენს, რომელსაც თავის დროზე მე-19 საუკუნის შენობების გამო ყველაზე ელეგანტურ უბნად მიიჩნევდნენ, ახლა კი მისი არქიტექტურისგან მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩენილიყო და ადგილის დამკვიდრებას იქ სვავები, ღამურები, ნარკომანები, ძებნილი ბოროტმოქმედები ცდილობდნენ და მეაბორტეებისა და პედოფილების ნავსაყუდელად ქცეულიყო. ქალმა კარმენის სახელობის ეკლესია და ფრანცისკელი ძმების შეურყვნილი იდეოლოგიის პატარა სავანეც გაიარა. კვარტალში ძარცვა და ყაჩაღობა მძვინვარებდა, ამიტომ ყველა სავაჭრო ობიექტი გისოსებით იყო დაცული. კლიენტებს გისოსებიდან ემსახურებოდნენ, საიდანაც ნივთების პატარა შეკვრა ძლივს ეტეოდა. რეტაკიტამ დანგრეულ ხუხულებს და ვიწრო, ჭუჭყიან ქუჩებს ჩაუარა, აქ ერთადერთი წყალსადენი გადიოდა, ქუჩის კუთხეებში კი მაწანწალები და მათხოვრები მიყრილიყვნენ. ღამღამობით აქაურობა ნარკომოვაჭრეებითა და ტრანზიტული მეძავებით იყო სავსე, რომლებსაც სუტენიორები სიბნელეში თვალს არ აცილებდნენ. ამ ადგილას ერთმანეთზე მიჯრით მხოლოდ ერთსართულიან სახლებს ნახავდით, მაგრამ ხულიეტას სახლი ერთი დანგრეული ქოხის უკან, განცალკევებით იდგა. საცხოვრებელს საძინებელი, პატარა სასადილო, სამზარეულო და სააბაზანო ჰქონდა. რეტაკიტას ოთახებში მხოლოდ საჭირო ავეჯი ედგა, სამაგიეროდ, ყველგან ძველი ჟურნალ-გაზეთები ეწყო დასტებად. პრესას ხულიეტა ბავშვობიდან, ჯერ კიდევ მანამდე აგროვებდა, ვიდრე მიხვდებოდა, რომ ჟურნალისტი გახდებოდა და ამ ზღვა მასალის გამოყენებას შეძლებდა. პირადი ნივთების მიმართ დიდ გულისხმიერებას არასოდეს იჩენდა, რასაც ჟურნალ-გაზეთებზე ვერ ვიტყვოდით, რომლებიც ზედმიწევნით მოეწესრიგებინა. თითოე-

ულ შეკვრაზე პატარა წარწერით მათი გამოცემის წლები და თემატიკა აღენიშნა. ამ საქმეს მან უამრავი თავისუფალი დრო შეაღია, სწორედ ისე, როგორც სხვები თავიანთ დროს სპორტს, ჭადრაკს, ქსოვას, ქარგვას სწირავენ, ან ტელევიზორის ყურებაში გაჰყავთ. სინათლეს როცა თიშავდნენ, რეტაკიტა ძველ გენერატორს რთავდა, რომ სკანდალებსა და ჭორებზე მიძღვნილი გადაცემები არ გამორჩენოდა, რადგან ეს თემები უშუალოდ დაკავშირებული იყო მის საქმიანობასთან.

შინ მისულმა სამზარეულოში პაკეტის წვნიანი მოამზადა და აეროლუმელში წინა დღის მორჩენილი ხორციანი ბრინჯი გააცხელა. სპირტიანი სასმელები არ უყვარდა და სიგარეტსაც არ ეწეოდა. მისი საზრდო მისივე სამუშაო იყო, რადგან შეეძლო გამოეძიებინა და ძირისძირობამდე ჩაჰყოლოდა ადამიანების ყველაზე სამარცხვინო და უზნეო საიდუმლოებებს, მერე კი მათი გამომზეურებით, როგორც პროფესიონალს შინაგანი კმაყოფილება ეგრძნო და ამით საკუთარი, განსაკუთრებული ვნებათაღელვა დაეკმაყოფილებინა. მართალია, ქოტურად და გაუაზრებლად, მაგრამ ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ მისი მოწოდება ყოველთვის შურისძიება იყო იმ სამყაროს მიმართ, მამაშვილს ასე მტრულად რომ მოექცა. მერე კი სრულიად ახალგაზრდა ხულიეტამ ამ სფეროში მართლაც რომ შესაშურ წარმატებას მიაღწია.

მისი მოძღვარი როლანდო გარო იყო და მან ერთგულების ყველა გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ვითომ შეყვარებული იყო გაროზე? „დესტაპესის“ რედაქციაში თანამშრომლები რეტაკიტას ამ თემაზე ხანდახან მორიდებულად ეხუმრებოდნენ, ის კი ჯიუტად უარყოფდა ამას, რაც ყველას უძლიერებდა ეჭვს, რომ მას ეს კაცი ნამდვილად უყვარდა.

მთელი თავისი სიცოცხლე ჟურნალისტობაზე ოცნებობდა და ამაზე ფიქრი მუდამ თან სდევდა, მაგრამ მის საქმიანობას ჟურნალის-

ტურს ნამდვილად ვერ დაარქმევდა კაცი, რადგან სერიოზული ჟურნალისტიკა პოლიტიკური, კულტურული და სოციალური საკითხების ანალიზს და, რაც მთავარია, მათ ობიექტურად წარმოჩენას გულისხმობს. ხულიეტა კი ამ სფეროს არსს სკანდალურ, ყვითელ პრესაში ხედავდა, ქალაქის ცენტრში ჯიხურებში რომ იყიდება ხოლმე. ამ ჟურნალებს სერიოზული ხალხი მხოლოდ თვალს თუ შეავლებს, რადგან იქ სენსაციური სათაურების გარდა, თითქმის არაფერია. ყვითელი პრესის გვერდები ძირითადად გადავსებულია იმ შიშველი ქალების ფოტოებით, რომლებიც უხამსად არეკლამებენ თავიანთ უკანალებსა და ძუძუებს. წითელი ასოებით დაბეჭდილი, ჩარჩოშემოვლებული სათაურები კი ადამიანების ყველაზე ბინძურ საქმეებს ამზეურებენ. ისინი თითქოსდა სიმდაბლის, ქურდობის, გარყვნილებისა და უკანონოდ ვაჭრობის ამბებს ამხელენ, სინამდვილეში კი ხშირად, ქვეყანაში ცნობილ და პატივსაცემ ადამიანებს სახელს უტეხავენ და სიცოცხლეს უმწარებენ.

ხულიეტას რეტაკიტა კოლეჯში შეარქვეს, თანაკლასელი გოგონები მას ხანდახან ტარუელასაც¹ ეძახდნენ. ხულიეტა სიამაყით იხსენებდა, როგორი წარმატება მოუტანა მას პირველად ჟურნალისტიურმა ალლომ, როცა იგი მარია პარადო დე ბელიდოს კოლეჯში, მეორე კურსზე სწავლობდა. ერთხელაც კოლეჯის დირექტორმა მოსწავლეებს კედლის გაზეთის გამოცემა დაავალა. რეტაკიტამ მაშინ არ იცოდა რა შედეგი მოჰყვებოდა ამას. მერე კი, წვრილი, თანაბარი ასოებით სტატიების წერა რომ დაიწყო, მალე გაზეთის წამყვანი მიმომხილველი გახდა. სხვა გოგონები ისეთი თემებით იყვნენ დაინტერესებული, როგორიცაა: რელიგია, პაპი, მიწის პრობლემა, ან პერუს გმირები, ვთქვათ, გრაუ და ბოლოგნესი იყვნენ. ხულიეტას ინტერესი კი კოლეჯის მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე გავრცელებული უზნეო ჭორებით შემოიფარგლებოდა. საჩოთირო თემებს თუ ეხებო-

¹ ჯუჯა, დაბალი ტანის ადამიანი.

და, მაგალითად ეჭვევემ თუ დგებოდა ვინმეს მამაკაცობის ან ქალურობის საკითხი, რეტაკიტა ამ ადამიანების ნამდვილ სახელებს მალავდა, მაგრამ სულ მალე მან წარმატებასთან ერთად, გაფრთხილებაც მიიღო. იგი დირექციაში დაიბარეს და უთხრეს, დაფიქრებულიყო, ვიდრე ადამიანებს ლაფში ამოსვრიდა, თანაც დაემუქრნენ, რომ კოლეჯიდან გარიცხავდნენ, თუ ამ საქმიანობას არ შეემშვებოდა.

მაგრამ რეტაკიტამ ეს საქმიანობა გააგრძელა, ოღონდ ამჯერად კოლეჯის გარეთ და მისი ფიზიკური მონაცემებისთვის შეუსაბამო შემართებით, ჟურნალისტური გამოძიება დაიწყო. რეპორტიორად მუშაობდა „ულტიმა ორაში“, „ლა კრონიკაში“, „კარეტაში“, „ექსპრესოში“ და „ელ კომერსიოშიც“ კი. მასალებს აგროვებდა თეატრებზე, რადიოზე, სატელევიზიო არხებზე, ხმის ჩამწერ სტუდიებზე ან რომელიმე ცნობილი ადამიანის პირად ცხოვრებაზე. მიამიტი ხმით და გაყინული მზერით ადამიანებს ინფორმაციას სძალავდა, თავისი შეუპოვარი გუმანით კი მათში მხოლოდ ცოდვას და უხამსობას ხედავდა, და ეს თვისება უკვე სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა. ამ რწმენით იგი „დესტაპესის“ რედაქციაში მივიდა, როლანდო გარო გაიცნო, მერე ამ ყოველკვირეული ჟურნალის წამყვანი რეპორტიორი და ქვეყნის ყველაზე სკანდალური და უზნეო ჟურნალისტის მოსწავლეც გახდა.

„ნეტავ, ამ ფოტოების ამბავი კარგად დამთავრდება თუ ცუდად?“ ძილის წინ საკუთარ თავს ეკითხებოდა რეტაკიტა. როგორც კი სეფერინომ მას სკანდალური ფოტოების არსებობა გაანდო, ქალმა მაშინვე იყნოსა, რომ ეს საქმე მათთვის საზიანო უფრო იქნებოდა. მერე ხულიეტა უფრო შეშფოთდა, როცა გაიგო, რომ როლანდომ ფოტოები იმ გავლენიან მეწარმეს, ენრიკე კარდენასს მიუტანა. მაგრამ ვერაფერს გააწყობდა, რადგან რეტაკიტა ვალდებული იყო, შეფის ყველა გადაწყვეტილება გაეზიარებინა და მისთვის პატივი ეცა.

9. უჩვეულო შემოთავაზება

ენრიკემ თავის სამუშაო ოთახში შესული როლანდო გარო რომ დაინახა, ისეთივე უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა, როგორც პირველი შეხვედრის დროს. ჟურნალისტს ისევ ის ტანსაცმელი ეცვა, რაც ორი კვირის წინ, ისევ ხელების ქნევით დააბიჯებდა და მაღალპლატფორმიან ფეხსაცმელებს სიარულისას ისე ატყაპუნებდა, თითქოს არ წამოდგა, გარო მის სამუშაო მაგიდასთან თავად მივიდა და ისევ ის ოფლიანი ხელი გაუწოდა, ენრიკე დღემდე ზიზლით რომ იხსენებდა. დილის ათი საათი იყო: შეხვედრაზე როლანდო გარო დროულად გამოცხადდა.

– ვფიქრობ, ჩვენი ეს საუბარი იწერება, ამიტომ აჯობებს, იმ საქმეზე არ ვილაპარაკოთ, მგონი, მიხვდით რასაც ვგულისხმობ! – შესვლისთანავე გამკვივანი ხმით, თავხედურად მიახალა ენრიკეს. – ვილაპარაკოთ იმაზე, რისთვისაც დღეს აქ მოვედი. ვიცი, ძალიან მოუცლელი ბრძანდებით და ძვირფასი დრო რომ არ წაგართვათ, ამ საკითხზე ყოველგვარი შესავლის გარეშე გადავალ. თქვენთან მოვედი, რათა მომგებიანი გარიგება შემოგთავაზოთ.

– მომგებიანი გარიგება? – გაოცდა ინჟინერი. – თქვენსა და ჩემ

შორის?

– დიახ, სწორედ თქვენსა და ჩემ შორის. – გაიმეორა ჟურნალის-ტმა და გამომწვევად გაიცინა. – და, ეს იქნება გარიგება არაფრით გამორჩეულ ჯუჯასა და პერუს მეწარმეთა ოლიმპოს ღმერთს შორის.

გარომ კვლავ გაიცინა და ნაძალადევი სიცილის დროს თვალები დაუწვრილდა, სტრატეგიული პაუზის შემდეგ კი დამაჯერებელი ხმით დასძინა:

– ბატონო კარდენას, ყოველკვირეული ჟურნალი „დესტაპესი“ მცირე ტირაჟით მხოლოდ იმიტომ გამოდის, რომ სახსრები არ გავაჩნია, მაგრამ ამის შეცვლა რადიკალურად შეიძლება. თუ თქვენი სახელისა და შესაძლებლობების მქონე ბიზნესმენი ინებებს და ჩვენი ჟურნალის საქმეში ფულს დააბანდებს, ამით ის მთელ პერუში გაითქვამს სახელს, ბევრი მკითხველი ეყოლება და დახურვითაც ვედარავინ დაემუქრება. ამას საკუთარ თავზე ვიღებ.

– ამ ყველაფერს შანტაჟის სუნი უდიოდა. კი მაგრამ, რატომ სთხოვდნენ ენრიკეს, ყვითელი პრესის ერთ-ერთი ბინძური ჟურნალის დაფინანსებას? კიკე უყურებდა ამ ექსტრავაგანტურ ტანსაცმელში გამოწყობილ ტიპს და უცებ გაიფიქრა, რომ ამ კაცის გარეგნობა სრულიად არ შეესაბამებოდა მის თანამედროვე, ელეგანტურ ოფისს სკანდინავიურ, სადა ავეჯს და გრაფიკულ ნახაზებს, რომელიც ლეონორსიტა არტიგასმა მისი სამუშაო ოთახისთვის შეარჩია. ეს ნახაზები შესანიშნავად გამოიყურებოდა პერუს უდაბნოს, სანაპიროს აქაფებული ტალღებისა და დიდებული, თოვლიანი ანდების ფოტოების გვერდით.

– სენიორ გარო, გასაგებად ამიხსენით, რისი თქმა გსურთ, – უთხრა ენრიკემ და შეეცადა უკმაყოფილება დაემალა, თუმცა იცოდა, მის ხმაში მაინც იგრძნობოდა ის უსაზღვრო ზიზღი, რომელსაც იმ უბადრუკი ეშმაკისეულის მიმართ განიცდიდა, ახლა მის წინ რომ იდგა.

- დასაწყისისთვის, ასი ათასი დოლარი უნდა გაიღოთ, მიუგო ჟურნალისტი და ისე აიჩეჩა მხრები, თითქოს რაღაც უმნიშვნელო თანხაზე ლაპარაკობდა. - თქვენთვის ხომ ეს ფული ნამდვილად არაფერს ნიშნავს! მერე კი, როცა დარწმუნდებით, რომ კაპიტალდაბანდებამ გაამართლა, თანხა უნდა გაზარდოთ! ამასობაში თქვენი შემწეობით შევძლებ ჟურნალის ტირაჟის გაორმაგებას, რედაქციის გაფართოებას და ბექდვის ხარისხის გაუმჯობესებას. მინდა იცოდეთ, რომ მაგ თქვენს ფულს ახლოსაც არ გავეკარები. შეგიძლიათ თავად დანიშნოთ დირექტორი, ადმინისტრატორი ან თუნდაც, მოდი ასე ვთქვათ, მსტოვარი. ანუ, ვინმე ისეთი, ვინც სრულიად იმსახურებს თქვენს ნდობას. ამის ახსნა ძალიან ადვილია, თუ გეტყვით, რომ თქვენს ფულზე მეტად საკუთარი სახელი და პრესტიჟი მაინტერესებს. ამ შემთავაზებაზე თუ დამთანხმდებით, ის ანტიპათია, ჩემ მიმართ ჰუმბლიცისტებს და მათ სააგენტოებს რომ აქვთ, თვალის დახამხამებაში გაქრება. ჟურნალის მიმართ პატივისცემით განიმსჭვალებიან და თან უამრავი განცხადება შემოვა. გარწმუნებთ, ამით შესანიშნავ კაპიტალდაბანდებას განახორციელებთ.

ლაპარაკის დროს გაროს თვალები საოცრად უბრწყინავდა. მერე ენრიკემ შენიშნა, რომ მას კბილები ნიკოტინისგან ჩაყვითლებოდა და თან პირში გამალებით საღეჭ რეზინს თუ „ტიკ-ტაკს“ ატრიალებდა.

- ბატონო გარო! ვიდრე სიტყვას გააგრძელებდეთ, მიხდა ერთ რამეში გაგარკვიოთ. - უთხრა ენრიკემ ჟურნალისტს და მოუსვენარ თვალებში ჩააშტერდა. - ვერაფრით გამიგია, წინა ვიზიტის დროს რატომ მომართვით ასეთი საჩუქარი, მით უმეტეს, როცა იმ ფოტოებზე თავად მე საერთოდ არ ვჩანვარ.

- მით უკეთესი, ინჟინერო, - უთხრა ამ სიტყვებით ვითომდა კმაყოფილმა ჟურნალისტმა და თეატრალური მოძრაობით ტაში შემოსცხო. - ძალიან მიხარია ამის მოსმენა, რადგან ასეთი რამ ჩემთვისაც

დაუფერებელი იყო. მაგრამ როგორც გითხარით, ახლა ამაზე ლაპარაკი არ მინდა. არა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს საუბარი იწერება, არამედ იმიტომაც, რომ ჩემს წინა ვიზიტს ახლანდელთან არავითარი კავშირი არა აქვს. აქ იმისთვის მოვედი, რომ სარფიანი საქმე შემოგთავაზოთ, მეტი არაფერი. რატომ ცდილობთ, თქვათ, კატას სამი ფენი აქვს, როცა იცით, რომ ეს ასე არ არის?

– ჟურნალისტიკა ჩემი ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს, ამიტომ არ მინდა ფული ისეთ რამეში დავაბანდო, რაშიც ვერ ვერკვევი. – მიუგო ენრიკემ. – მაგრამ თუ შემთხვევით პროექტის მარკეტინგი შესწავლილი გაქვთ და მას ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ახლავს, დამიტოვეთ და ტექნიკური დეპარტამენტი მას სრული სერიოზულობით შეისწავლის. კიდევ რამე გაინტერესებთ, ბატონო გარო?

– რა თქმა უნდა, პროექტი თან მაქვს, – მიუგო ჟურნალისტიკა და გახუნებული ტყავის ჩანთას, რომელიც მუხლებზე ედო, ხელი გადაუსვა. – მაგრამ ძალიან მინდა, პირადად ავიხსნათ, რისი გაკეთება შეგვიძლია მომავალში „დესტაპესის“ გაფართოებით, ათ წუთზე მეტს არ წაგართმევთ, გპირდებით.

ენრიკეს ერთი სული ჰქონდა, ამ ტიპთან ყველანაირი საქმე დაეთავრებინა, ოფისიდან გაესტუმრებინა და თვალთ დაღარასოდეს ენახა. მაგრამ მაინც უხმოდ დაუქნია თავი. კიკეს ამ კაცთან შეხვედრის არანაირი სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ ამაზე ლუსიანოს კომპანიის ადვოკატების რჩევით დათანხმდა. ახლა გალიზიანებულმა გაროს ანიშნა, რომ ლაპარაკი დაეწყო.

– ქორების გავრცელება ავადმყოფობაა, რომელიც ყველა ქვეყანაში და კულტურაში არსებობს, – მოახსენა კაცუნამ ენრიკეს გამკივიანი, თვითდაჯერებული ხმით. თან ამ დროს ინჟინერს თვალს არ აცილებდა და ყბებს ამოძრავებდა. – თუმცა ეს უცნაურობა განსაკუთრებით პერუში შეინიშნება. ვფიქრობ, თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ქორების ქვეყანაში ვცხოვრობთ. მუდმივად

გვსურს ადამიანებს სულში ჩავუძვრეთ, მათი საიდუმლოებები შევიტყუოთ, განსაკუთრებით კი ეს ინტიმურ საიდუმლოებებს ეხება; ბოდიშს მოგიხდით პირდაპირობისთვის, მაგრამ გეტყვით, რომ ადამიანებს აინტერესებთ, ვის ვისთან აქვს სექსი და თანაც როგორ პოზებში. ამიტომაც ხშირად ჩაყოფენ ხოლმე ცხვირს პოლიტიკოსების, გავლენიანი პირების, მეწარმეების, სპორტსმენებისა და მომღერლების პირად ცხოვრებაში; და თუ დღეს ვინმეს ამ საქმეში ბადალი არა ჰყავს, თავმდაბლობით გეტყვით, რომ მე ვარ. დიახ, ინჟინერო, ასეთია როლანდო გარო, თქვენი მეგობარი, და, თუ გნებავთ, დღეიდან უკვე თქვენი კომპანიონი.

გარომ თხუთმეტ წუთზე მეტი ილაპარაკა და მისი სიტყვები იმდენად ცინიკურად და თან დამაჯერებლად ჟღერდა, რომ ენრიკე პირდაღებული უსმენდა და სიტყვა ვერ შეაწყვეტინა. ამან ცოტა არ იყოს შეაშინა, მაგრამ უნდოდა გაეგო, სანამდე მივიდოდა ამ ტიპის თავხედობა. ამიტომ მის ნებას დაჰყვა და დააცადა, ელაპარაკა.

მერე მისი გაჩუმება ველარ მოახერხა, რადგან მონუსხულივით უსმენდა და სწორედ იმ ჩიტს ჰგავდა, ჰაერშივე რომ შემდება და ელოდება გველი როდის გადაყლაპავს. ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ვინმე მისი სულის ასეთი გზით გაშიშვლებას შეძლებდა და აიძულებდა მის გონებასა და გრძნობებს ასე არაადეკვატურად მოქცეულიყო. ჟურნალისტიმა აცნობა, რომ „დესტაპესი“ დღემდე მხოლოდ ტყუილებსა და ჭორებზე იყო ორიენტირებული, რადგან თავად ისიც და მისი გუნდიც ამ სფეროს კარგად იცნობდა, მაგრამ ფინანსები არ ჰყოფნიდათ. დაფინანსების გაზრდით მისი რადიომაუწყებლობის ტალღებიც ფართოდ გავრცელდებოდა, პოლიტიკოსებისა და მეწარმეთა სიშიშვლეს გამოამბზეურებდა და გადაცემების თემატიკას უფრო მრავალფეროვანს გახდიდა. – სიშიშვლეზე როცა ვლაპარაკობ, მათ ჩახდილ შარვლებს ვგულისხმობ, ინჟინერო კარდენას! – დააზუსტა გარომ, – ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ამასთან

ვეტოს კანონიერი უფლებაც შევა ძალაში, ისე რომ მათი აკრძალვები და რჩევები სასარგებლოც იქნება ჟურნალისტთვის. ამრიგად, „დესტაპესი“ მთელი ქვეყნის მასშტაბით დღის სინათლეზე გამოიტანს ცოლქმრულ ღალატს, ჰომოსექსუალიზმს, ლესბოსელობას, სადო-მაზოხიზმს, ზოოფილიას, პედოფილიას, კორუფციას და ქურდობას, ჩვენს საზოგადოებაში ასე რომ გაიდგა ფესვები. პერუელები ამ ჭორებით სრულიად დაიკმაყოფილებენ ავადმყოფურ ცნობისმოყვარეობას, უბრალო, არაფრით გამორჩეული ადამიანებისთვის კი ნამდვილი ნეტარება იქნება, როდესაც ეცოდინებათ, რომ ერთი შეხედვით წესიერი და პატივსაცემი ადამიანებიც ჩვეულებრივი ბინძური ინსტინქტების მონები არიან. – მცირეოდენი დუმილის შემდეგ გარომ ენრიკეს აცნობა: „ასეთი ჟურნალები აშშ-ში და ევროპაშიც არსებობს და „დესტაპესსაც“ სწორედ მსგავს გამოცემებზე აქვს პროტენზია“.

როლანდო გარომ სათქმელი დაამთავრა და გაიღიმა. საკუთარი თავით ერთობ კმაყოფილი ჩანდა და ნეტარსახიანი ელოდა ენრიკეს პასუხს.

– მოკლედ, თქვენი აქ მოსვლის ერთადერთი მიზანია შემომთავაზოთ, ფული დავაბანდო იმ გამოცემაში, რომელიც ქვეყანაში ჭორებს ავრცელებს და სკანდალებს აწყობს, არა? – ენრიკე. ძალიან ნელა ლაპარაკობდა და ცდილობდა როგორმე დაემალა ის აღშფოთება, რომელსაც მთელი მისი არსება მოეცვა.

– დღეს ეს ჟურნალისტიკის ყველაზე სარფიანი და მოდური სფეროა მთელ მსოფლიოში. – შთამაგონებელი ხმით განუმარტა ინჟინერს როლანდო გარომ. – გარწმუნებთ, „დესტაპესის“ წყალობით ძალიან დიდ შემოსავალს მიიღებთ. განა ყველაზე მეტად სწორედ ეს არ აინტერესებს მეწარმეს, რაც შეიძლება მეტი მოიგოს და ჯიბე სოლებით გაისქელოს? ამ საქმეში კი ფულზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამის შემდეგ იმ ყოვლისშემძლე ადამიანად გადაიქცევით,

თქვენს მოწინააღმდეგეებს შიშის ზარს რომ დასცემს, და „დესტაპესის“ წყალობით ერთი დარტყმით მათ სირცხვილს აჭმევს. დაფიქრდით, ეს რას ნიშნავს! ეს იარაღია, რომელსაც პირდაპირ გიგდებთ ხელში!

– დიახ, ეს ის მაფიოზური იარაღია, შანტაჟის გზით ზიანს რომ აყენებს ადამიანებს! – მიუგო აღშფოთებისგან ერთიანად აცახცახებული ენრიკემ. – იცით, გისმენდით და მეგონა, რომ ეს ყველაფერი მეჩვენებოდა, რადგან ვერ წარმომედგინა, ოდესმე თუ ვინმე გამიბედავდა მსგავსი რამის თქმას, ბატონო გარო!

ენრიკემ შეამჩნია, როგორ ჩამოერეცხა ჟურნალისტს სახიდან ყოვლისშემძლე ღიმილი და სერიოზული გამომეტყველება მიიღო. მერე გაოცებულმა ხელები გაშალა და ისეთი ხმით შეჰყვირა, თითქოს მაყურებლებით სავსე დარბაზს მიმართავდა:

– ინჟინერო ჩვენ აქ ახლა მორალზე, ეთიკასა და სინდისზე ვლაპარაკობთ?

– დიახ, სენიორ გარო! – გაცეცხლდა ენრიკე. – სწორედ მორალსა და სინდისზე ვლაპარაკობთ, რაზეც, როგორც ვხედავ, წარმოდგენაც კი არ გაქვთ და ვფიქრობ, ამ ცნებების არსებობაზე არც არასოდეს გსმენიათ.

– წინა შეხვედრისას რომ გადმოგეცით, იმ ფოტოების მნახველი, ნამდვილად ვერ იტყვის, რომ ასეთი შეუბღალავი ზნეობის პატრონი ბრძანდებით, ინჟინერო. – როლანდო გარო ახლა უკვე საკმაოდ ცივი, აგრესიული და გესლიანი ხმით ლაპარაკობდა, რომელსაც ენრიკე ჯერ არ იცნობდა. ჟურნალისტს ღეჭვა შეეწყვიტა და კიკეს მიმტერებოდა.

– იცოდეთ, ერთ სენტავოსაც კი არ გავიღებ მაგ თქვენი ბინძური ჟურნალის დასაფინანსებლად, ბატონო გარო, – უთხრა მეწარმემ და ფეხზე წამოდგა. – გთხოვთ, ახლავე მიბრძანდეთ აქედან და ამიერიდან თქვენი ფეხი აღარ ვნახო ჩემს ოფისში. იმ ფალსიფიცირებული ფოტოებით ჩემი დაშინება რომ გადაწყვიტეთ, გარწმუნებთ, ძალიან

შეცდით და იცოდეთ, მწარედ განანებთ თუ ჩემს დაშანტაჟებას კვლავაც შეეცდებით.

ჟურნალისტი ისევ გაუნძრევლად იჯდა, გამომწვევ მზერას არ აცილებდა ენრიკეს და თითქოს რაღაცის სათქმელად ემზადებოდა.

– ჩვენი საუბარი კვლავ იწერება, სენიორ გარო. – დასძინა ინჟინერმა. – ისე რომ, მალე პოლიციას და პროკურატურასაც ეცოდინება, რას მთავაზობს თქვენისთანა ბინძური და ამაზრზენი ტიპი. ახლავე გაეთრიეთ აქედან, თორემ კინწისკვრით გაგაგდებთ.

ენრიკე გამეხებული ლაპარაკობდა, ფერწასული გარო ფეხზე წამოდგა. მერე ინჟინერს ორჯერ თავი დაუკრა და ჩვეული ტარზანისეული ნაბიჯებით აუჩქარებლად გაეშურა კარისკენ. მაგრამ ვიღრე გავიდოდა, ენრიკესკენ შეტრიალდა და ღიმილით, დამცინავი ტონითა და გამკვივანი ხმით უთხრა:

– გირჩევთ, რომ „დესტაპეს“ უახლოეს ნომერს გადახედოთ. გეფიცებით, ძალიან დაგაინტერესებთ.

კაცუნა ოთახიდან გავიდა თუ არა, კიკემ ლუსიანოს ოფისში დაურეკა.

– სისულელე ჩავიდინე, მეგობარო, – შეჰყვირა ყურმილში ენრიკემ ისე, რომ მისალმებაც დაავიწყდა. – იცი, ის ნაგავი გარო რისთვის მოვიდა ჩემთან? შემომთავაზა ასი ათასი დოლარი გავილო მისი ჟურნალის საქმიანობისთვის, რომ შემდგომში რაც შეიძლება მეტი პოლიტიკოსი, მეწარმე თუ სხვა ადამიანი დააშანტაჟოს. ჰო, კაბარეს მოცეკვავეები დამავიწყდა, ამჟამად ეგენი ჰყავს ამორჩემებული და დღის სინათლეზე გამოფენს მათ დაფარულ სიბინძურეებს. გული კინაღამ ამერია და თავის შეკავება ვეღარ შევძელი. ოფისიდან გავაგდე და ცემით დავემუქრე თუ კიდევ გაბედავს აქ მოსვლას. სისულელე ჩავიდინე არა, ლუსიანო?

– უარეს სისულელეს ახლა სჩადიხარ, კიკე. – ჩვეული სიმშვიდით მიუგო მეგობარმა. – თუ ეს საუბარი ისევ იწერება, უკეთესი იქნება ამაზე პირადად ვილაპარაკოთ, და არა ტელეფონით, მეგობარო.

მგონი გავიწყდება, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ.

– გარო დამემუქრა, რომ უურნალის შემდეგ ნომერს მე მომიძღვნის. – დასძინა კიკემ და იგრძნო, რომ ოფლში ცურავდა.

– ამაზე მერე ვილაპარაკოთ, პირადად. – სიტყვა გააწყვეტინა მეგობარს ლუსიანომ. – ვწუხვარ, მაგრამ უნდა გავთიშო.

ენრიკე მიხვდა, რომ ლუსიანომ ყურმილი დადო და ტელეფონი გაუთიშა.

ერთხანს თავის სამუშაო ოთახში იჯდა და არავითარი ხალისი არ ჰქონდა, სააგენტოს საქმეებისთვის გადაეხედა. საქმე კი ბლომად დაგროვილიყო. ლუსიანოს ეშინოდა, რომ, შესაძლო იყო, მათ საუბარს იწერდნენ. კი მაგრამ, ვის ან რისთვის სჭირდებოდა ეს? ნუთუ ცნობილ დოქტორს? მისი მხრიდან ეს გამორიცხული არ იყო. ლუსიანომ ენრიკეს მოუყვა, რომ თავის ორ ადვოკატთან ერთად დაზვერვის სამსახურის უფროსს შეხვდა. შეხვედრას „CONFIEP“-ის პრეზიდენტები და მაღაროელთა საზოგადოების წევრებიც ესწრებოდნენ. დოქტორს აშკარად ეტყობოდა, რომ აღშფოთებული იყო შანტაჟით და საზოგადოება დაარწმუნა, შანტაჟისტს ჭკუას ვასწავლიო. ამასთან, აღმოჩნდა, რომ დაზვერვის უფროსი შესანიშნავად იცნობდა როლანდო გაროს და აუცილებლად ათქმევინებდა, ვინ იყვნენ მისი თანამზრახველები, თუკი ისინი საერთოდ არსებობდნენ. ვითომ შეასრულებდა დოქტორი სიტყვას? ენრიკეს ყველაფრის იმედი გადაეწურა, რადგან უკვე დიდი ხანია, პერუში შეუძლებელი აღარაფერი იყო. კიკეს სადაცაა ორმოცი წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ მხოლოდ ახლა გააცნობიერა, რა ხდებოდა ქვეყანაში. მართალია, ოთხი წელი მასაჩუსეტში, კემბრიჯის „MIT“-ში გაატარა, მაგრამ მანამდეც და მერეც პერუში ცხოვრობდა. იმ ფოტოების ნახვის შემდეგ, მას თითქოს ყველაფერზე თვალი აეხილა, და ახლა ის ჯოჯოხეთი, „სენდერო ლუმინოსო“ ბომბების აფეთქებით, ხოლო „MRTA“ ადამიანების გატაცებით რომ აწყობდა, კიდევ უფრო საშინელი სახით წარ-

მოსდგა მის წინაშე. „აქამდე სად იყავი, კიკე?“ ეკითხებოდა იგი საკუთარ თავს. განა საბრალო კაჩიტო აგერ, უკვე რამდენიმე თვეა გატაცებული არ ჰყავდათ? კიკე მას ახლოს არ იცნობდა, მაგრამ აგარაკზე ჩოგბურთს ერთად თამაშობდნენ ხოლმე და მასზე ყოველთვის კარგი აზრისა იყო. სებასტიან სალდივარს მეგობრები კაჩიტოს ეძახდნენ. იგი თავის წარმოებას წარმატებით, თუმცა არც თუ დიდი ენთუზიაზმით ამუშავებდა. ცხოვრებაში დიდი ამბიციები არ ჰქონდა და კმაყოფილი იყო, ჩოგბურთს თუ ითამაშებდა და პასოს ჯიშინი ცხენების ცქერით დატკბებოდა, დროდადრო კი მაიამიში საყიდლებზე გაემგზავრებოდა; საბრალო! შემთხვევით სექსზეც არ ამბობდა უარს, თუმცა მთავარი მისთვის მაინც მშვიდი ძილი იყო. ახლა ენრიკემ არ იცოდა, თავად რა სატანჯველი ელოდა, და როგორ აპირებდნენ მასთან ანგარიშის გასწორებას. ნუთუ ის ნაძირალა სერიოზულად დაემუქრა? გაბედავს ფოტოების გამოქვეყნებას? მერე კიკემ ჟურნალის ყდაზე თავდახრილი დედა წარმოიდგინა და კანკალმა აიტანა. ვინ იცის, იქნება მან თავისი მუქარით უფრო დააჩქარა, რომ ის მატლი შეტევაზე გადმოსულიყო. როგორ მოიქცეს? უკან დაიხიოს? იმ ტიპს პატიება სთხოვოს და უთხრას, რომ მის საზიზღარ ჟურნალს ასი ათასი დოლარით დააფინანსებს?

10. „სამე ხუმარა“

ხუანმა თვალეზი გაახილა თუ არა, სასტუმრო „მოგოლიონის“ ოთახის ფანჯარაზე, სერაფინის სილუეტი დაინახა. ამ ერთადერთ ფანჯარას ხუანი ყოველთვის ღიას ტოვებდა, რათა კატას გარეთ გასვლა და უკან დაბრუნება ადვილად შეძლებოდა. „ოჰო, როგორც იქნა დაბრუნდი, შე უნამუსო?“ უთხრა მან სერაფინს და ხელეზი გაშალა; კატა მაშინვე ჩამოხტა ფანჯრის რაფიდან და პატრონის გვერდით, ლოგინზე მოკალათდა. ხუან პეინეტამ ცხოველს კეფა და მუცელი მოფხანა და ისიც სიამოვნებისგან გაიზმორა. „რამდენიმე დღე იყავი დაკარგული, შე წუწკო, შენა. ალბათ რა სიგიჟეები არ ჩაიდინე ამ დროს!“ უსაყვედურა მან კატას. სერაფინმა პატრონს დამნაშავე თვალეზით შეხედა, მერე კი მოიკუნტა. ნეტავ, პატიებას ხომ არ სთხოვდა ხუანს? „სერაფინ, დღეს ცოტა გვიან ვისაუზმებთ, კარგად ვერა ვარ და ცოტა ხანს ვერ ავდგები“.

ხუან პეინეტას მონაწილეობას „სამ ხუმარაში“ წარმატებას მივაწერდით თუ შეცდომას, იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ რა კუთხიდან შეხედავდა ამ საკითხს. წარმატება იმაში მდგომარეობდა, რომ

ამ სამუშაოში ხუანმა ბევრად მეტი ფული აიღო, ვიდრე ოდესმე. ხუანს და არანასიას იმხანად ცხოვრებისეული სიამოვნებები არ მოუკლიათ, კუსკოსა და მარუ-პიკჩუშიც იმოგზაურეს, პეინეტას პერუში ბევრად მეტი ადამიანი იცნობდა, ვიდრე იმ წლებში, როცა პოეზიას კითხულობდა. მისი ფოტო გაზეთში დაბეჭდეს, ქუჩაში ხალხი ესალმებოდა და ავტოგრაფს სთხოვდა. ხუანი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მის ცხოვრებაში ოდესმე ასეთი რამ მოხდებოდა. თუმცა მეორე მხრივ, ბედის ასეთ შემობრუნებას იგი ტრაგედიადა აღიქვამდა, რადგან უბედური ჯამბაზის როლში საკუთარი თავის ხილვა მაინცდამაინც კმაყოფილებას არ გვრიდა. ამ დროს ხუანს გამუდმებით თან სდევდა დანაშაულის გრძნობა და ფიქრობდა, რომ მან პოეზიას, ხელოვნებას და საკუთარ მოწოდებას უღალატა.

ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ გადაცემაში „სამი ხუმარა“ პოეზია თითქმის არ სჭირდებოდათ და თუ ხუანი რაღაც საბაბით ლექსის კითხვას იწყებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დანარჩენ ორ ხუმარას მისთვის სილა გაეწნა და პანლური ამოეკრა. ამის დანახვისას კი სტუდიაში დამსწრე მაყურებელი, მერე კი უამრავი ტელემაყურებელი სიცილით კვდებოდა. იყო დღეები, როცა ხუან პეინეტა გადაცემის დროს განსაკუთრებით ცუდად გრძნობდა თავს, როცა თავისი ღვთიური პოეზიის კითხვას იწყებდა და ამბობდა: „დაბრუნდებიან შავი მერცხლები“, ან „მიყვარხარ, მწვანე ფერო, მწვანე ქარო“, მას კი უეცრად ეუბნებოდნენ: „გაჩუმდი, გამოთაყვანებულო“, მერე ალიყურს უთავაზობდნენ და პანლურს ამოჰკრავდნენ, მას კი ამ დროს ყურში მაყურებლის სიცილ-ხარხარი ჩაესმოდა.

ხუანმა იოლად ისწავლა მასხარას ილეთები. სუსტად დარტყმილი ალიყურის დროს შეეძლო ძლიერი დარტყმის შთაბეჭდილება შეექმნა, იატაკზე დავარდნილიყო, მოკრუნჩხულიყო, პირი ფართოდ გაეღო და მჭექარე ხმით ეხარხარა, ბავშვივით ებლუქუნა და თუ ამას სცენარი მოითხოვდა, ხანდახან ნამდვილად ეტირა კიდეც. პეინეტამ ამ ყველაფერს ალლო აულო და ძალ-ღონეს არ იშურებდა,

რომ თავისი როლი კარგად შეესრულებინა. მაგრამ „სამ ხუმარაში“ ვერა და ვერ შეეგუა სცენას, როდესაც იგი მოულოდნელად, ომანინად წარმოთქვამდა: „ამ ღამით შემიძლია ყველაზე ნაღვლიანი ლექსები ვწერო.“, ამ დროს მისი პარტნიორები ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოსდა მისი ასეთი საქციელი ყელში ჰქონდათ ამოსული, სილას უთავაზებდნენ, პანლურს ამოჰკრავენ და იატაკზე ანარცხებდნენ ხოლმე. ის ვერ ეგუებოდა იმ აზრსაც, რომ ისინი თაღლითური ილეთებით ძალადობდნენ იმ გრძნობებზე, რომელიც მას შინაგანად ალამაზებდა და ბედნიერს ხდიდა.

ხუანმა ვერ შეძლო „სამი ხუმარას“ პარტნიორებთან დამეგობრება. ის ორნი მის აზრებს არ იზიარებდნენ და ერთთავად ტიბურსიოს ხსენებაში იყვნენ. ხუანს შეურაცხყოფას იმითაც აყენებდნენ, რომ ეუბნებოდნენ, ვერასოდეს იქნები ისეთი კარგი კომიკოსი და მეგობარი, როგორც ტიბურსიო იყო. ამას ხანდახან ხუანიც აღიარებდა, რადგან ხვდებოდა, რომ მისი ბუნებისა და ხასიათის კაცი ამ ორი ადამიანის სიმპათიასა და მეგობრობას ვერ დაიმსახურებდა. სინამდვილეში მას სძულდა უკულტურო და უზრდელი ადამიანები, რომელთაც ხელოვნების ფასი არ იცოდნენ და პატივს არ სცემდნენ იმ საქმეს, რომლის წყალობითაც ლუკმაპურს შოულობდნენ. ელოი კაბრა „სამ ხუმარაში“ გამოჩენამდე პროვინციული ცირკის მასხარა იყო და მხოლოდ იმისთვის მუშაობდა, რომ ელოთა, ბერბიჭას ცხოვრებით ეცხოვრა და ეტრაბახა, ახალგაზრდა გოგონები ჩემზე გიჟდებოდნენ და უფასოდ მემსახურებოდნენ, რომ ლიმაში ჩამოსასვლელად ფული მომეგროვებინა და ცნობილი ადამიანი გავმხდარიყავიო. მეორე ხუმარა, გიტარისტი ხულიო სერესი კრეოლური მუსიკის შემსრულებელი იყო და „ამერიკა ტელევიზიონის“ „იმიტატორთა კონკურსში“ გამარჯვებაც ჰქონდა მოპოვებული. ხულიომ რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჩაბუკა გრანდას და ჰოლივუდის ორი ვარსკვლავის იმიტაციის შემდეგ, ორი ათასი სოლი ჩაიჯიბა. იგი ელოი კაბრასავით ველური და პრიმიტიული ადამიანი არ იყო, მაგრამ მიუხედავად

იმისა, რომ კაბრაზე განათლებული ეთქმოდა, მაინც დიდი სიძულვილით იყო განმსჭვალული ხუან პეინეტას შემოქმედების მიმართ. პოეზიის დეკლამაციას იგი ქალებისა და პედერასტების საქმედ მიიჩნევდა და გადაცემის ჩაწერის დროს, სცენარის ტექსტში ხუანის მისამართით საკუთარ სალანძღავ სიტყვებს ამატებდა ხოლმე.

არც სცენარისტს ეხატებოდა დიდად გულზე ხუან პეინეტა. ამ ბატონს კოროჩანო ერქვა, მაგრამ ტელევიზიაში ყველა მანესტროს ეძახდა, ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის ჰალსტუხი ან პეპელა ეკეთა. მანესტრო სხვადასხვა ფსევდონიმით ბევრი გადაცემისთვის წერდა სცენარებს. ჰქონდა პატარა ოფისი, რომელსაც წმინდა ტაძარს ეძახდნენ, რადგან იქ შესვლა სახელგანთქმული სცენარისტის ნებართვის გარეშე, ყველას ეკრძალებოდა. საინტერესოა, ასეთ კაცს, მუდამ კარგად რომ ეცვა, ყველასთან თავაზიანი იყო და კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რატომ ჰქონდა ასეთი უგემოვნო, უბადრუკი, თავხედური და დაბალი დონის, უხამსი სცენარები? ამის პასუხად კი იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ეს სცენარები მაყურებელს მოსწონდა: მაგალითად, „სამი ხუმარას“ რეიტინგმა ყველა რეკორდი მოხსნა, რადგან გამოკითხვამ ცხადყო, რომ ეს გადაცემა, დღიდან მისი შექმნისა, ყველაზე პოპულარული იყო.

მიუხედავად უკმაყოფილებისა, რატომ არ თქვა უარი ხუანმა „სამ ხუმარაში“ მონაწილეობაზე და რატომ არ განაგრძო ის საქმე, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა? პრაქტიკული მოსაზრებების გამო. თავიდან ათი ათას სოლს იღებდა, მოგვიანებით ხელფასი ჯერ თორმეტი ათასამდე, შემდეგ კი ორმოცი ათასამდე გაუზარდეს. ამ ფულით მას და ატანასიას შეეძლოთ ტანსაცმელი ეყიდათ, კინოში და რესტორანში ევლოთ და მაიამიში სამოგზაუროდაც კი გადაედოთ. ამაზე ატანასია ყოველთვის ოცნებობდა. ქალისთვის შვილის ყოლაც დიდი ოცნება იყო, მაგრამ ამ უკანასკნელს ასრულება არ ეწერა. ექიმებმა ცოლ-ქმარს უთხრეს, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ატანასიას რეპროდუქციული ორგანოები ჰქონდა დაავადებული, რაც

ხელს უშლიდა ოგულაციას. მიუხედავად უიმედო დიაგნოზისა, ქალი ჯიუტად განაგრძობდა მკურნალობას, რაც საკმაოდ ძვირი დაუჯდათ, თუმცა მისმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

ხუანმა ეს ამბავი ძალიან განიცადა და ამის შემდეგ მისთვის „სამ ხუმარაში“ მონაწილეობა განსაკუთრებით აუტანელი გახდა. გამუდმებით ენატრებოდა ის ბედნიერი დრო, პოეზიის საღამოებზე რომ გამოდიოდა. ხანდახან ლექსებს სარკის წინ კითხულობდა და ბევრი მათგანი, მათ შორის კამპომორის ლექსი „– წერილი დამიწერეთ, სენიორ მოძღვარო, უკვე ვიცი ვისთვის არის ის განკუთვნილი“, ზეპირად იცოდა. ხუანი ლექსებს ცოლს უკითხავდა და გული სევდით ეკუმშებოდა, როცა ფიქრობდა, რომ დაკნინდა როგორც არტისტი, რადგან პოეზიის დეკლამატორიდან კომიკოს მსახიობად გადაიქცა.

რაკი წარსულს ვერ ივიწყებდა, პეინეტა, წესით, კმაყოფილი უნდა ყოფილიყო იმ კამპანიით, რომელიც „ულტიმა ორაში“ არავინ იცის, რატომ ან რისთვის, ააგორეს მის წინააღმდეგ, მერე კი რამდენიმე თვის შფოთისა და ნერვიულობის შემდეგ, ტელევიზიაში მისთვის მასხარას კარიერაც დასრულდა. მართალია, მას შემდეგ დიდი დრო გასულიყო, მაგრამ ამ კამპანიის ამბავს ხუანი მაინც ვერ ივიწყებდა, თუმცა მეხსიერება ხშირად ღალატობდა და მომხდარი ბუნდოვნად ახსოვდა; ხანდახან კი ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მისი ტვინი სინამდვილეს არასწორად აღიქვამდა.

ნათქვამია, უბედურებას უბედურება მოსდევსო და ხუან პეინეტა ამაში საკუთარ თავზე დარწმუნდა. „ულტიმა ორას“ მხრიდან შეტევები რომ წამოვიდა, ატანასიას სწორედ იმ დროს დაეწყო თავის ტკივილები. პირველ ხანებში ქალს წამლები თითქოს უყურებდა ტკივილს, მაგრამ ბოლოს ესეც აღარ შველოდა, და ცოლ-ქმარი იძულებული გახდა ექიმისთვის მიემართა. ორიოდე საათის ლოდინის შემდეგ, ექიმმა ატანასია ყურადღებით გასინჯა, მერე დაასკვნა, რომ თავის ტკივილი მხედველობის დაქვეითებით იყო გამოწვეული

და ავადმყოფი ოკულისტთან გააგზავნა. მართლაც, ატანასიას შორ-სმხედველის სათვალე დაუნიშნეს და ამან თავისტიკვილები თითქოს შეუმცირა.

„ულტიმა ორას“ თავდასხმები როგორ დაიწყო, ეს ხუან პეინეტას ბუნდოვნად ახსოვდა. ერთხელ მას ვიდაცამ უთხრა, რომ როლანდო გაროს რედაქტორის სვეტში, რომელსაც რადიოსა და ტელევიზიის ყველა წარმომადგენელი ერთგულად კითხულობდა, ეწერა: „ამერიკა ტელევიზიონში“ გადაცემამ „სამი ხუმარა“ პოპულარობა დაკარგა, რაც ტიბურსიო გარდაიცვალა და იგი პოეზიის თეატრალურმა დეკლამატორმა ხუან პეინეტამ შეცვალაო“. გარო აკრიტიკებდა პეინეტას და ამბობდა, რომ მისი ხუმრობები მოსაწყენი იყო, თანაც იგი არადამაჯერებლად რეაგირებდა იმ ალიყურებზეც, რომელსაც მისი პარტნიორები უთავაზებდნენ ხოლმე, როცა მას როლის მიხედვით ლექსის თქმის საღერღელი ავშლებოდა.

თავად ხუანს არასოდეს უნახავს პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, სადაც ეს ჟურნალისტი მის საქმიანობას აკრიტიკებდა. ერთ დღესაც, გადაცემის ჩაწერის შემდეგ, მას ელოი კაბრამ უთხრა, ამ თავდასხმებს ვერც ჩვენ გადავურჩებით და რეიტინგი დაგვივარდება, ამიტომ რამე უნდა იღონო, რომ ეს ამბავი დამთავრდესო. მაშინ ხუანმა ელოი კაბრას ჰკითხა, როგორ შეიძლება ამ ჟურნალისტის დაშოშმინებაო?

– როგორ და, სენიორ გარო უნდა მოინახულო და კარგი საჩუქარი მიართვა. – უჩურჩულა ელოი კაბრამ ხუანს და თვალი ჩაუკრა.

– დალახვროს ეშმაკმა! ასე გვარდება საქმეები? – გაოცდა ხუანი.

– აბეზარ ჟურნალისტებთან სწორედ ასე გვარდება. – დააზუსტა ელოი კაბრამ. – ამ საქმეს რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მიხედო. მაგ გაროს დიდი გავლენა აქვს და შეუძლია რეიტინგი დაგვიგდოს. ამას კი ვერც გადაცემის პროდიუსერი, ვერც არხი და ვერც ჩვენ ვერ დავუშვებთ. ბოლოს და ბოლოს შეიგნე ეს, მეგობარო!

ელოი კაბრას მუქარანარევმა რჩევამ ხუანი ისე გააღიზიანა, რომ

გაროსთვის საჩუქრის მირთმევაზე არც კი უფიქრია და პირდაპირ გაზეთ „ულტიმა ორას“ გაუგზავნა წერილი, რომელშიც იგი როლანდო გაროს უსაფუძვლო და უსამართლო თავდასხმებს უჩიოდა და თავს მსხვერპლად აცხადებდა. ამასთან ხუანმა გაზეთის რედაქტორი გააფრთხილა, რომ თუ მის წინააღმდეგ აგორებული კამპანია არ შეწყდება, იგი სასამართლოს მიმართავდა.

მოგვიანებით პეინეტამ აღიარა, რომ წინდაუხედაობა გამოიჩინა და მარტოდმარტო გადაეშვა გავარვარებულ ლავაში, რომელმაც მისი კარიერა შთანთქა. დიახ, მის კარიერას ამიერიდან ნამდვილად კარგი არაფერი ელოდა, რადგან როლანდო გარომ მასზე თავდასხმები გააძლიერა, ოღონდ ახლა უკვე არა მხოლოდ „ულტიმა ორას“ საშუალებით, არამედ იმ სპეციალური პროგრამით, „რადიო კოლონიალში“ თავად რომ უძღვებოდა. გადაცემაში ჟურნალისტი ხუანს „ფსევდომსახიობად“ და პერუს ტელევიზიაში ყველაზე უნიჭო კომიკოსად მოიხსენიებდა; თან აღნიშნავდა, „ტელემეყურებლის გარეშე დარჩა და დახურვა ემუქრება ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ გადაცემას „სამ ხუმარას“, მას შემდეგ, რაც უგერგილო ხუან პეინეტამ აწ გარდაცვლილი, ნიჭიერი ტიბურსიო ლანსა შეცვალა“.

სწორედ ამ დროს ატანასიას თავში სიმსივნე აღმოაჩნდა და, როგორც გაირკვა, მისი თავისტკივილების ნამდვილი მიზეზი სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. ერთ დღეს ქალს მეტყველების უნარი წაერთვა. სასოწარკვეთილი პირს აღებდა, მაგრამ სიტყვების ნაცვლად, ხრიალი ამოსდიოდა. ატანასია თერაპევტიმ გასინჯა და იგი ნეიროქირურგთან გააგზავნა, რომელმაც ივარაუდა, რომ ქალს თავში სიმსივნე ჰქონდა. მაგრამ ავადმყოფობის გამოკვლევა მაგნიტური რეზონანსის საშუალებით შეიძლებოდა და ეს პროცედურა სოციალური დაზღვევით რომ ჩაეტარებინათ, ატანასიას რამდენიმე კვირა, ან, შესაძლოა, თვე, ლოდინი დასჭირებოდა; ამიტომ ხუანმა იგი კერძო კლინიკაში დააწვინა. ავადმყოფს გამოკვლევა ჩაუტარეს, სიმსივნის

ვარაუდი დადასტურდა. ნეიროქირურგმა ხუანს უთხრა, რომ აუცილებელი იყო ოპერაცია, მაგრამ მანამდე, ატანასიას პროფილაქტიკისთვის, ქიმიოთერაპიის კურსი უნდა ჩაეტარებინა. ხუანს ეს პერიოდი კომარტული სიზმარივით ახსენდებოდა, რადგან ყოველი პროცედურის შემდეგ მისი ცოლი თავს ისე სუსტად გრძნობდა, რომ მოძრაობა აღარ შეეძლო. ქალს მეტყველების უნარი აღარ დაბრუნებია და სულ მალე ლოგინიდანაც ვეღარ დგებოდა. ნეიროქირურგმა ხუანს უთხრა, რომ ავადმყოფისთვის ქირურგიული ჩარევა სარისკო იყო და დაეცადათ, ვიდრე უკეთესობა დაეტყობოდა.

სწორედ იმ დღეებში ხუანს სენიორ ფერერომ „ამერიკან ტელევიზიონის“ მახლობლად კაფეში, შეხვედრა მეორედ დაუნიშნა. შეხვედრისას კი ოქროს ბეჭდებით და მოდური საათით შემკულმა ბატონმა პეინეტას ჩვეული უხეში ტონით აცნობა, რომ მას გადაცემა უნდა დაეტოვებინა, რადგან გადაცემის რეიტინგი ეცემოდა და მყურებელთა გამოკითხვაც ეჭვს აღარ იწვევდა. ხუანს საზოგადოების კეთილგანწყობა დაეკარგა და პარტნიორებისთვის ზედმეტ ბარგად ქცეულიყო. პეინეტა შეეცადა ფერეროსთვის აეხსნა, ეს ყველაფერი სენიორ გაროს მიერ ჩემ წინააღმდეგ აგორებული კამპანიის შედეგიაო, მაგრამ ფერერო ძალიან დაკავებული იყო და ხუანისთანა უბადრუკ ადამიანებთან ლაყბობის დრო არ ჰქონდა. ამიტომ მან პეინეტას პირდაპირ გასასვლელ კარზე მიუთითა და დასალუპავად გაწირა. ტელეარხმა კი განაცხადა, რომ დაზარალებულს მორალურად გაამხნევებდა და დამატებით თანხას გადაუხდიდა.

ექვსი თვის შემდეგ ატანასია ისე გარდაიცვალა, რომ ოპერაცია ვერ გაუკეთეს, პოეზიის დეკლამატორი და კომიკოსი ხუანი კი უმუშევარი დარჩა. ამ ამბების შემდეგ საბრალოს მუდმივი სამუშაო აღარც ჰქონია და აქა-იქ წყალობასავით გაღებულ ფეხის ქირას სჯერდებოდა. ყველა მეგობარი თითქოს მის მეხსიერებასთან ერთად საღვალად გაუჩინარებულიყო და ორი მეგობრის, რულეტეროს და კრე-

სილდას ამარა დარჩენილი ხუანი, მათ ხშირად ეუბნებოდა, რომ ყველა მისი უბედურების თავი და თავი ის ბოზისშვილი როლანდო გარო იყო, რომელიც პირადად არასოდეს ენახა. – ამის შემდეგ პეინეტა, მთელი არსებით, შურისძიების სურვილმა შეიპყრო და, გადაწყვიტა სიცოცხლე გაემწარებინა ადამიანისთვის, რომელიც მისი უბედურებების მიზეზი გახდა. მერე ამაზე ფიქრი ისე აეკვიატა, რომ გაროს ყველა გადაცემას უსმენდა, მის ყველა სტატიას კითხულობდა, რათა იგი კომპეტენტურად გაეკრიტიკებინა და ემხილებინა. ხუანი წერილებს საკუთარი გვართ, რადიოს და ჟურნალ-გაზეთების მეპატრონეებსა და რედაქტორებს სწერდა და გაროს ცილისწამებაში, უსამართლობასა და სხვადასხვა ბოროტებაში ადანაშაულებდა, რომელთაგანაც ზოგი რამ სიმართლე, ზოგიც მისი წარმოსახვის ნაყოფი იყო. ბოლოს კი ჟურნალისტს ისეთი შურისძიებით ემუქრებოდა, რომლის განხორციელების თავი არ ჰქონდა. მერედა, ამ წერილებმა რაიმე უარყოფითი გავლენა იქონიეს როლანდო გაროს პროფესიულ ცხოვრებაზე? როგორც ჩანს, არავითარი. ამ ტიპმა პოპულარობას უხამსი ჭორების გავრცელებითა და თავისი ამორალური ქმედებებით მიაღწია, მისი მკითხველები და მსმენელები კი საშუალო ფენის ადამიანები იყვნენ, რომელთა ინტერესს ძირითადად ასეთი ტიპის პრესა და გადაცემები იწვევდა. ერთხელ ხუან პეინეტამ პროტესტის ექსტრემალურ ზომასაც კი მიმართა და „ამერიკა ტელევიზიონის“ შენობის წინ, ტრანსპარანტით ხელში, მარტოდმარტო გამოვიდა. პლაკატის ტექსტი კი იუწყებოდა, რომ მისი ცოლის სიკვდილის და მისი უმუშევრად დარჩენის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ როლანდო გარო იყო. ტელეარხის დაცვამ ხუანი იქიდან კინწისკვრით გააგდო. ყველას დავიწყნოდა მისი წარმატებები და ახლა პოეზიის ყოფილ დეკლამატორს აგდებულად როლანდო გაროს უბადრუკ მტრად და წერილების წერით შეპყრობილ მანიაკად მოიხსენიებდნენ.

11. სკანდალი

როგორც ეს ჩვეულებრივ, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ხდებოდა, ჩაბელამ იმ დილითაც ჯერ მალვიძარა გამორთო, მთქნარებით ადგა და სააბაზანოში კბილების გასახეხად და პირის დასაბანად შევიდა. მერე საძინებელს მიაშურა, რომ შვილები გაეღვიძებინა და კოლეჯში წასასვლელად მოემზადებინა. გოგონები წინა ღამით გვიანობამდე მეცადინეობდნენ, ამიტომ ახლა დედას ჩვეულებრივზე მეტი ძალისხმევა დასჭირდა მათ გასალვიძებლად. როცა ჩაბელა შვილებთან ერთად პირველ სართულზე ჩავიდა, მზარეული და მოახლე ნიკასია საუზმეს ამზადებდნენ. უკვე დაბანილი და პირგაპარსული ლუსიანო მოგვიანებით შეუერთდა ცოლ-შვილს. გაპრიალებული ფეხსაცმელი ეცვა და უკვე მზად იყო ოფისში წასასვლელად, თუმცა მანამდე გოგონები ავტობუსამდე უნდა მიეცილებინა, რომელიც მათ ფრანკლინ დელანო რუზველტის კოლეჯში წაიყვანდა. ავტობუსი „ლა რინკონადას“ დიდი სახლის კარიბჭესთან ჩერდებოდა. სახლი ბალში იდგა, სადაც ინდური ფიკუსები, ჩრდილოამერიკული სეკვოიები და შინუსის ხეებიც იზრდებოდა, აუზის შორენკეცი კი

მზეზე ბრწყინავდა. ხალათჩაცმული ჩაბელა სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან ადევნებდა თვალს, რომ ბავშვები ავტობუსში ასულიყვნენ; პუნქტუალური მძღოლი ყოველ დილით, რვის ნახევარზე აჩერებდა ავტობუსს კარიბჭესთან. შვილების გასტუმრების შემდეგ, ლუსიანო სახლში ბრუნდებოდა, რომ ჩანთა აეღო და ცოლს დამშვიდობებოდა. ჩვეულებისამებრ იგი დღესაც მოღურად იყო ჩაცმული.

– სალამობით კინოში რატომ აღარ დავდივართ? – ჰკითხა ქმარს ჩაბელამ და ლოყაზე ხელი მოუთათუნა. – წლებია, რაც დიდ ეკრანზე ფილმი აღარ გვინახავს, ლუსიანო. ფილმის ნახვა კინოსა და ტელევიზორში, სულ სხვადასხვა რამ არის! მოდი, „Larcomar“-ში წავიდეთ, სიმპათიური კინოთეატრია.

– მინდა პატარა კინოთეატრი ბაღში მოვაწყო, – მიუგო ლუსიანომ. – საკუთარი ფილმოთეკა გვექნება და ფილმებს სახლში ვუყურებთ ხოლმე.

– მაგას უკვე იმდენი ხანია მპირდები, რომ უკვე აღარ მჯერა. – მთქნარებით უთხრა ჩაბელამ ქმარს.

– გეფიცები, დანაპირებს ზაფხულისთვის აუცილებლად შევასრულებ. – უთხრა ლუსიანომ ცოლს და კარისკენ გაეშურა. – შევეცდები დღეს აღრე გავთავისუფლდე, თუმცა ვერ დაგპირდები. შენ კი რამე კარგი ფილმი მაინც მოძებნე. აუცილებლად დაგირეკავ. კარგად, საყვარელო!

ჩაბელამ ფანჯრიდან დაინახა, როგორ გამოიყვანა ლუსიანომ მანქანა სადგომიდან, მერე ცოლს დასამშვიდობებლად ხელი დაუქნია და წავიდა. მოღუშული და დორბლიანი დღე იყო, ტყვიისფერ ღრუბლებს ცა ერთიანად დაეფარა და ამის შემყურე ადამიანს ცუდი წინათგრძნობა უჩნდებოდა. ჩაბელამ ნაღვლიანად გაიფიქრა, რომ ზაფხულამდე ჯერ ძალიან შორი იყო და უეცრად „ლა კიპაში“ პლაჟთან ახლოს პატარა სახლი, ზღვაში ბანაობა და ქვიშაში სეირნობა მოენატრა. ჩაბელას ცუდად ეძინა, ამიტომ მოთენთილი იყო და ცო-

ტა ხანს აუზში ჩასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და დაწოლა ამჯობინა. საძინებელში ავიდა, ხალათი გაიხადა, დაწვა და საბანში გაეხვია. ათ საათზე სპორტულ დარბაზში პილატესის და იოგას ვარჯიშებზე უნდა მისულიყო და დრო ჰქონდა, რომ ცოტა ხანს თვალი მოეხუჭა. ოთახში ფარდები ჩამოფარებული იყო და მთელ სახლში ბინდბუნდი და სიჩუმე ჩამოწოლილიყო.

ჩაბელამ გაიხსენა, რომ მან და მარისამ ორი დღის წინ „მირაფლორესში“ დიდებულად ისაძილეს, მერე კი სან ისიდროზე, მარისას პენტჰაუსის საძინებელში შეიკეტნენ და ასეთივე „დიდებულ“ სიყვარულს მიეცნენ. ჩაბელამ იმ ღამით ქმართანაც დაიოკა უჩინი. „რა გაუმაძღრობაა, ჩაბელიტა“, ჩაეცინა ძილბურანში მყოფს. ქალს საწუწუნო ნამდვილად არაფერი ჰქონდა, მის ცხოვრებაში ყველაფერი კარგად მიდიოდა და უახლოეს მეგობართან ახალი ურთიერთობაც მშვენივრად ააწყო. ამიტომ ქვეყანაში ტერორისტების თარეში და ადამიანების გატაცებები რომ არა, ჩაბელას თავდაჯერებით შეეძლო ეთქვა, რომ ლიმაში ნამდვილად გადასარევი ცხოვრება ჰქონდა. მარისას ადრინდელივით ხვდებოდა, მაგრამ ახლა მათ საიდუმლოც აკავშირებდათ. ჩაბელას გული სტკიოდა, რომ ბოლო ხანს კიკეს მდგომარეობის გამო მისი მეგობარი ძალიან დაძაბული იყო და ვერ გაეგო, მაინც რა აწუხებდა მის ქმარს ისეთი, რომ საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. განა არ აჯობებდა, რომ ცოლისთვის ყველაფერი მოეყოლა?! მარისამ ენრიკე „კლინიკა სან ფელიპეში“, ექიმ სალდანიასთან მიიყვანა, მაგრამ ექიმმა მას სერიოზული ვერაფერი აღმოუჩინა და მხოლოდ სუსტი, საძილე აბები დაუნიშნა. იმის გაფიქრებაც კი სისულელე იყო, რომ კიკეს საყვარელი ჰყავდა. როგორც მარისა ამბობდა, – ჩემი ქმარი წმინდანად არის დაბადებული, ამიტომ ჩემი დამი ერთგულება დიდ დამსახურებად არ ჩაეთვლებაო. „ლუსიანოც არაფერს ამბობს. ალბათ იმქვეყნად ენრიკეც და ლუსიანოც უცოდველები წარსდგებიანო, ფიქრობდა ჩაბელა.

ქალს ცოტა ხანში ჩაეძინა და რომ გამოეღვიძა, უკვე ათის თხუთმეტი წუთი შესრულებულიყო. პილატესისა და იოგას ვარჯიშებზე წასვლამდე დრო ჯერ კიდევ ჰქონდა. მერე ის-ის იყო, სავარჯიშო ტანსაცმელს იცვამდა, რომ მოახლე ნიკასიამ უთხრა, სენიორა კეტი სასწრაფო საქმეზე გირეკავთო. „ოჰ, ეს აბეზარი ქალი ახლა ტვინს შემეძამსო“, ერთი კი გაიფიქრა ჩაბელამ, მაგრამ მოახლემ „სასწრაფო საქმე“ რაკი ახსენა, ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და ყურმილი აიღო.

– გამარჯობა კეტი, ძვირფასო. – უდარდელად მიესალმა მას. – რა მოხდა? კეტი, გაფრთხილებ, ძალიან მეჩქარება, არ მინდა იოგას და პილატესის ვარჯიშებზე დავაგვიანო.

– „დესტაპესის“ ახალი ნომერი ნახე, ჩაბელიტა? – სასოწარკვეთილი ხმით ჰკითხა კეტიმ.

– „დესტაპესი“? ეგ რაღაა? – გაოცდა ჩაბელა.

– ჟურნალია. – მიუგო კეტიმ უკვე შეშინებული ხმით. – არ დაიჯერებ, ჩაბელა. ახლავე გააგზავნე მოახლე და ეგ ჟურნალი აყიდინე. გეფიცები, ცუდად გახდები.

– კეტი, მორჩი მაგ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს! – შეუტია უკვე აფორიაქებულმა ჩაბელამ. – რა მოხდა აღარ იტყვი? რა არის მაგ ჟურნალში?

– ამის თქმაც კი მიჭირს. საქმე კიკეს, დიახ, ენრიკეს ეხება. გეფიცები, დაუჯერებელი ამბავია. ვიცი, რომ მისი ცოლი მარისა შენი მეგობარია და საბრალოს ნამდვილად თანაფუგრძნობ. რა თავის მოჭრაა, ჩაბელა! მსგავსი სირცხვილი არასოდეს მიგრძნია. წარმოუდგენელი სიბინძურეა, თავად ნახავ!

– გინდა მითხრა, რომ ჟურნალში რაღაც უხამსობა ნახე? – გააწყვეტინა კეტის სიტყვა გაცოფებულმა ჩაბელამ. – ძალიან გთხოვ, კეტი, მორჩი გამოცანებით ლაპარაკს!

– ვერაფერს გეტყვი, უმჯობესია, საკუთარი თვალით ნახო და

ლანძღვას და ვიშვიშს ნუ დაიწყებ, ისედაც ყურები მიზუის, – და-
იჩივლა კეტიმ. – სირცხვილი და შიში ერთდროულად მიპყრობს. ეს
ხომ საშინელებაა, ჩაბელა! ლიმაში სხვაზე აღარაფერზე ლაპარაკო-
ბენ. მეგობრებმა დამირეკეს, გაგიჟებული არიან. ჟურნალი ახლავე
მოატანიე ვინმეს! „დესტაპესი“, დიან, ასე ჰქვია მაგ ჟურნალს.
დღემდე მისი არსებობის შესახებ მეც არაფერი ვიცოდი.

კეტიმ ტელეფონი გათიშა, გაოგნებულმა ჩაბელამ კი მარისას მო-
ბილურის ნომრის აკრეფა დაიწყო, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა; ამ-
ჯობინა, ჯერ თავად გარკვეულიყო ყველაფერში. მერე მძლოლს და-
ურეკა და სთხოვა მისთვის ჟურნალი „დესტაპესი“ ეყიდა. სავარჯი-
შოდ წასვლა დააპირა, მაგრამ რაკი მძლოლი აგვიანებდა, გადაიფიქ-
რა. მერე გამბედაობა მოიკრიბა და მარისასთან დაკავშირება სცადა.
ათჯერ მაინც დარეკა, მაგრამ ტელეფონი სულ დაკავებული იყო; ბო-
ლოს და ბოლოს მძლოლი დაბრუნდა და ჟურნალი მოიტანა. გაოცე-
ბული იყო, ირონიულად იღიმებოდა და ამის დამალვას არც ცდი-
ლობდა. ჟურნალის ყდაზე გამოსახულ დიდ ფოტოზე ჩაბელამ მაშინ-
ვე იცნო კიკე. ღმერთო დიდებულო! ეს ხომ შეუძლებელი იყო! რა
თქმა უნდა, ეს კიკე იყო, მთლად შიშველი, დედიშობილა! ჩაბელა
თვალეებს არ უჯერებდა, სახე უხურდა, და ხელები უკანკალებდა. –
ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ჩაბელას თითქოს რეალობის შეგ-
რძნება დაეკარგა, გაშტერებული იყურებოდა და ვერ ბედავდა ტექ-
სტის წაკითხვას, რომელიც ფოტოს თან ახლდა. ცოტა ხანში ოთახში
ნიკასია შევიდა და ჩაბელას უთხრა, სენიორა მარისა ტელეფონთან
გთხოვთო. საბრალო მარისა ძლივს ლაპარაკობდა.

– ხედავ, რა ხდება, ჩაბელა? – ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაისმა ყურმილ-
ში მისი სლუკუნის.

– დამშვიდდი, ძვირფასო. – უთხრა მეგობარს ჩაბელამ, რომელიც
აღელვებისგან თავად ლუღლუღით ლაპარაკობდა. – გინდა მოვიდე
შენთან? მარისა, სახლიდან უნდა წახვიდე, თორემ ჟურნალისტები
ჭკუიდან შეგშლიან. ახლავე წამოვალ! გაიგე, რა გითხარი?

– ჰო, გავიგე, ძალიან გთხოვ, ჩქარა მოდი. – ზმუოდა ტელეფონში მარისა. – არ შემიძლია ამის დაჯერება. მართალი ხარ, ამ სახლიდან უნდა გავაღწიო. სატელეფონო ზარებს სიგიჟემდე მივყავარ.

– ახლავე გამოვდივარ. ტელეფონს არ უპასუხო და კარიც არავის გაუღო. ჟურნალისტები უკვე სახლთან იქნებიან.

ჩაბელამ ყურმილი დადო. წყლის გადავლება უნდოდა, მაგრამ ადგომის თავი არ ჰქონდა. მერე დაბნეულმა ჟურნალი გადაფურცლა. არ უნდოდა იმის დაჯერება და გაცნობიერება, რასაც ახლა ხედავდა. ხომ შეიძლებოდა, ეს ფოტომონტაჟი ყოფილიყო? დიახ, ნამდვილად ასე იყო. ბოლო ხანს ალბათ ამიტომ იყო საბრალო კიკე ასე გაღიზიანებული, თუმცა საბრალო კი არა, ბრიყვი ყოფილა, თუ ეს ფოტოები ნამდვილი გამოდგა. რა სკანდალი და ჭორები დაატყდება ახლა თავს საბრალო მარისას! „ეს ჟურნალი აქედან რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვიშორო“, გაიფიქრა ჩაბელამ და „დესტაპესი“ იატაკზე მოისროლა, სააბაზანოში შევარდა, წყალი გადაივლო, საჩქაროდ ჩაიცვა და თავზე თავსაბურავი ჩალმასავით შემოიხვია. მერე მანქანაში ჩაჯდა და მარისასთან წავიდა. სან ისიდრომდე მისასვლელად ნახევარ საათზე მეტი დასჭირდა, რადგან იმ საათებში ხავიერ პრადოს და სანხონოს გამზირებზე საშინლად გადატვირთული მოძრაობა იყო. საბრალო მარისა! ღმერთო, დაუჯერებელია! საბრალო კიკე ამდენი ხანი ნამდვილად ამის გამო იყო ასე უგუნებოდ. ან იყო კი საბრალო? ხომ აღმოჩნდა რა ჩუმჩუმელა და ნაძირალა ყოფილა! ჰო, ასეა, და, მარისაც ლაფში ამოსვარა!

მარისას და კიკეს სახლს რომ მიუახლოვდა, გოლფის კლუბის მხრიდან შენობის შესასვლელთან ადამიანების ჯგუფი დაინახა. ფოტოაპარატებითა და კამერებით შეიარაღებული ჟურნალისტები უკვე მისულიყვნენ. ჩაბელამ მათ მანქანით ჩაუქროლა, კუთხეში შეუხვია და იქ გადმოვიდა. სადარბაზომდე ფეხით მივიდა და შეჯგუფებულ ხალხს სთხოვა მისთვის გზა დაეთმო. „კარდენასების სტუმარი

ხართ, სენიორა?" ჰკითხა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა. ჩაბელა არ გაჩერებულა და უარის ნიშნად მხოლოდ თავი გააქნია. კარისკაცმა მას გზა გადაუღობა, მაგრამ მალევე იცნო და გაატარა. ლიფტი ცარიელი იყო და ჩაბელამ პენტჰაუსამდე მარტომ იმგზავრა. კარი მოახლე კინტანილიამ გაუღო და შეწუხებულმა მარისას საძინებელზე ანიშნა.

ჩაბელა შევიდა და დაინახა, რომ მარისა ფანჯარასთან იდგა და ქუჩას გასცქეროდა. როცა მიხვდა, რომ ოთახში ვიღაც შევიდა, მოტრიალდა და მეგობარს ზღუქუნით ჩაეხუტა. ჩაბელამ იგრძნო, როგორ უცახცახებდა მთელი სხეული მარისას, ცრემლები კი ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა. – დამშვიდდი, ძვირფასო, – უჩურჩულა ჩაბელამ მეგობარს ყურში. – ყველაფერში დაგეხმარები და მხარში ამოგიდგები, უნდა გამაგრდე, მარისიტა, მომიყევი, რა მოხდა, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო.

ბოლოს და ბოლოს მარისა ცოტათი დამშვიდდა. ჩაბელამ მეგობარი ბეროკალის ქანდაკებასთან ახლოს, დივანზე დასვა და გვერდით მიუჯდა. მარისას ხალათი ეცვა, თმა ასწეწოდა და დასივებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ კარგა ხანი იყო, ტიროდა, ტუჩები ისე გალურჯებოდა, თითქოს ვიღაცას დაეკბინა.

– ეს როგორ მოხდა? ელაპარაკე კიკეს? – ჰკითხა მარისას ჩაბელამ, თან აწეწილი თმა გაუსწორა, მიეფერა და ლოყაზე აკოცა. მერე მისი გაფითრებული, გაყინული ხელების გათბობას საკუთარი ხელებით შეეცადა.

– აზრზე არ ვარ, რა ხდება, ჩაბელა. – ლულულუღით მიუგო მარისამ. ჩაბელას მეგობარი ასეთი გაფითრებული არასოდეს ენახა, ცისფერი თვალები შუშისას მიუგავდა. – კიკეს არ დავლაპარაკებია. არ ვიცი, ოფისში არ არის, თუ ლაპარაკი არ სურს. ეს საშინელებაა. ნახე ფოტოები? არაფრით არ მჯერა, რომ ეს სიმართლეა, ჩაბელა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. კიკემ ყველაფერი უნდა ამიხსნას. როგორ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო? რა სირცხვილია! არასოდეს მიგრძნია თავი ასე დათრგუნულად და მოტყუებულად, რა საშინელებაა.

ჩემმა მშობლებმა და ძმებმა დამირეკეს, გაოგნებულნი არიან. არც კი ვიცი, რა ვუთხრა.

– შეიძლება ეს ფოტომონტაჟია. ახლა ფოტოგრაფებს ნებისმიერი ფოტოს ფალსიფიცირება შეუძლიათ. – ჩაბელა შეეცადა ენუგეშები-ნა მეგობარი.

გაოგნებულმა მარიამ მეგობრის სიტყვები თითქოს ვერ გაიგონა და მოყოლა დაიწყო:

– ჩაბელა, კიკე დილით ჩვეულებრივზე ადრე ადგა, ერთად ვისაუბრეთ და რვა საათი არ იყო, რომ ოფისში წავიდა. სწორედ ამ დროს მისმა ბიძაშვილმა, ალისიამ დარეკა და მითხრა, „დილით ბავშვი „სან აგუსტინის კოლეჯში რომ მიმყავდა, შუქნიშანზე გავჩერდი. ამ დროს ვილაც მანქანასთან მოვიდა და ხელში ეს ამაზრზენი ჟურნალი შემომანჩერა. მეც ვიყიდე, რადგან ყდაზე შიშველი კიკეს ფოტო დავინახეო“. ჰო, დედიშობილა ენრიკე რომ დაუნახავს, მისი ბიძაშვილიც გაოგნებულა, მაგრამ მაშინვე უფიქრია, ფოტოები მონტაჟი იქნებაო, ვერ წარმოიდგინა, კიკე ასეთ რამეს თუ იკადრებდა. მეც მაშინვე გავგზავნე მსახური ჟურნალის მოსატანად, და, ახლაც ვერ დამიჯერებია, რაც იქ ვნახე. მთელი ნომერი ჩოსიკაში გამართულ ორგის ეძღვნება. ამის დანახვისას კინალამ გული ამერია. მერე კი სატელეფონო ზარები არ შემწყდარა, რადგან ლიმაში ყველა არამკითხე მოამბემ ამის შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა. მალე ზარები რადიოდან, ჟურნალ-გაზეთის რედაქციებიდან და ტელევიზიიდანაც გაისმა. ამ ჟურნალის არსებობის შესახებ წარმოდგენაც კი არ მქონდა. დიახ, ეს ფოტოები ნამდვილად რომ ფალსიფიცირებულია, ამაში ეჭვი არ მეპარება.

ქალი ცდილობდა საკუთარი თავი დაერწმუნებინა, ვერ წარმოედგინა, რომ კიკე ამას ჩაიდენდა. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ მან ქმართან დალაპარაკება ვერ მოახერხა. ენრიკე ოფისიდან გაუჩინარებულიყო და ალბათ სადმე იმალებოდა. მისი თანაშემწე ქალი კი ისეთი დაბნეული ჩანდა, რომ მარისას ხან ეუბნებოდა, ენრიკე

ოფისში დღეს საერთოდ არ მოსულაო, ხან კი ახლახან სასწრაფო საქმეზე გავიდაო. კიკე ნამდვილად ჟურნალისტებს ემალებოდა, მაგრამ რატომ არ დაურეკა მარისას, რატომ არ დაამშვიდა, ეს ამბავი რაღაც გაუგებრობა იყო და მალე ყველაფერი გაირკვეოდა?

– დამშვიდდი, მარისა. – მხრებზე ხელები მოხვია მეგობარს ჩაბელამ. – ამ სახლიდან როგორმე უნდა გააღწიო, თორემ ჭკუიდან შეიშლები. ახლა ჩაიცვი, ლუსიანოს მძლოლი მოვა და წაგვიყვანს აქედან. მანქანების სადგომთან დაგვიცდის, რომ ჟურნალისტებმა არ დაგვინახონ და არ აგვედევნონ. ჩემთან წავიდე, იქ თავს უფრო მშვიდად იგრძნობ, წყნარად დავილაპარაკებთ და კიკესაც ვიპოვით. დარწმუნებული ვარ, ფოტოები იმ ბინძური ჟურნალის ფალსიფიკაციაა, ენრიკე ყველაფერს აგისნის. ახლა კი მთავარია, აქაურობას მოშორდე. შევთანხმდით, ძვირფასო?

მარისა დაეთანხმა და ჩაბელას გადაეხვია. მერე ერთმანეთს ტუჩებში რომ აკოცეს, მარისამ წაილულლულა, „მართალი ხარ, ასე მოვიქცეთ, რომ იცოდე, როგორი მადლობელი ვარ, რომ მოხვედი. შენს ლოდინში ლამის ჭკუიდან შევიშალე“.

ჩაბელამ მეგობარს ლოყაზე აკოცა და წამოდგომაში მიეხმარა.

– პატარა ჩემოდნით მხოლოდ აუცილებელი ნივთები წამოიღე და სჯობია, სახლიდან არ გახვიდე, ვიდრე ეს ქარიშხალი გადაივლის. კიკესაც აუცილებლად დავუკავშირდებით. აბა, მოემზადე, მე კი ლუსიანოს დავურეკავ.

მარისა სააბაზანოში შევიდა, ჩაბელამ კი ლუსიანოს სამსახურში დაურეკა და როგორც კი ქმრის ხმა გაიგონა, მაშინვე მიხვდა, რომ მან უკვე ყველაფერი იცოდა.

– „დესტაპესი“ ნახე? – ყოველი შემთხვევისთვის მაინც ჰკითხა ლუსიანოს.

– არ მგონია ქვეყანაში ვინმე თუ დარჩა ისეთი, ვისაც ეგ უხამსი ჟურნალი არ უნახავს! – მიუგო ლუსიანომ უგუნებოდ. – ვცდილობ, კიკე მოვძებნო, მაგრამ ვერაფრით ვუკავშირდები.

– მარისაც შეეცადა, მაგრამ ამაოდ. – მოკლედ მოუჭრა ქმარს ჩაბელამ. – მაგრამ ახლა მთავარია, მარისა სახლიდან გავიყვანოთ, ლუსიანო. ჰო, მასთან ვარ და როგორც შემძლია ვამხნევებ. ალბათ ხვდები, რა დღეში არიან სახლთან ჟურნალისტები. მძლოლი გამომიგზავნე და უთხარი მანქანების სადგომთან დაგველოდოს. სახლში შევხვდებით. იქნებ ადრე მოხვიდე და მარისას დაელაპარაკო?

– კარგი, სადილობისთვის მოვალ და დაველაპარაკები. – უთხრა ცოლს ლუსიანომ. – მაგრამ ახლა მთავარია, კიკე ვიპოვოთ. მძლოლს დაუყონებლივ გამოგიგზავნი. თუ მარისა ენრიკეს ადგილსამყოფელს შეიტყობს, უთხრას, რომ სასწრაფოდ დამიკავშირდეს და ჩემთან შეუთანხმებლად არანაირი განცხადება არ გააკეთოს.

მერე ყველაფერი ჩაბელას გეგმის მიხედვით მოხდა. ქალები პირდაპირ მანქანების სადგომთან გაჩერებულ მანქანაში ჩასხდნენ. მარისა სკამზე ისე მოიკუნტა, ჟურნალისტებმა ვერც შენიშნეს. მანქანამ მათ პირდაპირ ცხვირწინ ჩაუარა და მხოლოდ ჩაბელა დაინახეს, ამიტომ უკან არავინ დასდევნებია. ნახევარ საათში უკვე „რინკონადაზე“ იყვნენ. ჩაბელამ მარისა სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახამდე მიაცილა და ბარგი დააწყობინა. ეს ოთახი განცალკევებით მდებარეობდა და უფრო წყნარი იყო. მერე ჩაბელამ მეგობარი სასტუმრო ოთახში შეიყვანა და მზარეულს სთხოვა, მისთვის გვირილის ნაყენი მოემზადებინა; მარისას გვერდით მიუჯდა და თავშლით ცრემლები მოწმინდა.

– აი, თურმე რატომ არ ჭამდა, არ ეძინა, და, რატომ იყო ორი კვირის განმავლობაში განადგურებული. – თქვა მარისამ და გვირილის ნაყენი მოსვა. – მითხრა, ვილაც შანტაჟისტები ტელეფონით მემუქრებიანო. ახლა უკვე ცხადია, რომ მას ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტოებით აშანტაჟებდნენ.

– ეს ფოტოები ნამდვილად ყალბია, მარისა. – უთხრა ჩაბელამ მეგობარს და ხელები დაუკოცნა. – ძვირფასო, ვერ წარმოიდგენ, როგორ განვიცდი, ამ მდგომარეობაში რომ გხედავ. მაგრამ აი, ნახავ,

კიკე გამოჩნდება და ყველაფერი გაირკვევა.

– როგორ გგონია, არ ვფიქრობ, რომ შესაძლოა ეს ფოტომონტაჟი იყოს? – თქვა მარისამ და მეგობარს ხელებზე მოუჭირა ხელი. – ნეტავ, ჩემი ეჭვი გამართლდეს, მაგრამ აბა, დაფიქრდი, სკანდალი უკვე აგორდა და ამას ველარაფერი შეაჩერებს, რადგან უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს. წარმოიდგინე, რა ცხოვრება გველის ამიერიდან? ჩემი დედამთილი ამ ამბავს ნამდვილად გადაჰყვება, რადგან საოცრად ქედმაღალი და ტრადიციული ადამიანია!

თითქოს მარისას სიტყვების დასტურად, ოთახში მოახლე ნიკოსია შემოვიდა და ქალებს აცნობა, რადიოც და ტელევიზიაც ახლა „დესტაპესის“ ამბებს გადმოსცემსო.

– ეგ ამბები არ გვანტერესებს! – ცივად მოუჭრა ჩაბელამ. – რადიოც და ტელევიზორიც გამორთე და, ლუსიანოს და ენრიკეს გარდა, ვინც არ უნდა დარეკოს, არ დაგვიძახო.

ცოტა ხანში ლუსიანომ დარეკა.

– სწორედ ახლა ველაპარაკე კიკეს, – უთხრა მან ცოლს. – დედამისთან წასულა. ვილაც ნაძირალას საბრალო ქალისთვისაც უჩვენებია ჟურნალი. ხომ ხედავ, რა საზიზლარი ხალხი არსებობს. ექიმი გამოუძახებიათ, კიკე ახლა მასთან არის და ცხადია, ვერ მიატოვებს, ვიდრე უკეთ არ გახდება. მარისას გადაეცი, დედამთილთან წასვლა არ გაბედოს, ჟურნალისტები ჩვენს სახლთანაც ჩასაფრებულან. მოვიცილი თუ არა, მაშინვე წამოვალ. მარისა დაამშვიდე; უთხარი, რომ როგორც კი კიკეს დედა მომჯობინდება, მის სანახავად მოვა და ყველაფერს აუხსნის.

მარისას და ჩაბელას იმ დილას რაღა თქმა უნდა, ბინძური ფოტოების გარდა, სხვა სალაპარაკო არ ჰქონდათ.

– ჩემი დედამთილი ნამდვილად მოკვდება. – იმეორებდა მარისა. – ლუსიანომ გითხრა, ვინ აჩვენა მას ჟურნალი? ამქვეყნად ყველაზე ბოროტი ხალხი ალბათ, ლიმაში ცხოვრობს. არ მგონია, საბრალო

ქალმა ეს სკანდალი გადაიტანოს, რადგან თავად პატიოსნების განსახიერებაა, ფოტოებს რომ ნახავდა, ნამდვილად შოკში ჩავარდებოდა. თვითონაც ხომ ძნელად წარმოიდგენ დედიშობილა კიკეს, თანაც იმ ბოზების გარემოცვაში?

– ამ ფოტოების ამბავი შეთითხნილი მგონია, შესაძლოა მასზე გამოსახული კაცი სულაც არ არის კიკე! ეს ყველაფერი ნამდვილად იმის მოწყობილია, ვისაც მისი განადგურება აქვს ჩაფიქრებული, ამიტომ გთხოვ, დამშვიდდი, გევედრები.

– მშვიდად ვარ, ჩაბელა. მაგრამ ნუთუ ვერ ხვდები, ამის შემდეგ რა ბედი ელის ჩვენს ცხოვრებას და ცოლქმრობას? განა შეიძლება ამ ამბებს ჩვენი ქორწინება არ შეეწიროს?!

– ახლა ამაზე ნუ იფიქრებ, მარისა. ჯერ კიკეს დაელაპარაკე. დარწმუნებული ვარ, ფოტოები მის გასამწარებლად დაამონტაჟეს, მისი წარმატებული საქმიანობის გამო ვილაც შურით სკდება.

მარისას სადილისთვის პირი არ დაუკარებია. მერე ახალი ამბების მოსასმენად ტელევიზორი რომ ჩართეს, ეკრანზე მაშინვე „დესტაპესის“ ყდა გამოჩნდა, გადაცემის წამყვანმა კი გამკვივანი ხმით ამცნო მაყურებელს ახალი ამბავი, რომელიც მაღალ საზოგადოებაში მომხდარ სკანდალს ეხებოდა. ქალებმა ტელევიზორი მაშინვე გამორთეს. ოთხი საათისთვის ლუსიანო მოვიდა, მარისას გადაეხვია, აკოცა და ოფიციალური განცხადება წაუკითხა, რომელიც პრესისთვის კიკეს სახელით გაეკეთებინა. მისი სიტყვებით, ენრიკე კარდენას სომერვილიე ყვითელი პრესისა და სკანდალის მსხვერპლი გახდა, რადგან ჟურნალის ბოლო ნომერში დაბეჭდილი ფალსიფიცირებული ფოტოების საშუალებით, ვილაცას მეწარმის პატიოსანი სახელის შელახვა სურდა. ამ ცილისწამების ავტორს რა თქმა უნდა, საკადრისი პასუხი მიეზღვევა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაისჯება. ადვოკატებს სასამართლოში უკვე შეეტანათ საჩივარი, რომელშიც ისინი ჟურნალის სასწრაფოდ დახურვას მოითხოვდნენ. ასე-

ვე მიღებული უნდა ყოფილიყო სიფრთხილის ზომებიც, რათა „დესტაპესის“ დირექტორს როლანდო გაროს, ცილისწამების თანამონაწილე ხულიეტა ლეგისამონს და ჟურნალის ფოტოგრაფს ქვეყნის დატოვება და ამით სასჯელის თავიდან არიდება ვერ მოეხერხებინათ, რადგან ეს ტიპები შანტაჟის, ცილისწამების, პატიოსანი ადამიანის შეურაცხყოფისა და პირადი ცხოვრების ხელყოფის გამო სასჯელს იმსახურებდნენ. საჩივარი უკვე შეტანილი იყო, მეწარმე ენრიკე კარდენას სომერვილიე კი პრესკონფერენციას ჩაატარებდა ჟურნალისტების მიერ განხორციელებულ ბინძურ და სულმდაბალ საქმიანობაზე, რომლითაც ისინი შეეცადნენ მისი პიროვნება და ოჯახი ლაფში ამოესვარათ.

ჩაბელამ მარისას შეხედა, მან ლუსიანოს განცხადება მოისმინა, ახლა მიტკალივით გაფითრებულიყო და გამტერებული იჯდა. ლუსიანოსაც აღარაფერი უთქვამს, ფურცელი მოკეცა, მარისასთან მივიდა და შუბლზე აკოცა.

– ჩვენს მოთხოვნებს აუცილებლად ექნება შედეგი. – უთხრა ადვოკატმა მარისას. – ჯიხურებიდან ჟურნალების ამოღება, ალბათ, ველარ მოხერხდება, მაგრამ გარწმუნებ, იმ ნაძირალას, ვინც ეს ჩაიდინა, თავისი საქციელი ძვირი დაუჯდება.

– კიკე სად არის? – ჰკითხა მარისამ.

– ახლა თავის ოფისშია, სასწრაფო საქმეები აქვს მოსაგვარებელი. გთხოვა, აქ დაელოდო. მალე დაბრუნდება. ისე კი, ვიდრე ეს ქარიშხალი გადაივლის, უმჯობესია შენც და კიკეც ჩვენთან დარჩეთ. ახლა ძლიერი უნდა იყო, მარისა. სკანდალი პირველ ხანს გვეჩვენება საშინელებად, თორემ მერე სწრაფად ეძლევა ხოლმე დავიწყებას. აი, ნახავ, ეს ამბავი მალე აღარავის ეხსომება.

იმ წუთში ჩაბელას მოეჩვენა, რომ მის ქმარს საკუთარი სიტყვებისა თავადაც არ სჯეროდა. ლუსიანო ზედმიწევნით პატიოსანი ადამიანი იყო და ტყუილების თქმა სულ არ ეხერხებოდა.

12. ლატაკთა სასადილო

ხუან პეინეტასთვის ეს დილაც ჩვეულებისამებრ დაიწყო. ფანქარ-მომარჯვებულმა, მოცახცახე ხელით გაზეთ „ელ კომერსიოს“ როლანდ გაროზე საპროტესტო წერილი მისწერა, თან ჩიოდა, რომ ნაციონალური პრესის ხელმძღვანელმა ამ გაზეთში მისი ბოლო სამი წერილი არ გამოაქვეყნა. წერილები კი „დახვეწილი ხელოვნების დაუძინებელ მტერს, ბოროტმოქმედ როლანდო გაროს“ ეძღვნებოდა. „ეს ადამიანი კვლავაც განაგრძობს ჩვეულ ცილისმწამებლურ საქმიანობას პრესაში, მიწასთან ასწორებს სახელოვან ადამიანებს, თავს ესხმის ყველას, ვინც კი პატიოსან, კრეატიულ და ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა. ამიტომ ამ კაცის საქმიანობა სწორედაც რომ ჩირქგროვას ჰგავს“. ხუანმა წერილს ხელი მოაწერა, კონვერტში ჩადო, მარკა დააკრა და ჯიბეში ჩაიდო, რომ ხვალ, გზად პირველსავე საფოსტო ყუთში ჩაეგდო. ნეტავ არ დავიწყებოდა! პეინეტას წერილები ხშირად უტარებია ჯიბით, რადგან მათი გაგზავნა დავიწყებია. კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ ხუანი საქველმოქმედო სასადილოში დადიოდა. ეს სასადილო კარმენ ალტოში ხუნინის მერვე კვარტალში

ნუესტრა სენიორა დელ კარმენის მონასტერში, „ფეხშიშველ კარმელიტებს“ გაეხსნათ. მართალია, სადღილი ყუათიანობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ის უპირატესობა ჰქონდა, რომ უფასო იყო. სასადილოში შესასვლელად ხუანი მშიერ ადამიანებთან ერთად, გრძელ რიგში უნდა ჩამდგარიყო, მაგრამ ადრე თუ არ მივიდოდა, შესვლას ვეღარ შეძლებდა. ერთ რიგში ორმოცდაათ კაცზე მეტის დადგომა არ შეიძლებოდა, ამიტომ ბევრი რჩებოდა მშიერი. სწორედ ამ მიზეზით, ხუანი სასტუმრო „მოგოლიონიდან“ აღრიანად გადიოდა. აქედან ბარიო ალტომდე შორი გზა არ იყო. მერე აბანკაის გამზირიდან პლაზა დე ინკვიზისიონის და კონგრესო დე ლა რეპუბლიკას გვერდს აუვლიდა და ხუნინამდე მიდიოდა, იქიდან კი ხუთი კუთხე სულ ახლოს იყო. ვარიკოზისა და დაბნეულობის გამო ამ გზას პეინეტა ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა, რამდენჯერმე უნდა შეესვენა, ამიტომ ერთი საათი მაინც სჭირდებოდა.

სასადილოში ხუანს სერაფინი არასოდეს მიჰყვებოდა. მართალია სასტუმროდან ერთად გამოდიოდნენ, მაგრამ ცხოველი როგორც კი შენიშნავდა, რომ მისი პატრონი ბარიო ალტოსკენ აიღებდა გეზს, მაშინვე გაუჩინარდებოდა ხოლმე. ნეტავ, რატომ აშინებდა მას ლიმას ცენტრში არსებული ეს ღარიბული უბანი? ალბათ თავისი კატის ჭკუით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს ძალიან საშიში ადგილი იყო. გასაკვირი არ იქნებოდა, თუ იქ სერაფინს ვინმე ხელს დაავლებდა და მისი ხორცისგან კერძს მოამზადებდა, რადგან ამ უბნებში ბევრგან მიირთმევდნენ კატის ხორცს. ამ შინაური და ახლობელი ცხოველის ხორცის ჭამა ხუანს, კაციჭამიობის შემდეგ, ნამდვილ ველურობად მიაჩნდა.

ლას დესკალსას მონასტერში ხუანი აღრიანად მივიდა, მაგრამ აქ უკვე ღარიბ-ღატაკების, მათხოვრების, მაწანწალების, უმუშევრებისა და მოხუცების რიგი დახვდა. ზოგს გრძელი გზა გაეწეო და მთებიდან ლიმაში ახლახან ჩამოსულიყო. ამ ადამიანებს სულ ადვილად

იცნობდით, რადგან ისეთი დაბნეული და შეშინებული მზერა ჰქონდათ, თითქოს გზააბნეულებს ახლა მისი პოვნის იმედი გადასწუროდათ. ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ სასადილოს შიდა კარი გაიღო და ხალხის პირველი ნაკადის შეშვებაც დაიწყო. სასადილოში ფეხი შედგა თუ არა, მაგიდებს შორის კრესილდას მასიური და უფორმო სხეული დაინახა. მეგობარს მისალმების ნიშნად ხელი აუწია, მაგრამ ქალმა ეს ვერ შენიშნა. კრესილდას ხუანი უკვე წლებია, ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობდა, როცა იგი „მაგდალენა ვიენაში“ ტროპიკული ცეკვების აკადემიას ხელმძღვანელობდა. მაგრამ ისინი მხოლოდ აქ, სასადილოში დამეგობრდნენ, სადაც დები კარმელიტები უხსოვარი დროიდან უმასპინძლებოდნენ ადამიანებს უფასო სადილით.

სასადილოში მენიუ თითქმის ყოველთვის ერთნაირი იყო. ვერმიშელის წვნიანს, ბოსტნეულში არეულ მოხარშულ სიმინდის მარცვლებს და ბრინჯს თუნუქის დაღრეცილი თევზებიდან ჭამდნენ, ჩაობად კი ვაშლის ან ლიმონის კომპოტი ჰქონდათ. თავწაკრული მომსახურე პერსონალი საჭმელს მაგიდებზე უკვე დაწყობილ თევზებში დიდი ჩამჩებით ანაწილებდა. სადილის შემდეგ საცოდავ სტუმრებს თავიანთი თევზები სამრეცხაო ოთახში უნდა შეეტანათ, სადაც სასადილოს ქალები ჭურჭელს რეცხავდნენ. ამ საქმეს თავდადებით ხელმძღვანელობდა კრესილდა, რომელიც სიმსუქნის მიუხედავად ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, უზარმაზარ მკერდს, დაკუნთულ ფეხებს და მოთამთამე დუძებს გამუდმებით ამოძრავებდა. კრესილდამ ახლავდა დაინახა ხუანი, რომელიც აიაკუჩელი წყვილის გვერდით იჯდა. ქალი მას მიესალმა და უთხრა: სადილის შემდეგ ცოტა ხანი დარჩენილიყო, რათა მატე დაელიათ და ელაპარაკათ.

ხუანი კრესილდას თხოვნას დათანხმდა და გაიფიქრა. რომ ამ ქალმაც ცხოვრებაში მისი ბედი გაიზიარა. ეს კი იმან აფიქრებინა, რომ მრავალი წლის განმავლობაში კრესილდაც ხუანივით კომედიანტების წრეში ტრიალებდა, მერე კი მისი კარიერაც იმ შარვლიანი

ემშაკისეულის, როლანდო გაროს ხრიკებს შეეწირა. პეინეტას ეცოდებოდა ქალი, რადგან ისიც მასავით მარტოსული იყო. მართალია, შვილი ჰყავდა, მაგრამ ის დიდი ხნის წინ გაუჩინარებულიყო და დედასთან ურთიერთობა აღარ ჰქონდა. კრესილდამ სავარაუდოდ იცოდა, რომ მისი თავგადასავლების მაძიებელი შვილი სელვაში გაემგზავრა, მაგრამ ახლა ამის აღარ სჯეროდა და ფიქრობდა, რომ იგი რაღაც უბედურებას გადაეყარა, რადგან კონტრაბანდასთან თუ ნარკოტიკებთან ჰქონდა საქმე. კრესილდას კიდევ ერთი სადარდებელი ჰქონდა. ქალმა ხუანს უამბო, რომ სახის ოპერაციის დროს, პლასტიკურმა ქირურგმა იგი საშინლად დაამახინჯა. ეს ნაღვლიანი ამბავი იმით დაიწყო, რომ მისმა ერთმა მეგობარმა ქირურგთან, ვინმე პიჩინ რებლიედოსთან სახე დაიჭიმა და ძალიან გაახალგაზრდავდა. კრესილდასაც მოუნდა მისთვის მიებაძა და ბანკში ვალი აიღო, რათა პირობის თანახმად, ექიმისთვის ფული წინასწარ გადაეხადა. მერე კი აი, ნახე, შედეგად რა მიიღო! ოპერაციის შემდეგ ქალის სახემ საშინელი დეფორმაცია განიცადა და ისე შეუშუპდა, რომ თვალებს ძლივს ახელდა. სახის კანიც ნაცრისფერი გაუხდა და ჭლექიანს თუ მიცვალებულს დაემსგავსა. „ჩემი გაუბედურება იმ ქირურგის და როლანდო გაროს კისერზე იყოს, მაგრამ ეგ ორნი ღირსებას ვერ შემილახავენ“. – სჩვეოდა ხოლმე თქმა. საოცარია, მაგრამ ქალი ასეთ გაჭირვებულ ყოფას არ გაუბოროტებია, პირიქით ცდილობდა მხნეობა შეენარჩუნებინა, ყველაფერი გადაელახა და თან იუმორის გრძნობაც არ დაეკარგა. ხუან პეინეტას მის ხასიათში ყველაზე მეტად სწორედ მისი იუმორი მოსწონდა. კრესილდა მშვენივრად ახერხებდა, მძიმე წუთებში ბედნიერად ეგრძნო თავი და ცხოვრების უკუღმართობებს თავის გადამდებ სიცილს შეაგებებდა ხოლმე.

პირველი წყება ხალხი რომ ასადილეს, კრესილდამ ხუანს დაუძახა და პატარა ოთახში შეიყვანა, საიდანაც სასადილო დარბაზი კარგად ჩანდა. ქალს მატე მოემზადებინა და ვიდრე სვამდნენ, ყურად-

ღებით ადევნებდა თვალს, დარბაზში წესრიგი ყოფილიყო და რომელიმე სტუმარს ცუდი ყოფაქცევით თავი არ გამოეჩინა.

– რა მოხდება, როცა მონაზვნები შეიტყობენ, რომ ოდესღაც მიუზიკ ჰოლის მოცეკვავე და კომედიანტი იყავი, კრესილდა?

– არაფერიც არ მოხდება. მონაზვნები ლმობიერები არიან და იციან, რომ ადამიანებს ცოდვები არ უნდა შეახსენო. სიბერის წლებშია წმინდანობა მარგუნა ბედად. ახლა ყოველ კვირას წირვას ვესწრები და ზიარებას ვიღებ. ხომ ხედავ, როგორ მაცვია? განა ნამდვილ მონაზონს არ ვგავარ?

კრესილდას უხეში ჯვალოსგან შეკერილი ქიტონი ეცვა, რომელიც კოჭებს უფარავდა, ფეხები კი ფლოსტებში ჰქონდა წაყოფილი და მართლაც მონაზონს ჰგავდა.

– მენიუში ხანდახან ხორციც უნდა გაურიოთ, კრესილდა. – უთხრა ხუანმა და შაქრიანი ჩაი მოსვა. – ეს ბოსტნეული უკვე ყელში ამომივიდა. მეხსიერებაც დღითიდღე მეზინდება და ნელ-ნელა ყველაფერი მავიწყდება.

– ხუანიტო, არც კი იცი, რა სასწაულია, ეს სასადილო ამას მაინც რომ ახერხებს! – მხრები აიჩეჩა ქალმა. – ნამდვილად საოცარი ამბავია, რადგან შემოწირულობები სულ უფრო იკლებს, და ამ კრიზისის გამო საბრალო მონაზვნები ისე ცოტას ჭამენ, რომ შიმშილისგან მისავათებული დადიან. არ გამიკვირდება, სასადილოს ნებისმიერ წუთს თუ დახურავენ.

– მერე, შენ რა ბედი გეწევა, კრესილდა?

– ალბათ, მათხოვრობას დავიწყებ, ხუანიტო, რადგან ძალიან ვეჭვობ, სხვა სამსახური ვიშოვო. ჩემი დრო წავიდა და ძველ საქმიანობას ველარ დავუბრუნდები.

– შეიძლება გამოსავალი ის იყოს, რომ ცოლად გამომყვე და ჩემთან, სასტუმრო „მოგოლიონში“ გადმოხვიდე საცხოვრებლად.

– ვფიქრობ, მაგ ქორწინებას ისევ მათხოვრობა სჯობია. – გაიცინა კრესილდამ. – თანაც დარწმუნებული ხარ, რომ იმ სოროში სამნი

მოვთავსდებით?

– სამნი? – გაცდა ხუანი.

– ჩვენ და შენი კატა. – შეახსენა ქალმა. – ახლა არ მითხრა, რომ მისი არსებობაც დაგავიწყდა. სერაფინი ჰქვია, არა?

– დიახ, სერაფინი. აქ იცი რატომ არ მომყვება? ეშინია უბნის მაწანწალებმა არ დაიჭირონ და მისგან კერძი არ მოამზადონ.

– ისე, ამბობენ, კარგად მომზადებული კატის ხორცი ძალიან გემრიელიაო, მაგრამ რაც არ უნდა ილაპარაკონ, ჭამას მაინც არ ვაპირებ. ჰო, მართლა, ხუან, „დესტაპესის“ ბოლო ნომერი თუ ნახე?

– ალბათ ხვდები, რომ გაროს ჟურნალი არასოდეს მიყიდია და არც არასოდეს ვიყიდი, კრესილდა!

– არც მე, ძმაო. – მიუგო ქალმა სიცილით და მარჯვენა ხელის ზურგს დახედა. – ჟურნალი ჯიხურებში დავინახე. როგორც ჩანს, არაფერი გსმენია სკანდალის შესახებ, „დესტაპესმა“ ბოლო ნომერში რომ ააგორა? ჟურნალმა იმ მილიონერის ფოტოები დაბეჭდა, ჩოსიკაში გამართულ ორგიაში რომ მონაწილეობდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთ რამეს გახედავდნენ. ის კაცი ვილაც მეძავთან ერთად 69-ე პოზაში გადაულიათ.

– რას ამბობ, კრესილდა? – ამოიოხრა ხუანმა. – მე და ატანასიას პოზებში სექსი არასოდეს გვქონია! ყოველ შემთხვევაში ასეთი რამ არ მახსენდება. ალბათ, ამ საკითხში ორივე ზედმიწევნით პურიტანები ვიყავით.

– ისე, სისულელეებს თუ არ იტყვი, უკეთესი იქნება, ხუანიტო. – გაეცინა კრესილდას. – თანაც არ იცი, შენს ნათქვამს რა კუდს გამოაბამენ.

– ჰო, ალბათ მართალი ხარ. ვინ არის ის მილიონერი ფოტოებზე? აქაურია?

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია:

– ჰო, იმ მილიონერს ენრიკე კარდენასი ჰქვია. მგონი, ნაძირალა,

ჯუჯა გარომ ამჯერად ძალიან ღრმად შეტოპა და ეს თავხედობა ძვირად დაუფდებია.

– ღმერთმა გისმინოს, კრესილდა! – ამოიოხრა ხუან პეინეტამ. – ნეტავ, იმ მეწარმემ მკვლევლები დაიქირაოს და ეგ კაცი დააბრედინოს! ამბობენ, კოლუმბიაში დაქირავებული მკვლევლები ჩალის ფასად იშოვებო. ისინი პერუში სწორედ იმიტომ ჩამოდიან, საკუთარ ქვეყანაში სამუშაოს ვერ შოულობენო. აქ კი ალბათ სულ რაღაც ორ ან სამ სოლად ნებისმიერს გააგორებენ.

– მიჩვენია, გარო ვირის აბანოში ვიხილო! მისი სიკვდილით ჩვენ რა ხეირი? უკეთესია დაიტანჯოს და ციხეში მიეზლოს სამაგიერო იმ ბოროტებისთვის, რაც ჩაიდინა. გაროსთანა ნაძირალა სიკვდილით ვერ დაისჯება!

– გეთანხმები. თანაც წამებით უნდა ამოხდეს სული. კმაყოფილი ვიქნები, თუ ფრჩხილებს დააძრობენ და თვალებს დათხრიან, მერე კი ნელ ცეცხლზე დაწვავენ. ისე, როგორც ინკვიზიტორები უსწორდებოდნენ ასეთ უღმერთოებს. – თქვა ხუანმა და ამ სიტყვებმა ორივე გამზიარულა, რადგან ცხადად წარმოიდგინეს როლანდო გაროს ტანჯვის სცენები.

ამასობაში სადილობა ყველამ დაამთავრა და კრესილდა იძულებული გახდა მეგობარს დამშვიდობებოდა, რათა ჭურჭლის რეცხვას და იქაურობის დალაგებას შესდგომოდა. ხუანმა კი სასტუმროსკენ აიღო გეზი, თან გადაწყვიტა, გზად საგაზეთო ჯიხურებთან ჩაეველო და „დესტაპესის“ ახალი ნომერი ენახა, რომელშიც ვილაც მილიონერი 69-ე სექსუალურ პოზაში გამოეყენებინათ. ხუან პეინეტამ იცოდა, რომ თავის ცოლს ასეთ რამეს არასოდეს აკადრებდა, რადგან მათ განსაკუთრებული, წმინდა ურთიერთობა ჰქონდათ. მაგრამ, ვაითუ მაინც აკადრებდა? ამას უკვე ზუსტად ვეღარ იხსენებდა, თუმცა ის კი ახსოვდა, რომ უმწიკვლო ატანასია ყოველთვის უარს ამბობდა ისეთ რამეებზე, ასე ხშირად რომ ხდება ხოლმე მამაკაცების მსჯელობის საგანი და თავისი სულიერი მამის სიტყვებს იშველიებდა:

ცოლ-ქმარს შორის ასეთი უხამსი საქციელი მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევად. ასეთ შემთხვევაში კი ხუანს მორჩილების გარდა აღარაფერი დარჩენოდა. ახლა მას საკუთარ თავზე გაეცინა. ამ ხნის კაცი ვარ და ალბათ ისე მოვკვდები, ვერ გავიგებ, რა არის 69-ე პოზა. ჰოდა, ასეთ სიგიჟეებს თუ არ ჩავდიოდით, განა ნაკლებად ბედნიერები ვიყავითო?

მალე დაინახა ჯიხური, სადაც „დესტაპესის“ ნომერი ორ კაუჭზე ჩამოეკიდათ. ხუანმა გამბედაობა მოიკრიბა, ახლოს მივიდა და მხოლოდ მის ყდას და შუაგვერდს მოჰკრა თვალი. გარშემო უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ისინი ყურადღებით ათვალიერებდნენ ფოტოებს, ზოგიერთი, სიმაღლით გამორჩეული კი ცდილობდა, მათი თანმხლები ტექსტიც წაეკითხა. ახლა ხუანმაც იხილა ნაირ-ნაირ პოზაში გადაღებული დედიშობილა მეწარმე, და თანაც რა საზოგადოებაში! მერე კი დიდი მცდელობის მიუხედავად, 69-ე პოზაში გადაღებული ფოტო ვერ მოძებნა. როგორც ჩანს, ის ჟურნალის სხვა გვერდზე იყო დაბეჭდილი. ამ საშინელების შემხედვარე პეინეტა მიხვდა, რომ კრესილდა მართალი იყო, როცა თქვა: „როლანდო გარომ ამჯერად ძალიან ღრმად შეტოპაო“. მართლაცადა, საქმე ხომ ცნობილ და მდიდარ კაცს ეხებოდა და მისი ასეთ პოზებში და თანაც, ასეთი ქალების გარემოცვაში გამოჭენება, უკვე მეტისმეტი იყო! ამჯერად გარო საკადრის პასუხს მიიღებდა და, თუ მანამდე თავისი ბოროტი ზრახვები ადვილად მოჰყავდა სისრულეში, ახლა ამას უკვე ვეღარ შეძლებდა. ხუანმა გონებაში იმ წერილის ტექსტის შედგენა დაიწყო, რომლის დაწერასაც სასტუმროში მისვლისთანავე აპირებდა.

პეინეტამ გზა ჩვეული ნელი ნაბიჯით განაგრძო, თვალწინ ჟურნალში დაბეჭდილი ფოტოები ედგა და იცოდა, ისინი რეალურად არსებობდა და ნამდვილად არაფერი დასიზმრებია. თანაც ამჯერად მარტო მისნაირი ღარიბები არა, ძალიან შეძლებული ადამიანებიც აღმოჩნდნენ ამ მდგომარეობაში. ან იქნებ რაღაც კარგად არ ახსოვ-

და? იქნებ, წინა ღამით დალია რამე? ამაში ხუანი მთლად დარწმუნებული არ იყო. გულმავიწყობა აღსარების ჩაბარებისასაც უქმნიდა პრობლემებს. ამის გამო მისი მოძღვარი ხშირად მოთმინებას კარგავდა და ეუბნებოდა: „როგორც გატყობ, ჩემი გაპამკულება გინდა“. ხანდახან ხუანი არც ცდილობდა რამის გახსენებას და თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდა, რადგან იცოდა, რომ ცოლთან ნორმალური ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. ახსენდებოდა როგორ ცახცახებდა მის მკვლავებში ატანასია, როცა ვნებას მიეცემოდა და თვალზე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე.

როცა სასტუმრო „მოგოლიონს“ მიუახლოვდა, ხუანმა იგრძნო, რომ ფეხებზე ალერსიანად სერაფინი ეხახუნებოდა. „გამარჯობა მეგობარო! დღეს აშკარად გადარჩი და შენგან გემრიელი კერძი ვერ მოამზადეს, მაგრამ ნუ გეშინია, ვიდრე ჩემთან ხარ, ბეწვიც არ ჩამოგივარდება!“ კმაყოფილმა უთხრა ცხოველს.

შინ მისვლისთანავე ფანქარი გათალა და წერა დაიწყო: „დესტაპესის“ რედაქტორს, სენიორ გაროს“ ხუანი ჟურნალისტს ბრალს სდებდა, რომ იგი უკანონოდ შეიჭრა მეწარმის პირად ცხოვრებაში, როდესაც ამ ადამია ნის მეძავებთან ურთიერთობა ამხილა; მაგრამ საქმე ისაა რომ ამით მხოლოდ ის კი არა, საზოგადოების ზნეობა და მორალიც შეურაცხყო, გარდა ამისა, ასეთი საზიზღარი ფოტოები ბავშვებსაც თუ ჩაუვარდებოდათ ხელში, ეს ძალიან ცუდ გავლენას მოახდენდა მათ ფსიქიკაზე. წერილში ხუანი იმედს გამოთქვამდა, რომ ამ ქმედებისთვის გარო კანონის შესაბამისად დაისჯებოდა, გენერალური პროკურორი კი მის ამ წერილობით მოთხოვნასაც გაითვალისწინებდა, ჟურნალს დახურავდა და მის გაიძვერა დირექტორს გაასამართლებდა.

ხუანმა წერილი გადაიკითხა, მოკეცა და დასაწოლად მოემზადა. მერე კი გაიფიქრა: „თუ გამახსენდება, ამ წერილს დილით ადრე აუცილებლად გავაგზავნი“.

13. გაუჩინარება

რეტაკიტა დილაობით თითქმის ყოველთვის მხოლოდ რძიან ყავას სვამდა და თავის საყვარელ ნამცხვარს აყოლებდა. იმ დღეს კი ყავის დაღვევა რატომღაც ხუთი კუთხის ერთ-ერთ კაფეში გადაწყვიტა, რომელიც ავტობუსის გაჩერებასთან ახლოს მდებარეობდა. ამ ავტობუსით რეტაკიტა ყოველ დილით სამსახურში მიდიოდა და ნახევარი საათის ან ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ჯანჯლარსა და ჭყლეტაში უწევდა მგზავრობა. ავტობუსი ჯერ გრაუს გრძელ გამზირს, მერე სანხონის გზატკეცილს გაივლიდა და პანამერიკანამდე და სურკილიომდე მივიდოდა, აქედან კი „დესტაპესის“ რედაქციამდე სულ მცირე მანძილი იყო ფეხით გასავლელი. კაფეში რეტაკიტას საყვარელი ნამცხვარი არ ჰქონდათ და რძიან ყავასთან ჩანკაის ფუნთუშა მიუტანეს. ქალმა ინანა, აქ რომ შევიდა, კაფეში საშინელი სიბინძურე იყო, კოჭლს და წირპლიან მიმტან ბიჭს კი გრძელი, შავი ფრჩხილები ჰქონდა.

მაგრამ კარგმა ამინდმა რეტაკიტას ნელ-ნელა გამოუკეთა გუნება, რადგან ზამთრის სუსხის მიუხედავად, იმ დღეს ლიმაში საოცრად

მზიანი და ნათელი დილა იდგა. „ჩვენს წარმატებას ბუნებაც ზეიმობს“, – გაიფიქრა ქალმა. ამ წარმატებაში იგი „დესტაპესის“ ახალი ნომრის გამოსვლას გულისხმობდა, სადაც ინჟინერი ენრიკე კარდენასის ფოტოები დაიბეჭდა. ჟურნალის ყდაზე კარდენასის ერთ-ერთ ფოტოს წითელი და შავი ასოებით მიწერილი ჰქონდა: „შიშველი მანატი ჟღარუნებით ერთობა!“. ერთ დღეში ჟურნალის ტირაჟი სამჯერ გაიზარდა, წინა ლამით ეიფორიაში მყოფი როლანდო გარო კი ტიპოგრაფიებთან მოლაპარაკებებს განაგრძობდა, თუმცა „დესტაპესის“ ათასზე მეტი ეგზემპლარი უკვე დაბეჭდილი იყო. – ახლა რა მოხდებოდა? რედაქციაში მისვლისთანავე სწორედ ეს ჰკითხა შეფს რეტაკიტამ. რა თქმა უნდა, ინჟინერის ადვოკატები იუარებდნენ, რომ ფოტოებზე გამოსახული ადამიანი ენრიკე კარდენასი იყო და ჟურნალს სიცრუესა და ცილისწამებაში დაადანაშაულებდნენ. სავარაუდოდ ისინი უკვე სასამართლოში შეიტანდნენ სარჩელს, ჟურნალის ამ ნომრის კონფისკაციის მოთხოვნით.

– მაინც რა უნდა მოხდეს? – მხრები აიჩეჩა როლანდო გარომ და საკუთარ შეკითხვას ჩვეული სარკასტული სიცილი დააყოლა. – არაფერი მოხდება, რეტაკიტა. ან როდის რა მომხდარა ლიმაში, მსგავსი სკანდალის დროს? ნეტავ, მოსამართლემ მართლა დახუროს „დესტაპესი“. მაშინ ახალი ყოველკვირეული ჟურნალის გამოშვებას დავიწყებთ, მას, აი, თუნდაც „ემპეის“ დავარქმევთ და ყოველ ჯერზე იმდენივე ეგზემპლარს გავყიდით, რამდენიც ამ კვირაში გავყიდეთ.

რეტაკიტამ გაიფიქრა, რომ შეფის ასეთი სიმშვიდე მორჩენებითი იყო, რადგან ამჯერად სკანდალის საბაზი რიგითი მოდელი, მოცეკვავე და მსახიობი არ ყოფილა. საქმე არ ეხებოდა არც ხუან პეინეტას მსგავს უბადრუკ კომედიანტს და მის დაუცხრომელ ჟინს, საჩივრები ეწერა როლანდო გაროს მისამართით, რაც გაროს ვერაფერს დაუშავებდა. ამჯერად საქმე ენრიკე კარდენასს, ცნობილ მეწარმეს, მდიდარ და გავლენიან ადამიანს ეხებოდა. მას შემდეგ, რაც ჟურნალში

მისი ფოტოები გამოაჭენეს, შიშველ კახპებთან ღრეობის დროს, ინ-
ჟინერი ამ საქმეს ასე არ დატოვებდა და აუცილებლად იძიებდა
შურს. ბოლოს კი ეს ამბავი ჟურნალის დახურვით დამთავრდებოდა.
აი, მაშინ კი ვნახავდით, რა გუნებაზე დადგებოდა უმუშევრად დარ-
ჩენილი რეტაკიტა! როლანდო გარო კი, როგორც ყოველთვის, დარ-
წმუნებული იყო საკუთარ თავში და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ ამ-
ბავს სერიოზული არაფერი მოჰყვებოდა. ვნახოთ, რითი დამთავ-
რდებოდა საბრალო სეფერინო არგუელის მიერ შემოთავაზებული
ფოტოების საქმე, რადგან ბოლოს და ბოლოს ეს ამბავი, როგორც
ამას როლანდო ვარაუდობდა, ჟურნალის ყოვლისშემძლეობას დაამ-
ტკიცებდა, ან „დესტაპესი“ თავის არსებობის განმავლობაში ყველა-
ზე დიდ სკანდალში გაეხვეოდა.

რეტაკიტამ ღარიბულ საუზმეში ფული გადაიხადა და ავტობუსში
ავიდა. ამჯერად ავტობუსი ჩვეულებისამებრ გადაჭედილი არ იყო
და ქალმა დაჯდომა მოახერხა. ორმოცდახუთი წუთი დასჭირდა,
რომ სურკილიოში, პანამერიკანას გაჩერებამდე მისულიყო, რომე-
ლიც დანტეს ქუჩიდან ორ ნაბიჯში იყო. ქალმა ოფისს მიაშურა და
სწორედ ამ დროს მას ჟურნალის ფოტოგრაფი, სეფერინო არგუელიო
მიუახლოვდა. დამჭლევებულ სეფერინოს ამჯერადაც ცისფერი ჯინ-
სი, გულამოდებული, ჭუჭყიანი მაისური ეცვა და ჩვეულებრივზე
უფრო შეშინებული ჩანდა.

– რა მოხდა, სეფერინო, რა გჭირს, ვინმე მოკვდა?

– იქნებ სადმე შევსულიყავით და რამე დაგველია, ხულიეტა? –
ჰკითხა აღელვებულმა ფოტოგრაფმა ისე, თითქოს მისი შეკითხვა არ
გაუგონია. – გპატიჟებ!

– არ შემიძლია, შეფს უნდა შევხვდე, მაგვიანდება. – მიუგო ქალ-
მა.

– სენიორ გარო რედაქციაში ჯერ არ მისულა. გთხოვ, როგორც
კოლეგას და დიდი ხნის მეგობარს, უარს ნუ მეტყვი, ხულიეტა! – შე-
ვედრა ქალს სეფერინო.

რეტაკიტა დანებდა და „დესტაპესის“ მახლობლად პატარა ბარში შევიდნენ. ამ ბარში ჟურნალის რედაქტორები ყავის დასალევად შედიოდნენ, ხოლო გაზეთების დასტამბვის დღეებში აქ სენდვიჩებით სადილობდნენ და „ინკა კოლას“ აყოლებდნენ. სეფერინომ ორი გაზიანი წყალი შეუკვეთა.

– რა გჭირს, სეფერინო? – ჰკითხა მას რეტაკიტამ, – აბა, მითხარი, რა გაწუხებს? სიყვარულის ალი ხომ არ მოგედო?

სეფერინო ხუმრობის გუნებაზე არ იყო. ძალიან სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა და შავ თვალებში შიში ჩასდგომოდა.

– ხულიეტა, შიშისგან უკვე ჩავისვარე, – ჩურჩულით დაიწყო ფოტოგრაფმა, თუმცა ბარში მათ გარდა კაციშვილი არ იყო. – როგორ ფიქრობ, ეს საქმე მეტისმეტად ხომ არ გართულდა? გუშინ ყველა საინფორმაციო გადაცემა ფოტოების ამბით დაიწყო. ამ დილით კი რადიო და ტელევიზიაც მხოლოდ ამ თემას უტრიალებდა.

– მეტი რა გინდა, სულელი? ბოლოს და ბოლოს ჟურნალის ამ ნომრის წყალობით, შენც ჩვენსავით ცნობილი ადამიანი გახდი. – დაცინვით უთხრა ქალმა ფოტოგრაფს. – რამდენი ხანია, ასეთი წარმატება არ გვლირსებია. დარწმუნებული იყავი, ამჯერად თვის ბოლოს მთლიან ხელფასს მივიღებთ.

– ეს სახუმარო საქმე არ არის. – უსაყვედურა ხულიეტას ფოტოგრაფმა, მერე ირგვლივ მიმოიხედა და ჩურჩულით განაგრძო. – ეგ კარდენასი საკმაოდ გავლენიანი ადამიანია, თუ გადაწყვიტა, შეუძლია გაგვანადგუროს. ნუ დაგავიწყდება, რომ რეპორტაჟის მომზადებაში წვლილი შენც მიგიძღვის, რეტაკიტა!

– სამაგიეროდ, შენი სახელი არ ჩანს არსად, სეფერინო, ამიტომ დამშვიდდი. – მიუგო ქალმა და წამოდგომა დააპირა. – მიდი, ფული გადაიხადე და წავედით აქედან. ჰო, აი, კიდევ რა: ძალიან გთხოვ, ქალაჩუნასავით ნუ იქცევი, რადგან შენი შემხედვარე სხვებიც დაშინდებიან.

– მართალია, ტექსტის ავტორი არა ვარ, მაგრამ ეგ ფოტოები ხომ

მე გადავიღე, ხულიეტა! – არ ცხრებოდა ფოტოგრაფი და მისი შემფოთება უკვე კომიკურ იერს იღებდა. – ისიც ნუ დაგავიწყდება, რომ რედაქციაში ერთადერთი ფოტოგრაფი ვარ და შეიძლება დიდ შარში გავეხვიო. ბატონმა გარომ საქმის კურსში რატომ არ ჩამაყენა და არ მითხრა, რას უპირებდა ამ ფოტოებს?

– შენი ბრალია, სეფერინო. თავად გაითხარე სამარე. – შეუტია ფოტოგრაფს რეტაკიტამ, მაგრამ მის შემინებულ სახეს რომ შეხედა, შეებრალა და გაულიმა. – წარმოდგენაც კი არავის აქვს, რომ ეგ ფოტოები შენი ნახელავია. ასე რომ, მორჩი მაგ სისულელეებზე ფიქრს!

– ხულიეტა, შემომფიცე, რომ ფოტოებთან დაკავშირებით ჩემზე არავის არაფერს ეტყვი! მითხარი, ხომ არასოდეს გააკეთებ ამას?

– სეფერინო, შემიძლია დავიფიცო და ეს ამბავი დაივიწყე. ვერავინ ვერაფერს გაიგებს და არაფერი გემუქრება, ნუ ღელავ!

ფოტოგრაფს ნატანჯი სახე ჰქონდა, ფული გადაიხადა და ორივე გავიდა ბარიდან. როლანდო გარო ოფისში ჯერაც არ მისულიყო. მის მოლოდინში, რეტაკიტამ იმ დღის პრესას გადახედა. ეშმაკმა დალაზვროს, რა აურზაური აუტეხიათ! სერიოზული გამოცემებიდან დაწყებული „ჩიჩას“ პრესით დამთავრებული, ყველა გაზეთი ამ სკანდალს აშუქებდა. რეტაკიტას ჩაეცინა. ინჟინერი კარდენასი ალბათ ხვდება, რა სიბინძურეშიც გაისვარა. ჟურნალ-გაზეთებს რომ გადახედა, თორმეტი საათი შესრულდა კიდეც. უცნაური იყო, რომ შეფი ჯერაც არ გამოჩენილიყო, მაგრამ დაგვიანების შესახებ არავინ გაუფრთხილებია და მიზეზი არავისთვის უთქვამს. რეტაკიტამ გაროს მობილურზე დაურეკა, მაგრამ რედაქტორს ტელეფონი გამორთული ჰქონდა. ნუთუ ჩაეძინა? უცნაური იყო, რადგან როლანდოს შეხვედრაზე დაგვიანება არ სჩვეოდა და თუ ასეთი რამ მომხდარა, თუნდაც თანამშრომლების წინაშე, ყოველთვის ბოდიში მოუხდია. ქალმა ირგვლივ მიმოიხედა. რედაქციაში ჩამიჩუმე არ ისმოდა, კომპიუტერზეც არავინ ბეჭდავდა. გაოგნებული ესტრელიტა სანტიბანიესი მა-

გიდას ჩაშტერებოდა; მოხუც პეპინ სოტილიოს პირში სიგარეტი გა-
ერჭო და თითქოს დავიწყებოდა, რომ ეწეოდა. ლიზბეტ კარნერო კი
ჟურნალში ცნობილი ვარსკვლავების ფოტოებს დასცქეროდა და
შეშფოთებული იკვნეტდა ფრჩხილებს. ზევით, შენობის გუმბათთან
გაჭრილ ფანჯარაზე სვავი ჩამომჯდარიყო და იქ მყოფთ, მტაცებლის
თვალებით ისე მისჩერებოდა, თითქოს უცნაური ცხოველები დაინა-
ხაო. ყველა რალაცის მოლოდინში იყო და ფრინველს აღელვებული
შესცქეროდა. საბრალო სეფერინოს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს-
ესაა ეშაფოტზე უნდა აიყვანონო.

ცოტა ხანში რედაქციაში სასამართლოდან კურიერი მივიდა და
ორი სარჩელი მიიტანა. ერთი სარჩელი „ლუსიანო კასასბელიას და
ადვოკატების“ კომპანიიდან გამოეგზავნათ, რომელიც ენრიკე კარ-
დენასის ინტერესებს იცავდა და ჟურნალის წინააღმდეგ საქმის აღ-
ძვრას აპირებდა. მეორე სარჩელი კი სასამართლოში რელიგიურ ორ-
განიზაციას, „ლოს ბუენოს აბიტოს“ შეეტანა. იგი „დესტაპესს“ აღვი-
რახსნილობასა და ახალგაზრდების გარყვანაში ადანაშაულებდა. ხუ-
ლიეტამ სასამართლოს უწყებები როლანდოს მაგიდაზე დააწყო, და,
რაკი დარწმუნდა, რომ თავის, სამუშაო მაგიდას მიუჯდა, ჩანაწერე-
ბის ბლოკნოტს გადახედა და სტატიებში განსახილველი საკითხების
სია შეადგინა. მერე ინტერნეტში შევიდა და ბოლივიის საზღვარზე,
პუნოში, ბავშვების გატაცების საქმეზე დაიწყო მუშაობა. ხმა დაირ-
ხა, რომ ბოროტმოქმედთა ჯგუფი ბოლივიელი ინდიელების თემები-
დან ბავშვებს იტაცებდა და საზღვარზე პერუელ მაფიოზებზე ყიდდა;
მაფიოზები კი ამ ბავშვებით იმ უცხოელ, უშვილო ოჯახებთან ვაჭ-
რობდნენ, რომლებსაც ხანგრძლივი ბიუროკრატიული პროცესების
გამო ბავშვის აყვანა კანონიერი გზით არ სურდათ. პირველი საათი
იქნებოდა, როცა ხულიეტამ იგრძნო, რომ მის გარშემო რალაც ხდე-
ბოდა. მერე კი დაინახა, რომ რედაქციის სამივე ჟურნალისტი და ფო-
ტოგრაფი მის მაგიდასთან იდგნენ და რეტაკიტას სერიოზულად შეს-
ცქეროდნენ. გაფითრებული სეფერინო ძლივს სუნთქავდა.

- უკვე პირველი საათია და დავალება ჯერაც არ მიგვიღია, არა-
და, ერთი საათის წინ უნდა მიგველო, - უთხრა რეტაკიტას ყველაზე
მხცოვანმა პეპინ სოტილიოსმა და საათს დახედა - უკვე ორი საათი
დაწყებულიყო.

- დიახ, ეს მართლაც უცნაურია. - დაეთანხმა რეტაკიტა. - თერ-
მეტ საათზე მეც შეხვედრა მქონდა შეფთან.

რომელიმე თქვენგანი მობილურით ხომ არ დაკავშირებიხართ?

აღმოჩნდა, რომ გაროს ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. სოტი-
ლიომ კი განაცხადა, რამდენჯერმე ვცადე შეფთან დაკავშირება,
მაგრამ ტელეფონი გამორთული აქვსო. რეტაკიტამ თანამშრომლე-
ბის მოჟამულ სახეებს შეხედა და მიხვდა, რომ მართლაც უცნაური
ამბავი ხდებოდა. შესაძლოა, შეფს ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ პუნ-
ქტუალობაში ვერავინ დაემდურებოდა. სჩვეოდა დანიშნულ ადგი-
ლას დროულად გამოცხადებულიყო, ან სულაც, ერთი საათით ადრე
მისულიყო, მით უფრო თუ საქმე სამუშაოს ეხებოდა. ხულიეტამ გა-
დაწყვიტა გაროს გაუჩინარების გამო ყველა თანამშრომელი საქმეში
ჩაება. ამიტომ სოტილიოსს საავადმყოფოებში დარეკვა დაავალა,
რათა უბედური შემთხვევა გამოერიცხათ. ლისბეტ კარნეროს, რომე-
ლიც ჰოროსკოპების თემაზე მუშაობდა და მკითხველს ცნობებს აწ-
ვდიდა ადამიანთა სექსუალურ და რომანტიკულ ურთიერთობებზე,
სთხოვა ესტრელიტა სანტიბანიესთან ერთად პოლიციის განყოფი-
ლებებთან დაკავშირება, რათა გაერკვია, როლანდო გარო შარში
ხომ არ გაეხვა. თავად კი ბლოკნოტში შეფის მისამართი მოძებნა და
ჩორილიოს უბანში გადაწყვიტა წასვლა.

ხულიეტა ქუჩაში გავიდა და ტაქსის გაჩერება დააპირა, მაგრამ
საფულეში რომ ჩაიხედა, დარწმუნდა, რომ წასვლა-წამოსვლაში ფუ-
ლი არ ეყოფოდა, ამიტომ ავტობუსს დაელოდა. დაახლოებით ერთ
საათში, ხოსე ოლაიას ქუჩაზე მივიდა, სადაც როლანდო გარო გასუ-
ლი საუკუნის დროინდელ, ერთ-ერთ პატარა სახლში ცხოვრობდა.

სახლი ბლოკით, ცემენტით და ხით იყო აგებული, გარედან კი უზარმაზარი გისოსები ჰქონდა შემოვლებული. რეტაკიტამ გაროს კარზე დიდხანს რეკა ზარი და რადგან არავინ გამოენმაურა, გადაწყვიტა როლანდოს ამბავი მეზობლებისთვის ეკითხა, მაგრამ მისი მცდელობა ამას გამოდგა. მარცხნივ სახლში არავინ ცხოვრობდა, მარჯვნივ კარი არ გაუღეს, ბოლოს კი ფანჯრიდან მეზობელმა გამოიხედა და ხულიეტას უთხრა, არც კი ვიცოდი, ჩემს მეზობელს როლანდო გარო თუ ერქვაო. რეტაკიტა რედაქციაში სამის ნახევარზე რომ დაბრუნდა, გაროზე კვლავაც არავინ არაფერი იცოდა, თუმცა თანამშრომლებს უკვე დაედგინათ, რომ საავადმყოფოებსა და პოლიციაში მის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობდა.

მერე დაბნეული თანამშრომლები კარგა ხანს მსჯელობდნენ, და არ იცოდნენ რა მოემოქმედათ. ბოლოს გადაწყვიტეს, შინ წასულიყვნენ და ოთხი საათისთვის ისევ ოფისში შეკრებილიყვნენ, იმ იმედით, რომ ამასობაში რაღაც გაირკვეოდა.

ავტობუსის გაჩერებისკენ მიმავალ რეტაკიტას ვილაცამ ხელი ჩაავლო. ეს ფოტოგრაფი სეფერინო იყო. საბრალო ისეთი აღელვებული ჩანდა, რომ პირში ენას ძლივს აბრუნებდა.

– ვიცოდი, რომ ეს სახიფათო იყო და გაროს ასეთი თავზეხელაღებული საქციელი ბევრ პრობლემას შეგვიქმნიდა. – უთხრა ქალს დათრგუნულმა. – შენი აზრით, რა შეიძლებოდა, შეფს შემთხვეოდა? ნუთუ დაიჭირეს, ნეტავ, რას უპირებენ?

– ჯერჯერობით არავინ იცის, რა მოხდა. – მიუგო აღშფოთებულმა ქალმა. – მოვლენებს ნუ გავუსწრებთ! შესაძლოა, სასწრაფო საქმე გამოუჩნდა და გეგმები შეცვალა, ან, ვინ იცის, იქნებ გასართობად წავიდა სადმე, აბა, რა გითხრა! ვფიქრობ, მოთმინება გმართებს, სეფერინო!

შეფი სალამომდე თუ გამოჩნდა, ყველაფერი გაირკვევა და თავთავის ადგილზე დალაგება. რაც მთავარია, სულს – წრაფი ნუ იქნები

და ნუ იღვლევა. შიშისთვის დრო მერეც გექნება. ახლა კი ნება მომეცი, წავიდე, ძალიან დავიღალე და უნდა დავისვენო, რომ ნებისმიერ განსაცდელს ფხიზელი შევხვდე!

ქალმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ფოტოგრაფი მაშინვე უკან დაედევნა და კბილებში გამოსცრა:

– გული მიგრძნობს, ეს საქმე რალაც ცუდს გვიქადის, ხულიეტა. გაროს გაუჩინარება კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოს.

„უღლეური ქალაჩუნა“, – გაივლო გულში რეტაკიტამ, მაგრამ სეფერინოსთვის აღარაფერი უთქვამს.

შინ დაბრუნებულს ჭამა არ უფიქრია, პირდაპირ ლოგინზე მიწვა და ფიქრი დაიწყო. რა თქმა უნდა, რეტაკიტაც ლელავდა, მაგრამ არ უნდოდა სეფერინოს და სხვა თანამშრომლებს ეს შეემჩნიათ. წარმოუდგენელი იყო, როლანდო გარო სადმე ისე წასულიყო, რომ ამის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვა, თანაც ისეთ დღეს, როცა რედაქციაში თანამშრომლებს ჩვეულებისამებრ მთელი კვირის გეგმებს აცნობდა და ჟურნალის შემდეგი ნომრის მასალებზე მითითებებს აძლევდა. ნუთუ ამ საქმეში ინჟინერი კარდენასის ხელი ერია? საქმე ნამდვილად გაროს გაუჩინარებას თუ ეხებოდა, ეს ყველაზე საფუძვლიანი ვარაუდი უნდა ყოფილიყო. ხულიეტამ უეცრად საშინელი დაღლილობა იგრძნო, და მიხვდა, რომ ეს დიღანდელი გაწამაწიის ბრალი არ იყო; მის დაძაბულობას ის ეჭვი იწვევდა, თუ რა შეიძლებოდა შემთხვეოდა მის შეფს.

რეტაკიტას ოთხ საათზე გამოეღვიძა. ერთი საათით ჩასძინებოდა და მის ცხოვრებაში ეს ალბათ პირველი შემთხვევა იყო, როცა დღისით ეძინა. მერე ხელ-პირი დაიბანა და რედაქციაში დაბრუნდა. თანამშრომლები უკვე შეკრებილიყვნენ, ყველა სერიოზული, ჩაფიქრებული ჩანდა და შეფზე ისევ არავინ არაფერი იცოდა.

– პოლიციაში უნდა განვაცხადოთ, – თქვა ბოლოს ხულიეტამ. – შეფს აშკარად რალაც შეემთხვა და მისი ძებნა უკვე პოლიციამ უნდა დაიწყოს!

ცოტა ხანში რედაქციის მთელმა შემადგენლობამ სურკილიოს პოლიციის განყოფილებას მიაკითხა, იქვე, დანტეს ქუჩაზე, რომელიც მათი ოფისიდან ორ ნაბიჯში მდებარეობდა. თანამშრომლებმა უფროსთან შეხვედრა მოითხოვეს, პატარა ეზოში, ღვთისმშობლის უზარმაზარ ქანდაკებასთან დადგნენ და ნახევარი საათი ელოდებოდნენ უფროსთან შესვლას. პოლიციის უფროსი, ბოლოს, როგორც იქნა, შეხვდა მათ. მოხუცმა სოტილიოსმა უფროსს მოახსენა, ყველა ძალიან ველავთ, რადგან ჩვენი შეფი, როლანდო გარო, უკვე ოცდაოთხი საათია არსად ჩანს. ის სწორედ იმ დღეს გაუჩინარდა, როდესაც ჟურნალის რედაქტორები, როგორც წესი, მთელი კვირის სამუშაოს დასანაწილებლად ვიკრიბებითო. ულვაშა პოლიციის პოლკოვნიკი წესრიგის მოყვარული კაცი აღმოჩნდა. ყურადღებით მოისმინა თანამშრომლების ჩვენება და განცხადებაზე ყველას მოაწერინა ხელი. ჟურნალისტებს დაპირდა, როგორც კი საფუძვლიან ინფორმაციას მივიღებ, დაუყონებლივ შევუდგები საქმის გამოძიებასო.

ჟურნალისტებმა კი პოლიციის შენობიდან გასვლისთანავე გადაწყვიტეს „დესტაპესის“ ადვოკატი ენახათ, რადგან ეჭვი ეპარებოდათ, რომ პოლიციის ულვაშა პოლკოვნიკი ამ საქმეს თავს მოაბამდა და რამეს გამოიძიებდა. რეტაკიტა და სოტილიოსი კარგად იცნობდნენ დოქტორ ხულიუს არისპეს. უკვე სალამოს შვიდი საათი იყო, მაგრამ ადვოკატმა ისინი ესპანიას გამზირზე, თავის კაბინეტში დაუყონებლივ მიიღო. არისპე კეთილგანწყობილი ადამიანი იყო და სიმპათიას იმსახურებდა, ლაპარაკისას კი ჩვევას არ ღალატობდა და ცხვირთან ისე აიქნევდა ხოლმე ხელს, თითქოს ბუზს იგერიებდნო. მან რეტაკიტას ყურადღებით მოუსმინა და განაცხადა, ეს ამბავი ნამდვილად საგანგაშოა, რაკი საქმე როლანდო გაროსთანა ცნობილ ჟურნალისტს ეხებაო. მერე ჟურნალისტებს შეჰპირდა, რომ მომხდარის შესახებ პირადად მოახსენებდა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც, სხვათა შორის, მისი ახლო მეგობარი იყო.

ჟურნალისტები იურიდიული ორგანიზაციიდან რომ გამოვიდნენ,

უკვე დაღამებულიყო. რაც კი იმ დროისთვის საჭირო იყო, მათ ყველაფერი გააკეთეს, ამიტომ ყველა სხვა მცდელობა ამაო იქნებოდა. მერე შეთანხმდნენ, რომ დილის ათ საათზე ერთმანეთს რედაქციაში შეხვდებოდნენ და დაიშალნენ. რეტაკიტამაც წასვლა დააპირა, მაგრამ დაინახა, რომ მას ცალკე დასალაპარაკებლად სეფერინო მიუახლოვდა.

– ოღონდაც ახლა არ გინდა, სეფერინო. – უხეშად უთხრა მას ქალმა. – ვიცი, რომ ძალიან შეშინებული ხარ და ისიც ვიცი, რომ შეფის გაუჩინარების მიზეზი შესაძლოა, შენი ფოტოები გამხდარიყო, ჩოსიკას ორგიაზე რომ გადაიღე. მეც შენსავით მეშინია და ვლელავ, მაგრამ ამ წუთიდან მხოლოდ საქმეზე ვლაპარაკობთ! გასაგებია, სეფერინო? ისედაც ძალიან განერვიულებული ვარ, და, ძალიან გთხოვ, თავს ნუღარ მომაბეზრებ. ხვალ დავილაპარაკოთ.

რეტაკიტა სეფერინოს დასცილდა და ახლალა მიხვდა, რომ მთელი დღე არაფერი ეჭამა. ხუთ კუთხეში ისევ იმ ბინძურ კაფეში შევიდა, დილას რომ ისაუბმა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა, კაფედან გამოვიდა და შინისკენ გაემურა. ან როგორ უნდა ეჭამა, როცა შიშის ვერ გრძნობდა და იცოდა, რომ ახლა ყელში ლუკმა არ გადაუვიდოდა. კვარტალი ხუნინი სწრაფი ნაბიჯით გაიარა. უკვე ბნელოდა და ქუჩაში ნარკოტიკებით მოვაჭრეები, მეძავეები და ყველა ჯურის არამზადა ირეოდა. რკინის გისოსებს გვერდით რომ ჩაუარა, ვილაცის ძალლი ღობეს ყეფით მოაწყდა და რეტაკიტა გვარიანად შეაშინა.

შინ მისულმა, ტელევიზორი ჩართო. არხიდან არხზე რთავდა, რომ შეფზე რაიმე ინფორმაცია მოესმინა, მაგრამ ამაზე სიტყვა არავის დაუძრავს. ტელევიზორი გამორთო და კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა ნახევრად განათებულ სასტუმრო ოთახში, დახვავებულ ჟურნალ-გაზეთებს შორის. რა უნდა შემთხვეოდა შეფს? მერე დაინახა, რომ ჭერზე, სწორედ მის ზემოთ, ვერცხლისფერი აბლაბუდა ჩამო-

კონწიალებულიყო. ნუთუ გაიტაცეს? არა, ეს სისულელე იყო, რადგან როლანდო გაროს ერთი სენტავოც არ ებადა და რა უნდა გამოეძალათ? ტერორისტების მხრიდან მისი დაშანტაჟებაც შეუძლებელი ერჩვენებოდა. „დესტაპესი“ პოლიტიკაში არ ერეოდა, თუმცა იშვიათად ზოგ პოლიტიკოსზე აქვეყნებდა სტატიებს. ნეტავ, ის თუ მაინც იყო სიმართლე, რომ მისი შეფი ფუხიმორის დაზვერვის უფროსის, დოქტორის დაკვეთებს ასრულებდა? ასეთი ხმა დიდი ხანია დადიოდა, მაგრამ რეტაკიტას არასოდეს ჰყოფნიდა გამბედაობა, როლანდო გაროს ამაზე დალაპარაკებოდა. ან თუ „სენდერო ლუმინოსოს“ და MRTAს ჟურნალისტები აინტერესებდათ, რატომ შეარჩევდნენ ამისთვის „დესტაპესის“ მსგავს პატარა რედაქციას? ასეთ შემთხვევაში მათი ინტერესის ობიექტი „ელ კომერსიოს“ დირექტორი ან „RPP“-ს სატელევიზიო არხი უნდა ყოფილიყო?!

ფიქრებში წასული რეტაკიტა კარგა ხანს ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში იჯდა, როცა უეცრად კარზე ბრახუნი გაისმა. მოულოდნელობისგან ქალი სკამზე შენტა და იგრძნო, რომ ხელისგულები გაუოფლიანდა. ბრახუნი უფრო ძლიერად განმეორდა.

– ვინ არის? – იკითხა რეტაკიტამ.

– პოლიცია. – მიუგო მამაკაცის ხმამ. – სენიორიტა ხულიეტა ლეგისამონს ვეძებთ. თქვენ ხართ?

– რასთან დაკავშირებით ეძებთ? – ჰკითხა ქალმა და გული აუჩქარდა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროდან ვართ, სენიორიტა, – მიუგო იმავე ხმამ. – თუ შეიძლება კარი გაგვიღეთ და ყველაფერს აგისნით. საშიში არაფერია.

რეტაკიტამ გულისფანცქალით გააღო კარი. კართან ფორმიანი მამაკაცი იდგა, რომელსაც თან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი ახლდა. მოშორებით პოლიციის მანქანის ციმციმა მოჩანდა.

– თქვენ წინაშეა კაპიტანი ფელიქს მადუენიო. – ოფიციალურად

განაცხადა პოლიციის თანამშრომელმა და კეპზე ხელი მიიღო. – ჟურნალისტი ხულიეტა ლევისამონი ბრძანდებით?

– დიახ, მე გახლავართ. – მიუგო რეტაკიტამ და შეეცადა აკანკალებულ ხმას მორეოდა. – რით შემიძლია, დაგვენმართ?

– ამოსაცნობად უნდა გამოგვეყვით! – უთხრა კაპიტანმა. – ბოლიშ გინდით, ასე გვიან რომ გაწუხებთ, მაგრამ სასწრაფო საქმეა.

– ამოსაცნობად? – გაიმეორა ქალმა.

– განა დღეს სურვილის პოლიციის განყოფილებაში თქვენ არ განაცხადეთ ბატონი სენიორ გაროს გაუჩინარების შესახებ?

– დიახ, დიახ, მართალს ბრძანებთ! რამე ახალი შეიტყეთ ჩემი შეფის შესახებ?

– შეიძლება ასეც ითქვას, – მიანიშნა კაპიტანმა. – ამიტომ ახლა უნდა გამოგვეყვით, რომ დაგვენმართ. დიდ დროს არ წაგართმევთ და სახლშიც ჩვენვე დაგაბრუნებთ, მაგაზე არ იდარდოთ.

რეტაკიტა მანქანაში უკანა სავარძელზე დაჯდა და დაინახა, რომ მანქანა გრაუს გამზირის მიმართულებით წავიდა, მხოლოდ მაშინ მოვიდა აზრზე და დაეჭვებით იკითხა:

– კი მაგრამ, სად მიგყავართ, კაპიტანო? – მორგში, სენიორიტა.

ხულიეტას ხმა აღარ ამოუღია. გრძნობდა, რომ სული ეხუთებოდა და შეეცადა ღრმად ჩაესუნთქა ნახევრად ჩამოწეული ფანჯრიდან შემოსული ჰაერი. ჩაბნელებული ქუჩები გაიარეს და ბოლოს, „გრაუს“ გამზირზე რომ გავიდნენ, რეტაკიტამ „დოს დე მაიოს“ ჰოსპიტლის შენობაც დაინახა. მერე იგრძნო, რომ გული ერეოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა და შეიძლებოდა იქვე გონება დაეკარგა. წამით თვალები დახუჭა, და, როგორც უძილობის დროს სჩვეოდა, ახლაც შეეცადა, თვლა დაეწყო. ცოტა ხანში მანქანა გაჩერდა და რეტაკიტა მიხვდა, რომ კაპიტანი ფელიქს მადუენიო ცდილობდა, მანქანიდან გადმოსვლაში დახმარებოდა. მერე ბნელი და ნესტიანი დერეფნები გაიარეს, სადაც გახრწნილი გვამისა და ქიმიური ხსნარის სუნი იდგა

და ქალმა თავი ძლივს შეიკავა, რომ გული არ არეოდა. ბოლოს განათებულ ოთახში შევიდნენ. ირგვლივ შალითაგადაფარებული გვამები ეწყო და იმ წუთს კაპი. ტანს რეტაკიტასთვის ხელი რომ არ შეემველებინა, ალბათ იატაკზე მოადენდა ზღართანს.

– აქეთ წამობრძანდით! – თქვა ამ დროს ვილაცამ, ხულიეტამ იქ მყოფთა მანუგეშებელი თუ დამცინავი მზერა დაინახა და ამის გამო თავი საშინლად დათრგუნულად და შეურაცხყოფილად იგრძნო.

– აბა, რას იტყვით, ამოიცანით? ეს ადამიანი ნამდ. ვილად როლანდო გაროა? – შეკითხვა გაუმეორა კაპიტანმა, რადგან პირველად პასუხი ვერ მიიღო.

მიცვალებული თეთრი შუქით განათებულ, მაღალ მაგიდაზე იწვა და რეტაკიტამ მისი დახუჭული თვალები და ჭუჭყითა და შემხმარი სისხლით დაფარული სახე დაინახა.

– ვიცით, ამოცნობა გაგიჭირდებათ, რადგან მიცვალებულს სახე საშინლად აქვს დამახინჯებული, მაგრამ შეეცადეთ გვითხრათ, ეს ის ადამიანია, ვისზეც ეჭვობთ? გვითხარით, ეს ჟურნალისტი როლანდო გაროა?

რეტაკიტას თითქოს ხელ-ფეხი და ენა წართმეოდა. ვერ ინძრეოდა და ხმასაც ვეღარ იღებდა. მიცვალებულის სისხლსა და ჭუჭყში ერთიანად ამოთხვრილი სახე ქალს არაფერს ეუბნებოდა.

– რა თქმა უნდა იცნო, ეს სწორედ ის კაცია! – გაისმა ამ დროს ექიმის ხმა.

– კი მაგრამ, ექიმო, იქნებ აჯობებს, სენიორიტას რამე დამამშვიდებელი მისცეთ! ვერ ხედავთ, რა მდგომარეობაშია? სადაცაა გონებას დაკარგავს!

14. პრობლემები და მშვიდობიანი ცოლ- ქმრული ცხოვრება

– დაჩოქილი გვევდრები, ნება მომეცი, შინ დავბრუნდე, საყვარელო! – უთხრა კიკემ ცოლს. ღონემიხდილი ხმა ჰქონდა და საცოდავად გამოიყურებოდა. მარისას თვალში ეცა, რომ ენრიკეს ჰალსტუხი არ ეკეთა, დაჭმუჭნული პერანგი ეცვა და ამ ცოტა ხანში საგრძნობლად გამხდარიყო.

– დაბრუნების ნებას იმ შემთხვევაში მოგცემ, თუ ყველაფერს ამიხსნი, – ცივად მიუგო ქალმა. – მაგრამ თუ ეგ თემა ისევ საიდუმლოებით უნდა იყოს მოცული, ჯობია წახვიდე!

კიკე და მარისა ტერასის გვერდით, პატარა მისაღებ ოთახში ისხდნენ, სადაც ადრე საუზმობდნენ ხოლმე. მოსაღამოებულები, ღიმას ჩრდილები გადაფარებოდა და შორს მოციმციმე სინათლეები ჩამოწოლილ ნისლში ღვებოდა. შუშის მაგიდაზე კიკეს ჭიქით მინერალური წყალი ედგა.

– რა თემა უნდა, ყველაფერზე დავილაპარაკებთ, გრინგიტა. – კვენესასავით აღმოხდა კიკეს. – აღარ შემიძლია დედაჩემთან ყოფნა.

ჩემი ნივთებიც აქ არის. იფიქრე ამაზე, გევედრები.

– ეგ შენი ნივთებიც დედაშენთან წაიღე. – აუწია ხმას მარისამ. ქმარს დაჟინებით უყურებდა, ხმაში ყოყმანი არ ეტყობოდა და უკან დახევას არ აპირებდა. – ამ სახლში ველარ დაბრუნდები, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ მე აქ ვცხოვრობ, ამას ერთხელ და სამუდამოდ შეეგუე! არასოდეს გაპატიებ შენს უზნეო საქციელს და ეს მშვენივრად იცი. უნდა გაგეყარო, თუმცა ისედაც გაყრილი არა ვარ?!

– მე შენთვის არაფერი დამიშავებია, მარისა! უნდა დამიჯერო, როცა გეუბნები, რომ იმ ფოტოებზე მე არა ვარ. – ისევ ვედრებით უთხრა კიკემ ცოლს. – ნუთუ არ გესმის, რომ საშინელი ცილისწამების მსხვერპლი გავხდი?! მარისა, შენ ხომ ჩემი ცოლი ხარ, ამიტომ არ მესმის როგორ იჭერ ჩემი მტრების მხარეს და ამართლებ მათ, ნაცვლად იმისა, რომ მე ამომიღვე მხარში?

– იმ ფოტოებზე სწორედაც რომ შენ ხარ, კიკე! მინდა იცოდე, რომ მაგ სიცრუით ფონს ვერ გახვალ! – მოუჭრა ქმარს სიტყვა მარისამ და თვალები მრისხანებით დააკვესა. ქალს საკმაოდ გულამოდებული ბლუზა ეცვა და მკერდი სანახევროდ მოუჩანდა; მარმარილოსავით თეთრ მხრებზე ქერა თმა სცემდა, ფეხზე კი დაწნული სანდლები ამოეცვა. – რა თქმა უნდა, სწორად მოიქეცი, როცა საჯაროდ უარყავი, ფოტოებზე მე არ ვარო, მაგრამ მაგ ანკესზე ვერ წამომაგებ, ძვირფასო! ალბათ გავიწყდება, რომ შენი შიშვლად ხილვა ჩემთვის უცხო არ არის! იმ ფოტოებზე ბინძურ პოზებში და საზიზღარი კახპების გარემოცვაში სწორედაც რომ შენ ხარ! თანაც ამ დროს ვიღაცას უფლებას აძლევ, სურათები გადაგიღოს! ყველას დასაცინად გაიხადე საქმე და მეც მთელი ქალაქის საჭორაოდ მაქციე. „პერუს ყველაზე ცნობილი ზვიგენი“. აი, როგორ მოგიხსენიებს „დესტაპესი“. იცი მაინც რა დღეში არიან ჩემი მშობლები და ძმები ამ ამბის გამო?

ენრიკემ მინერალური წყალი მოსვა და მარისას ხელს დასწვდა, მაგრამ ქალმა ხელი ააცალა და უკმაყოფილო სახე მიიღო.

– იცოდე, გაყრაზე არც იფიქრო, იმიტომ, რომ ყოველთვის მიყვარდი და ახლაც მიყვარხარ, მარისა – ცრემლნარევი ხმით უთხრა ცოლს კიკემ. – გეფიცები, შენს სიყვარულს ისევ დავიბრუნებ და უკან არაფერზე დავიხევ. გგონია არ ვნანობ და არ განვიცდი, რომ ასეთ შარში გავეხვიეთ? გგონია, არ ვიცი, რომ...

ენრიკეს სიტყვა მობილურის ზარმა გააწყვეტინა, ტელეფონი ჯიბიდან ამოიღო და ნახა, რომ ლუსიანო ურეკავდა.

– მაპატიე, გრინგიტა, ლუსიანო მირეკავს, ალბათ საჩქარო საქმე აქვს. დიახ, ლუსიანო, გისმენ! ახლა მარისასთან ვარ. ჰო, რა თქმა უნდა, შეგიძლია მითხრა. რამე სიახლეა?

მარისამ შენიშნა, რომ ლუსიანოსთან ლაპარაკის დროს კიკე საშინლად გაფითრდა და სახე დაემანჭა. გაოგნებული უსმენდა მეგობარს და პირიდან ნერწყვი ისე ჩამოუვიდა პერანგზე, რომ ვერც კი იგრძნო. ნეტავ, რა მოხდა ისეთი, რამაც ენრიკეს ასე აუბნია თავგზა? იგი თვალეხს უაზროდ ახამხამებდა და ბრიყვული სახე ჰქონდა. როგორც ჩანს, ლუსიანომ მას ძალიან უსიამოვნო ამბავი აცნობა. მარისამ გაიგონა, კიკემ როგორ წაიბურღლუნა: „ჰო, ჰო, ლუსიანო და ახლავე მოვდივარ“, მერე კი წასვლის ნაცვლად, სავარძელში დიდხანს გაუძრევლად იჯდა, საშინლად გაფითრებული ცოლს უაზრო თვალეხით შეჰყურებდა და თან ბუტბუტებდა: ღმერთო ჩემო, ეს შეუძლებელია. ესლა მაკლდა.

– რა მოხდა, კიკე, რა გითხრა ლუსიანომ? ისევ მორიგ ინტრიგაში გაეხვიე? – ჰკითხა ქმარს მარია.

ენრიკემ ცოლს ისე შეხედა, თითქოს მისი იქ ყოფნა მხოლოდ ახლა შენიშნა და ვერ იცნო იგი.

– როლანდო გარო მოუკლავთ, – ბოლოს სამარისებური ხმით მიუგო კიკემ მარისას და თან თვალეხს გიჟივით ატრიალებდა. – საშინელი, დაუნდობელი სისასტიკით ყოფილა მოკლული. უამრავი ჭრილობა მიუყენებიათ, სახე კი ქვით ჰქონია ჩაჩეჩვილი. მისი გვამი ხუთი კუთხის უბანში უპოვიათ. ხვდები, ეს რას ნიშნავს, მარისა?

ენრიკემ ფეხზე წამოდგომა დააპირა, მაგრამ წაბორძიკდა. შეეცა-
და სავარძლის ზურგს დაყრდნობოდა, მაგრამ ვერ შეძლო, და ჯერ
მუხლებზე დაეცა, მერე კი მთელი ტანით ხალიჩაზე გაიშლართა. მა-
რისამ ქმართან მიიღბინა და დაინახა, რომ მას თვალები გადაეტრია-
ლებინა, ოფლში გახვითქულიყო, პირიდან დუყი გადმოსდიოდა და
მთელი ტანით ცახცახებდა.

– კიკე, კიკე! რა გჭირს? რა დაგემართა? – შესძახა ქალმა და
ქმარს თავი წამოუწია.

მარისას ყვირილზე ოთახში კინტანილია, მოახლე და მსახურიც
შეცვივდნენ.

– მომეხმარეთ, რომ წამოვაცენო! – უთხრა მათ ქალმა. – ფრთხი-
ლად დავაწვინოთ, რომ არაფერს მივაჯახოთ. ექიმ სალდანიას უნდა
დავურეკო! სწრაფად, სწრაფად, ტელეფონების წიგნში მისი ნომერი
მომიძებნეთ!

კიკე აიყვანეს და დივანზე დააწვინეს. მერე მსახურმა და მოახ-
ლემ მას შუბლზე ცივი საფენები დაადეს, მარისა კი ექიმთან დაკავ-
შირებას ცდილობდა; ამასობაში კიკემ თვალები გაახილა.

– რა მოხდა, რა დამემართა? – იკითხა დაბნეულმა და გაფითრე-
ბულმა. მარიამ ყურმილი დადო და ქმარს მოეხვია.

– როგორ შემაშინე, კიკე, კინალამ გული წამივიდა, მეგონა მოკ-
ვდი. ახლა ექიმ სალდანიას ვურეკავდი, სასწრაფოს ხომ არ გამოგუ-
ძახო? – ნამტირალევი ხმით ჰკითხა დაბნეულმა ქალმა.

– არა, უკეთ ვარ. – წაილულლულა ენრიკემ და ცოლს ხელზე აკო-
ცა. მარისა ამჯერად არ შეწინააღმდეგებია. კიკემ კი დასძინა. – ეს
დღეები ისედაც სულ დაძაბული ვიყავი, ჰოდა, ახლა ამ ყველაფერს
ეს ამბავიც დაემატა.

– მითხარი, რატომ ფიქრობ, რომ საშინელება მოხდა? პირიქით,
უნდა გვიხაროდეს, რომ ეგ ამაზრზენი ტიპი ჩააძაღლეს. – შესძახა
მარისამ და მორჩილად შეხედა ქმარს, რომელიც მის ხელს ისევ და
ისევ კოცნიდა. – ეგ დანაშაული შენ არ ჩაგიდენია, ასე რომ, ძალიან

კარგი, თუ მოკლეს!

– ჩემო ძვირფასო, მიყვარხარ და ძალიან მჭირდები! – უთხრა ცოლს კიკემ და მარისას საკოცნელად წამოიწია. – სიკვდილს კი გაროსთანა ნაძირალასაც ნუ უსურვებ. თანაც ხომ შეიძლება ამ ფაქტის გამო ის წყეული სკანდალიც განახლდეს?!

– თავს როგორ გრძნობ? სიცხე არა გაქვს! – უთხრა მარისამ და შუბლზე ხელი დაადო. ქალი ქმარს ახლა სიბრაზის ნაცვლად, თანაგრძნობით სავსე თვალებით უყურებდა.

– უკეთ ვარ. – მიუგო ენრიკემ და წამოდგომა დააპირა. – ლუსიანო თავის ოფისში მელოდება, უნდა წავიდე.

– ჯერ თავი მოიწესრიგე, სამარცხვინო შესახედავი ხარ! – უთხრა ქმარს მარისამ და ორივე ხელი პერანგზე ჩამოუსვა. – თმა აჩეჩილი გაქვს და დაჭმუჭნული პერანგი და შარვალი გაცვია.

– ძალიან შეგაშინე, არა? – ჰკითხა მარისას კიკემ, ცოლს თმაზე ხელი გადაუსვა და შარვალი და პიჯაკი ჩამოიბერტყა. – ახლა არ მითხრა, არაო! ხომ ძალიან შეგეშინდა, გონება რომ დავკარგე? ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოდნავ მაინც ისევ გიყვარვარ, აბა, რას მეტყვი, გრინგიტა?

– რა თქმა უნდა, შემეშინდა. – მიუგო ქმარს მარისამ და მოჩვენებითი სიმკაცრით დასძინა: – აღარ მიყვარხარ. იმედები გამიცრუე, ამას კი არასოდეს გაპატიებ!

მარისას ეს სიტყვები ისე ნაძალადევად და არაღამაჯერებლად გაისმა, რომ კიკემ გაბედა და ცოლს წელზე შემოხვია ხელი, მერე კი თავისკენ მიიზიდა და ტურები ყურთან მიუტანა. მარისას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ამის დანახვისას კინტანილიამ და მსახურმა ერთმანეთს გადახედეს და ოთახიდან გავიდნენ.

– ლუსიანოსთან წავალ და იმ წყეულ საქმეზე დაველაპარაკები. – უჩურჩულა ყურში ცოლს კიკემ, თან აკოცა და ბიბილოზე ნაზად უკბინა. – მერე კი დავბრუნდები და მოგესიყვარულები. ძალიან ლა-

მაზი ხარ, გრინგიტა! მინდა ჩაგეხუტო და შენი შიშველი სხეული შევიგრძნო ენრიკემ ცოლს ტუჩებში აკოცა. მარისამ ქმარს ამის ნება მისცა, მაგრამ კოცნაზე კოცნით არ უპასუხა.

– მეც იმ კახპებივით უნდა მომექცე და ჩემთანაც მსგავსი საზიზღარი საქციელით უნდა გამოიჩინო თავი? – ჰკითხა მარისამ და კიკე კარამდე მიაცილა.

– მთელი ღამე შენს ალერსში უნდა გავატარო. ასეთი ღამეაზი არასოდეს ყოფილხარ! ამიტომ ძილი საერთოდ უნდა დამავიწყო, ძვირფასო! – ჩურჩულით უთხრა ცოლს ენრიკემ და კარი გააღო.

კიკე ლუსიანოს ოფისში მძლოლმა წაიყვანა, რადგან „დესტაპესში“ აგორებული სკანდალის შემდეგ, თავად აღარ ჯდებოდა საჭესთან. გზაში იმაზე ფიქრობდა, რომ ამ საშინელი პრობლემების მიუხედავად, შინ დაბრუნება და მარისას შემორიგება მაინც მოახერხა. იგი ცოლს ნამდვილად არ ეპირფერებოდა, როცა სიყვარულს ეფიცებოდა. დიახ, ეს სრული სიმართლე იყო, რადგან გრინგიტა თავსდამტყდარ უსიამოვნებებს თითქოს კიდევ უფრო დაემშვენებინა; საუბრობის დროს კი კიკეს მარისასთან სიახლოვის საოცარი სურვილი მოეძალა და ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ ღამით ცოლის ალერსი უწინდებურად ესიამოვნებოდა. იმ დაწყევლილი დღიდან სამი კვირა მაინც გასულიყო, რაც სექსი არ ჰქონიათ. ეს ის დღე იყო, ოფისში ფოტოებით შეიარაღებული გარო რომ ეწვია. ახლა ეს ტიპი მკვდარი იყო, რადგან ბარიო ალტოში ვიღაც მას სასტიკად გაუსწორდა. ნეტავ, კიდევ რა მოხდებოდა? ნუთუ სკანდალი განახლდებოდა და პრესაში, რადიოსა და ტელეარხებზე ისევ დაიწყებდნენ ამაზე ლაპარაკს? ენრიკემ იგრძნო, რომ კანკალმა აიტანა. ალბათ, ისევ გამოაქვეყნებდნენ ბინძურ სტატიებს და ისევ წამოვიდოდა ცილისწამების ნიაღვარი? ის კი იძულებული გახდებოდა, თითოეული სიტყვა აეწონა და ფრთხილად ემოქმედა, რათა კვლავაც არ გამხდარიყო ხალხის ბინძური ცნობისმოყვარეობის მსხვერპლი.

– მარისა ბოლოს და ბოლოს შეგირიგდა? – მაშინვე ჰკითხა ლუსიანომ, როგორც კი ენრიკე მის სამუშაო ოთახში შევიდა. – ყოველ შემთხვევაში ახლა სახლში დაბრუნებას მაინც შეძლებ!

– ჰო, ეს როგორღაც მოვახერხე. – დაეთანხმა მას კიკე. – ახლა ის მითხარი, ვინ ან რატომ მოკლა გარო?

ცოტა ხნით ადრე ლუსიანოს ტელეფონით თავად დოქტორი დაუკავშირდა. მანამდე კი ადვოკატი დაზვერვის შეფს ორჯერ შეხვდა, რათა მასთან ფოტოებთან დაკავშირებულ სკანდალზე და გაროს მიერ მოწყობილ შანტაჟზე დალაპარაკებოდა.

– დოქტორმა დამირეკა და მითხრა, რომ გარო დანით მოუკლავთ. მისი გვამი კი ბარიო ალტოსში სანაგვეზე, რომელიღაც სამორინესთან დაუგდიათ. ჟურნალისტს სახე საშინლად დასახიჩრებელი ჰქონია. – უთხრა ენრიკეს ლუსიანომ. – პოლიცია ჯერჯერობით დუმს. დოქტორმა ამით მიმანიშნა, რომ საქმე, რომლის მიჩუმათებასაც სამუდამოდ ვცდილობდით, კიდევ უფრო გართულდა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვშიშობ, რომ ეს ასეც მოხდება.

– მკვლელი დაიჭირეს?

– ჯერჯერობით ვერა, მაგრამ დოქტორმა მითხრა, რომ პოლიცია ამ მკვლელობის შესახებ დაუყონებლივ გამართავს პრესკონფერენციას და მკვლელობას სალამოს ყველა საინფორმაციო გამოშვებაში გააშუქებენ. იცოდე, არანაირი განცხადება არ გააკეთო და ყველანაირად უარყავი, რომ ამ ამბავს რაიმე საერთო აქვს ფოტოების სკანდალთან. თუმცა ეს კავშირი რა თქმა უნდა, არსებობს.

ადვოკატი გაჩუმდა და კიკეს უცნაური მზერა შეავლო, რომელიც უნდობლობას გამოხატავდა. ახლა ლუსიანო თითქოს მეგობრის გამოტეხვას ცდილობდა. ნუთუ დაზვერვის სამსახურის უფროსმა მას კიდევ რაღაც ისეთი უთხრა, რასაც ლუსიანო ენრიკეს უმაღავდა?

– რა მოხდა, ლუსიანო, ასეთი ეჭვის თვალით რატომ მიყურებ?

ადვოკატი მეგობარს მიუახლოვდა, მისი ხელები ხელებში მოიქ-

ცია და სერიოზულად დააკვირდა. ლუსიანოს წვრილ თვალებში კიკემ შეშფოთება და ეჭვი ამოიკითხა.

– კიკე, რაღაც მინდა გკითხო, და, გთხოვ, გულწრფელად მიპასუხო! – ლუსიანომ მხარზე ხელი დაადო. – ამას არ გთხოვ როგორც ადვოკატი. ჩვენი ძველი მეგობრობის პატივისცემის გამო უნდა მითხრა სიმართლე!

– ლუსიანო, არ მინდა დავიჯერო, რომ ის უნდა მკითხო, რაც ეს-ესაა გავიფიქრე! – წაილულლულა შეშინებულმა კიკემ.

– ჰო, სწორედ ეგ მინდა გკითხო. – არ ცხრებოდა ლუსიანო. – მითხარი, მომხდართან რამე გაკავშირებს?

კიკეს ცივმა ოფლმა დაასხა და ეგონა, რომ ისევ გონებას დაკარგავდა. მერე მკერდში ტკივილი იგრძნო და თვალთ დაუბნელდა. ენრიკე წაბარბაცდა და, რომ არ წაქცეულიყო, მაგიდის კიდეს დაეყრდნო.

– ეს აზრი შენ მოგივიდა თავში? – წაილულლულა კიკემ. – ფიქრობ, რომ შემეძლო ის კაცი მომეკლა? გგონია, რომ ამაზე წამსვლელი ვარ?

– მიპასუხე, კიკე! – ლუსიანოს ისევ მის მხარზე ედო ხელი. – მინდა უბრალოდ მითხრა, რომ როლანდო გაროს მკვლელობის საქმეში შენი ხელი არ ურევია!

– რა თქმა უნდა, რომ მაგ მკვლელობასთან არაფერი მაკავშირებს, ლუსიანო. არ მჯერა, რომ შენ, რომელიც მთელი ცხოვრება მიცნობ, შეიძლებოდა ეჭვი შეგპარვოდა ჩემში!

– ძალიან კარგი, კიკე. – შვებით ამოისუნთქა ადვოკატმა და გალიმება სცადა. – მჯერა შენი, კიკე, მაგრამ ამის გაგონება პირადად შენგან მინდოდა.

ლუსიანომ მეგობარს სავარძელზე მიუთითა, რომელიც ინგლისური გრავიურებისა და ტყავისყდიანი წიგნებით სავსე თაროების ქვეშ იდგა.

– ახლა კი, დეტალურად მომიყევი, ბოლო ორმოცდარვა საათის

განმავლობაში სად იყავი და რას აკეთებდი, კიკე.

ადვოკატს მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, წყნარად ლაპარაკობდა და ხელში ბლოკნოტი და საწერი კალამი მოემარჯვებინა. კიკეს განსხვავებით უზადოდ დაუთოებულ თეთრ-წითელ ზოლიან პერანგზე ძოწისფერი ჰალსტუხი ეკეთა, პერანგის სახელოებს კი ვერცხლის საკინძეები უმშვენებდა.

– კი მაგრამ, ლუსიანო, ბოლოს და ბოლოს არ მეტყვი, რა ხდება? – ჰკითხა ენრიკემ და აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან შეშინებული იყო.

– ჩემო კიკე, ამ მკვლელობაში პირველი ეჭვიმტანილი შენ ხარ. – მიუგო მეგობარმა მშვიდად. მერე სათვალე მოიხსნა და მინებს სინათლეზე გახედა. – ნუთუ ისეთი სულელი ხარ, რომ ვერაფერს ხვდები? გარომ ისეთ საშინელ სკანდალში გაგხვია, რომ ეს ამბავი ქვეყნის ფარგლებსაც კი გასცდა. ამ კაცმა ცხოვრება დაგინგრია, შენს ოჯახს, სახელს და ღირსებას ჩირქი მოსცხო. ახლა ყვითელი პრესა ისევ დაგესხმევა თავს და გამოაცხადებს, რომ გაროს მოსაკლავად მკვლელი შენ დაიქირავე. არ გესმის, რას გეუბნები?

თავზარდაცემულ კიკეს სიტყვები აღარ ესმოდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ლუსიანო მას კი არა, ვილაც სხვას ელაპარაკებოდა.

– ახლა მინდა, რომ აი, ამ მაგიდასთან დაჯდე, და, რაც შეიძლება ზუსტად ჩამოწერო იმ ადამიანების სია, რომლებსაც ბოლო ორმოცდარვა საათის განმავლობაში შეხვდი, მერე კი ადგილებიც დაასახელე, სადაც ამ დროს იყავი. რაკი ახალი სკანდალი გველის, კარგი იქნება, თუ ყველაფრისთვის მზად ვიქნებით და თუ ის მოხდა, რისიც მეშინია, უტყუარი ალიბიც გვექნება. ახლა მიდი, დაჯექი და ყველაფერი ჩამოწერე!

კიკე მორჩილად მიუჯდა მაგიდას და დაახლოებით ნახევარი საათი დასჭირდა, რათა გაეხსენებინა, ბოლო ორმოცდარვა საათის განმავლობაში, სად იყო ან რას აკეთებდა. თავიდან მოეჩვენა, რომ

ეს სულაც არ იყო რთული საქმე, მაგრამ წერას რომ შეუდგა, მიხვდა, რომ ყველაფერი, განსაკუთრებით კი რა დროს სად იყო, ზუსტად აღარ ახსოვდა. წერა რომ დაამთავრა, ბლოკნოტი ლუსიანოს გაუწოდა. ადვოკატმა ფრთხილად გადაავლო თვალი.

– შესაძლოა არც არაფერი მოხდეს და ეს სია არც დაგვჭირდეს, კიკე. – დაამწვიდა მეგობარი ლუსიანომ. – ღმერთმა ქნას, ასე იყოს, მაგრამ რაკი ზუსტად არ ვიცით, რა მოხდება, აჯობებს, თუ ყველაფრისთვის მოვემზადებით. მოგვიანებით სრულიად უმნიშვნელო დეტალიც თუ გაგახსენდება, აუცილებლად დამირეკე.

– ამით იმის თქმა გინდა, რომ შეიძლება ის კომმარტი თავიდან დაიწყოს? – ამოიოხრა ინჟინერმა. – ვიფიქრე, ქარიშხალმა გადაიარა-მეთქი, არადა, ყველაფერი ხელახლა მემხოზა თავზე. აკი ამბობენ კიდევ, უბედურებას უბედურება მოსდევსო!

– ვისკის დაღევ? – ჰკითხა ლუსიანომ. – უკეთ გახდები.

– არა, ახლა ყველაფერს მირჩევნია, ჩემს ლოგინში ვიწვე. – მიუგო ენრიკემ. – ისეთი დაქანცული ვარ, თითქოს ნიუ-იორკის მარათონში ვმონაწილეობდი.

– აბა, შენ იცი, კარგად დაისვენე, კიკე! – დაემწვიდობა ლუსიანო მეგობარს. – შეეცადე, მარისასთან ურთიერთობა არ გაამწვავო. ხვალ ისევ შევხვდებით.

სახლთან ენრიკე მძლოლს დაემწვიდობა და, ცოტა არ იყოს აფორიაქდა, შეეშინდა, რომ მარისა კარს ჩაგმანავდა და სიგნალიზაციას ჩართავდა, მაგრამ ბინაში ადვილად შევიდა. მსახურებმა მოახსენეს, სენიორამ ვახშმობა არ მოინდომა, ღამე მშვიდობისა გვისურვა და დასაძინებლად დაწვაო. კინტანილია წარმოშობით აიაკუჩოდან იყო და უკვე წლებია, მათთან მუშაობდა. ამიტომ მან კიკეს ჩურჩულით უთხრა: „ბატონო ენრიკე, რა კარგია, რომ სახლში დაბრუნდით“.

საძინებელში სინათლე ჩამქრალი იყო, მაგრამ კიკეს ღამის ლამპაც არ აუნთია. სიბნელეში ტანზე გაიხადა და ლოგინში შეწვა. მერე მარისას სიახლოვე და მისი სურნელი რომ იგრძნო, ვნებამ შეიპყრო,

ცოლს მიუჩიოდა და ხელები მოხვია.

– მიყვარხარ, მიყვარხარ. – ჩურჩულებდა კიკე, მარისას კოცნიდა და მთელი სხეულით ზედ ეკვროდა. – მაპატიე, იმ საშინელი წუთების გამო, რომელთა გამოვლაც ამ დღეებში ჩემ გამო მოგიწია, მარისა, ჩემო საყვარელო.

– არ მგონია, რომ შენი პატიება ბოლომდე შევძლო, შე უბედურო.
– მიუგო მარისამ, ქმრისკენ გადაბრუნდა, ჩაეხუტა და კოცნა დაუწყო. – ამისთვის დიდი ძალისხმევა დაგჭირდება.

15. რეტაკიტას ეშინია

„თქვენ ბრძანდებით ხულიეტა ლეგისამონი?“ განა ამ შეკითხვით არ მიმართა რეტაკიტას კაპიტანმა ფელიქს მადუენიომ, როცა იგი ხუთი კუთხის უბანში მოძებნა და გვამის ამოსაცნობად საპატრულო მანქანით მორგში წაიყვანა? სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იგი თავის საქმეში საკმაოდ კარგად იყო ჩახედული. დიახ, ხულიეტა რეტაკიტას ნამდვილი სახელი იყო, მაგრამ მისი გვარი, ლეგისამონი, ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცოდა. თავად ქალსაც ეხამუშებოდა, როცა გვარით მიმართავდნენ, რადგან ყველა რეტაკიტას ან ხულიეტას ეძახდა და ამ სახელებით აწერდა ხელს სტატიებზეც. რეტაკიტა სახლში უკან ორმა გვარდიელმა წაიყვანა. მთელი გზა არც მძღოლს და არც მის თანმხლებ გვარდიელს სიტყვა არ დაუძრავთ, ხულიეტასაც არ მიუქცევია მათთვის ყურადღება, რადგან სამართალდამცავებმა როგორც ჩანს მშვენივრად იცოდნენ ბარიო ალტოს პატარა ქუჩა, სადაც ქალი ცხოვრობდა.

შინ დაბრუნებული რეტაკიტა მაშინვე სამზარეულოში შევიდა, წყალი დალია, მერე ფეხზე გაიხადა და ტანსაცმლიანად ჩაწვა ლო-

გინში. მთელ ტანში აციებდა. უეცრად მტანჯველი ფიქრები აეკვი-
ატა, როდესაც მორგი გაახსენდა, სადაც როლანდო გაროს გვამი ნა-
ხა. ტირილით იშვიათად ტიროდა, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ თვა-
ლები დაუსველდა და ლოყებზე მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა.
სახე ქვით ჩაჩქვტილი და სხეული კი დანით უმოწყალოდ გაფატრუ-
ლი! ქურდბაცაცების ჩადენილი ნამდვილად არ იყო, ქუჩაში ჩანთას
რომ გიხსნიან ან საათს გგლეჯენ მაჯიდან. ეს ყველაფერი შურისძიე-
ბის მიზნით, წინასწარ დაგეგმილი მკვლევლობა იყო, რაშიც დიდი
ფული უნდა ყოფილიყო გადახდილი. ამიტომ ხულიეტამ იცოდა, რომ
გაროს მკვლევლობა აშკარად გამოცდილი, დაქირავებული მკვლელე-
ბის ნახელავი იყო.

ამის გაფიქრებისას, რეტაკიტას მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუ-
არა. სხვა ვის შეეძლო გაროზე ასეთი შურისძიება, თუ არა ენრიკე
კარდენასს? როლანდო გარომ ხომ თავის ჟურნალში ის ფოტოები
გამოაქვეყნა, რომ ლებზეც ეგ ნაბიჭვარი მილიონერი კახპებთან
მოწყობილ ორგის დროს მთლად შიშველია გადაღებული! სეფერი-
ნოს ნამდვილად შიშის ზარი დაეცემოდა, როცა გაიგებდა, რა ბედი
ეწია „დესტაპესის“ რედაქტორს, მაგრამ ამაში ფოტოგრაფს ვერავინ
გაამტყუნებდა; რაკი მისი შეფი ასე აკუწეს, ადვილი მისახვედრია,
მას რასაც უზამდნენ?! კარგი იქნებოდა, თუ რეტაკიტა სეფერინოს
გააფრთხილებდა, რომ სასწრაფოდ მიმალულიყო, რადგან ალბათ
მასაც უკვე ეძებდნენ. მაგრამ ქალმა ფოტოგრაფის მისამართი არ
იცოდა და მას ოფისშიც ვეღარ შეხვდებოდა, რადგან ხულიეტა იქ
მისვლას აღარ აპირებდა. გიჟი კი არ იყო?! ამასთან, არავინ იცოდა,
რა ბედი ეწეოდა ჟურნალს, სავარაუდოდ, ისიც საბრალო გაროს
მსგავსად, შეწყვეტდა არსებობას. მაგრამ ნუთუ თავად რეტაკიტა-
საც საფრთხე ემუქრებოდა? იგი შეეცადა ამაზე ცივი გონებით ეფიქ-
რა, და მიხვდა, რომ მის შესახებ ყველაფერი ცხადი იყო. ყველამ
იცოდა, რომ იგი წლების განმავლობაში ჟურნალის წამყვანი რედაქ-
ტორი და როლანდო გაროს მარჯვენა ხელი გახლდათ. მართალია

სტატია, რომელიც ინჟინერის ფოტოებს ახლდა, გაროს დაწერილი იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მასზე რეტაკიტამ მოიძია და ისიც ისევე აწერდა ამაზე ხელს, როგორც მისი შეფი. აქედან გამომდინარე მისი ბედიც ბეწვზე ეკიდა.

„ეს რა შარში გამხვიე, ადამიანო!“ აღმოხდა ხულიეტას. ძალიან შეშინებული იყო, თუმცა ყოველთვის იცოდა, რომ ადამიანების ბინძური საქმეების მხილება და ამ ინტრიგებში მონაწილეობა ოდესმე საფრთხეს შეუქმნიდა, თავს ციხეში ამოაყოფინებდა ან მის სიცოცხლეს დაემუქრებოდა. ნუთუ მასაც დაუდგა ეს დრო და მისი არსებობა ნამდვილად ბეწვზე ეკიდა? თანაც ის ხომ ხუთი კუთხის მახლობლად ცხოვრობდა?! ეს კი ქალაქში ყველაზე საშიში ადგილი იყო, სადაც ადამიანებს მუდმივად თავს ესხმოდნენ, თავ-პირს ამტვრევდნენ ან კლავდნენ. ხულიეტა და მისი შეფი ხშირად მწარე იუმორით მსჯელობდნენ ამ სკანდალებთან დაკავშირებულ პრობლემებზე და იცოდნენ, რომ დიდი გამოცდილების მიუხედავად, დაზღვეული არაფრისგან იყვნენ. „ერთ დღესაც მიგვასიკვდილებენ, რეტაკიტა, მაგრამ შემიძლია იმით განუგემო, რომ ორივეს ჟურნალისტიკისთვის წამებულ წმინდანებად შეგვრაცხავენ და შეიძლება ძეგლიც დაგვიდგან“, – ამბობდა გარო და სიცილისგან ისე გადაბჟირდებოდა ხოლმე, გეგონებოდა მის ყელში ქვებს ხათქახუთქი გაუდითო. რა თქმა უნდა, მაშინ ამ სიტყვების თვითონაც არ სჯეროდა, ახლა კი მისგან აქოთებული გვამილა დარჩენილიყო.

საბრალო როლანდო გარო! მის გარეშე რეტაკიტასთვის სამყარო თითქოს დაცარიელებულიყო, რადგან , იყო მისი შეფიც, მასწავლებელიც, შთაგონების წყაროც და ოჯახიც. ახლა ქალი თავის იდუმალ სიყვარულთან სრულიად მარტო დარჩა. ამის შესახებ თავად რეტაკიტას გარდა არავინ იცოდა, რადგან გრძნობას ღრმად ინახავდა გულში. გაროც არასოდეს დაეჭვებულა, რომ ხულიეტა მასზე შეყვარებული იყო. ერთხელ შეფმა მას ასეთი რამ უთხრა: „იცოდე, როცა ორი ადამიანი ერთ საქმეს აკეთებს, მათ ერთად დაწოლის უფლება

არა აქვთ, რადგან სამუშაო და სიყვარული შეუთავსებელია. ამ დროს საერთო ლოგინს ადამიანები განხეთქილებამდე მიჰყავს. ასე რომ, რეტაკიტა, რამე საეჭვოს თუ შეამჩნევ, მხარი კი არ ამიბა, თავში ბოთლი ჩამცხე. „იქნებ სჯობდეს, აი ეს გაგიყარო გულში“, მიუგო ხულიეტამ და ჩანთიდან პატარა ლურსმანი ამოიღო, რომელიც ყოველი შემთხვევისთვის მუდამ თან დაჰქონდა და იგივე დანიშნულება ჰქონდა, რაც მის ინგლისურ ქინძისთავს და თმის სარჭს. რეტაკიტამ თვალები დახუჭა და ისევ წარმოიდგინა როლანდო გაროს დასისხლიანებული ცხედარი და დაჩეხილი სახე. შავბნელ ფიქრებში წასულმა, უეცრად მთელ ტანში სიცივე იგრძნო და ერთადერთი შემთხვევა გაახსენდა, როცა შეფი მასთან ურთიერთობაში ყოველგვარ ზღვარს გასცდა; რამდენიმე თვის წინ, ტაკნას გამზირზე კაბარე „პინგვინის“ საზეიმო გახსნაზე, როლანდომ რეტაკიტაც თან წაიყვანა. კაბარეში უამრავი ხალხი ირეოდა და პატარა დარბაზი სიგარეტის კვამლით იყო გაჟღენთილი. სტუმრები ჩილკანოს და პისკოს სვამდნენ, ზოგი მათგანი კი უკვე კარგად შექეიფიანებული იყო. მერე სინათლე ჩააქრეს და წარმოდგენა დაიწყო. საცეკვაოდ შავგვრემანი, ნახევრად შიშველი გოგონები გამოვიდნენ და ცეკვა ტროპიკული მუსიკის თანხლებით დაიწყეს, რომელსაც პატარა ორკესტრი ასრულებდა. უეცრად რეტაკიტამ იგრძნო, რომ შეფი, რომელიც მის ზურგს უკან იდგა, მკერდზე უფათურებდა ხელებს. ასეთი რამ სხვას რომ გაეხედა, ხულიეტა ჩვეული სიმკაცრით გასცემდა პასუხს, თმის სარჭს გაურჭობდა ან გვარიან სილას უთავაზებდა, მაგრამ როლანდო გაროს ეს არ ენებოდა, ამიტომ ქალი გაუნძრევლად იდგა და გრძნობდა, რომ ეს რაღაც სასიამოვნო და თან უსიამოვნო შეგრძნება მისთვის გაუგებარი და იმავდროულად სასურველი იყო. გარო თავის გალუულ ხელებს ქალს მკერდზე უხეშად უთათუნებდა. რეტაკიტამ შეფს შეხედა და როცა ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში მის დაბინდულ მზერას შეეფეთა, მიხვდა, რომ მას ზომაზე მეტი წილკანო დაეღლია. შემცბარმა გარომ, იმის შიშით, რომ ამას ვინმე შენიშნავდა,

ქალს სასწრაფოდ ხელი უშვა, მერე კი მოუბოდიშა: „მაპატიე, რეტაკიტა, ვერ მივხვდი, რომ შენ იყავი“. იმ დღის შემდეგ ამ შემთხვევაზე როლანდოს სიტყვაც არ დასცდენია და თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარა. ახლა კი ქვით ჩაჩეჩქვილი და დანით გამოფატრული იწვა მორგში. პოლიციამ თქვა, მისი გვამი ხუთი კუთხის უბანში იპოვესო. რა უნდოდა, რისთვის უნდა მისულიყო იქ შეფი? ნუთუ რეტაკიტას ეძებდა? არა, ეს შეუძლებელი იყო, რადგან გაროს მის სახლში არასოდეს მიუდგამს ფეხი. შეიძლება ვინმე სხვა ქალს ეძებდა? ასეა თუ ისე, ეს ქალი ხულიეტა არ იქნებოდა, რადგან გაროს წარმოდგენა არ ჰქონდა, სად ცხოვრობდა იგი. მართალია, ერთად მუშაობდნენ და თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ რეტაკიტამ შეფზე თითქმის არაფერი იცოდა. შეიძლებოდა ცოლ-შვილი ჰყოლოდა? სავარაუდოდ, არა, რადგან მათზე არასოდეს არაფერი უთქვამს. შეფი დღეს და ღამეს ასწორებდა, რათა „დესტაპესის“ ახალი ნომრები მოემზადებინა. ისიც ხულიეტასავით მარტოსული ადამიანი იყო, რომელსაც სამსახურის გარდა, არაფერი ებადა.

იმ ღამით რეტაკიტას ცუდად ეძინა. ჩაეძინებოდა თუ არა, კატასტროფები, ხანძარი და მიწისძვრა ესიზმრებოდა. ხან კლდეებზე დაცოცავდა, ხანაც ავტობუსი ეჯახებოდა, მაგრამ შიშისგან ქანცგაცლილი თავის გადარჩენას ვერ ახერხებდა, და ამ დროს გამოეღვიძებოდა ხოლმე.

დილით წყალი გადაივლო და ტანს იმშრალეებდა, როცა კარზე კაკუნი გაისმა. შეშინებულმა რეტაკიტამ ხმამაღლა იკითხა: – ვინ არის?

– სეფერინო არგუელიო ვარ! რეტაკიტა, ბოდიშს გიხდი თუ გაგაღვიძე, მაგრამ აუცილებლად უნდა დაგელაპარაკო! – შემოესმა გარედან ფოტოგრაფის ხმა.

– დამელოდე, ჩავიცვამ და ახლავე გაგიღებ. – გასძახა ქალმა.

ხულიეტამ ჩაიცვა და ფოტოგრაფს კარი გაუღო. სეფერინოს სახეზე ფერი არ ედო, თვალები ისეთი ჩასისხლიანებული ჰქონდა, გეგონებოდა, მთელი ძალით ისრესდაო. დაჭმუჭნული შარვალი, უთას-მო ფეხსაცმელი და შავი პერანგი ეცვა. უცნაურად ლაპარაკობდა და სიტყვებს დიდი გაჭირვებით წარმოთქვამდა.

– მაპატიე, ასე აღრიანად რომ გაწუნებ, რეტაკიტა. – უთხრა ხულიეტას შესვლისთანავე. – უკვე იცი, შეფი რომ მოკლეს?

– შეფერინო, შემოდი და დაჯექი! – უთხრა ქალმა და იმ სკამზე მიუთითა, სასტუმრო ოთახში დახვავებულ ძველ ჟურნალ-გაზეთებში რომ იდგა. – ჰო, ეს ამბავი უკვე ვიცი. გუშინ ღამით ჩემთან პოლიცია მოვიდა, გვამის ამოსაცნობად მორგში წამიყვანეს. ეს საშინელება იყო, სეფერინო. ჯობია, არ მოგიყვე.

ფოტოგრაფი მოწყვეტით დაეცა სკამზე. გაფითრებულს პირზე დორბლი მოსდგომოდა და რეტაკიტას გაშტერებული მისჩერებოდა. ქალმა კარგად იცოდა, სეფერინოს ახლა რა აზრებიც უტრიალებდა თავში და თავადაც შიშმა აიტანა, მერე კი ამ შიშმა მისი არსება მთლიანად მოიცვა.

– აქვე, ხუთი კუთხის უბანში უპოვიათ. – უთხრა რეტაკიტამ. – სხეული დანით აქვს დაჩეხილი, იმ ნაბიჭვრებს მისთვის სახე ქვით ჩაუჩიქვავთ!

რეტაკიტამ დაინახა, რომ სეფერინო არგუელით თავს აქნევდა, თმა ზღარბივით ყალყზე დასდგომოდა და ნაცვავილარ სახეზე მიწისფერი ედო.

– რადიომ და ტელევიზიებმა სწორედ ასე გადმოსცეს.

– დიახ, იმ სადისტებმა ნამდვილი სასაკლაო მოაწყეს, სეფერინო.

– მერედა, ჩვენ რა ბედი გველის, რეტაკიტა? – ძლივს ამოღერღა ფოტოგრაფმა. ხულიეტამ კი გაიფიქრა, ახლა სეფერინო ტირილს თუ მოჰყვება, ამ ქალაჩუნა პედერასტს ერთი მაგრად გამოვლანძღავ და სახლიდან გავაგდებო.

მაგრამ ფოტოგრაფს ტირილი არ დაუწყია, ენაჩავარდნილი იჯდა

და მონუსხულივით უყურებდა რეტაკიტას.

– აზრზე არ ვარ, რა ბედი გველის. – მხრები აიჩეჩა ხულიეტამ და უეცრად გადაწყვიტა სეფერინო მთლად ბოლომდე გაენადგურებინა.

– ადვილი შესაძლებელია, ჩვენც გაროს ბედი გავიზიაროთ, ეს კი განსაკუთრებით შენ გეხება, რადგან ფოტოები შენი გადაღებულია.

შეძრწუნებული ფოტოგრაფი სკამიდან წამოდგა, ხმას ნელ-ნელა აუწია და ბოლოს ყვირილზე გადავიდა.

– ვიცოდი, რომ სახიფათო საქმე იყო. ეს შენც გითხარი და შეფსაც. დალახვროს ემბაკმა! ახლა ამ ფულიან ხალხს შეუძლია იმქვეყნად გაგვისტუმროს! იცოდე, ამაში შენც გადანაშაულებ, მოგენდე, შენ კი მიღალატე.

სეფერინო სკამზე ისევ მოწყვეტით დაეცა, ხელები სახეზე აიფარა და გულამომჯდარი ატირდა.

რეტაკიტას ახლა უკვე შეეცოდა დათრგუნული, დაუცველი და დამფრთხალი ფოტოგრაფი.

– ძალ-ღონე მოიკრიბე და დაფიქრდი, სეფერინო! – უთხრა მერე მშვიდად. – ახლა ცივი გონებით ფიქრია საჭირო, თუ გვინდა, რომ ამ ამბიდან მშრალად გამოვიდეთ. ამიტომ დროს ნუ დაკარგავ და იმის გარკვევას ნუ დაიწყებ, ვინ რაშია დამნაშავე. ეს არც შენი ბრალია, არც ჩემი და არც შეფის. ეს იმ საქმიანობის ბრალია, რომელსაც ვემსახურებით! ახლა კი საკმარისია ამაზე ლაპარაკი.

სეფერინომ სახიდან ხელები მოიშორა და რეტაკიტას თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მის თვალებში ცრემლებს კი არა, უფრო ბოლმას დაინახავდა კაცი; სულელური გამომეტყველების წყალობით კი, საბრალოს, თითქოს სახე მოღრეცოდა.

– როცა გამოგიტყდი, რომ ეს ფოტოები მქონდა, შენგან მხოლოდ რჩევის მიღება მინდოდა. – ჩუმად თქვა სეფერინომ. – ჰოდა, ახლა ესეც მინდა, შეგახსენო!

– ტყუილს ამბობ, სეფერინო! – ისე მშვიდად მიუგო ქალმა, თითქოს რჩევის მიცემას აპირებო. – შენი პირით გაქვს ნათქვამი, რომ

ფოტოებს ორი წლის განმავლობაში საგანგებოდ ინახავდი, რომ მათი საშუალებით ფული გეშოვა.

– არა, რეტაკიტა გეფიცები, ასე არ იყო. – იუარა ფოტოგრაფმა. – მათი დაბეჭდვა ნამდვილად არ მინდოდა, რადგან ვიცოდი, რომ ამას ძალიან ცუდი ამბები მოჰყვებოდა. აკი ასეც მოხდას გეფიცები, გუმანით ვგრძნობდი, რომ ეს ამბავი რალაც უბედურებით დამთავრდებოდა.

– ამ ფოტოების გამოქვეყნება თუ არ გინდოდა, უნდა გაგენადგურებინა, სეფერინო! – თავის მხრივ ბრალი დასდო ფოტოგრაფს რეტაკიტამ. – ჰოდა, მორჩი ახლა ტყუილების ლაპარაკს! ჩემთან როცა მოხვედი, გითხარი, ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამაში დაგეხმარება, შეფია-მეთქი და მისთვის ამის მოყოლის უფლება შენვე მომეცი. ფოტოები გაროს განა თვითონვე არ აჩვენე და არ ჰკითხე, როგორ შეიძლებოდა მათი გამოყენება? ტყუილს ვამბობ?

– კარგი, რასაც აღარაფერი ეშველება, იმაზე ნულარ ვიკამათებთ. – მორჩილად განაცხადა სეფერინომ და ჩვეულებისამებრ, ნაცემი ძაღლის გამომეტყველება მიიღო. – ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან. როგორ გგონია, პოლიცია ჩვენებას ჩამოგვართმევს?

– ვშიშობ, რომ ასეა, სეფერინო, და მარტო პოლიციაში კი არა, სასამართლოზეც მოგვიწევს დასწრება. საქმე მკვლელობას ეხება, ჩვენ კი მოკლულის თანამშრომლები ვართ, ამიტომ დაგვკითხავენ!

– კი მაგრამ, რა უნდა ვუთხრა მათ, რეტაკიტა? – ჩახლეჩილი და აკანკალებული ხმით აღმოხდა ფოტოგრაფს, რომელსაც თვალები ჩასცვენოდა და იმედი მთლად გადასწურვოდა.

– ნუთუ ისე გამოსულელები, რომ აღიარებ, ფოტოები ჩემი გადაღებულიაო? – ჰკითხა რეტაკიტამ.

– მაშ, რა ვუთხრა?

– უთხარი, რომ წარმოდგენა არა გაქვს, ვინ გადაიღო ეს ფოტოები და ამის შესახებ შენთვის შეფსაც არაფერი უთქვამს.

– შენ რაღას ეტყვი, როცა დაგიბარებენ? ხულიეტამ მხრები აიჩეჩა.

– ვეტყვი, რომ მეც არაფერი ვიცი, იმ ორგიაში მონაწილეობა არ მიმიღია და ამ საქმეზე მაშინაც არაფერი ვიცოდი, როცა მასზე რეპორტაჟს ვამზადებდით. ეს ხომ თითქმის სიმართლე იქნება?

რეტაკიტამ სეფერინოს ურჩია, რედაქციაში ფეხი აღარ მიედგა, რადგან თუ ინჟინერ კარდენას მკვლელები ჰყავდა დაქირავებული, მათ პირველ ყოვლისა სწორედ იქ დაუწყებდნენ ძებნას. ასევე აჯობებდა, თუ სეფერინო რამდენიმე დღე სახლშიც არ მივიდოდა.

– ცოლი და სამი შვილი მყავს, რეტაკიტა, თან ჯიბეში ერთი სენტავოც არ მიჭყავის. ამ თვეში ხომ ჩემთვის საერთოდ არაფერი გადაუხდიათ!

– მაგის იმედი ნულარც გექნება, სეფერინო. – შეაწყვეტინა რეტაკიტამ. – მერწმუნე, შეფის სიკვდილთან ერთად, „დესტაპესის“ ბედნიერი დღეებიც დამთავრდა. ასე, რომ, ორივე ახალი სამუშაოს ძებნას უნდა შევუდგეთ!

– შენი აზრით, აღარაფერს გადაგვიხდიან, ხულიეტა? ეს ჩემთვის უბედურება იქნება! ნუ დაგავიწყდება, გაჭირვებასთან ბრძოლა ყოველდღე მიწევს!

– მეც იგივე მდგომარეობაში ვარ, სეფერინო. ფული არც მე მაქვს, მაგრამ რაკი არავითარი სურვილი არ მაქვს, ინჟინერი კარდენასის მიერ დაქირავებული მკვლელის ხელით მოგკვდე, ამიტომ რედაქციაში ფეხის მიმდგმელი აღარ ვარ. გირჩევ, შენც ასე მოიქცე, და ვიდრე რამე გაირკვევა, შეეცადე სანდო ადამიანი მოძებნო, ვინც შეგიფარებს. ახლა მხოლოდ ეს შემიძლია გირჩიო, რადგან მეც ასე უნდა მოვიქცე.

ფოტოგრაფი ხულიეტასთან ერთხანს კიდევ დარჩა. დროდადრო წამოდგებოდა, რეტაკიტას დაემშვიდობებოდა და თითქოს წასვლას აპირებდა, მაგრამ რაღაც ბოჭავდა, დახვავებული ჟურნალ-გაზეთე-

ბის პირამიდებს შორის, ძველ ადგილს უბრუნდებოდა და ისევ წუწუნს იწყებდა. საბრალო სეფერინო საკუთარ უიღბლობას დასტიროდა და წყევლიდა ჩოსიკაში გადაღებულ ფოტოებს. მერე გამოტყდა, რომ თურმე მათ ნეგატივებს ისევ ინახავდა, მაგრამ მათი საშუალებით ფულის შოვნას არ აპირებდა. ღმერთს იფიცებდა, ნეგატივებს მხოლოდ იმ იმედით ვინახავ, რომ ამ ფოტოების დამკვეთი, ერთხელაც იქნება გამორჩეული და შეთანხმებისამებრ ფულს გადამიხდისო. ნამდვილი ყვეყჩი ვიყავი ამაზე რომ დავთანხმდი და ეს მთელი ცხოვრება სანანებელი მექნებო.

საკუთარ ბედ-იღბალზე მოთქმა-გოდების შემდეგ, სეფერინო როგორც იქნა, წავიდა. ძალ-ღონეგამოცლილი რეტაკიტა სავარძელში ჩაჯდა. ფოტოგრაფის მშფოთვარება და პანიკური შიში როგორც ჩანს, მასაც გადასდებოდა. მერე ფეხებს დახედა და ახლავდა შენიშნა, რომ მუხლები რიტმულად, ხან მარჯვნივ, ხან კი მარცხნივ უკანკალებდა. მოგვიანებით ფეხზე რომ წამოდგა, ეს თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობა ერთ მუხლში შეუჩერდა, მეორეში კი – არა. ქალი შიშს თხემით ტერფამდე შეიგრძნობდა, ერთიანად დათრგუნული იყო და ამ დღეში იმ პედერასტმა სეფერინომ ჩააგდო. მერე შეეცადა, დამშვიდებულიყო და რაღაც მოეფიქრებინა. ისიც, ფოტოგრაფის მსგავსად, სასწრაფოდ უნდა გასცლოდა იქაურობას, და, ვიდრე ყველაფერი არ ჩაწყნარდებოდა, ვინმე სანდო ადამიანთან შეეფარებინა თავი. ჰო, მაგრამ, სად, ან ვისთან უნდა წასულიყო? შეეცადა ნაცნობები გაეხსენებინა. ასეთები ბევრი ჰყავდა, მაგრამ მათ შორის სანდო არავინ ეგულებოდა, ასეთ დროს რომ მიემართა. ნათესავები არ ჰყავდა და თუნდაც ჰყოლოდა, მათ შესახებ არაფერი იცოდა. რეტაკიტა ძირითადად ჟურნალისტებს და ტელე-რადიო კორპორაციის თანამშრომლებს იცნობდა, მაგრამ მათ მეგობრები არ ეთქმოდათ, რადგან ეს ურთიერთობა ზედაპირული და დროებითი იყო. მძიმე წუთებში ერთადერთი ადამიანი, ვისაც ხულიეტა ენდობოდა, რო-

ლანდო გარო იყო. მკვლევებმა კი ის ერთადერთი მეგობარიც ხელიდან გამოაცალეს.

სად წასულიყო? სასტუმროში ან პანსიონატში დამალულიყო, სადაც ვერავინ იცნობდა? მაგრამ იქ ყოფნა რა დაუჯდებოდა? რეტაკიტამ კომოდის უჯრიდან ბლოკნოტი ამოიღო, რომელშიც დანაზოგ ფულს ინახავდა, მაგრამ თანხა უბადრუკი აღმოჩნდა და სამასი სოლიც არ გამოდიოდა. ალბათ, ვალის აღება მოუწევდა, რადგან შეფის სიკვდილის შემდეგ რედაქციიდან ხელფასის აღებაზე ველარც იოცნებებდა. საერთოდ, ჟურნალის ფინანსებს თავად გარო მართავდა და ალბათ მისი სიკვდილის შემდეგ მთელ ქონებას ყადაღას დაადებდნენ. ან შეიძლება რედაქციას არც არაფერი ებადა და როლანდო მართალი იყო, როცა ამბობდა, ასეთი ფინანსური მდგომარეობა მალე გაკოტრებამდე მიგვიყვანსო, რადგან საკითხის გამოსწორების იმედი უკვე აღარ ჰქონდა.

ახლა როგორ უნდა მოქცეულიყო? მეტისმეტად დათრგუნული რეტაკიტა თავს კუთხეში მიმწყვდეულივით, უმწეოდ გრძნობდა, არადა, კარგად იცოდა, რომ ამ სახლში მისი დარჩენა საბიჭათო იყო, რადგან მკვლელი პირველად სწორედ აქ მოძებნიდა. მაგრამ ხულიეტა იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან სხვა სამსახურს იშოვიდა, რადგან განა შეიძლებოდა, რომ მის პროფესიონალიზმში ვინმეს ეჭვი შეეტანა? რა თქმა უნდა, ასეთი რამ გამორიცხული იყო, თუმცა ამჟამად ახალი სამსახურის ძებნას ვერ დაიწყებდა და ამ საკითხზე ვერავის მიმართავდა. ახლა სასწრაფოდ უნდა გაუჩინარებულიყო და თავი გადაერჩინა. მისი ადგილსამყოფელი არავის უნდა სცოდნოდა, იქამდე მაინც, ვიდრე ეს აურზაური არ ჩაწყნარდებოდა და ცხოვრება ისევ კალაპოტში არ ჩადგებოდა. მაგრამ სად ჯანდაბაში დამალულიყო?

ცოტა ხანში რეტაკიტას შიშმა ნელ-ნელა გადაუარა, შეეცადა დამშვიდებულიყო და საკუთარ ღირსებებზე დაფიქრებულიყო. იცო-

და, რომ გამბედავი იყო და რისკს არ გაუბოდა. განა მისი მასწავლებელი როლანდო გარო არ ეუბნებოდა, უბედურების ჟამს გამოსავალი უნდა ეძებო და სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღო?! ან კი იმაზე უარესი რაღა უნდა დამართოდა, რაც ახლა სჭირდა? მაშ, მუქარის მოლოდინში, გულხელდაკრეფილი რატომ იჯდა და საკუთარ შესაძლებლობებს რატომ არ იყენებდა? როლანდო გარომ თავისი არჩევანი გააკეთა და საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა. ეს კაცი ხომ ასე სასტიკად იმიტომ გამოასალმეს სიცოცხლეს, რომ თავისი ჟურნალისტური გამოძიებით დღის სინათლეზე გამოჰქონდა და საჯაროს ხდიდა იმ უკანონობას და სიბინძურეს, რომელშიც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ჩაფლულიყვნენ.

ეს ძალიან სახიფათო საქმე იყო, მაგრამ რეტაკიტას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყველაფერი გამოუვიდოდა. შემდეგ კი, არათუ უსაფრთხოდ იგრძნობდა თავს, არამედ თავის პროფესიაშიც გამოცდილებას შეიძენდა.

ხულიეტამ უეცრად იგრძნო, რომ ფეხები აღარ უკანკალებდა და საკუთარ თავს გაუღიმა.

16. მემამულე და ჩინელი გოგონა

– ყველაფერმა ჩაიარა, კიკე, – უთხრა ლუსიანომ მეგობარს და გასამხნევებლად მუხლზე ხელი დაჰკრა. – ეს ამბავი უნდა დაივიწყო და ცოტა ჯანზე მოხვიდე, თორემ ბოლო დროს კიტრის ნაფცქვენს დაემგვანე!

– რაკი ის ნაძირალა მოკლეს და მისი ჟურნალიც აღარ არსებობს, გგონია, ყველაფერი დამთავრდა, არა? – ენრიკეს დამცინავად ჩაეცინა. – არა, ლუსიანო. ეს ამბავი სიცოცხლის ბოლომდე გამტანჯავს! გითხრა, ყველაზე მეტად რას განვიცდი? არც იმ ფიზიკურ და მორალურ ზიანს ვგულისხმობ, საბრალო დედაჩემს სიცოცხლე რომ მოუსწრაფა, არც იმას, რომ სახელი შემელახა. ახლა გული მტკივა და ვიტანჯები, როცა მეგობრები და კოლეგები ჩემი მისამართით როყოდ და უადგილოდ ხუმრობენ. ეს ხშირად დირექტორთა საბჭოს შეკრებებზეც ხდება. „რა შესანიშნავი ორგანია იყო, ძმაო“, „ჩვენ რატომ არ გვითხარი, სიამოვნებით მივიღებდით მაგ სექსთამაშებში მონაწილეობას!“, „გულწრფელად აღიარე, რამდენი გოგო გაჟიმე იმ ღრეობის დროს, მეგობარო?“ ჰოდა, ვეღარ ვუძლებ ამ სულელურ

ხუმრობებს, თვალის ჩაკვრას და მრავალმნიშვნელოვან ღიმილს. მაგას მირჩევნია, შეურაცხყოფა მომაცნონ, გამლანძღონ და ზოგიერთების მსგავსად არ მომესალმონ. ამ მდგომარეობის გამო მე და მარისა მოგზაურობაში ვაპირებთ წასვლას.

– თაფლობის თვე მეორედ უნდა მოიწყოთ? საბერძნეთის კუნძულებზე ხომ არ მიდიხართ? გახსოვს რამდენიმე წლის წინ იქ წასვლის გეგმებს რომ ვაწყობდით? – გაეცინა ლუსიანოს, მაგრამ მერე სერიოზულად თქვა: ჰო, მართლა, მარისასთან დაკავშირებით მიინდა გითხრა, რომ თქვენი შერიგების ამბავი ძალიან გამეხარდა. კარგია, რომ ცოლმა გაპატია და ისევ ძველებური ურთიერთობა გაქვთ.

– მართალი ხარ. – დაეთანხმა კიკე და მეორე ოთახს გახედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ქალები იქ არ იყვნენ, ცოტა ხნის წინ ბავშვების დასახედად საძინებელში უნდა ასულიყვნენ. – ამ ტრაგედიის შემდეგ ეს ერთდერთი ურთიერთობაა, რომელიც ასე თუ ისე, მოვავვარე. მარისა და მე ახლა მხოლოდ მეგობრები არა ვართ, ჩვენი ცოლქმრობა ძველებურად მტკიცეა, რადგან ამ სკანდალმა და გაუგებრობამ კიდევ უფრო დაგვაახლოვა.

კომენდანტის საათამდე ჯერ დიდი დრო იყო. ისინი ლუსიანოს სახლში ტერასაზე ისხდნენ და ჩიფას მიირთმევდნენ, რომელიც „ლუნგ ფუნგში“ შეუკვეთეს. ჩაბელას გოგონებიც ცოტა ხანს იყვნენ, მერე კი ნიკასიამ დასაძინებლად წაიყვანა. ტერასიდან განათებული აუზი და ბალი მოჩანდა, ბაღში ორი დანიური დოგი დარბოდა. მსახურმა ვისკი, ყინული და მინერალური წყალი შემოიტანა. მშვიდი საღამო იყო, ნიავი არ იძვროდა, სროლის ხმა არსაიდან ისმოდა და ელექტროენერგიაც ჯერ არ გაეთიშათ. ცოტა ხანში ხელიხელჩაკიდებული მარისა და ჩაბელა სიცილით გამოვიდნენ ტერასაზე.

– ეგოისტები ნუ ხართ, ჩვენც გვითხარით, რაზე იცინით, რომ ყველამ ერთად გავიცინოთ. – უთხრა მათ ლუსიანომ.

– არავითარ შემთხვევაში, – მიუგო მას ჩაბელამ, მერე თვალები ისე დაქაჩა, ვითომ ურჩხული იყო და ყველას შეშინება უნდოდა. –

სისულელეა, თანაც ასეთ ხუმრობაზე შენნაირ უცოდველ კრავს შეიძლება გულიც წაუვიდეს!

– ხომ ხედავთ, წმინდანებს არ ენდობა, – თქვა მარისამ, კიკეს გვერდით მიუჯდა და სახეზე ხელები ისე ჩაავლო, თითქოს მასთან ჩხუბს აპირებსო. – ეს კი ალბათ მეორე წმინდანია, საშინელი სისასტიკეების ჩადენა რომ შეუძლია!

ლუსიანომ და ჩაბელამ გადაიხარხარეს, კიკე კი გაფითრდა და ხელები უცნაურად გაშალა.

– მაპატიე, საყვარელო, ვიცი, არ გიყვარს ამაზე ხუმრობა. – მარიამ ქმარს ხელები კისერზე შემოჰხვია და ლოყაზე აკოცა. – აი, ხომ ხედავ, ანკესზე წამოეგე და გაწითლდი.

– აი, ხომ ხედავთ, მთელ ლიმაში ღრეობით და დარდიმანდობით როგორ გავითქვი სახელი. არადა, ყოველთვის სერიოზული ვიყავი!

– აიტაცა ხუმრობა კიკემ.

– ფოტოები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, ასე რომ, უმწიკვლობას მაინც ვერ დაიჩემებ. – სიტყვა ჩაურთო ჩაბელამ და ამით ყველას გულიანი სიცილი გამოიწვია.

– მინდა, ჩვენი მეგობრობის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, – თქვა ლუსიანომ და ჭიქა ასწია. – რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მხოლოდ მეგობრობას აქვს ამ ცხოვრებაში ფასი!

– იქნებ ბოლოს და ბოლოს მოვახერხოთ, და სანამ დავჩაჩანაკდებით, ოთხივე ვეწვიოთ საბერძნეთის კუნძულებს. ეს მოგზაურობა ხომ დიდი ხანია გეგმაში გვაქვს. ორ კვირას ულისეს ზღვაზე გავატარებთ, პერუდან შორს ვიქნებით და აღარ შეგვეხება არც ტერორიზმი, არც ელექტროენერჯის გათიშვა და ყვითელი პრესა.

– ჰო, მართლა, სიყვარულზე და წმინდანებზე რომ ვლაპარაკობდით, ამან ბაბუაჩემი, დედაჩემის მამა გამახსენა. – თქვა უეცრად ლუსიანომ და ნაღვლიანად გაიღიმა. – ოდესმე გიამბობთ მასზე.

– მასზე ჯერ მე უნდა მიამბო. – უთხრა ლუსიანოს გაოცებულმა ჩაბელამ. – ათი წელია ცოლ-ქმარი ვართ და ჩემთვის შენს ოჯახსა

და წინაპრებზე არასოდეს არაფერი მოგიყოლია, ამიტომ მათ შესახებ თითქმის არაფერი ვიცი.

– თავის დროზე ამ ამბავს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყოლია. – დასძინა ლუსიანომ. – ჭორიკანა ლიმელები ასეთი ამბებით ყოველთვის კარგად ერთობოდნენ.

– ასეთი რამ მეც ხომ გადამხდა. განა ამისთვის არ მომანიჭეს დოქტორის წოდება?! – იხუმრა კიკემ.

– ბაბუაჩემი დიდგვაროვანი იკელი მემამულე იყო, თავის დროზე, დიდძალ მიწებს ფლობდა, მაგრამ გენერალ ველასკოს მმართველობის დროს გატარებული აგრარული რეფორმების შედეგად მისთვის მამულები ჩამოურთმევიათ, – განაგრძო ლუსიანომ. – იმ მხარეში, „ღვთიურ ველს“ რომ ეძახიან, ბაბუაჩემი ერთ-ერთი ყველაზე ღვთისმოსავი ადამიანი ყოფილა. ბავშვი ვიყავი, მაგრამ სენიორი კასიმირო კარგად მახსოვს. ეკლესიაში შავ ტანსაცმელში გამოწყობილი დადიოდა, ჟილეტის ჯიბეზე კი ყოველთვის ჰქონდა დაკიდებული ძეწკვიანი საათი. ყოველდღიურად სახლში მოწყობილ პატარა სამლოცველოში ლოცულობდა. ნათლობის, მუხლმოდრეკისა და ვედრების ცერემონიებს კი მახლობელ ეკლესიაში ესწრებოდა.

ლუსიანო გაჩუმდა და თითქოს მოიწყინა. იკას მხარის მოგონებისას რატომღაც ყოველთვის სევდიანდებოდა. ეს კი ძალიან უცნაური იყო, რადგან ბაბუის მამულში გატარებულ წლებს მისთვის მხოლოდ ბედნიერი დღეები უნდა გაეხსენებინა. იმ წლებში ხშირად სეირნობდა ცხენით, ხორცს ნაკვერჩხალზე წვავდა და მეღიებს ხაფანგებს უგებდა, სადაც დროდადრო იგუანებიც ამოჰყოფდნენ ხოლმე თავს. კვირაობით ზღვაზე საბანაოდ დადიოდნენ, საღამოობით კი ბაბუა სამუშაო მაგიდასთან დაჯდებოდა და ლუსიანოს და მის ძმებს, სალგარს, დიუმას და ვერნეს ამაღელვებელ სათავგადასავლო უკითხავდა. ბაბუას ოთახში კედლებზე, კუსკოს სკოლის დროინდელი ღვთისმშობლის ხატები და დამტკვერილი წიგნებით გადატენილი თაროები ეკიდა.

– ლუსიანო, არ მესმის, ასეთი ნალვლიანი ხმით რატომ გვიყვები შენი ბავშვობის მშვენიერ და გულისამაჩუყებელ ამბებს? – ჰკითხა კიკემ მეგობარს, როცა მან ცოტა ხნით თხრობა შეწყვიტა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა და პასუხის მოლოდინში ყველა ლუსიანოს მიაჩერდა.

– ნალვლიან გუნებაზე ბაბუაჩემის კი არა, ბებიაჩემი ლაურას გახსენებისას ვდგები. – თქვა ლუსიანომ შეცვლილი ხმით და სერიოზული გამომეტყველება მიიღო. მერე ცოლს და მეგობრებს დამცინავი თუ ირონიული ღიმილით შეხედა და განაგრძო. – მერედა, იცით, რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ სინამდვილეში ბებიაჩემი ჩინელი იყო და სულაც არ ერქვა ლაურა.

ამის გაგონებისას მარისა და კიკემ ღიმილი ვერ შეიკავეს, ჩაბეღას კი თვალები გაუფართოვდა.

– რა თქვი? ბებიაჩემი ჩინელი იყო? – ჰკითხა ქმარს, – ნუთუ ეს მართალია, ლუსიანო?

– სრული სიმართლეა, ძვირფასო. – მიუგო მან. – ეს საკითხი ჩვენი ოჯახის საიდუმლო იყო და მას ტაბუ ედო. ამიტომაც აქამდე არაფერი იცოდი ამის შესახებ.

– ხედავთ ჩვენი ცოლქმრული თანაცხოვრების ათი წლის თავზე რა საოცარი ამბავი მესმის? – გაიცინა ჩაბელამ. – თურმე ჩემს ქმარს ჩინელი ბებია ჰყოლია, მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდი!

– ზუსტად ვერ ვიტყვი, შეიძლება მთლად წმინდა სისხლის არა, მაგრამ ნამდვილად ჩინელი იყო. – დააზუსტა ლუსიანომ. – ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ბებიაჩემი სოფლის მალაზიის მეპატრონის ქალიშვილი ყოფილა.

– ლუსიანო, გინდა თქვა, რომ იკას მხარის ცნობილმა მემამულემ, პატივცემულმა კასიმირომ, რომელსაც დიდგვაროვნული წარმომავლობა მთავარ ღირსებად მიაჩნდა, ცოლად მალაზიის უბრალო მეპატრონის ქალიშვილი შეირთო? – იკითხა დაინტერესებულმა კიკემ.

მარისას თავი ენრიკეს მხარზე ჩამოედო, ის კი ცოლს მიხუტებოდა და თმაზე ეფერებოდა.

– ამას ერთადერთი ახსნა აქვს, პატივცემულ სენიორს ჩინელი გოგონა შეუყვარდა, მორჩა და გათავდა! ხომ ცნობილია, რომ აღმოსავლელი ქალები თურმე საოცარი ტემპერამენტით გამოირჩევიან?! – თქვა მარისამ.

– დიახ, ჩინელი გოგონა ძალიან ლამაზი ყოფილა და ბაბუაჩემს იგი, როგორც ჩანს, სიგიჟემდე შეჰყვარებია; მერე კი, ამ რასიზმისა და დესპოტიზმის ცრურწმენებით შეპყრობილ დიდგვაროვან სენიორს ასეთი ნაბიჯი გადაუდგამს და იმ კაცის ქალიშვილი შეურთავს ცოლად, რომელიც ალბათ გაუნათლებელი იყო და ფეხსაცმელიც არასოდეს ღირსებია.

ლუსიანო გაჩუმდა და სევდიანი გამომეტყველება ღიმილით შეცვალა.

– ახალგაზრდებს ჯვარი ქრისტიანულად, მამულის ეკლესიაში დაუწერიათ. მათი ქორწილის ფოტოებიც არსებობს. – დასძინა ლუსიანომ. – ოჯახში ცდილობდნენ, ბაბუაჩემი ეიძულებინათ, თავის გადაწყვეტილებაზე ხელი აეღო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ქორწილში უამრავი ხალხი ყოფილა; ღიმადანაც ჩამოსულან სტუმრები და სენიორ კასიმიროს არჩევანს ყველანი აღუშფოთებია. მერე კი ეს ამბავი მარტო იკას მხარეში კი არა, მთელ ქვეყანაში გახმაურდა. ფოტოებზე ბებიას სახე კარგად არ ჩანს, თუმცა მიხვდები, რომ ტანმორჩილი და კაფანდარა იყო, რომელსაც ჩემი აზრით, სილამაზეც დაანათლა ღმერთმა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას საშინელი ხასიათი ჰქონდა და ოჯახში მატრიარქატის მომხრე იყო.

– გოგონა ალბათ ფეხმძიმედ იყო და ღვთისმოსავმა ბაბუაშენმა სწორედ ამის გამო შეირთო ცოლად. – თქვა ჩაბელამ, მერე დააკვირდა ქმარს და დასძინა. – აი, ახლა კი ვხვდები, საიდან გაქვს თვალის ასეთი უცნაური ჭრილი.

– დღეიდან ჩინელს დაგიძახებთ. – გაიცინა მარისამ.

– კარგი, მორჩი ახლა. ეგ ხომ ფუზნიმორის მეტსახელია. – მიუგო ლუსიანომ სიცილით. – მაგას მირჩვენია ჩინოჩელო დამიძახოთ.

– მაგ სახელს თუ ვინმე დაგიძახებს, ნამდვილად გაგეყრები. – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ჩაბელამ.

– ლუსიანო, განაგრძე თხრობა. – უთხრა კიკემ. – უნდა ვალიარო, რომ სენიორ კასიმიროს ამბავმა ძალიან დამაინტერესა.

– ახლა დიდგვაროვანი სენიორისა და ჩინელი გოგონას ქორწინებაზე უარეს ამბავს მოგიყვებით. – თქვა ლუსიანომ და საათს დახედა. – კომენდანტის საათის დაწყებამდე ჯერ კიდევ გვაქვს დრო.

მერე მან დედამისის მშობლებთან დაკავშირებით თქვა, რომ დღემდე არ იცოდა ჩინელი ბების ნამდვილი სახელი, რადგან ქორწინებამდე სენიორ კასიმირომ საცოლეს თურმე სახელი შეუცვალა, ლაურა დაარქვა და იმ დღიდან მას ყველა ამ სახელით იცნობდა. გათხოვების შემდეგ ჩინელმა გოგონამ ოთხი შვილი გააჩინა – დედაჩემი და კიდევ სამი ვაჟი, რომელთაგან ორი ჯერ კიდევ სიყრმისას გარდაცვლილა. ლაურამ ნელ-ნელა ავტორიტეტი მოიპოვა, მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა მხოლოდ დიასახლისის როლი და გადაწყვიტა მამულის მართვის საქმეებში ბაბუაჩემის მარჯვენა ხელი გამხდარიყო.

– ჩემს ბავშვობაში, იმ მხარის მხცოვან ადამიანებს კარგად ახსოვდათ ბებიჩემი. ამბობდნენ, შარვალსა და ჩექმებში გამოეწყობოდა, თავზე ქილის ქუდს დაიხურავდა და მათრახმომარჯვებულ ცხენს მინდვრებში დააჭენებდაო. ბებია თურმე თვალს ადევნებდა რწყვა-თესვას, მოსავლის აღებას, გასცემდა ბრძანებებს, ხანდახან კი, თუ საჭირო იყო, მკვახე სიტყვებსაც არ იშურებდა და მათრახსაც გადააჭერდა ხოლმე დაქირავებულ ზარმაც და ურჩ მუშებს.

სოფლის მკვიდრთა ნაამბობიდან ლუსიანოზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ერთ ფაქტს მოუხდენია. 28 ივლისის ტრადიციული ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად მის ბაბუა და ბებიას მა-

მულში დიდი წვეულება გაუმართავთ. ზეიმზე მთელი სოფელი მოსულა, ჩინჩა და ელ კარმენიდან კი საუკეთესო მოცეკვავეები და მუსიკოსები მოუწვევიათ. თურმე წვეულებაზე ლაურამ იქაური გლეხი ქალების ჩვეულების თანახმად ფესსაცმელები გაიხადა და ერთ-ერთ ზანგ თუ მულატ გლეხთან „მარინერას“ ცეკვა დაიწყო. ზანგები ხომ ამ ცეკვის საუკეთესო შემსრულებლები არიან! რა თქმა უნდა, ლაურას საქციელმა დამსწრენი ძალიან გააოცა, როცა დაინახეს, რომ წვეულების მასპინძელი, მემამულის ცოლი უბრალო ხალხის ტაშის და გამამხნევებელი შეძახილების თანხლებით გლეხთან ცეკვავდა. ლაურას საქციელი დამსწრე საზოგადოების აზრით ნამდვილად სიგიჟე იყო, თუმცა იგი „მარინერას“ საკმაოდ კარგად ცეკვავდა. ამ ცეკვის შესრულება კი კრეოლურ სოფლებში დიდ მოვლენად მიიჩნეოდა და ამ დღეს მოუთმენლად ელოდნენ.

– სიამოვნებით გავიცნობდი ბებიაშენს. – თქვა კიკემ და საათს დახედა. – კომენდანტის საათამდე ჯერ დრო გვაქვს. სახლში მისასვლელად თხუთმეტ წუთზე მეტი არ დაგვჭირდება, რადგან ამ დროს ქუჩები თითქმის ცარიელია ხოლმე. ლაურა უჩვეულო ქალბატონი უნდა ყოფილიყო.

– ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა, მშობიარობას გადაჰყვა. – თქვა ლუსიანომ. – მის რამდენიმე ფოტოს გაჩვენებ და ნახავ როგორი დათრგუნული იერი აქვს. მხოლოდ ის... – ლუსიანომ სერიოზული სახე მიიღო.

– მხოლოდ რა? – ჩაეკითხა ქმარს ჩაბელა. – ენა ნუ გებმება, მიდი, თქვი!

– ...ის, რომ ამ კეთილშობილი ბატონის რომანტიკულ ისტორიაში, რომელსაც უბრალო ჩინელი გოგონა შეუყვარდა, – თქვა ლუსიანომ და მხრები აიჩეჩა. – ერთი საშინელი ამბავი მოხდა.

– კი მაგრამ, რა ამბავია ასეთი?! – ცნობისმოყვარეობით იკითხა მარისამ. – მგონი, ნაამბობში ყველაზე საინტერესო ეს უნდა იყოს!

– ბებია ლაურა თურმე წელიწადში ერთხელ, რამდენიმე დღით

იდუმალ მოგზაურობაში მიდიოდა, თან ისე, რომ მას არავინ ახლდა. – თქვა ლუსიანომ დინჯად, სვენებ-სვენებით, რომ უფრო დიდი ინტერესი გამოეწვია.

– ჰო, სწრაფად თქვი, სად მიდიოდა? – მოუთმენლად ჰკითხა ჩაბელამ. – რა გჭირს, სიტყვები ძალით უნდა ამოგგლიჯოთ პირიდან?

– ეგ არავინ იცის. – მიუგო მას ლუსიანომ. – ერთ-ერთი ვერსიით ბებია თავისი ნათესავების მოსანახულებლად მიდიოდა, რადგან გათხოვების შემდეგ მისი ოჯახი იმ სოფლიდან გაუჩინარებულა. ჰოდა, ახლა ჩემი მონაცოლი მხოლოდ ვარაუდებზე იქნება აგებული. რატომღაც მგონია, რომ ბებიაჩემის მამის ოჯახი სენიორ კასიმიროს ოჯახმა ან თავად მან გაასახლა იმ ადგილიდან. ბაბუაჩემს ჩინელი გოგონას ცოლად შერთვა ესირცხვილებოდა და მისთვის აუტანელი იყო ის აზრი, რომ ლაურას ჩინელი ნათესავები ისევ სოფელში დარჩებოდნენ და მის ქედმაღალ ოჯახის წევრებთან ექნებოდათ ურთიერთობა. მერე, როგორც ჩანს, საქმე ისე მოაგვარეს, რომ ბაბუაჩემმა ჩინელებს ფული მისცა და აიძულა იკადან, რაც შეიძლება, შორს წასულიყვნენ. ბებიაჩემის ყოველწლიური იდუმალი მოგზაურობის მიზეზი კი გადასახლებული ნათესავების მონახულება უნდა ყოფილიყო. ის, თუ სად მიდიოდა ქალი, ამის შესახებ არავინ არაფერი იცის. როგორც ჩანს, ეს ადამიანები სადღაც ქვეყნის დასალიერში, მთებში ან ტრამალებში გადახვეწეს და შესაძლოა, ამჟამად ლორეტოს ან ჩაჩაბოიას რომელიმე მიყრუებულ სოფელში, ჩემი ბიძაშვილები ან დეიდაშვილები ცხოვრობენ.

– ამის ახსნა ბევრნაირად შეიძლება. – თქვა კიკემ. – ხომ შეიძლება ბაბუაშენმა ან მისმა ოჯახმა ეს ადამიანები უბრალოდ მოაკვლევინა, რათა საგვარეულოსთვის ეს სამარცხვინო ლაქა სამუდამოდ ჩამოერეცხათ, ბებიაშენი კი ყოველ წელს თავისი ნათესავების საფლავების მოსანახულებლად დადიოდა, რომ იქ ყვავილები დაეწყო?!

ამაზე ჩაბელას და მარისას გაეცინათ, ლუსიანოს კი კვლავ სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

– ამას ხუმრობით ამბობ, კიკე, მე კი მგონია, რომ ასეთი საქციელი იმხანად სულაც არ იქნებოდა უჩვეულო ან შეუძლებელი. აბა, წარმოიდგინე ამ ქვეყანაში, ნახევარი საუკუნის წინ, რა ფასი უნდა ჰქონოდა ვიღაც უბადრუკი ჩინელის სიცოცხლეს? სავარაუდოდ, ლაურას ოჯახი მართლაც ამოწყვეტეს, რადგან ის ხალხი ამის ჩასადენად უკან არაფერზე დაიხვედა!

– რატომღაც მგონია, რომ ხუმრობ, ლუსიანო. – შეეწინააღმდეგა ქმარს ჩაბელა. – ნუთუ ამას სერიოზულად ამბობ?

– ასეთი რომანტიკული ისტორიისთვის ეს ნამდვილად ნაღვლიანი დასასრულია. – ამოიოხრა მარისამ. – ვფიქრობ, ჩვენი წასვლის დროა, კიკე. არ მინდა დაგვაგვიანდეს და პოლიციამ გაგვაჩეროს. ისედაც საკმარისად გვაქვს პრობლემები. ასე არ არის?

– ჰო, წასვლის დროა, – უთხრა ჩაბელამ. – თორემ პატრულის თავხედი თანამშრომლები ტომრებით მიგატანინებენ ფულს.

– ეს წყეული კომენდანტის საათი! – თქვა კიკემ, ცოლს ხელი ჩაჰკიდა და წამოდგა. – ისე კი, უნდა გითხრათ, მთელი ღამე არ მომბეზრდებოდა იმ ჩინელი გოგონას ამბის მოსმენა.

– ამის მოსაყოლად საკმაოდ დიდი ძალისხმევა დამჭირდა, – თქვა ლუსიანომ და სტუმრები უზარმაზარი ბაღის გავლით, ჭიშკრამდე მიაცილა. – ბაბუაჩემის და მისი ოჯახის გამო სირცხვილით ვიწვეები, გული საშინლად მტკივა და რატომღაც მგონია, რომ ბეზიჩემის და მისი ოჯახის წინაშე ჩადენილი დანაშაული მე უნდა გამოვისყიდო.

ქუჩაში გამოსულებს ჯიხურთან მდგარმა შეიარაღებულმა დაცვამ ღამე მშვიდობისა უსურვა. მარისა და კიკე მასპინძლებს დაემშვიდობნენ და მანქანაში ჩასხდნენ.

– მოიცა, მოიცა. – უთხრა კიკემ მარისას შემპარავი ხმით. – დამშვიდობებისას შენ და ჩაბელამ ლამის არის, ერთმანეთს ტუჩებში აკოცეთ.

– ხომ არ ეჭვიანობ? – გაეცინა მარისას, მაგრამ ამ დროს კიკემ მანქანა მოულოდნელად დაამუხრუჭა. – რა მოხდა, რატომ გააჩერე

მანქანა? – ჰკითხა შეშინებულმა ქალმა.

– კი არ ვეჭვიანობ, მშურს, გრინგიტა. მანქანა კი იმიტომ გავაჩერე, რომ გაკოცო. – მიუგო კიკემ ცოლს და ვნებიანად აკოცა.

– გეყოფა, კიკე. – უთხრა მარისამ და ქმარი თავიდან მოიშორა. – ეს ძალიან სახიფათო ადგილია, ვერ ხედავ როგორ ბნელა? შეიძლება თავს ვინმე დაგვესხას. დაქოქე მანქანა!

– უფრო და უფრო ვგიჟდები შენზე! – უთხრა კიკემ ცოლს და მანქანა დაძრა. – ალბათ ის წყეული სკანდალი იმად ღირდა, მივმხვდარიყავი, როგორ ძალიან მიყვარხარ და რა ბედნიერი ვარ, ბედმა ამქვეყნად ყველაზე ლამაზი და ვნებიანი ცოლი რომ მარგუნა წილად.

– კიკე, მე კი ნუ მიყურებ, გზას შეხედე, რამეს არ დავეჯახოთ! ნუ მიგყავს მანქანა ასე სწრაფად, გთხოვ!

– მალე მინდა მივიდეთ სახლში, რომ გაგაშიშვლო, მერე კი თავიდან ფეხებამდე დაგკოცნო. ოთახში სინათლეს არ გამოვრთავ, ყველა ნათურა უნდა ენთოს!

– კარგი, მაგრამ ველარ გცნობ, კიკე. ძალიან შეიცვალე. შეიძლება გავიგო, რა დაგემართა?

– ძვირფასო, მივხვდი, რომ ამქვეყნად ყველაზე ვნებიანი და მაცდური ქალი ხარ!

– ეს იმიტომ, რომ თავად ხარ სრულყოფილი, ჩემო მბრძანებელო!

– ასე ნუ მეხუმრები, თორემ მანქანას გავაჩერებ და აქვე შევუდგები საქმეს, გრინგიტა.

– ოჰ, როგორ შემეშინდა. – გაეცინა მარისას. – სირქარე ცოტა შეანელე, თორემ რამეს დავეჯახებით, კიკე.

ენრიკემ სვლა შეანელა და ცოლ-ქმარმა სიცილით და თამაშ-თამაშით გაიარეს დარჩენილი გზა. „სან ისიდროში“ რომ მივიდნენ, კომენდანტის საათის დაწყებას ათი წუთიღა აკლდა.

– რა ხდება, რატომ დგას აქ ამდენი პოლიციელი? – იკითხა გაოცებულმა მარია.

პოლიციას ორივე მანქანის ციმციმა ჩართული ჰქონდა და ავტოფარეხში შესასვლელი გზა გადაეკეტა. ენრიკეს მანქანა როგორც კი დაინახეს, ორივე მანქანიდან რამდენიმე ფორმიანი და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პოლიციელი გადმოვიდა. კიკემ ფანჯრის მინა ჩამოწია და პოლიციელი ფარნით ხელში, მისკენ დაიხარა.

– ინჟინერი ენრიკე კარდენასი ბრძანდებით, არა? – ჰკითხა მან კიკეს და მისალმების ნიშნად კეპთან ხელი მიიღო.

– დიახ, მე გახლავართ. – მიუგო კიკემ. – რა ხდება, ოფიცერო?

– უნდა გამოგვყვეთ, ბატონო კარდენას, მაგრამ ჯერ მანქანა გარაჟში შეიყვანეთ! დაგელოდებით, პრობლემა არ არის.

– სად უნდა გამოგვყვეთ? – ჰკითხა კიკემ.

– ამას პროკურორი მორანტე აგისხნით. – უთხრა ენრიკეს ოფიცერმა, გვერდით გადგა და ადგილი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ მამაკაცს დაუთმო. მოკლეწვერიანმა, ტანდაბალმა ქაღალა კაცმა ბოდიში მოიხადა და კიკეს მანქანის ფანჯარასთან ოფიცერის ადგილი დაიკავა.

– ძალიან ვწუხვარ, ბატონო კარდენას. – უთხრა მამაკაცმა ენრიკეს სავალდებულო წესის დაცვით. – ჩვენი აქ ყოფნის მიზეზი რომ აგისხნათ, ჯერ მოსამართლის ორდერს წარმოგიდგენთ. თქვენ დაკავებული ბრძანდებით!

– დაკავებული? – იკითხა გაოცებულმა კიკემ. – შეიძლება გავიგო, რისთვის?

– ჟურნალისტ როლანდო გაროს მკვლელობისთვის გედებათ ბრალი! – მიუგო მას მორანტემ. – რაკი ბრალდებული ოფიციალურად ბრძანდებით, მოსამართლემ დაკავების ბრძანება გასცა. ორდერი აქ მაქვს, შეგიძლიათ წაიკითხოთ. იმედი მაქვს, რალაც გაუგებრობაა და მალე ყველაფერი გაირკვევა. წინააღმდეგობის გაწევას არ გირჩევთ, ინჟინერო. ამან შეიძლება უფრო გაგირთულოთ საქმე.

17. უცნაური მოვლენები ხუან კერნეტის გარშემო

ხუან პეინეტა სასტუმრო „მოგოლიონიდან“ დილაუთენია გამოვიდა. საკუთარ თავს ეკითხებოდა, სად შეიძლებოდა გაუჩინარებულიყო სერაფინი, რომელიც უკვე სამი თუ ოთხი დღე იქნებოდა, აღარ ენახა. ან იქნებ კვირაზე მეტიც გავიდა? დალახვროს ეშმაკმა! რა უბედურებაა ასეთი გულმავიწყობა! ხუანმა გეზი აბანკაის გამზირისკენ აიღო. კიდევ კარგი, ვილი როდრიგო ანუ რულეტერო ახლა ბარიოს ალტოს უბანში ცხოვრობდა, თორემ მანამდე მისი კალიაოში მონახულება ხუანს ნამდვილ სატანჯველად ექცა. სან მარტინის მოედნამდე ფეხით უნდა მისულიყო, სადაც კალიაოში მიმავალი მიკროავტობუსი ჩერდებოდა. ამ ერთადერთი ტრანსპორტით ხუანი თვეში ერთხელ სარგებლობდა, რათა ძველი მეგობარი მოენახულებინა. არავინ იცოდა, რატომ ეძახდნენ სამორინეს მეპატრონეს მეტსახელად რულეტეროს, ვიდრე ხუანს თავად ვილიმ არ უამბო, რომ ეს სახელი მას პერეს პრადოს ერთ-ერთი „მამბოს“ პატივსაცემად შეარქვეს, რადგან ახალგაზრდობაში ვილი დღე და ღამე მის მელოდიას

დღინებდა და თან ცეკვავდა. მაგრამ თავადაც არ იცოდა, რას ნიშნავდა კუბურად სიტყვა „რულეტერო“: ტაქსის მძღოლს, სუტენიორს თუ ლატარიის ბილეთების გამყიდველს?

მაინც რაში დასჭირდა ხუანს ვილისთან სასწრაფოდ შეხვედრა? დიახ, ამის მიზეზი სატელეფონო ზარი იყო, რომელიც წინა ღამით სასტუმრო „მოგოლიონში“ გაისმა. მაშინ უთხრა ვილიმ: „ხუანიტო, სასწრაფოდ უნდა გნახო, რადგან ტელეფონით ვერაფერს გეტყვი. ჰოდა, ხვალ ერთად ვისადილოთ“. ნეტავ, რა საქმე უნდა ჰქონოდა მასთან რულეტეროს? იმაზე მაინც რატომ არ მიანიშნა. რაზე უნდა დალაპარაკებოდა? ხუანი აბანკაის გამზირს დაადგა, მერე კი კონგრესის შენობის გასწვრივ, ხუნიჩის გრძელი გზა უნდა გაევილო და ხუთი კუთხის უბნამდე მისულიყო. სწორედ აქ ცხოვრობდა ვილი და ეს მარშრუტი ხუანს ჯერჯერობით კარგად ახსოვდა, მაგრამ ხანდახან ისე ხდებოდა, რომ დღითი დღე სულ უფრო მეტი რამ უკვალოდ ქრებოდა მისი მეხსიერებიდან, და სულ მალე იგი მოჩვენებად გადაიქცეოდა, რომელსაც წარსული არ ჰქონდა.

ვილი და ხუანი იმ დღიდან მეგობრობდნენ, როცა პეინეტა ჯერ ისევ მხატვრული კითხვის ნატიფ ხელოვნებას ემსახურებოდა, რულეტერო კი „რიმაკში“, კანტაგალიოს უბანში პატარა თეატრს ხელმძღვანელობდა, სადაც ხუანი საცეკვაო ნომრებსა და ანდურ სიმღერებს შორის შესვენებებზე, მაყურებელს ლექსებს უკითხავდა. თეატრში დამსწრეებს სხვა გასართობებსაც სთავაზობდნენ. მაგალითად, აქ ნახავდით ბრძოლას წესების გარეშე, მაგრამ ასეთ დღეებში ხუანი იქ არ ჩნდებოდა. ერთადერთხელ გაბედა ლექსი, ბრძოლებს შორის, შესვენებაზე წაეკითხა, მაგრამ ისეთი სტვენა და ყვირილი აუტეხეს, რომ ამ განზრახვაზე სამუდამოდ ააღებინეს ხელი. თავისი თეატრი რულეტერომ კარგა ხნის წინ გაყიდა და ახლა ხუთი კუთხის უბანში სამორინეს ხელმძღვანელობდა. ეს კლუბი ძველი გვარდიელის, ვალსების ცნობილი კომპოზიტორის ფელიპე პინგლოს მონუ-

მენტის მახლობლად მდებარეობდა. კალიაოში კი, სადაც ვილი მანამდე ცხოვრობდა, მის სახლთან ქურდების მფარველის, სარიტა კოლონიას მონუმენტი იდგა. ხუანი და ვილი სრულიად განსხვავებული ტიპები იყვნენ. ვილი მივარდნილ უბანში, სამორინეში ლამის ცხოვრებით ცხოვრობდა. მასთან ბედის მაძიებელი და ცუდი სახელის მქონე, აზარტული მოთამაშეები დადიოდნენ, რომელთაგან უმეტესობა ქურდი და ნაცინარი იყო. ეს ხალხი ღამლამობით უსწორებდა ანგარიშს ლოთებს, სუტენიორებს, მაწანწალებს და მათთან საქმეს ცემა-ტყებით ან დანების ტრიალით აგვარებდა. რულეტეროს კლიენტებს შორის პოლიციის ინფორმატორები და გამომძიებლებიც იყვნენ. ისინი აქ ლუდის დასალევად და ინფორმაციის მისაღებად შემოივლიდნენ ხოლმე.

– მიუხედავად განსხვავებული ხასიათებისა, ხუანსა და ვილის განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდათ. კარგა ხანს, წელიწადში ოთხჯერ ან ხუთჯერ, ხუანი გრძელ გზას გადიოდა ლიმას ცენტრიდან კალიაოს საშიში პორტის გავლით, რათა დღე მეგობართან ერთად გაეტარებინა. ახლა როცა რულეტერო ლიმას კოლონიურ ცენტრში გადავიდა საცხოვრებლად, ხუანს საქმე გაუადვილდა, რადგან აღარ უწევდა, დამლელი და დაუსრულებელი გზის გავლა. ვილი მეგობარს სადლით უმასპინძლებოდა პატარა ტავერნაში, სადაც ყოველთვის ჰქონდათ ახალი მიდიები და ცივი ლუდი. ამ დროს მეგობრები გარდასულ დღეებს იხსენებდნენ, როცა ხუანი პოეზიას კითხულობდა და ატანასიასთან ბედნიერად ცხოვრობდა, ვილი კი პატარა თეატრს ხელმძღვანელობდა, რაც მას საშუალებას აძლევდა, ზოგიერთი მსახიობი ქალი ლოგინში შეეტყუებინა, რომლებიც აქ მრავლად იყვნენ. ხუანს არ სჯეროდა, რომ რულეტეროს მართლა ამდენი ქალი ჰყავდა, რადგან მის მეგობარს ტრაბახი უყვარდა და ტყუილებიც სჩვეოდა, მაგრამ ხუანი მაინც ხალისით უსმენდა მას. ნეტავ რა მოხდა? რატომ დაურეკა ვილიმ და ასე სასწრაფოდ რატომ

სთხოვა შეხვედრა? ხომ შეეძლო ტელეფონით რამეზე მაინც მიენიშნებინა?

მიხვეულ-მოხვეული, გრძელი გზის გამო, ხუანი თითქმის ერთ საათს მოუნდა ბარიოს ალტოს ცენტრში მისვლას, სადაც ხუთი კუთხე მდებარეობდა. მის ახალგაზრდობაში ეს უბანი მუსიკის მოყვარულთა თავმჯდომარის ადგილი იყო და აქ ბოჰემური წრის ბევრი მსახიობი და მუსიკოსი ცხოვრობდა. ხალხი მირაფლორესიდან და სან ისიდროდანაც კი მოდიოდა, რომ საუკეთესო მომღერლებისთვის მოესმინა და ჩოლოებთან და ზანგებთან ეცეკვა. აქაურობას ჯერ ისევ შემორჩენოდა იმ დიადი ეპოქის სული, პერუულმა ვალსმა, ფელიპე პინგლომ და კრეოლური მუსიკის სხვა დიდმა კომპოზიტორებმა რომ გაუთქვეს სახელი.

ახლა ეს უბანი მთლად გადაგვარებულიყო და მის ქუჩებში გავლა ადამიანს შიშს ჰგვრიდა, თუმცა ვილი აქ თავს ცუდად არ გრძნობდა. სამორინეს უძღვებოდა და კარგ ფულსაც შოულობდა, ხუან პეინეტა კი სულ იმის შიშში იყო, რომ ერთ დღესაც მის მეგობარს ვინმე დანით აკუწავდა. ახლა ხუანი „ხუნინის“ მიხვეულ-მოხვეულ და ხალხით სავსე გზაზე ღონემიხდილი მიჩანჩალებდა და მოთმინებით იტანდა ტკივილს ვარიკოზით დამძიმებულ ფეხებში. რაც უფრო წინ მიიწევდა, მით უფრო თვალშისაცემი ხდებოდა ქალაქის ამ უბნის გაჭირვება და სიღარიბე. ყველგან ყვავილებითა და ათასგვარი წვრილმანით მოვაჭრეთა რიგები იდგა, ძველი, კოლონიური ეპოქის სახლები თითქმის ნანგრევებად ქცეულიყო, ახალგაზრდებს ჩამოძონძილი ტანსაცმელი ეცვათ, მათხოვრები და მაწანწალები კი ელექტრობოძების ძირში ან სარდაფებში მიყრილიყვნენ. აქ მრავლად შეხვედებოდათ კათოლიკურ ეკლესიებსაც. მათ გარშემო მრევლი ირეოდა, ზოგი მათგანი სანთლებს უნთებდა წმინდანებს, მათ გამოსახულებებს ხელით ეხებოდა და გულმხურვალედ ლოცულობდა. ხუანი ფეხშიშველთა სავანეს და კინტა ერენს რომ გასცდა, ვილის ანუ რულეტეროს სამორინეც გამოჩნდა.

ვილი ყოველთვის მხიარულ გუნებაზე იყო, ხუანს ჩვეული ხუმრობით ეგებებოდა და ეუბნებოდა: „რა კარგია, რომ ცოცხალს გხედავ და ფეხები ჯერ არ გაგიფშეკია“. მაგრამ ამჯერად იგი მეგობარს საკმაოდ სერიოზულად, პირქუშად შეხვდა და უხმოდ გადაეხვია. მერე, როცა ხუანმა უთხრა – ძმაო, მითხარი, რა მოხდა, შენმა გუშინდელმა სატელეფონო ზარმა ძალიან ამაფორიაქაო, ვილის მისთვის ამჯერადაც არაფერი უთქვამს და მეგობარს მხოლოდ ხელით ანიშნა, აქაურობას გავეცალოთო. რულეტეროს სახეზე ხალები ჰქონდა, თმა კი ერთიანად გაჭაღარავებოდა და მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამოცდაათ წელს გადაცილებოდა, საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა. ნაცრისფერი, გახუნებული კომბინეზონი და უმკლავებო სვიტერი ეცვა, შიშველი ფეხები კი მოკასინებში გაეყო. ვილიმ ხუანს ხელი გადახვია და გზისკენ უბიძგა, რომ იმ ადგილისთვის გაერიდებინა. მის ხისგან და გამომწვარი აგურისგან ნაგებ სამორინეს თუთიის სახურავი ჰქონდა. რულეტეროც აქ მარტო, ან როგორც თავად ამბობდა, „ვინმე შემთხვევით ქალთან“ ერთად ცხოვრობდა.

– მოდი, სახლში შევიდეთ და ცოტა დავისვენოთ! უცნაურად იქცევი, მეგობარო! ვერ ხედავ, რომ დაღლილი ვარ?

– აქედან შორს წავიდეთ, უნდა დაგელაპარაკო, ხუანიტო. – ჩურჩულით მიუგო რულეტერომ და ირგვლივ მიმოიხედა. მერე თვალები აახამხამა და დასძინა. – ეს ძალიან სახიფათო ადგილია, მეგობარო, არა მარტო ჩემთვის, შენთვისაც. მოგვიანებით ყველაფერს აგისხნი.

ისედაც შეწუხებული და დაღლილ-დაქანცული ხუანი ამ სიტყვებმა კიდევ უფრო ააფორიაქა. შემდეგ მეგობრებმა კიდევ ბევრი იარეს. ღარიბულ, უასფალტო ქუჩებში მხოლოდ ორსართულიანი სახლები იდგა, ირგვლივ კი უამრავი ლატაკი და ფეხშიშველი ადამიანი ირეოდა. მამაკაცებს მაისურები ეცვათ, ქალებს კი თავზე ევანგელისტი სექტანტებივით წაეკრათ ხილაბანდები.

ხუანმა შენიშნა, რომ მისი მეგობარი მარცხენა ფეხით კოჭლობდა.

– ფეხზე რა დაგემართა? – ჰკითხა ვილის.

– როგორც ჩანს, ამ რევმატიზმს საშველი არა აქვს. – პირქუშად მიუგო რულეტერომ. – უბანში ერთ ექიმბაშ ქალთან ბალახბულახით და აბაზანებით ვმკურნალობ, მაგრამ უკეთესობა არ მეტყობა. ყველაფერი სიბერის ბრალია, ხუანიტო. შენ მეხსიერება დაკარგე, მე კი – ფეხები.

რა დაემართა ვილის? ხუანი მას ოცდაათ წელზე მეტია იცნობდა და ახსოვდა, რომ მისი მეგობარი ყოველთვის ხუმარა და მხიარული ადამიანი იყო. ცხოვრებას იოლად უყურებდა და გუნება-განწყობას ადვილად ვერავინ გაუფუჭებდა. ახლა კი მეტისმეტად აფორიაქებული და შეშინებული ჩანდა, აქეთ-იქით უნდობლად იყურებოდა. ხუანი ხედავდა, რა სიფრთხილით არჩევდა რულეტერო, რომელ ტავერნაში შესულიყვნენ. ბევრ მათგანს, უბრალოდ, გვერდი აუარა და კრინტი არ დაუძრავს.

– მაწუხებს, ასეთს რომ გხედავ, ვილი. – უთხრა ბოლოს მეგობარს ხუანმა. – რა ჯანდაბა დაგემართა, ძმაო, რატომ ხარ ასეთი დაძაბული და დამფრთხალი.

რულეტერომ ხუანს არაფერი უპასუხა და სერიოზულად განაგრძო შესაფერისი ადგილის ძებნა, სადაც მეგობრები მშვიდად დაილაპარაკებდნენ. მერე ტუჩებზე თითი მიიღო და ხუანს ანიშნა, გაჩუმებულიყო, თან დასძინა: „სალაპარაკო დრო კიდევ გვექნება“.

ბოლოს და ბოლოს ვილიმ ერთ კაფეს მიაგნო. პატარა ოთახში სინათლე ბუუტავდა და ექვსიოდე თავისუფალი მაგიდა იდგა, ირგვლივ კი ბუზები დათარეშობდნენ. მეგობრები კართან დასხდნენ, ვილიმ ლუდი შეუკვეთა.

– როგორც ყოველთვის, პილსენ კალიაო და ორი სუფთა ჭიქა მოგვიტანე! – უთხრა ვილიმ ოფიცინანტს.

– ბოლოს და ბოლოს მეტყვი, რა ჯანდაბა გეტაკა, ვილი? რა ეშმაკი შეგიჩნდა, ძმაო? – ვილი მეგობარს მოყვითალო თვალებით მიაჩერდა.

- ცუდი და თან ძალიან საეჭვო ამბები ხდება, ძმაო. - თქვა რულეტერომ და შეშინებულმა ირგვლივ მიმოიხედა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ კი დასძინა. - ყველაფერს გიამბობ, რაკი ვხედავ, რომ ამ ამბის გამო შენც გაგხვიეს შარში. მინდა გითხრა, რომ...

ვილი უცბად გაჩუმდა, რადგან დაინახა, რომ მათ მაგიდას ფეხშიშველი მიმტანი აქაფებულ ლუდით ხელში უახლოვდებოდა. მერე კი მხოლოდ მას შემდეგ განაგრძო ლაპარაკი, როცა დარწმუნდა, რომ მიმტანი ისევ თავის დახლთან მივიდა.

- საქმე იმ მოკლულ ჟურნალისტს, როლანდო გაროს ეხება, ასე რომ გძულდა.

- როლანდო გაროს? - ხუან პეინეტა მოულოდნელობისგან შეხტა და პირფვარი გადაიწერა. - ვილი, რაღა დაგიმალო და ამ ამბავმა ძალიან გამახარა, რადგან მაგ კაცმა ცხოვრება დამინგრია; თუმცა ამ სიხარულის გამო თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ადამიანს არ უნდა ახარებდეს სხვისი უბედურება, თუნდაც იგი გაროსთანა ნაძირალა იყოს. ერთხელ პადრემ ამისთვის ლამის ყურები დამახია. ეგ ჟურნალისტი აღარ მძულს, მას უფრო თანავუგრძნობ. ღმერთი მაღალია და ყველას თავისას მიუზღავს. როგორც ჩანს, შემზარავი სიკვდილით მოკვდა.

ხუანი გაჩუმდა, რადგან ნახა, რომ ვილი ფიქრებით სხვაგან იყო. ცოტა ხანში, როცა რულეტერო მიხვდა, რომ ხუანი აღარ ლაპარაკობდა, ფიქრებიდან რეალობას დაუბრუნდა და მეგობარს უთხრა:

- იმის შესახებ თუ წაიკითხე, გაროს გვამი აქ, ამ უბანში რომ იპოვეს?

ხუანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ფელიპე პინგლოს მონუმენტთან ახლოს, ხუთ კუთხეში უპოვიათ დაგდებული. ჰო, მაგრამ ამას რატომ მეკითხები, ვილი?

- იმიტომ რომ ეს ტყუილია, - წაიჩურჩულა რულეტერომ. - გარო ამ უბანში არ მოუკლავთ, მისი გვამი აქ პოლიციამ ან უშიშროების

სამსახურის თანამშრომლებმა მოგვიანებით მოიტანეს, რადგან მხოლოდ მათ შეეძლოთ გაეხედათ ღამით ამ უბანში შემოსვლა. დასახიჩრებული გვამი მანქანიდან გადმოიღეს და ჩემი სამორინეს კართან დააგდეს. ეს საეჭვოდ არ გეჩვენება, ხუანიტო? განა უცნაური არ არის, რომ ჟურნალისტის ცხედარი მაინცდამაინც აქ დატოვეს? რა მიზნით ჩაიდინეს ეს?

– დარწმუნებული ხარ, რომ ეს ნამდვილად ასე მოხდა, ვილი?

– ეს ყველაფერი საკუთარი თვალთ დავინახე. – მიუგო ხუანს მეგობარმა და მაგიდას ხელისგული დაჰკრა. – ჩემს ქუჩაზე ღამლამობით მანქანები არ დადის, ძმაო. ის ხალხი ძალიან ფრთხილად და ჩუმად მოქმედებდა, რადგან აშკარად არ უნდოდათ, ვინმეს შეენიშნა. „ძაღლები“ ან უშიშროების თანამშრომლები უნდა ყოფილიყვნენ. მანქანის ძრავის ხმა რომ გავიგონე, ფანჯარაში ჩუმად გავიხედე და ყველაფერი აი, ამ თვალებით დავინახე.

– გამოდის, რომ ეს მკვლელობა იმ მილიონერს არ შეუკვეთია, ახლა დაკავებული რომ ჰყავთ, არა? – გაოცებულმა იკითხა ხუანმა.

– არა. იმას გეუბნები, რაც ჩემი თვალთ ვნახე. – მიუგო ვილიმ, მაგიდას ისევ ნერვიულად დაჰკრა ხელი და უამრავ ბუზს დაურღვია სიმშვიდე. – ნამდვილად არ ვიცი, ვინ მოკლა, ძმაო, მაგრამ იმას კი გეტყვი, რომ მისი გვამი, აქ ხუთ კუთხეში იპოვეს, მიცვალებული მანქანით მოიტანეს და ჩემს სამორინესთან დააგდეს. ახლა მიდი და გაიგე, რა აქვთ ჩაფიქრებული. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ისინი პოლიციიდან ან უშიშროებიდან იყვნენ. პატრულის თანამშრომლები აქ მხოლოდ ორი ან სამი დღის შემდეგ მოვიდნენ. მე, რა თქმა, უნდა იმ ღამის შესახებ მათთვის არაფერი მითქვამს. იმ წუთში ერთადერთი ის მოვახერხე, რომ სინათლე ჩავაქრე, კლუბის უკანა კარიდან ყველა ყომარბაზი გავაძევე, ლოგინში ჩავწექი და დაძინება ვცადე. რასაც ახლა გიყვები, არავისთვის მითქვამს. ახლა მაინც ხვდები, რომ სანერვიულოდ გვაქვს საქმე, ხუანიტო?

– კი მაგრამ, რატომ, ძმაო? – ხუანმა მეგობრის დამწვიდება სცადა. – რატომ უნდა დელავდე იმაზე, რაც შენ არ გეხება?

– როგორ ფიქრობ, გვამის დასატოვებლად რატომ აირჩიეს მაინცდამაინც ჩემი სახლის ტერიტორია? ეს შემთხვევით მოხდა? შემთხვევითობები არ არსებობს, ძმაო. რაც ხდება, ყველაფერს თავისი ახსნა აქვს, მით უმეტეს, თუ მკვლელობას ეხება საქმე.

– მაგით იმის თქმა გინდა, რომ მკვლელობაში უნდათ გაგვსვარონ? ნუ იქნები ასეთი ეჭვიანი, ვილი. შენი სახლის კართან ალბათ, გვამი ყოველგვარი განზრახვის გარეშე დატოვეს, ისევე, როგორც მისი დატოვება სხვაგანაც შეეძლოთ.

– ძმაო, დამაცადე, დავამთავრო სათქმელი, – უთხრა ვილიმ და ხუანს თანაგრძნობით შეხედა. – მოყოლა ახლა დავიწყე. დარწმუნებული ვარ, ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ მე დამლაპარაკებოდნენ და სხვათა შორის შენთანაც აპირებენ გასაუბრებას. დიახ, სწორად მიხვდი. ვფიქრობ, შევცდი, როცა დავიჯერე, რომ გაროს მკვლელობის დამკვეთი ის მილიონერი იყო, რადგან ჟურნალისტი მას თურმე ჩოსიკაში მოწყობილი ორგის ფოტოების გამოქვეყნებით ემუქრებოდა, მაგრამ..

ვილი გაჩუმდა და კარგა ხანს მეგობარს ისე მიშტერებოდა, თითქოს ხუანის დასაფლავებას ესწრებოდა და მის უსიცოცხლო სხეულს დასცქეროდა. ამან პეინეტა, ცოტა არ იყოს, ააფორიაქა.

– რა ხდება, ვილი. ყოველ წუთას რატომ ჩუმდები, ან ასე რატომ მიყურებ?

– იმიტომ, რომ სავარაუდოდ ამ საქმეს შენთან უფრო აქვს კავშირი, ვიდრე ჩემთან. ვწუხვარ, რომ ასეთ უსიამოვნო რამეს გეუბნები, მაგრამ ასეა. მე ამ საქმეში ირიბად ვმონაწილეობ და მხოლოდ იმის გამო, რომ შენთან ვმეგობრობ, მეტი არაფერი.

იმ წუთს ხუან პეინეტამ გაიფიქრა, ახლა სკამიდან თუ წამოვდექი, მაშინვე ძირს მოვადენ ზღართანს და ყველა ძვალს დავიმტვრევო. საშინლად ასტიკვდა თავი და მთელ ტანში სიცივემ დაუარა. რას

ნიშნავდა ეს ყველაფერი, ვერაფერი გაეგო. ნეტა, რამე მნიშვნელოვანი ხომ არ დაავიწყდა? მერე მესხიერება დაძაბა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა.

– რას ამბობ, ვილი? – წაიბუტბუტა ბოლოს. – ეგ საქმე მე მიკავშირდება?

– სწორედ ამის გამო დაგირეკე გუშინ და გთხოვე, სასწრაფოდ მოსულიყავი. – წასჩურჩულა ვილიმ მეგობარს და ახლოს მიუტანა სახე. – ამ საქმეზე ტელეფონით ვერ დაგელაპარაკებოდი, მაგრამ კარგია, რომ შენი ადგილსამყოფელი არავინ იცის. წარმოდგენა არა აქვთ, სასტუმრო „მოგოლიონში“ რომ ცხოვრობ.

– ვინ არ იცის ჩემი ადგილსამყოფელი? – წაიბუტბუტა ხუან პენეტამ. – ვის გულისხმობ? ვინ არიან?

– ვინც არიან, გამონდება, ხუანიტო. – ჩაეღიმა ვილის. – როგორც უკვე გითხარი, პოლიციის ან უშიშროების სამსახურის თანამშრომლები.

იმ ღამით უცნობმა პირებმა როლანდო გაროს დასახიჩრებული სხეული მანქანიდან გადმოიღეს და ვილის სამორინეს კართან დააგდეს. ამის შემდეგ სხვები გამონდნენ. უცნობებს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ და თმა გერმანულ ყაიდაზე, მოკლედ ჰქონდათ შეკრეჭილი. ვილი მაშინვე მიხვდა, რომ სამხედროები უნდა ყოფილიყვნენ.

ყაიდაზე, მოპედროები უნდა მათ რულეტეროს ხელი ჩამოართვეს და, როგორც ეს პოლიციელებსა და უშიშროების თანამშრომლებს სჩვევიათ, ყალბად გაუღიმეს. მერე პირადობის ბეჭედდასმული მოწმობები წარუდგინეს, რომელზეც სამორინეს მეპატრონემ პერუს დროშა და პატარა ფოტოსურათი შენიშნა.

– ეს არაოფიციალური სტუმრობაა, ვილი. – უთხრა მათ შორის ყველაზე ხანდაზმულმა. – მე კაპიტანი ფელიქს მადუენიო ვარ, მაგრამ ვინმემ თუ გკითხოს, თვალით არ გინახივარ. ჭკვიანი ადამიანი ჩანხარ და ალბათ გესმის, რასაც ვგულისხმობ, არა?

პასუხად ვილიმ მხოლოდ გაიღიმა და მიხვდა, რომ ეს ყველაფერი კარგის მომასწავებელი არ უნდა ყოფილიყო. ნეტავ, ფულისთვის მოვიდნენ, თუ რა უნდოდა ამ ხალხს?

– ეს ლატაკთა თავშესაფარს უფრო ჰგავს. – თქვა ერთ-ერთმა სტუმარმა და დანარჩენებს ჩამონგრეულ კედლებზე, გაზუნტლულ მინებზე, ქერზე ჩამოკონწიალებულ აბლაბუდებზე, მორყეულ მაგიდებსა და მიწის იატაკზე მიანიშნა. – მიუხედავად ამისა, ვილისთან ყოველ ღამეს მაინც უამრავი ადამიანი დადის ბანქოს სათამაშოდ.

– ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ბევრი კლიენტი მყავს, – ფრთხილად თქვა რულეტერომ და გაიღიმა. – მაგრამ თუ სუფთად თამაშობენ, აქ ფსონებზე შეზღუდვა არ არის. ასეთია ამ სამორინეს წესი.

– ასეთი შეწუხებული სახე ნუ გაქვს, – უთხრა რულეტეროს მეორე სტუმარმა. – აქ შენს საქმეებსა და იმ ხალხზე სალაპარაკოდ არ მოვსულვართ, ყველაფერს რაც კი აბადიათ, თამაშში რომ აგებენ.

– და რაც არ აბადიათ, იმასაც. – დასძინა მეორემ.

– შენს მეგობარ ხუან პეინეტაზე უნდა დაგელაპარაკოთ.

– ნუთუ ამას სერიოზულად ამბობ, ვილი? – ჰკითხა მეგობარს ხუანმა, მას სულ უფრო და უფრო გაოცებული და შეშინებული სახე ჰქონდა და არ უნდოდა იმის დაჯერება, რასაც ახლა რულეტერო ეუბნებოდა. მერე იმედი მიეცა და ეგონა, რომ მისი მეგობარი ის-ის იყო ახარხარდებოდა და ეტყოდა: „გეხუმრე, ძმაო. მინდოდა მენახა, შიშისგან შარვალს როგორ გაავსებდი“. – მაშ, ჩემი სახელი ახსენეს და შენთან ჩემზე სალაპარაკოდ მოვიდნენ?

– დიახ, ვილი, სწორედ ხუანზე უნდა დაგელაპარაკოთ. – კვერი დაუკრა ახალგაზრდას იმ ხანდაზმულმა, რულეტეროს კაპიტან ფელიქს მადუენიოდ რომ გაეცნო. – ვიცით, რომ შენ და ხუანი ახლო მეგობრები ხართ, ხომ ასეა?

– დიახ, ხუანი ჩემი მეგობარია. – დაეთანხმა ვილი. – კანტაგალოში თეატრს როცა ვხელმძღვანელობდი, ფოლკლორულ მუსიკალურ, ნომრებს შორის, შუალედებში, ხუანი ლექსებს კითხულობდა და ეს

მას შესანიშნავად გამოსდიოდა, რადგან ნამდვილი არტისტი იყო.

– ხანდახან ხუანი აქაც გსტუმრობს და ერთად სადილობთ, არა?
– აღნიშნა ერთ-ერთმა მოსულმა.

– დიას, დროდადრო შემომივლის ხოლმე და ახალგაზრდობის წლებს ვიხსენებთ. – უთხრა ვილიმ. – სხვათა შორის, დიდი ხანია, აღარ გამოჩენილა, ნეტავ, სად დაიკარგა? იმედი მაქვს, ცოცხალია.

– მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი გვჭირდება. – უხეშად მიმართა ვილის ერთ-ერთმა სტუმარმა. – ხომ დაგვეხმარები, რულე-ტერო?

– ამ საქმეში ყველაზე ყურადსაღები რა არის იცი, ხუანიტო? – უთხრა ვილიმ სახეშეშლილ მეგობარს. – უშიშროების აგენტებმა შესანიშნავად იციან, დროდადრო რომ შემომივლიდი ხოლმე, მერე კი, ერთად ვსადილობდით, და, საერთოდ, ყველაფერი მშვენივრად იციან, ჰოდა, არ გიკვირს, უცნაურად არ გეჩვენება შენი მისამართი რომ არ იციან?

– არა, სულაც არ მიკვირს. – ძლივს ამოლერდა ხუან პეინეტამ, რომელსაც თითქოს ყელში რაღაც გასჩხეროდა. – ეს მაგათ გონებრივ ჩამორჩენილობაზე უფრო მეტყველებს. შენ რა უთხარი, ვილი?

– ვუთხარი, რომ მუდმივი საცხოვრებელი არა გაქვს და ხან ალ-თას ხარ, ხანაც ბალთას, იქ იძინებ, სადაც მეგობრები თავშესაფარს მოგიძებნიან, ან ეკლესია-მონასტრების ღამის გასათევებში რჩები და არც ტელეფონი გაქვს. მეტი ვერაფერი მოვიფიქრე.

– ხომ არ გვატყუებ, ვილი? – ჰკითხა რულეტეროს ყველაზე ახალგაზრდა სტუმარმა აგრესიულ კილოზე და თან გაღიმებულმა. – აზარტული თამაშების მეფე, განა სულელებს ვგავართ?

– რა თქმა უნდა, არა, შეფ. – ვილიმ ფიცის ნიშნად თითები გადააჯვარედინა. – ხუანიტოს ზუსტი მისამართი რომ ჰქონდეს, თქვენ როგორ დაგიმაღავდით, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ მას მისამართი და, მით უმეტეს ტელეფონი ოდესმე ჰქონოდა. ხუან პეინეტა უკანას-

კნელ დღეშია, იმის ადგილიც კი არა აქვს, რომ მშვიდად სული განუტევოს. უპატრონო ძაღლივითაა. მას შემდეგ, რაც „სამი ხუმარადან“ გამოაგდეს, მისი საქმე სულ უკან-უკან წავიდა და უკვე დიდი ხანია, რაც უფსკრულისკენ მიექანება. თუ არ იცით, გეტყვით, რომ მათხოვრობით ირჩენს თავს. ამასთან მეხსიერება დაკარგა და ხანდახან ისიც კი აღარ ახსოვს, ვინ არის.

– საბრალო ხუან პეინეტა. – დაცინვით თქვა ჭარმაგმა მამაკაცმა და ჯიბიდან ქალაღდის ფურცელი ამოიღო. – ვილი, პატივი დავდეთ, მისი მისამართი გაარკვიეთ და ამ ნომერზე დამიკავშირდით. კაპიტანი ფელიქს მადუენიო ან უფროსი ოფიცერი არნილია იკითხეთ.

– ეს ყველაფერი კი ჩვენ შორის დარჩეს. – უთხრა რულეტეროს ახალგაზრდამ. – ამასთან, იმედია, ჭკუა გეყოფა და ჩვენი წასვლის შემდეგ შენს მეგობარს ჩვენი ვიზიტის შესახებ არ აცნობებ.

– ამას არასოდეს ვიზამ. – უთხრა ვილიმ და მაგიდას მუშტი დაჰკრა. – კანონდამცავებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა.

– რა თქმა უნდა, ვილი. სანიმუშო მოქალაქე რომ ხარ, ეს ყველამ იცის. – მიუგო მას უფროსმა ოფიცერმა არნილიამ და ხელი გაუწოდა. – მომავალ შეხვედრამდე, მეგობარო! აბა, შენ იცი, რაც შეიძლება სწრაფად გვაცნობე ხუან პეინეტას მისამართი:

– მერე წავიდნენ, მე კი რა თქმა უნდა, მაშინვე ტელეფონს ვეცი და სასტუმროში დაგირეკე. – უთხრა რულეტერომ. – ახლა მაინც ხვდები, რატომ ვერ გითხარი ვერაფერი ტელეფონით და რატომ მიწოდოდა შენი პირისპირ ნახვა?

ხუან პეინეტას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ყველაფერი ცხადში კი არა, კომმარულ სიზმარში ხდებოდა. ეგონა, აი, ახლა გავიღვიძებ და გამეცინება, ასეთმა შიშმა რომ ამიტანა იმის გამო, რაც სინამდვილეში არ ხდებოდა და არც არასოდეს მოხდებოდაო. მაგრამ მისი მეგობარი რულეტერო ახლა მის წინ იჯდა და შეშფოთებული

შეჰყურებდა. ბარის მსახურმა სტუმრებს ჰკითხა, „სევიჩე დე კორვინას“ ხომ არ მიირთმევდითო.

– ახალია? – ჰკითხა ვილიმ.

– თევზი უთენია მოიტანეს კალიაოდან, სულ ახლახან დაიჭირეს.

– ორი ულუფა „სევიჩე დე კორვინა“ და კარგად ჩაციებული ლუდი მოგვიტანე.

– ვერაფერი გამიგია, ვილი. – წაიბუტბუტა ხუანმა, როცა ბარის მსახური წავიდა. – რაში ვჭირდები იმ პოლიციელებს თუ სამხედროებს?

რულეტერომ მეგობარს გასამხნევებლად მხარზე მოუჭირა ხელი.

– წარმოდგენა არ მაქვს, ძმაო. – უთხრა ნალვლიანად. – მაგრამ ამ საქმეს ცუდი სუნი უდის, ხუანიტო. ვეჭვობ, ამ სიბინძურეში ვილაცას შენი ჩათრევა უნდა. ამას კი ის მაფიქრებინებს, რომ ჯერ იყო და, იმ ჟურნალისტის გვამი ჩემი სახლის წინ რამდენიმე დღით ადრე დააგდეს, ის ხალხი კი მოგვიანებით შენ საძებნელად მოვიდა. ყველამ იცოდა, როგორ გძულდა გარო და წლების განმავლობაში სალანძღავ წერილებს წერდი მასზე გაზეთებს. ფაქტებს ერთმანეთს ვერ უკავშირებ?

– მაგით რისი თქმა გინდა, ვილი? ფიქრობ, რომ ჩემი წერილები და გაროს მკვლელობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული? ეს ხომ უაზრობაა. იმ ნაძირალას გამოისობით რაც დამემართა, ალბათ ათი ან თორმეტი წლის წინანდელი ამბავი იქნება, ყოველ შემთხვევაში მას შემდეგ ხუთ წელზე მეტი ნამდვილად გავიდა.

– ვიცი, ხუანიტო. – მიუგო ვილიმ. მას მეგობრის დამშვიდება უნდოდა, მაგრამ რაც ახლა ხუანს უთხრა, ამით უფრო ააფორიაქა. – პოლიციის საქმიანობა არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება! მთავარია, ყველაფერი ოსტატურად მოაგვარონ. არ ვიცი რა ჩაიფიქრეს, მაგრამ აშკარად რალაცას გიმზადებენ და დარწმუნებული ვარ, თუ დაგიჭირეს, კარგი არაფერი გელის. ძმაო, ძალიან გაგიმართლა, რომ შენი ადგილსამყოფელი არ იციან. ამიტომ დროულად უნდა დაახვიო

აქედან, გაუჩინარდე!

– დავახვიო, ვილი? – ხუანი პირდაფრენილი მისჩერებოდა მეგობარს. – მითხარი, სად წავიდე, როცა ერთი პატარა კუთხეც არა მაქვს, სადაც შეიძლება თავისუფლად ამომძვრეს სული?!

ვილიმ მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი.

– ძალიან კი მინდა, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარები, ხუანიტო. ჩემთან სახლში მაშინვე გიპოვიან და დაგაპატიმრებენ. მიდი, იფიქრე და რაღაც გამოსავალი მოძებნე! მაგრამ თუ დასამალს იპოვი, მენუ მეტყვი, არ მინდა ვიცოდე შენი ადგილსამყოფელი, რადგან იმ ტიპებს ველარ მოვატყუებ, თუკი ისევ დამკითხავენ.

ხუანი მეგობარს მიშტერებოდა და არ იცოდა, რა ეთქვა. ნუთუ ეს ყველაფერი მის თავს ხდებოდა? ის ხომ მათხოვარივით სილატაკეში ცხოვრობდა, საცოდავ პენსიას იღებდა და იძულებული იყო ღატაკთა სასადილოში ევლო, რომ ჭლექი არ შეეყოფა. ახლა კი ასეთ კაცს პოლიცია და უშიშროების სამსახური დასდევდა, ამაზე საშინელება რა შეიძლებოდა ყოფილიყო?! ეს ისეთი უაზრობა, ისეთი აბსურდი იყო, რომ ახლა ხუანმა აღარ იცოდა, რა ეთქვა ან როგორ მოქცეულიყო.

– დამალვას არ ვაპირებ. – თქვა მან ბოლოს. – აჯობებს, თავად მივიდე იმ ხალხთან და ვკითხო, რატომ მეძებენ. ალბათ რაღაც გაუგებრობაა. შენ რას იტყვი, ვილი?

– აი, მე რას გეტყვი: შენი ასეთი საქციელი იმის დასტური იქნება, რომ ნამდვილი სულელი ხარ, ხუანიტო. – უთხრა რულეტერომ და მეგობარს ნაღვლიანი მზერა მიაპყრო. – რაკი გეძებენ, ეს ცუდი ნიშანია. ასეთი გაუგებრობის დროს, ვინმე ბობოლა თუ არა ხარ, ყოველთვის ცუდად მთავრდება საქმე. იმედი მაქვს, იცი, რასაც აკეთებ. ეს ამბავი იმიტომ შეგატყობინე, რომ ძალიან გაფასებ, შენისთანა მეგობარი ცხოვრებაში ბევრი აღარ შემომრჩა და შენ ალბათ უკანასკნელი ხარ. არ მინდა, რომ ამ სიბინძურეში გაგრიონ ან საერთოდ გაგაქრონ. მშვენივრად იცი, ამ ქვეყანაში ყოველდღიურად როგორ

იკარგებიან ადამიანები და მათ გაუჩინარებაზე პასუხს არავინ აგებს, რადგან ყველაფერს ტერორისტებს აბრალებენ. ალბათ შენ უკეთ იცი, როგორ უნდა მოიქცე, მაგრამ, ძმაო, ერთადერთი თხოვნა მაქვს: თუ დაგაპატიმრეს, არ გამთქვა, რომ ტელეფონით დაგიკავშირდი, და ნურც ამ საუბარზე დაძრავ სიტყვას.

– რა თქმა უნდა, ვილი. – უთხრა ხუანმა მეგობარს. – არც კი იცი, როგორი მადლიერი ვარ შენი იმის გამო, რომ გამაფრთხილე. მაგაზე კი არ იდარდო, არასოდეს ვიტყვი, ეს ამბავი ვისგან გავიგე. შენზე თუ მკითხავენ, ჯიუტად გავიმეორებ, რომ უკვე კაი ხანია, რაც თვალთ არ მინახავხარ.

– კარგი, ხუანიტო, რაკი ასეა საქმე, უმჯობესია, თუ ცოტა ხანს ერთმანეთს აღარ შევხვდებით. – უთხრა რულეტერომ.

– მართალი ხარ. – დაეთანხმა თავზარდაცემული ხუანი.

18. ინჟინერ ენრიკე კარდენასის ყველა- ზე გრძელი ლამე

ენრიკემ სიბნელეს თვალეზი რომ შეაჩვია, ადამიანების ფიგურებს შორის, ათასნაირი ნახატებით აჭრელეზულ კედელზე, დიდი ასოებით მიწერილი ასეთი წარწერა ამოიკითხა:

„სიკეთეს როცა ველოდი,
წინ ბოროტება დამხვდა,
სინათლის მოლოდინში კი
სიბნელემ დაისადგურა“.

ნეტა ეს სიტყვები ბიბლიიდან ხომ არ იყო? მათი წაკითხვის შემდეგ კიკე შიშმა შეიპყრო. კარგი, დაე ასე იყოსო, გაიფიქრა ბოლოს, მაგრამ ამ დახურულ სივრცეში ისეთი ყროლის სუნი იდგა, რომ გული ერეოდა. ეს განავლის, ოფლისა და შარდის მძაფრი სუნის ნაზავი იყო, რომელიც იქ მყოფთ ასლიოდათ. ზოგი წელსზემით გაშიშვლებულიყო და ქვის ძელსკამზე იჯდა, ზოგიც ჩაცუცქულიყო ან იატაკზე იწვა. ხმას არავინ იღებდა, მაგრამ კიკე გრძნობდა, რომ ყველა მას

მისჩერებოდა, რადგან ახალი იყო და ამ სარდაფში თუ წამების საკანში ახლახან შემოეგდოთ. ენრიკეს ძალიან რცხვენოდა, იმ კომპარის გამო, რომელიც თავს გადახდა და თავისი მდგომარეობა ბოლომდე ვერა და ვერ გაეცნობიერებინა; ჯერ ეგონა, უკვე მოკვდა, მერე კი იმაზე ფიქრი აეკვიატა, რომ დარჩენილი სიცოცხლე პატიმრობაში უნდა გაეტარებინა. იმედგაცრუებულს თვალეები ცრემლებით აევსო და საშინელი სევდა შემოაწვა. ფიქრებში წასულმა უეცრად იგრძნო, რომ მის ფეხებთან, იატაკზე ვილაც ამოძრავდა, მერე წამოდგა, დაიხარა და წაისისინა: „თუ გინდა გასიამოვნო, ხუთი სოლი გადამიხადე!“ ენრიკემ სიბნელეში იგრძნო, რომ უცნობის ხელი მის ხვანჯარს ეპოტინებოდა.

– ხელი გამიშვით! ახლავე მომშორდით! რა ხდება აქ? – ყვირილით წამოხტა კიკე და ერთი დარტყმით მოიშორა უცნობის ხელი.

ოთახში მის ირგვლივ ადამიანებს აღელვება დაეცყოთ, მაგრამ მალევე მიჩუმდნენ.

– შენთვისვეა უარესი, ნებიერა ბიჭო! – სულ ახლოს ჩაესმა ენრიკეს ვილაცის ჩურჩული და მყრალი ოხშივარი იგრძნო. – რაკი არ გინდა, რომ გასიამოვნონ, მაშინ თავად ასიამოვნე სხვები! მიდი, ჩემს ფეხებთან მუხლებზე დადექი, პირი კარგად გააღე და დაიწყე! მკვდარივით კია დავარდნილი, მაგრამ ორჯერ ან სამჯერ თუ მოეალერსები, ადგება.

კიკემ ტორტმანით გადაუარა იატაკზე დაყრილი ადამიანების გროვას, კარამდე მივიდა, მუშტები დაუშინა და გამწარებული „დაცვა, დაცვაო“, აყვირდა, მაგრამ ზურგსუკან მხოლოდ დამცინავი ქირქილი გაისმა. არავინ განძრეულა და არც დაცვა მოსულა მის საშველად.

უეცრად ენრიკემ სულ ახლოს, უზარმაზარი, ძლიერი სხეულის შეხება იგრძნო, ვილაცამ საქამრეში ძლიერად ჩაავლო ხელი. „ნუ გეშინია, ნებიერა ბიჭო, ამიერიდან შენზე მე ვიზრუნებ!“ ჩურჩულით უთხრა უცნობმა და მისი პირიდან წამოსულმა ოხშივარმა კიკეს სახე

აუწვა.

– ფული არ მაქვს. – წაიბუტბუტა ენრიკემ. – საფულე მისაღებში ჩამომართვეს.

საოცარია, მაგრამ იმ ტიპმა, საქამრეში ძლიერად რომ ჩაავლო ხელი, კიკეს რალაც იმედი გაუჩინა და იმ დამთრგუნველმა შიშმა, ერთიანად წელში რომ მოდრიკა, ოდნავ გადაუარა. უცნობმა კი უთხრა: „მაგაზე ნუ იღარდებ, ნებიერა ბიჭო, მერე გავსწორდებით“. ენრიკე გრძნობდა, რომ ფეხები უკანკალებდა და თუ ახლა ეს ახმახი ხელს გაუშვებდა, კარტოფილით სავსე ტომარასავით დაასკდებოდა იატაკს. „წამოდი, დავსხდეთ!“ ჩუმად უთხრა მას ძლიერმა კაცმა და ხელით ოდნავ უბიძგა. მერე კიკემ იგრძნო, რომ სიბნელეში წინ მიდიოდა და გზადაგზა იატაკზე მიყრილ სხეულებს ფეხს უნებლიედ ადგამდა. ზოგი ხვრინავდა, ზოგიც რალაცას უაზროდ ბუტბუტებდა. ენრიკე სიბნელეში გზას მიიკვლევდა და ფიქრობდა, რომ ასეთი უსამართლო სასჯელის გამო, შესაძლოა ღმერთისადმი რწმენაც კი დაეკარგა. მერე საკუთარ თავს ეკითხებოდა, მისნაირი პატივცემული, წარმატებული და ოჯახის მოყვარული ადამიანი რატომ უნდა ჩაეთრიათ წუმპეში, სადაც დამნაშავეებს, დეგენერატებსა და შეშლილებს მოეყარათ თავი. კიკე ერთი-ორჯერ სიბნელეში კედელთან მიდგმულ ძელსკამს დაეჯახა. ბოლოს კი ძლიერმა კაცმა უხეშად უბრძანა პატიმრებს, მათთვის სკამზე ადგილი დაეთმოთ. როგორც ჩანს, იგი საკანში ერთ-ერთი თავკაცი იყო, რადგან მისი ბრძანება ყველამ უსიტყვოდ შეასრულა. ახმახმა ენრიკე სკამზე დასვა და თვითონაც საკმაოდ ახლოს მიუჯდა. თან საქამრეში მაგრად ჰქონდა ხელი ჩაჭიდებული. კიკე მის სხეულს ახლოს შეიგრძნობდა და რადგან მიხვდა, რომ ეს კაცი საკმაოდ დიდი ძალის პატრონი იყო, ენით გამოუთქმელი შიში ნელ-ნელა გაუნელდა.

– დიდად მადლიერი ვარ თქვენი! ამ ხალხისგან თუ დამიცავთ, რამდენსაც მოინდომებთ, იმდენს გადაგიხდით. – წაიბუტბუტა ენრიკემ.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, რამდენიმე წუთში კიკემ იგრძნო, რომ კაცმა სახე სახესთან მიუტანა და ამოსუნთქული მყრალი ოხშივარი პირდაპირ ცხვირ-პირში შეაფრქვია.

– ნებიერა ბიჭო, იღბალი გქონია, დროულად რომ მოგისწარი, თორემ ის „შავები“ კუთხეში თუ მიგიმწყვდევდნენ, შარვალს ჩაგხდიდნენ და რიგრიგობით ისე გიხმარდნენ, აზრზე ვერ მოხვიდოდი. ერთ-ერთი მაინც შიდასით იქნებოდა დაავადებული. ნულარ იღელვებ! სანამ მე დაგიცავ, ვერავინ მოგეკარება. აქ ავტორიტეტი მე ვარ, ნებიერა ბიჭო.

კიკემ იგრძნო, რომ კაცმა მის საქამრეს ხელი გაუშვა, მაგრამ ეს უკვე მის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობით არ იყო გამოწვეული, რადგან უცნობმა ენრიკეს მარჯვენა ხელი აიღო და საკუთარი ხვანჯრისკენ გააცურა. შეშინებული კიკე მიხვდა, რომ კაცს შარვალი გახსნილი ჰქონდა, მერე კი ზიზღი იგრძნო, როცა ხელით კაცის პენისს შეეხო. ენრიკემ ერთი კი სცადა გადალიანება, მაგრამ ახმახმა ხელი უხეშად დაუჭირა და მთელი ძალით კედელს მიაჭყლიტა. ახლა იგი სხვანაირად, მუქარით ლაპარაკობდა.

– უარი არ გაბედო, ნებიერა ბიჭო, არ მაიძულო, რამე დაგიშავო, მაგრამ თუ დამემორჩილები, გპირდები, ყველასგან დაგიცავ! ახლა კი, რასაც გეუბნები, გააკეთე!

შიშით დაზაფრული, აკანკალებული კიკე იძულებული გახდა, ძლიერ კაცს დამორჩილებოდა და რამდენიმე წუთში იგრძნო, უცნობმა როგორ გადმოანთხია თესლი და ხელი და შარვალი დაუსვარა. გამწარებულმა ენრიკემ ცრემლები ველარ შეიკავა, რადგან საშინლად დამცირებულად იგრძნო თავი და საკუთარი თავი შესძულდა. „მაპატიე, მაპატიე, ეს სულმდაბლობა“ – გულში იმეორებდა კიკე და თავადაც არ იცოდა, ვის სთხოვდა პატიებას. იმ წუთში ამქვეყნად აღარაფრის სწამდა, ღმერთის რწმენა დაჰკარგვოდა, მხოლოდ ეშმაკის არსებობას აღიარებდა და ნამდვილად სიკვდილს ამჯობინებდა იმას, რაც ახლა დაემართა. – მერე თვალები დახუჭა და დაძინება

სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან მეტისმეტად დაძაბული და აფორიაქებული იყო. შეეცადა დამშვიდებულიყო და ფიქრი დაიწყო. არა, ნამდვილად რაღაც გაუგებრობა მოხდა, იგი აშკარად შეცდომის მსხვერპლი იყო, სხვაგვარად ენრიკე კარდენასი ვერ მოხვდებოდა ამ მაწანწალების, სუტენიორებისა და მამათმავლების აქოთებულ ბრბოში. საკმაოდ ცნობილი და პატივსაცემი ადამიანი იყო და მას ასე ადვილად აბუჩად ვერ აიგდებდნენ! მარისა ალბათ უკვე დაუკავშირდა ლუსიანოს, ახლა ისინი განგაშის ზარებს შემოჰკრავენ, ყველა გავლენიან ადამიანს საქმის კურსში ჩააყენებენ და დასახმარებლად როგორც მის მალაროელ კოლეგებს და შესაბამის ინსტიტუციებს, ასევე მინისტრებს, დეპუტატებს, მოსამართლეებს და თავად დოქტორს და ფუნდამენტისა კი შეაწუხებდნენ. კიკეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი გულისთვის ძალიან ბევრი პატივცემული ადამიანი გამოიღებდა თავს, აქედან გაიყვანდნენ და საჯაროდ ბოდიშსაც მოუხდიდნენ. ენრიკე კი ყველას ყველაფერს აპატიებდა, მაგრამ ვერასოდეს დაივიწყებდა იმ ნაძირალას, რომლის გამოსობითაც იგი ახლა ამ გულისამრევ საკანში აღმოჩნდა და იძულებული იყო ამბარბენი ტიპების ძალადობა, აბუჩად აგდება და ენით გამოუთქმელი დამცირება აეტანა. მერე იგრძნო, რომ ხელი გაწებილი ჰქონდა თესლით, იმ ბოზიშვილმა ზედ, რომ გადმოანთხია, ახლა კი გვერდით ეჯდა და ეძინა. ენრიკეს ჯიბიდან ხელის გასაწმენდად ცხვირსახოცის ამოღება ვერ გაებედა, რადგან ეშინოდა, კაცს არ გაღვიძებოდა და მისთვის იმაზე უარესი არ მოეთხოვა. შურისძიების დაუოკებელმა გრძნობამ შეიპყრო და იცოდა, რომ ამ საშინელი ღამისთვის ფუნდამენტის და დოქტორს სამაგიეროს აუცილებლად გადაუხდიდა, რადგან უკვე დარწმუნებული იყო, რომ მისი დაკავება მათი ბრძანებით მოხდა.

ამ ფიქრებში ენრიკემ საკნის ერთადერთი ფანჯრიდან შემოჭრილი მზის სხივი შენიშნა. გისოსების მიღმა გამკრთალ მონაცრისფრო

შუქს იმედით შეხედა და ოდნავ გამოაცოცხლა. მერე თავზე ხელი გადაისვა და გაიფიქრა, რომ ამ სალორეში ალბათ ტილებსაც ვერ გაექცეოდა, ამიტომ გადაწყვიტა, გამოუშვებდნენ თუ არა, მაშინვე თავში ალკოჰოლს შეიზელდა, რაკი გაგონილი ჰქონდა, რომ ჯარისკაცებს ყაზარმებში ამ წესით აშორებდნენ ტილებს. მაინც როგორ მოხდა, რომ ასეთ სიბინძურეში ამოყო თავი? ენრიკეს მთელი სხეული მოდუნებოდა და ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეძინა. მოგვიანებით კი ველარ გაიხსენა, გონება დაკარგა თუ ჩაეძინა, მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ღამე იყო, თავად კი აჩრდილების სამეფოში იმყოფებოდა, წებოვან ტალახში ეფლობოდა და ფეხის გულელებზე მწერები მწარედ კბენდნენ, როგორც მაშინ, სტუდენტობის დროს, ამაზონის ჯუნგლებში ყოფნისას ფეხსაცმელებში მწერები რომ შეუძვრნენ და ტერფები მთლად დაუწყლულეს. მერე ცხვირში მყრალი სუნი ეცა და იგრძნო, რომ გული ერეოდა, მაგრამ ვერ აღებინა.

თვალეები რომ გაახილა, დღის სინათლეს მოგრძო ოთახი უკვე კარგად გაენათებინა და ენრიკეს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს საშინელებათა ჟანრის ფილმს უყურებდა. მამაკაცები, რომლებითაც ეს საკანი იყო გადავსებული, ადამიანის ნაშეიერების კარიკატურებს ჰგავდნენ. ოციოდე ბანჯგვლიანი, დაიარაღებული და დასვირინგებული, ნახევრად შიშველი ადამიანი, რომელთა შორის მოხუცებიც იყვნენ და ახალგაზრდებიც. ზოგიერთი პირდაპირ იატაკზე გაწოლილიყო, ზოგი უკბილო და ცალთვალა კი ძელსკამზე მოკუნტულიყო და პირღიას ეძინა. შეშინებული ინდიელები თვალეებს აცეცებდნენ, ახოვან მულატებს დახეული კომბინეზონები ეცვათ, ის კაცი, კი, ენრიკეზე რომ იძალადა, თავის ადგილას აღარ იჯდა. ნეტა ამ ეშმაკის მოციქულებს შორის რომელი იყო? კიკემ შენიშნა, რომ მას ყურადღებას არავინ აქცევდა. ძვლები საშინლად სტკიოდა, წყურვილი კლავდა, გალურჯებული ენა ისეთი ხეშეში გახდომოდა, რომ პირში ველარ ატრიალებდა. მერე გაიფიქრა, რომ ფინჯანი ყავა ან

ჩაი ცოტა აზრზე მოიყვანდა და შხაპიც ინატრა! ახლა რა ელოდა?

დაცვამ მას საფულესთნ და საათთან ერთად ნიშნობის ბეჭედიც ჩამოართვა. ახლა რომელი საათი იქნებოდა? ან კიდევ რამდენ ხანს უნდა ყოფილიყო ამ ბუნაგში? ამ ნაძირალების მუქარას ერთი ღამეც ველარ გაუძლებდა და ალბათ სიცოცხლეს თვითმკვლევლობით დაამთავრებდა. უცებ ენრიკემ იგრძნო, რომ ვიღაცამ შეაჯანჯლარა, მაგრამ იმას კი ვერ მიხვდა, ჩაეძინა თუ გონება დაკარგა.

მერე თვალეზი გაახილა და დაინახა, რომ თავზე ვიღაც მოხუცი დასდგომოდა. კაცს მოთელილი წვეერი ჰქონდა და კბილებზე ეტყობოდა, რომ კოკას ფოთლებს ღეჭავდა. მოხუცმა კიკეს კარზე მიანიშნა და დამტვრეული ესპანურით უთხრა: „თქვენ გეძახიან, ბატონო“.

ენრიკე ფეხზე ვაი-ვაგლახით წამოდგა, ისევ ძლივს გადაუარა ადამიანების გროვას, რომელსაც გზა მთლიანად ჩაეხერგა, რკინის კარამდე მივიდა და დააკაკუნა. კარი მაშინვე ხმაურით გაიღო და კიკემ დერეფანში შეიარაღებული, ჩაფხუტიანი დაცვის თანამშრომელი დაინახა.

– ინჟინერი ენრიკე კარდენასი ხართ? – ჰკითხა მან. – დიახ, მე ვარ. – ყველაფერი აიღეთ და გამომყევით! – რას გულისხმობთ? – თქვენი ბარგიანად გამომყევით. – ყველაფერი დაცვის ოთახში დამატოვებინეს. – კარგი.

ენრიკე ძლივს ავიდა კიბეზე, მაგრამ აღარ ახსოვდა, წინა ღამით ამ კიბით თუ ჩაიყვანეს. გზად რამდენჯერმე შეისვენა და კედელს მიეყრდნო. მერე კიდევ ერთი, დერეფანში გამავალი კარი შენიშნა. დერეფანში დაცვის თანამშრომლები სიგარეტს ეწეოდნენ და მას-ლაათობდნენ. კიკემ უეცრად საშინელი დაღლილობა იგრძნო, ფეხებს ძლივს მიათრევდა, მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და თავბრუ ეხვეოდა. „ახლა გონება არ უნდა დავკარგო, ამას უნდა გავუძლო!“ – ეუბნებოდა საკუთარ თავს.

ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო და ენრიკემ შემოჭრილ დღის

სინათლეზე დაბინდული თვალებით მარისას სილუეტი გაარჩია, მერე კი როგორც ყოველთვის, ელეგანტურად ჩაცმული ლუსიანოც დაინახა. კიკემ გაღიმება სცადა, მაგრამ უეცრად ფეხები მოეკვეთა და თვალებზე ბინდი გადაეფარა. „გონება დაკარგა, სასწრაფოდ ექთანს დაუძახეთ!“ – ჩაესმა ყურში ვილაცის ხმა.

19. რეტაკიტა და ძალაუფლება

რეტაკიტას გული უგრძნობდა, რომ მსგავსი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ვერასოდეს წარმოიდგენდა, ეს ამბავი ასე თუ განვითარდებოდა. ჟურნალისტიმა ქალმა საჯაროდ განაცხადა, რომ მისი შეფი, როლანდო გარო, ინჟინერ ენრიკე კარდენასის მიერ დაქირავებულმა კაცმა მოკლა, მას შემდეგ, რაც გარომ გამოააშკარავა, რომ მეწარმე მეძავებთან ორგიაში მონაწილეობდა და ამის მამხილებელი ფოტოები ჟურნალშიც გამოაქვეყნა. ამ განცხადების შემდეგ რეტაკიტა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა; რადიოთი და ტელევიზიით დაიწყო გამოსვლა, ინტერვიუები გამოაქვეყნა ჟურნალ-გაზეთებში, რასაც პოლიციაში დაუსრულებელი დაკითხვები და მოსამართლესა და პროკურორთან შეხვედრები მოჰყვა. ეს გაბედული ბრალდება, რომელმაც ასეთი გამოხმაურება გამოიწვია, ქალისთვის თავდაცვის ერთგვარი საშუალებაც აღმოჩნდა. ყველა ინტერვიუში რეტაკიტა გამუდმებით იმეორებდა: „თუ მოულოდნელად მანქანა დამეჯახება ან ქუჩაში ვიღაც ლოთი ასფალტზე ტვინს დამასხმევინებს, ყველას ეცოდინება, ჩემს სიკვდილში ვისი ხელიც

ურევია. ეს ისევ ის ადამიანი იქნება, რომელმაც მკვლელი დაიქირავა და შემზარავი სისასტიკით მოაკვლევინა ჩემი შვიფი, მასწავლებელი და მეგობარი, როლანდო გარო“.

მაგრამ ნუთუ მისი ბრალდება, რომელმაც ასეთი გამონმაურება გამოიწვია, ნამდვილად იმის გარანტია იყო, რომ რეტაკიტას სიცოცხლეს აღარაფერი ემუქრებოდა? რალაც დროის განმავლობაში ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ როცა ღამდებოდა და ხულიეტა ხუთი კუთხის უბანში მდებარე პატარა სახლში დასაძინებლად წვებოდა, გრძნობდა, რომ შიშისგან მთელი სხეული ეყინებოდა. მაინც რამდენ ხანს დაიცავდა მას ეს ბრალდება? აურზაური რომ მიწყნარდებოდა, მუქარა ხომ განახლდებოდა?! თანაც ენრიკე კარდენასი, პოლიციაში დაკითხვის შემდეგ, მოსამართლემ პირობით გაათავისუფლა და გამოძიების დასრულებამდე ქვეყნის დატოვება აუკრძალა.

ამჯერად მანქანამ რეტაკიტას ღამით კი არა, გამთენიისას მიაკითხა. საძინებლის პატარა ფანჯრიდან დილის პირველი სინათლე შემოიჭრა თუ არა, ხულიეტას გამოელვიძა და სახლთან მანქანის მკვეთრი დამუხრუჭების ხმა გაიგონა, ამას კარზე ბრახუნი მოჰყვა და ოთახში სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სამი მამაკაცი შემოვიდა.

– უნდა გამოგვევით, სენიორიტა ლევისამონ. – უთხრა მას ყველაზე ხანდაზმულმა, ჩასუქებულმა კაცმა, რომელსაც ტყავის ქურთუკი ეცვა, კისერზე წითელი შარფი შემოეხვია და ლაპარაკისას ოქროს კბილი და წითელი ენა მოუჩანდა, ხვლიკივით რომ მიმოუდიოდა პირში.

– სად უნდა გამოგვევით?

– თავად ნახავთ. – მიუგო მამაკაცმა ღიმილით. – ნუ ღელავთ, სასიამოვნო სიურპრიზი გელით! ვფიქრობ, საკმაოდ ჭკვიანი ხართ და ამ მიპატიუებაზე უარს არ იტყვით. ხომ ასეა? თავის მოწესრიგება თუ გნებავთ, პრობლემა არ არის, აქ დაგელოდებით.

რეტაკიტამ ხელ-პირი დაიბანა და კბილები გამოიხეხა, მერე სასწრაფოდ ტილოს შარვალი, სანდლები, ლურჯი ბლუზა ჩაიცვა და ჩანთა აიღო, რომელშიც ქაღალდის ფურცლები და საწერკალმები ეწყო. რაო, სასიამოვნო სიურპრიზი ახსენა ამ კაცმა? რეტაკიტა ხვდებოდა, რომ ეს მახე იყო, ამიტომ მობილური აიღო და ჩაწერა: „დილით ჩემთან სახლში, სამი მამაკაცი მოვიდა. არ ვიცი, სად მივყავარ. მეგობარო ჟურნალისტებო, ყურადღებით იყავით! შეიძლება ნებისმიერი რამ შემემთხვეს“. ხულიეტა შეეცადა, დამწვიდებულიყო და არავის შეემჩნია, რომ შეშინებული იყო. შინაგანი ხმა კი ეუბნებოდა ქალს, რომ ეს დილა მისთვის გადამწყვეტი იქნებოდა, რომელიც ან მთლიანად შეცვლიდა მის ცხოვრებას, ანდა სამუდამოდ დაასრულებდა. ნეტავ სწორად მოიქცა, ეს ბრალდება საჯაროდ რომ გააკეთა, თუ ამით საკუთარი ხელით ჩამოიცვა კისერზე ყულფი? ამის პასუხს ალბათ მალე შეიტყობდა! ერთიანად აკანკალებული, საკუთარ თავს ეუბნებოდა, არ შეშინებოდა სიკვდილის; თუმცა ვარაუდობდა, რა სატანჯველი ელოდა. მერე ის სამხედროები გაახსენდა, ფუხიმორის წინააღმდეგ შეთქმულებას რომ გეგმავდნენ, დოქტორი კი მათ შიდასით დავირუსებული ინექციით გაუმასპინძლდა.

მანქანა ლიმას ცენტრის ნაცვლად, პლაზა იტალიასკენ წავიდა და „გრაუს“ გამზირს რომ მიაღწია, რეტაკიტას გასაოცრად, პლაჟისკენ აიღო გეზი. როცა სამხრეთი ავტომაგისტრალზე გავიდნენ, ერთ-ერთმა მამაკაცმა ქალს პატარა ტომრის მსგავსი ნაჭერი მიაწოდა, სთხოვა თავზე ჩამოეცვა და ამ საქმეში თვითონაც თავაზიანად დაეხმარა. რეტაკიტასთვის არც ხელბორკილები დაუდიათ და არც ხელები შეუკრავთ, თუმცა ველარაფერს ხედავდა. რბილი ნაჭრის ტომარა სახეს არ უხეხავდა და სასიამოვნოდ ელამუნებოდა კანზე. ქალი გრძნობდა, რომ მანქანა აქეთ-იქით ხშირად უხვევდა; ბოლოს გაჩერდა, ხულიეტას ორივე მხრიდან კაცები ამოუდგნენ გვერდით და მანქანიდან გადმოსვლაში დაეხმარნენ. მერე კიბე აიარეს და გრძელ

დერეფანს გაუყვნენ. ქალმა შეამჩნია, რომ მას პატივისცემით ეპყრობოდნენ და ფრთხილობდნენ, რამისთვის ფეხი არ წამოეკრა. ბოლოს კარის გაღების და დახურვის ხმაც შემოესმა.

– შეგიძლია ტომარა თავიდან მოიხსნა. – ჩაესმა მამაკაცის ხმა.

რეტაკიტას ეს ხმა საოცრად ეცნო და ტომარა რომ მოიხსნა, თვალებს არ დაუჯერა. მის წინაშე სწორედ ის იდგა. ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ქალი ერთიანად აკანკალდა. ნუთუ მართლა ის იყო? მერე კბილები ერთმანეთს მაგრად დააჭირა, რომ მათი წკარუნი როგორმე გაეჩერებინა. ახლა ხულიეტა უფანჯრო, განათებულ ოთახში იმყოფებოდა, სადაც კედლებზე სურათები ეკიდა, სკამები, სავარძლები და მინიატურებით მორთული პატარა მაგიდები იდგა, ნაბიჯების ხმა კი იატაკზე გაშლილ, სქელ ხალიჩაში იკარგებოდა. საიდანღაც ზღვის ტალღების ხმა ისმოდა. ნუთუ ეს „პლაია არიკას“ ცნობილი თავშესაფარი იყო? რეტაკიტა გაოცებას ვერ მალავდა, მამაკაცი კი მას ისეთი ინტერესით და თავხედურად ათვალთვლებდა, თითქოს ადამიანთან კი არა, ცხოველის რომელიღაც სახეობასთან ჰქონდა საქმე. მისი შავი, მკვირცხლი და წყლიანი თვალებიდან საოცარი სიცივე გამოსჭვიოდა. ამ კაცის ფოტოები ხულიეტას ბევრჯერ ენახა, მაგრამ ახლა იგი უფრო ასაკოვანი და ტანდაბალი მოეჩვენა, ვიდრე წარმოდგენილი ჰყავდა. თმა გამეჩხერებოდა და ადგილადგილ თავის ქალა მოუჩანდა, მისი სახე კი ზიზლსა და უკმაყოფილებას გამოხატავდა. სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ჩასუქებულ ტანზე ყავისფერი შარვალი, ოდნავ დაკუჭული, ვარსკვლავებით დაწინწკლული ყვითელი პერანგი ეცვა, ფეხები კი მოკასინებში წაყყო.

– მაშ, შენა ხარ ხულიეტა ლეგისამონი ანუ ცნობილი რეტაკიტა, რომელზეც გარო ამდენს მიაიმბობდა? ძალიან სასიამოვნოა. – წაიბუტბუტა მან ისეთი ჩახლეჩილი ხმით, თითქოს გაციებული იყო.

მერე ქალს მაგიდაზე ანიშნა, რომელზეც ჩაიდნით ყავა, წვენი და ფინჯნები ეწყო.

- ხილის წვენს დალევ თუ ყავას? ჯემიან ორცხობილას ხომ არ მიირთმევ? - დასძინა ცივად. - ასეთია ჩემი საუზმე, მაგრამ თუ სხვა რამეს, მაგალითად თოხლო კვერცხს მოისურვებ, ახლავე მოგართმევენ. თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში.

რეტაკიტას ხმა არ ამოუღია. მართალია, ცოტა დამშვიდებულიყო, მაგრამ ახლა შიშით ელოდებოდა იმ წუთს, როცა დოქტორი მისი აქ ყოფნის მიზეზს ეტყოდა. მასპინძელი კი არ ჩქარობდა, დინჯად სვამდა ყავას, ჯემიან ორცხობილას შეექცეოდა და რეტაკიტას არსებობა თითქოს დავიწყებოდა. ალბათ, ეს იყო დოქტორის, სამხრეთის პლაჟზე მდებარე, ცნობილი თავშესაფარი. ხმები დადიოდა, თითქოს ამ ბუნკერში დიდი ორგიები იმართებოდა.

რა სმენოდა რეტაკიტას ამ ადამიანზე? მხოლოდ ის, რაც პერუში ყველამ იცოდა. 1968 წლის 3 ოქტომბრის სამხედრო გადატრიალებამდე, დოქტორი კადეტთა კორპუსში მსახურობდა და არმიის ოფიცერი იყო. მოგვიანებით, ხელისუფლების სათავეში ველასკო აღვარადოს მოსვლის შემდეგ, იგი გენერალ მერკადო ხარინის, დეფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწედ დანიშნეს. სწორედ იმ დროს ქვეყნის შეიარაღებული ძალების მაღალ ეშელონებში დოქტორი ამხილეს როგორც, „CIA“-ს ჯაშუში, რომელიც ამ ორგანიზაციას პერუს სამხედრო საიდუმლოებებს გადასცემდა. ველასკოს რეჟიმი სოციალისტური იდეოლოგიისკენ იხრებოდა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა კავშირთან, რომელიც იმ წლებში ქვეყანას იარაღით ამარაგებდა. ამის შემდეგ დოქტორი დააპატიმრეს და გაასამართლეს, მერე კი შეიარაღებული ძალებიდან გააძევეს და სამხედრო ციხეში ჩასვეს. სასჯელის მოხდის წლებში მან იურისპრუდენცია შეისწავლა და ადვოკატის ხარისხი მიიღო. სწორედ ამ დროიდან შეარქვეს მეტსახელად „დოქტორი“. ციხიდან ამნისტიით გათავისუფლების შემდეგ, დოქტორმა ნარკოდილერების დაცვით დიდ წარმატებას მიაღწია. იგი მათ პატიმრობიდან ათავისუფლებდა ან სასჯელს უმსუბუქებდა, რასაც მოსამართლეებისა და

პროკურორების დაშინებით ან მოსყიდვით ახერხებდა. პერუში ხმები დადიოდა, რომ იგი კოლუმბიელი ნარკობარონის პაბლო ესკობარის კაცი იყო, მარგინალურ სასამართლოს ხელისგულივით იცნობდა და იქ არსებულ ქაოსსა და კორუფციას საკუთარი კლიენტების ინტერესების დასაცავად მოხერხებულად იყენებდა.

მაგრამ, როგორც ამბობდნენ, დოქტორს ბედმა 1990 წელს გაუღიმა, როცა ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში ალბერტო ფუხიმორიმ გაიმარჯვა. არჩევნების მეორე და მესამე ტურებს შორის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტრომ უეცრად აღმოაჩინა, რომ ფუხიმორი პერუელი კი არა, იაპონელი იყო და პერუში წლების წინ ოჯახთან ერთად ემიგრანტად ჩამოსულიყო. უკეთესი მომავლის იმედით, იმხანად აზიიდან უამრავი ადამიანი ჩამოდიოდა და მომავალ თაობებს ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის მტკიცე გარანტია რომ ჰქონოდათ, ბევრი ემიგრანტი დაბადების მოწმობას აყალბებდა. ფუხიმორის შემთხვევაშიც ასე მოხდა. მას მოწმობაში დაბადების თარიღად 28 ივნისი ჩაუწერეს, ეს კი ქვეყნის ერთ-ერთი ეროვნული დღე იყო, და სახელი და გვარიც ისე შეუცვალეს, რომ მის პერუელობაში ეჭვი არავის შეეჩანა. როცა არჩევნების დროს სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ამის შესახებ პრესაში განაცხადა, ფუხიმორი ძალიან შეშინდა, რადგან იაპონელობა პრეზიდენტის კანდიდატობის ავტომატურად გაუქმებას ნიშნავდა და ამის შესახებ ქვეყნის კონსტიტუციაში გარკვევით ეწერა. სავარაუდოდ, ამ პერიოდიდან დაიწყო ურთიერთობა დოქტორსა და კუთხეში მიმწყვდეული პრეზიდენტობის კანდიდატს შორის. დოქტორი მიზანდასახული ადამიანი იყო, ამიტომ ამ საქმეში სულ მალე ფალსიფიკაციის ყველა ნიშანი გააქრო, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტროს წარმომადგენლები მოისყიდა ან დაშინებით გააჩუმა და ეს მცდელობა ჩაუფლავა. ასე რომ, სიმართლე აღარასოდეს გამჟღავნებულა. ფუხიმორის ნათლობის მოწმობა კი მისტიკური წესით იქნა ამოგლეჯილი საეკლესიო რეგისტრაციის წიგნიდან, და მას შემდეგ უკვალოდ გაქრა. იმ დღიდან

დოქტორი პრეზიდენტის მარჯვენა ხელი და ქვეყნის დაზვერვის უფროსი გახდა და თითქმის ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში ჩადენილი ყველაზე შემზარავი ბოროტმოქმედებების, უკანონო ვაჭრობის, ქურდობისა და პოლიტიკური დანაშაულების ავანჩავანი იყო, ფუნიმორისა და დოქტორის საზღვარგარეთ გატანილ ქონებაზე კი ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ჰოდა, ახლა, ამ ეშმაკის მოციქულს რა ინტერესი უნდა ჰქონოდა ერთი საცოდავი ჟურნალისტისა და პატარა გამომცემლობის რედაქტორის მიმართ, თანაც იმ დროს, როცა მისი შეფი ასეთი სისასტიკით მოკლეს?!

– წვენს ან ყავას დავლევდი, დოქტორო! – ძლივს ამოღერღა რეტაკიტამ. ნეტავ, რისთვის მოიყვანა აქ ამ კაცმა? რატომ დგას ახლა ხულიეტა პერუში ყველაზე ძლიევამოსილი და იდუმალებით მოცული ადამიანის წინაშე? რატომ შეხვდა მას დაზვერვის უფროსი ასე შინაურულად, ან როლანდო გაროს რატომ მოიხსენიებდა ისე, თითქოს ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ? რეტაკიტასთან შეფს არასოდეს სიტყვა არ დასცდენია, რომ დოქტორს იცნობდა, თუმცა მასზე ხშირად აღტაცებით ლაპარაკობდა. „მართალია, ფუნიმორი პრეზიდენტია, მაგრამ ამ ქვეყნის ნამდვილი მბრძანებელი და ყველა საქმის სულისჩამდგმელი დოქტორია“, – ამბობდა ხოლმე გარო; აი, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ისინი თურმე ერთმანეთს იცნობდნენ. რატომ არაფერი უთხრა ხულიეტას როლანდომ ამის შესახებ?

– დასაძინებლად ჯერაც არ დავწოლილვარ. – უთხრა მთქნარებით რეტაკიტას დოქტორმა და ქალმა ახლალა შენიშნა, რომ უძილობისგან მას თვალები ჩაცვივნილი და ჩაწითლებული ჰქონდა. – უამრავი საქმე მაქვს და მხოლოდ ღამდამობით ვახერხებ მათზე ფიქრს, ამ დროს ხელს არავინ მიშლის.

დოქტორი გაჩუმდა და რეტაკიტა თავიდან ფეხებამდე ისეთი ყურადღებით შეათვალიერა, თითქოს მისი ფიქრებისა და საიდუმლობების ამოცნობას ცდილობსო.

– იცი, ასე რატომ გათვალისწინებ, რეტაკიტა? – ჰკითხა ქალს დოქტორმა, თითქოს მისი აზრები წაიკითხაო. იგი არეკიპული აქცენტით ლაპარაკობდა და თავაზიანად იღიმებოდა, რომ ქალი არ აეფორიაქებინა. – იმიტომ, რომ არა მგონია, შენნაირ გოგონას ამხელა ყვერები, უფრო სწორად ამხელა საკვერცხეები ჰქონდეს. მაპატიე ასეთი პირდაპირობა და გულახდილობა!

რეტაკიტა კი ჩვეული უძრავი მზერით, სერიოზულად შეჰყურებდა ამ ძლევამოსილ ადამიანს და სულაც არ იყო კმაყოფილი იმ ქების გამო, წუთის წინ მისი მისამართით რომ გაისმა. უეცრად ქალს გაახსენდა, როლანდომ ამ კაცზე ერთხელ რომ უთხრა: „დოქტორი პერუში ყველაზე მდიდარი კაცია, შეუძლია ნებისმიერი ადამიანი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მოაკვლევინოს“.

დაადანაშაულებ?! – შესძახა უეცრად დოქტორმა და ეტყობოდა, თავადვე კმაყოფილი იყო იმ ლაპარაკის მანერით, რომლითაც ცდილობდა ხულიეტასთვის თავი მოეწონებინა. – რეტაკიტა, ნუთუ არ იცი, რომ იგი პერუში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანია, და მაგ ბრალდების გამო შეუძლია თვალისდახამხამებაში გაგაქროს?!

– ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ამ კაცს როლანდო გაროსავით მეც არ მოვეკალი. – მიუგო ქალმა. ხულიეტა ნელა ლაპარაკობდა, რომ ხმაში კანკალი არ დასტყობოდა. – ამ საჯარო ბრალდების შემდეგ ის ველარ გაბედავდა ჩემთვის რაიმე დაეშავებინა, რადგან ჩემი სიკვდილი უკვე ნამდვილად მისი ხელწერა იქნებოდა.

– ამას ვხედავ. – თქვა დოქტორმა, ყავა მოსვა და ქალს ახლახან მომზადებული ნალებიანი „ამერიკანო“ გაუწოდა. – იმედია, იცი, რასაც აკეთებ! საოცარი სიმაძაცით გამოირჩევი, მაგრამ ამჯერად შეცდი, თუმცა ამას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს. გინდა რაღაც გითხრა და გაგაოცო? შენზე ცნობები შევაგროვე და აღმოჩნდა, რომ სწორედ ისეთი ხარ, როგორიც წარმოგიდგინე, შეიძლება უკეთესიც კი. ხვდები, აქ რატომ მოგიყვანე?

– იმისთვის, რომ ინჟინერი კარდენასის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება უარყო. – დამაჯერებლად მიუგო მას რეტაკიტამ. – ამ პასუხზე დოქტორი ჯერ შეცბა, მერე კი გაეცინა. მისმა გულწრფელმა სიცილმა ქალი ცოტა არ იყოს დააბნია. მან იცოდა, რომ მართალია, ამ საშიშ კაცთან იყო, მაგრამ ჯერჯერობით საფრთხეს ვერ გრძნობდა. მერე ისევ როლანდოს ნათქვამი გაახსენდა: „მასზე ამბობენ, სასტიკი ადამიანიაო, მაგრამ იმათ მიმართ, ვინც მას ქურდობაში და მკვლელობაში ეხმარება, საკმაოდ კეთილშობილი და ხელგაშლილია“.

– მართალი ხარ. – თქვა დოქტორმა და ქალი დაღლილი მზერით, დაჟინებით შეათვალიერა. – მთლად არ მჯეროდა, რასაც როლანდო გარო შენზე მეუბნებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა კი დავრწმუნდი, რომ ის კაცი მართალი იყო. შესანიშნავად გავუგეთ ერთმანეთს, ჩემო ძვირფასო რეტაკიტა.

– განა ამის გამო არ მომიყვანეთ აქ? – ჰკითხა ქალმა.

– სიმართლე გითხრა, არა, – დოქტორმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. – თუმცა, მაინც გეტყვი, უკეთესი იქნება, მაგ ბრალდებაზე დროულად თუ იტყვი უარს. დაანებე თავი იმ საბრალო მილიონერს, დატკბეს ცხოვრებით. შენთვის ეს რთული სულაც არ იქნება. მოსამართლეს ეტყვი, რომ შეფის სიკვდილმა შენზე ძალიან იმოქმედა და ამიტომაც წაუყენე ენრიკე კარდენას ეს აბსურდული ბრალდება. ნუ გეშინია, ინჟინერი არაფერს დაგიშავებს, თან კარგ ადვოკატსაც მოგიჩინებ, რომლისთვისაც ერთი სენტავოს გადახდაც არ დაგჭირდება. ამას საკუთარ თავზე ვიღებ. ამ ბრალდების უარყოფა ორივეს ხელს გვაძლევს, რეტაკიტა. ჰო, სწორედ ასე ვთქვი: ორივეს-მეთქი, რადგან დღეიდან ერთად ვიწყებთ მუშაობას! ენრიკე კარდენასის საქმისთვის არ მომიყვანიხარ აქ. – დოქტორი გაჩუმდა, ყავა მოსვა და ქალს მიაშტერდა.

რეტაკიტას ტალღების ხმა შემოესმა. თითქოს ზღვა ოთახში იჭრებოდა, მერე კი ისევ უკან იხევდა.

– თუ ამ საქმის გამო არა, მაშ, რით დავიმსახურე თქვენთან შეხვედრის პატივი, თანაც აქ, ამ საიდუმლო თავშესაფარში, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ.

ლოქტორმა მთქნარების დასაფარავად პირთან ხელი მიიტანა და რეტაკიტამ შენიშნა, რომ მას თვალეში განსაკუთრებული სხივი აუკიაფდა.

– ალბათ მოგეხსენება, რომ ტყუილების მოსასმენად დროის დაკარგვა ნამდვილად მენანება, ამიტომ გთხოვ, რეტაკიტა, ყველაფერი გულახდილად და კონკრეტულად მომიყევი. ხომ გასაგებია?

რეტაკიტამ შენიშნა, რომ ლოქტორმა საუბრის მიმართულება შეცვალა და, ცოტა არ იყოს, ალეღდა. თუმცა გულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, რომ არაფერი ემუქრებოდა, პირიქით, ამ მოულოდნელმა სტუმრობამ ისეთი შესაძლებლობები დაანახა, რომლებიც ხელიდან არ უნდა გაეშვა. ბოლოს და ბოლოს შანსი მიეცა, საკუთარი ცხოვრება უკეთესობისკენ შეეცვალა და ამაში ეს შემთხვევა აუცილებლად დაეხმარებოდა.

– საქმე იმ ფოტოებს ეხება, გარომ „დესტაპესში“ რომ დაბეჭდა. – თქვა ლოქტორმა. – ამ ფოტოებზე ინჟინერი კარდენასი სრულიად შიშველია გამოსახული, მეძავებთან დროსტარების დროს ჩოსიკაში.

– მხოლოდ ის შემიძლია გითხრა, რაც ვიცი, ლოქტორო. – უთხრა რეტაკიტამ.

– ყველაფერი წვრილად მომიყევი და სხვა საკითხებს არ მიეღმოედო. – უთხრა სერიოზულად. – კონკრეტული ფაქტები მჭირდება და არა ვარაუდები.

რეტაკიტა მაშინვე მიხვდა, რომ არჩევანი არ ჰქონდა და ლოქტორს სიმართლე უამბო. სიმართლე კი ის იყო, რომ რამდენიმე თვის წინ „დესტაპესის“ ფოტოგრაფი სეფერინო არგუელიო ჟურნალის რედაქციაში მივიდა, რეტაკიტას მაგიდას მიუახლოვდა და უთხრა, რომ მასთან პირადად სურდა დალაპარაკება; მისი თქმით, ეს საქმე კონ-

ფილენციალური იყო და სხვას არ უნდა გაეგო. სეფერინო ერთი სა-
ცოდავი, მორცხვი და მორჩილი ადამიანი იყო, რომელსაც ჟურნალის
მთავარი რედაქტორი და მისი თანამშრომლები უბრალოდ ვერ ამ-
ჩნევდნენ, ყველას შეეძლო ეყვირა მისთვის ან ნებისმიერი საბაბით
გაელანძღა; ამიტომ რეტაკიტა ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ამ
კაცს ასეთი ბომბი ჩაუვარდებოდა ხელში.

დაახლოებით საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როცა სეფერინო
და რეტაკიტა სურვილის პოლიციის განყოფილების მახლობლად,
ქუჩის კუთხეში, კაფე „ლა დელისია კრიოლიაში“ წასახემსებლად შე-
ვიდნენ. მათ ორი რძიანი ყავა და სენდვიჩები შეუკვეთეს, ხორციით,
ხახვით და წიწაკით. ვიდრე ლაპარაკს დაიწყებდა ფოტოგრაფს ნერ-
ვიულობა დაეტყო, თითებს იმტვრევდა, გაფითრებული იჯდა და ვე-
რაფრის თქმას ვერ ბედავდა.

– ასე თუ ყოყმანობ, უკეთესი იქნება თუ არაფერი მითხრა, სეფე-
რინო. – წასჩურჩულა რეტაკიტამ. – ყავა დავლიოთ, ეს ამბავი დავი-
ვიწყოთ და უწინდებურად მეგობრებად დავრჩეთ.

– მინდა ეს ფოტოები გაჩვენო, რეტაკიტა. – წაიბუტბუტა ფო-
ტოგრაფმა, უნდობლად მიმოიხედა ირგვლივ და ქალს ყვითელი თას-
მებით შეკრული საქალაქდღე გაუწოდა. – ფრთხილად, არავინ დაგ-
ვინახოს.

– ეს ის ფოტოები იყო, გარომ „დესტაპესში“ რომ გამოაქვეყნა? –
ჰკითხა დოქტორმა.

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– როგორ ჩაუვარდა ისინი ხელში ვილაც სეფერინოს? – დოქტო-
რი მთელი ყურადღებით უსმენდა რეტაკიტას და თან თვალებით
ბურღავდა.

– ეს ფოტოები მისი გადაღებულია. – მიუგო ხულიეტამ. – ამის-
თვის იგი ჩოსიკას ორგინის ორგანიზატორმა დაიქირავა. უცხოელი
უნდა იყოს.

– ბატონმა კოსუტმა მითხრა, იმ მდიდარი სენიორისთვის ფოტოები გადამეღო. – სეფერინო ისე ჩუმად ლაპარაკობდა, რომ რეტაკიტა იძულებული გახდა, მასთან ახლოს მიჩოჩებულიყო, რომ სიტყვები გაერჩია. ფოტოგრაფს სახე უხურდა იმის გაფიქრებისას, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ფოტოების არსებობას. – ჩოსიკაში წავედით, რომ ყველაფერი წინასწარ მომემზადებინა. უნდა მეპოვა სამალავი, საიდანაც ორგია კარგად გამოჩნდებოდა. იმ მდიდარ სენიორს ქალებთან ერთად უამრავი ფოტო გადავუღე, მაგრამ ამის შესახებ თავად წარმოდგენაც არა აქვს. აღარც კი ვიცი რამდენი დამიჯდა ფოტოფირი. ბატონი კოსუტი დამპირდა, ყველაფერს ავინაზღაურებ და ხუთას დოლარს გადაგიხდით, მაგრამ ხახამშრალი დამიტოვა. ეგ კაცი სასტუმრო „შერატონში“ ცხოვრობდა, ერთ დღეს კი უბრალოდ გაუჩინარდა და მასზე აღარაფერი მსმენია.

– რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ? – დაინტერესდა დოქტორი.

– ეს დაახლოებით ორი წლის წინ მოხდა, რეტაკიტა. – მიუგო სეფერინომ ქალს. – საერთოდ უფულოდ ვარ. ვფიქრობდი, ბატონი კოსუტი დაბრუნდება და გადამიხდის-მეთქი, მაგრამ აღარ გამოჩენილა. შეიძლება ცოცხალიც აღარ არის, რა ვიცი. შენ რას ფიქრობ, როგორ შეიძლება ამ ფოტოების გამოყენება? რამდენიმე სოლი რომ ვიშოვო და ის მაინც ავინაზღაურო, რაც დავხარჯე.

– ჰო, ეგ კარგი ამბავი არ უნდა იყოს, სეფერინო. – მიუგო ფოტოგრაფს აფორიაქებულმა რეტაკიტამ. – იცი, ვინ არის ის სენიორი, ვისაც ფოტოები გადაუღე?

– მშვენივრად ვიცი, ვინც არის, რეტაკიტა. – თქვა სეფერინომ ძალიან ჩუმად. – ამიტომ მაინტერესებს, როგორ მოვიქცე. შენი აზრით, ის ტიპი კარგად არ გადაიხდის იმ ფოტოებში, რომელზეც ასე სამარცხვინო სახით ჩანს?

– შენ რა, მდიდარი კაცის დაშანტაჟებას აპირებ? – გაეცინა გაოცებულ რეტაკიტას. – შენ გინდა ამის გაკეთება, სეფერინო? ნუთუ საამისოდ გამბედაობა გეყოფა? იცი მაინც რაში ჰყოფ თავს ასეთი

გავლენიანი კაცის დაშანტაჟებით?

– გავბედავ, თუ დამეხმარები, რეტაკიტა. – წაიბუტბუტა სეფერინომ. – ასეა, მტკიცე ხასიათით არ გამოვირჩევი, სამაგიეროდ ამაში შენ ვერავინ შეგედრება. მოდი, იქნებ ამ საქმიდან ორივემ ფული ვიშოვოთ. აბა, რას იტყვი?

– ძალიან მაღლობელი ვარ შენი, სეფერინო, მაგრამ გადაჭრით უნდა გითხრა უარი. – მიუგო რეტაკიტამ. – მე ჟურნალისტი ვარ და არა შანტაჟისტი. ამიტომ კარგად ვიცი ჩემი ქმედებების ზღვარი, ვიცი, ვისთან ვითანამშრომლო და ვისთან არა. გეთანხმები, მტკიცე ხასიათი მაქვს, მაგრამ მაზოხისტი ან თვითმკვლელი ნამდვილად არა ვარ.

რეტაკიტას ხელში ერთ-ერთი ფოტო ეჭირა და ზიზლით, მაგრამ ცნობისმოყვარეობით დაჰყურებდა. იმ წუთს ქალის განცდას შურს დავარქმევდით? ხულიეტა დარწმუნებული იყო, რომ ვერასოდეს შეძლებდა მამაკაცთან ისე მოქცევას, როგორც ფოტოებზე იმ მილიონერს ის კახპა ექცეოდა და არასოდეს მიიღებდა მონაწილეობას ისეთ ღრეობებში, სადაც მას სურვილისამებრ გამოიყენებდნენ. ხულიეტას ამ ფოტოების ნახვისას მხოლოდ ზიზლისა და გულისრევის გრძნობა გააუჩნდა.

– თუ რჩევა გინდა მიიღო, ყველაზე კარგი იქნება, ამ ფოტოების შესახებ შეფს თუ დაელაპარაკები, და კოსუტის ამბავს მოუყვები. ასეთ საქმეებში როლანდო ჩემზე და შენზე უკეთ ერკვევა. შეიძლება დაგეხმაროს, რომ ცოტა ფული იშოვო, რომელიც ასე გჭირდება.

– გამოდის, რომ როლანდო გაროს ეს ფოტოები შენ და სეფერინომ აჩვენეთ და ჩოსიკას ორგის ამბავიც მოუყვებით. – დოქტორმა რამდენიმე ნაბიჯი წინ გადმოდგა. – გარომ კი გადაწყვიტა ფოტოებით ინჟინერი კარდენასი ისე დაეშანტაჟებინა, რომ არც ნებართვა მკითხა და არც გამაფრთხილა ამის შესახებ. იცი, რამდენი მოსთხოვა კარდენას?

რეტაკიტამ ნერწყვი გადაყლაპა და საპასუხოდ მოემზადა. რატომ უნდა აეღო გაროს ნებართვა დაზვერვის სამსახურის უფროსისგან? ესე იგი, როლანდო ამ ადამიანზე მუშაობდა? ამაზე მისი მტრები ლაპარაკობდნენ და ხულიეტაც ეჭვობდა რაღაცას. ჰოდა, აი გაირკვა, რომ მისი შეფიც დოქტორის ერთ-ერთი პირადი ჟურნალისტი ყოფილა.

– სინამდვილეში ეს შანტაჟი არ ყოფილა, დოქტორო. – რეტაკიტა შეეცადა აეხსნა სიტუაცია, თან ფრთხილად არჩევდა სიტყვებს, რომ რაიმე შეუსაბამო არ წამოსცდენოდა. – მან ინჟინერს ფოტოები იმიტომ მიუტანა, რომ კარდენასს ჟურნალის ხარისხის გასაუმჯობესებლად ფული გაეღო. ამაზე როლანდო ყოველთვის ოცნებობდა, და თუ მას კარგად იცნობდით, ეს გეცოდინებათ. ძალიან უნდოდა „დესტაპესი“ ცნობილი ჟურნალი ყოფილიყო, რომელიც „ოიგაზე“ ან „კარეტასზე“ უკეთ გაიყიდებოდა. ჩემი შეფი ფიქრობდა, რომ ინჟინერი კარდენასი ერთ-ერთი აქციონერი გახდებოდა ან სულაც „დესტაპესის“ დირექტორატის პრეზიდენტობაზე დათანხმდებოდა. მაშინ ყველა გამოცემა ანგარიშს გაგვიწევდა და ჟურნალს დაფასება ექნებოდა.

– მხოლოდ ოცნებას არავითარი ფასი არა აქვს. – გამოსცრა კბილებში დოქტორმა. – ეს ყველაფერი იმის დასტურია, რომ როლანდო გარო არც ისეთი ჭკვიანი ყოფილა, როგორიც მეგონა. მაგრამ შენ იმ შეკითხვაზე არ მიპასუხე, რამდენი მოსთხოვა ინჟინერს?

– საქმის დასაწყებად ასი ათასი დოლარი სთხოვა. უთხრა რეტაკიტამ. – ეს პირველი კაპიტალდაბანდება იქნებოდა. მოგვიანებით კი, როცა კარდენასი დარწმუნდებოდა, რომ საქმე კარგად მიდის, კიდევ მეტის თხოვნას აპირებდა. ხოლო ინჟინერს თუ სურდა, იმაში დარწმუნებულიყო, რომ გარო სუფთად მუშაობდა, თავად შეეძლო ხელმძღვანელი ან რევიზორი დაენიშნა, რათა თვალი ედევნებინა, რაში იხარჯებოდა მისი ფული.

- როლანდომ სისულელე ჩაიდინა. - უკმაყოფილოდ თქვა დოქტორმა. - როგორც ამბობ, მას ამ კაცის დაშანტაჟება არ უნდოდა და მხოლოდ ეგ უბადრუკი თანხა სთხოვა? ასი ათასის ნაცვლად ნახევარ მილიონს თუ მოსთხოვდა, შეიძლება ახლაც ცოცხალი ყოფილიყო. ამბიციების სიმცირემ დალუპა და ინჟინერმა გარო თანხმობის ნაცვლად, კინწისკვრით გააგდო თავისი ოფისიდან.

- ძალიან ცუდად მოექცა. - დაეთანხმა რეტაკიტა, რომელიც დოქტორის სიტყვების აზრს ბოლომდე ვერ ჩასწვდა, მაგრამ ახლა დარწმუნებული იყო, რომ მის შეფსა და ამ ადამიანს შორის რაღაც შეთანხმება არსებობდა, რომელიც მხოლოდ ჟურნალისტიკასთან არ იყო დაკავშირებული, როგორც ჩანს, მათ სხვა ბინძური საქმეებიც აკავშირებდათ. - ინჟინერმა კარდენასმა როლანდო შეურაცხყო, უთხრა, რომ ერთ სენტავოსაც კი არ გაიღებდა ამ გარყვნილი ჟურნალის საქმიანობისთვის და გაროს ცემით დაემუქრა, თუ დაუყონებლივ არ დატოვებდა მის ოფისს.

- შეურაცხყოფილმა, გულნატკენმა და გამოთაყვანებულმა გარომ კი ის ფოტოები გამოაქვეყნა. - მთქნარებით დაასრულა რეტაკიტას ფრაზა დოქტორმა და სახეზე ზიზლი აღებეჭდა. - თავგზა აებნა, ფულის შოვნა ბოროტი გზით გადაწყვიტა და თავის ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა, რაც ძალიან ძვირი დაუჯდა. მე ვაფრთხილე. - მერე დოქტორი დიდხანს მდუმარედ აკვირდებოდა სტუმარს. რატომ ელაპარაკებოდა იგი ამ საქმეზე რეტაკიტას? რისი თქმა უნდოდა ამით? ან რა მუქარა თუ ვაფრთხილება იმალებოდა ამ ყველაფრის უკან? უეცრად ქალი ისევ შიშმა შეიპყრო.

- არ ვიცი, რისი თქმა გსურთ, დოქტორო, - წაიბუტბუტა მან. - მაგრამ გთხოვთ, ამ საქმეში ნუ გამრევთ! მე ერთი ჩვეულებრივი ჟურნალისტი ვარ და მშვიდად მუშაობა და ცხოვრება მინდა. ნუ მეტყვით ისეთ რამეს, რაც ჩემს სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის, ძალიან გთხოვთ.

– როლანდოს ასეთი სისულელე არ უნდა ჩაედინა. – უთხრა დოქტორმა რეტაკიტას, ისე რომ მისთვის თვალი არ მოუცილებია და თითქოს ქალის ნათქვამი ვერც გაიგონა. ორატორული პათოსით ლაპარაკობდა და თან ყავას სვამდა. – ჯერ რალაც სასაცილო თანხის გამო შეეცადა იმ მილიონერის დაშანტაჟებას, მერე გაბრაზებულმა ის ფოტოები გამოაქვეყნა. განსაკუთრებით უპასუხისმგებლოდ მოიქცა, რომ არ გამაგებინა, თუ რას აპირებდა. მეტი ერთგულება რომ გამოეჩინა ჩემ მიმართ, ახლა ცოცხალი იქნებოდა და მომგებიან გარიგებასაც დადებდა.

– დოქტორო, გვედრებით, მეტს ნულარაფერს მეტყვიო. აღარ მინდა მაგ საქმეზე რამე ვიცოდე.

დოქტორს სახეზე ცნობისმოყვარეობა დაეტყო, თან მედიდურ მზერას არ აშორებდა რეტაკიტას. მერე თითქოს რალაცამ დააეჭვაო, თქვა:

– რაკი ჩემზე უნდა იმუშაო, რალაცებში უნდა გაერკვე კიდეც. – წაიბუტბუტა მან და მხრები აიჩეჩა. – რალაც ვალდებულებები უნდა აილო საკუთარ თავზე. შენი წინდახედულობის იმედი მაქვს და შენივე ინტერესია, ჩვენს შორის დარჩეს ის, რაც აქ გაიგონე.

– რა თქმა უნდა, დოქტორო. – დაეთანხმა რეტაკიტა. მერე კი, თუმცა იცოდა, რომ ეს შეკითხვა არ უნდა დაესვა, მაინც ჰკითხა: – როგორ ფიქრობთ, როლანდო ენრიკე კარდენასმა მოაკვლევინა?

დოქტორმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– სად აქვს კარდენასს ვინმეს მოკვლის გამბედაობა?! ძალიან სათნო და გულკეთილი ადამიანია. – მიუგო დოქტორმა და კვლავ მხრები აიჩეჩა. – რეტაკიტა, ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, ვინ მოკლა გარო. როლანდომ ცუდი თამაში წამოიწყო და ამის საფასური გადაიხადა კიდეც. ახლა დროს ნულარ დაკარგავთ და მთავარ საკითხზე გადავიდეთ. „დესტაპესს“ რა ბედი ეწევა?

– ალბათ დაიხურება. – უთხრა ქალმა. – როლანდოს გარეშე მისი არსებობა შეუძლებელია.

– არა, ჟურნალი კვლავ იარსებებს და მას სათავეში შენ ჩაუდგები! – სწრაფად მიუგო დოქტორმა და ქალს დამცინავი მზერა მიაპყრო. – ხომ შეძლებ ამას? როლანდოს მიაჩნდა, რომ ეს შეგეძლო და მის აზრს გავითვალისწინებ. მზად ვარ „დესტაპესის“ შენარჩუნებაში დაგეხმარო. ახლა კი მითხარი, მთავარი, რედაქტორის რანგში რა ანაზღაურებას ითხოვ? ერთმანეთს იშვიათად შევხვდებით ხოლმე. სტამბაში ჩაშვებამდე, მინდა, ჟურნალის ყველა ნომერი შევამოწმო და ზოგჯერ სტატიებიც დავასათაურო. როგორც უკვე გითხარი, ერთმანეთს განსაკუთრებულ შემთხვევებში შევხვდებით, მაგრამ ტელეფონით მუდმივი კავშირი გვექნება. დელიკატური საკითხების მოგვარებაში კი შუამავლის როლს კაპიტანი ფელიქს მადუენიო შეასრულებს. ვფიქრობ, ეს სახელი და გვარი გეცნობა. თავად გეტყვი ხოლმე რა უნდა გამოიძიო, ვისი ინტერესები უნდა დაიცვა და განსაკუთრებით კი ვის გაუმწარო სიცოცხლე. ასეთი გულწრფელობისთვის კიდევ ერთხელ გიხდის ბოდიშს, მაგრამ ამას იმიტომ გიმეორებ, რომ იცოდე, რა ვალდებულებები გაქვს ჩემ წინაშე. დიახ, საქმე უნდა გაუფუჭო იმათ, ვისაც პერუსთვის სიკეთე არ სურს და ეს ხალხი უნდა გავანადგუროთ ისე, როგორც ამას როლანდო გარო აკეთებდა. ჯერჯერობით სულ ეს არის. ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ამ საუბარს ნუ დაივიწყებ. ადამიანებს ყველაფერს ვპატიობ, ღალატის გარდა. ჩემი თანამშრომლებისგან სრულ ერთგულებას მოვითხოვ. გასაგებია, რეტაკიტა? აბა, დროებით და წარმატებას გისურვებ.

დოქტორმა რეტაკიტას დამშვიდობებისას ხელი კი არ გაუწოდა, არამედ მიუახლოვდა და ლოყაზე აკოცა. მერე მას ისევ ტომარა ჩამოაფარეს, დერეფანი გაიარა, კიბე ჩაიარა და მანქანაში ჩაჯდა. გრძნობდა, რომ გული გამალებით უცემდა. შეშინებულს, შეძრწუნებულს და იმავდროულად დაიმედებულს, თავში ურთიერთსაპირისპირო აზრები უტრიალებდა. მერე საკუთარი თავი საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე, ჟურნალისტებით გადატენილ დარბაზ-

ში წარმოიდგინა, სადაც იგი, ფოტოაპარატების სინათლით შემკრთალი, საჯაროდ ბოდიშს უხდის ინჟინერ ენრიკე კარდენას და აცხადებს, რომ როლანდო გაროს ნამდვილი მკვლელი ბოროტების სიმბოლო დოქტორია. ისიც წარმოიდგინა, ყოფილი შეფის სავარძელში მოკალათებული, როგორ მოიწვევდა თავისთან რედაქტორებს ჟურნალის ახალ ნომერზე სათათბიროდ. მერე გაიფიქრა, რომ ბინას აუცილებლად გამოიცვლიდა, სხვა უბანში გადასახლდებოდა და აღარასოდეს დაადგამდა ფეხს ხუთი კუთხის საშიშ და გაპარტახებულ ქუჩებში.

20. აურზაური

– გონს მოდი, კიკე. – ლუსიანომ მეგობარს ალერსიანად დაჰკრა მხარზე ხელი. – ასეთ ველარ გიყურებ, ნაცემი ძაღლის გამომეტყველება გაქვს.

– მტკივა, ჩაბელა, – მარისა ცდილობდა სახე აერიდებინა მეგობრისთვის, მაგრამ ჩაბელა მასზე ძლიერი იყო, არ ეშვებოდა, ტუჩებზე კბენდა და მთელი ტანით გადაფარებოდა ზემოდან. – მითხარი, რა გჭირს?

– ჩემს თანამშრომლებს, ერთადერთ რამეს, ლალატს არ ვპატიობ. – აი, უკვე მეთედ მაინც გაიმეორა დოქტორმა და მაგიდას ხელი დაჰკრა. – დიახ, მათგან ძალღივით ერთგულებას მოვითხოვ, და ამის გამეორებით არ დავიღლები, რეტაკიტა.

– დამიჯერე, ლუსიანო, ძალიან მშვიდად ვარ. – მიუგო მეგობარს კიკემ, თუმცა მისი სასოწარკვეთილი ხმა და ჯიუტად მოკუმული პირი საწინააღმდეგოს მეტყველებდა. – ბუნებრივია, რომ სინარულით ცეკვა-თამაშს ვერ დავიწყებ, მაგრამ ვიცი, რომ ყველაზე უარესმა ჩაიარა, ახლა ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება და თავის კალაპოტში ჩადგება!

– მეკითხები კიდევ, რა მჭირს? – ჩაბელა ბოლოს და ბოლოს შეეშვა მარისას და გამეხებული მზერა მიაპყრო. – მართლა გინდა, სიმართლე გაიგო? ვეჭვიანობ, აი, რა მჭირს. ვხედავ, უწინდებურად კიკეს მხევალი და შენი ქმრის კახპა რომ გახდი. ასე ნებისმიერ წუთს შეგიძლია მიმატოვო და სანაგვეზე მომისროლო!

– არ ვიცი, რატომ მეუბნებით ამას, დოქტორო. – წაიბუტბუტა გაოცებულმა რეტაკიტამ. – მგონია, რომ თქვენ წინაშე ჩემს ვალდებულებებს კეთილსინდისიერად ვასრულებ. გარწმუნებთ, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩემი მუშაობით კმაყოფილი იყოთ.

– ალბათ, არ გინდა შენც როლანდო გაროს ბედი გაიზიარო, ხომ ასეა? – შეარბილა ტონი დოქტორმა. – ეს მუქარა არ გეგონოს, გაფრთხილებაა!

ჩაბელას სიტყვებზე მარისას ხარხარი აუტყდა, მეგობარს კისერზე ხელები მოხვია და აიძულა თავი დაეხარა, მერე კი ტუჩებში აკოცა და წასჩურჩულა:

– ეს ეჭვიანობის პირველი შემთხვევაა. არც კი იცი, სიბრაზისგან როგორ გიელავდა ეგ გიშერივით შავი თვალები, მათი სიღრმიდან კი რალაც ცისფერი სხივი გამოკრთოდა. შენ თვალებზე ვგიჟდები!

– ახლა ცდილობ ქათინაურებით შემომირიგო, არა, სულელი? – წაიჩურჩულა ჩაბელამ და მეგობარს აკოცა.

ქალები შიშვლები იყვნენ. ჩაბელა მარისას მთელი სხეულით ეკვროდა და ორივე ოფლში ცურავდა. პატარა საუნის დაორთქლილი ხის კედლები ევკალიპტის სურნელს გამოსცემდა. ერთმანეთს შერეოდა ქალებისა და მცენარის სურნელი.

– ბედნიერების სადღეგრძელო შევსვათ, მეგობრებო. – თქვა ბატონმა კოსუტმა და ჭიქა ასწია. – როგორც იტყვიან: Bottoms up! მაგრამ აქაურები ამბობენ: გამოცალე და გადმოაბრუნე, ჰოდა მეც უკვე ვისწავლე. მაშ, გამოცალეთ და გადმოაბრუნეთ არ ხარ მართალი,

კიკე. – უთხრა ლუსიანომ და ნაძალადევად გაუღიმა. – ვიცი, ეს შენთვის რთული გამოცდა იყო, მაგრამ ფსიქოლოგიურად უნდა აჯობო და შენი სულიდან ერთხელ და სამუდამოდ გამოაძევო. რაც მთავარია, ყველაფერმა ჩაიარა, ძმაო. აბა, ვილას ახსოვს ჩოსიკაში გადაღებული ფოტოები ან ეგ სკანდალი? ყველას მიავიწყდა ეგ ამბავი, ახლა ახალი სკანდალებით არის ხალხი დაკავებული, შენი ამბავი კი, კაი ხანია, წარსულს ჩაბარდა. თუ ვინმე გამოთაყვანებული არ მოგესალმება, ეგ შენთვის უკეთესიც კი არის, უნდა გიხაროდეს, ასეთ ადამიანებს თავი რომ დააღწიე. განა ისევ ის მეგობრები არ გყავს, ვინც გყავდა? როლანდო გაროც მკვდარია და კარგა ხანია მიწაში წევს. მეტი რაღა გინდა?

– ჰო, როლანდო მკვდარია, – სიტყვა გააწყვეტინა ლუსიანოს კიკემ. – მე ცილისწამებაში და მძღნერში ამომსვარეს, „დესტაპესი“ კი ისევ გამოდის, თანაც ახლა უკეთესი პოლიგრაფიით და უფრო მეტი ფოტოთი, ჟურნალის მთავარი რედაქტორი კი, არც მეტი, არც ნაკლები ხულიეტა ლეგისამონია, როლანდო გაროს მოსწავლე და მისი საქმის გამგრძელებელი. მაგ ქალმა ხომ გაროს მკვლელობაში დამადანაშაულა. ეს ცოტაა? ფიქრობ, რომ ამის შემდეგ მაინც მშვიდად და ბედნიერად უნდა ვიგრძნო თავი?

– მაგ ამბებს ნულარ იხსენებ, კიკე. დოქტორმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და სიტყვას შეასრულებს. იმ ქალმა ბრალდება ხომ უარყო და თავისივე ჟურნალში გთხოვა პატიება ცილისწამებისთვის. ეს საქმე დახურეს, მოკლე ხანში კი შევძლებთ, რომ ყველანაირი კვალი გავაქროთ და სასამართლოს არქივში ამ საქმის შესახებ ერთი საბუთიც აღარ დარჩეს. ყველაფერი სამუდამოდ დასამარდება, ამიტომ დაივიწყე. ჯობია შენს საქმეს და ოჯახს მიხედო. მერწმუნე, ახლა შენთვის მხოლოდ ეს არის მნიშვნელოვანი!

– ყველაზე მწარე სიმართლე ის არის, რომ როლანდო გარო ძალიან ცუდად მომექცა. არ დამემორჩილა და მომატყუა. – თქვა მრის-

ხანედ დოქტორმა და რეტაკიტას მუქი, წყლიანი თვალები ისე შეაფეთა, თითქოს მისი გაქრობა სურსო. – მას კატეგორიულად ავუკრძალე „დესტაპესში“ იმ მდიდარი მეწარმის ფოტოების დაბეჭდვა. მტრების შერჩევა შესანიშნავად მეხერხება და ვიცი, შენზე ძლიერი არასოდეს უნდა გამოიწვიო. როლანდომ კი მომატყუა, დამარწმუნა, რომ ფოტოები გაანადგურა, მაგრამ უეცრად მაინც დაბეჭდა და ამით ლაფში ამომსვარა. მიხვდი, რა მინდა შეგაგნებინო, რეტაკიტა?

– ქალბატონებო, გაიხადეთ ეგ ზედმეტი ტანსაცმელი და იდუმალი ადგილები დაგვანახეთ! – წარმოთქვა კოსუტმა და ჭიქები შამპანურით შეავსო. ესპანურად სუფთად ლაპარაკობდა.

– სადაც მეტყვი, იქ გაკოცებ, საყვარელო. – უჩურჩულა ყურში მარისამ ჩაბელას. – მომწონს ადგზნებულს რომ გხედავ, ეს იმას ნიშნავს, რომ მართლა გიყვარვარ. მინდა, გასიამოვნო და დავინახო, რომ ვნებისგან სული გეხუთება.

ჩაბელა უსიტყვოდ დანებდა. მარისა კი ნელა ჩაცურდა ქვემოთ და მის ფეხებს შორის ჩარგო თავი, ენა გამოყო და მის სასქესო ორგანოს აურჩქარებლად, დაჟინებულად, გაუმაძღრად და მთელი გრძნობით დაუწყო ლოკვა.

– ჰო, შენზე ვიეჭვიანე, მარისა. – თქვა ჩაბელამ და იგრძნო, რომ მთელ სხეულში სასიამოვნო სითბომ და-რა მერე კი მისი თითოეული კუნთი, მუცლის არე და ტვინიც კი მოიცვა. – ადრე ასეთი ალერსიანი არ იყა– გაის მიმართ, ახლა კალთაში უჯდები, ჩემი და ლუსიანოს თანდასწრებით ხშირად კოცნი, გხედავთ, ხელიხელჩაკიდებული რომ დადინართ. ეგ სიყვარული, ბოლოს სიძულვილში არ გადაგვზარდოს. აი, მანდ, ჰო, მანდ, საყვარელო, უფრო ნელა, გთხოვ!

სენიორიტა თქვენ ჩემს ფალოსზე დაბრძანდით!

პომპეზური თავაზიანობით უბრძანა ბატონმა კოსუტმა ერთ-ერთ ქალს. – თქვენ, კი ქერათმიანო გოგონავ, ექით მობრძანდით და საკუთარი თავი შემომთავაზეთ. დაბანილი თუ არ ხართ, არა უშავს, ასეთი წვრილმანები არ მალეღვებს. ჰა, ჰა. გაცნობებთ, რომ ახლა

ის უნდა გაგიკეთოთ, ფრანგები მინეტს რომ ეძახიან, ესპანელები და პერუელები კი უფრო ვულგარულად ამას რაღაც უცენზურო სიტყვას უწოდებენ.

ენრიკე კარდენასზე შამპანურმა ნელ-ნელა იმოქმედა. ალკოჰოლი მაინცდამაინც არ უყვარდა და არასოდეს თვრებოდა. ახლა კი გაოგნებული ადევნებდა თვალს მომხდარს და გრძნობდა, რომ შინაგანად რაღაც ემართებოდა. გონებაში ყველაფერი არეოდა, თითქოს პარალიზებული იყო და ვერ ხვდებოდა, როგორ უძლებდა იმას, რასაც აქ ხედავდა. „გინდა ტანსაცმლის გახდაში დაგეხმარები, საყვარელო?“ ჩაესმა უცებ ყურში ერთ-ერთი ქალის ხმა და შარვლის ხვანჯარში მისი ხელის შეხება იგრძნო.

– არ ვიცი, ამით რისი თქმა გინდათ, დოქტორო. – წაილულლულა რეტაკიტამ და ჩვეულებისამებრ, შეეცადა ადელვება დაემალა. ეს საუბარი უცნაურად ეჩვენებოდა და ამან საშინლად ააფორიაქა. ნუთუ რამე შეცდომა დაუშვა? რას ნიშნავდა დოქტორის ასეთი გულწრფელობა? ნუთუ როლანდო მისი დაკვეთით მოკლეს? თუ ეს სიმართლე იყო, რეტაკიტასაც საფრთხე ემუქრებოდა. ამ კაცის პირდაპირობა ხულიეტას მის თანამოაზრედ გახდომას ნიშნავდა. ქალი ძალას არ იმურებდა, რომ დოქტორის ყველა მითითება პირნათლად შეესრულებინა და ისიც ყოველთვის კმაყოფილი იყო მისი მუშაობით. – შევეცადე, დაკისრებული საქმე ზედმიწევნით ზუსტად შემესრულებინა, დოქტორო.

– ვხედავ, რომ შესანიშნავი თანამშრომელი მყოლია. – გაიღიმა დოქტორმა და ლოყები დაებერა. – არასოდეს მოვინდომებდი სამსახურიდან შენს გათავისუფლებას, ან მთლად უარესს, ლალატისთვის შენს დასჯას! დიახ, ვიცი, ახლა რასაც ფიქრობ და იმასაც გეტყვი, რომ არასოდეს ვისურვებდი, შენც გაროს ბედი გაგეზიარებინა.

რეტაკიტამ იგრძნო, რომ წამით გული გაუჩერდა. ესე იგი ამ კაცმა გასცა ბრძანება, მან მოაკვლევინა როლანდო გარო! ქალმა იგ-

რძნო, რომ იმ წუთს სახეზე ფერი აღარ ედო, მერე საკუთარი კბილების ქრაჭუნიც გაიგონა. უზარმაზარი თვალებით მიშტერებოდა დოქტორს, რომელსაც სახეზე უკმაყოფილება ეტყობოდა.

– არ უნდა მეთქვა შენთვის ეს. ვიცი, გაგანაწყენე, მაგრამ აუცილებლად უნდა იცოდე ჩვენი თამაშის წესები. – დასძინა დოქტორმა აუჩქარებლად და სერიოზულად. – ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თითოეული ჩვენგანი. ძალაუფლებასთან თამაში ძალიან სახიფათოა, მეგობარო! როცა ამ თამაშს იწყებ, უნდა იცოდე, რომ შენ წინაშე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგება. მან ჩემი აკრძალვა უგულებელყო, კარდენასი მაინც დააშანტაჟა და ამით რისკის წინაშე დამაყენა. გარომ მხოლოდ ხე დაინახა, ტყე კი ვერ შენიშნა, ჩემ მიერ შექმნილი ყველაფერი მოსპო და გაანადგურა, ჩემი ჩაძირვა და მოსპობა მოინდომა. ხომ ხვდები, რასაც ვამბობ? მისმა საქციელმა ძალიან მატკინა გული და ამას ვერ ვაპატიებდი.

– ასე მხეცურად რატომ მოკალით? – აღმოხდა რეტაკიტას ისეთი ხმით, თითქოს რაღაც გასჩხეროდა ყელში, – ნაკუწებად მხოლოდ იმისთვის აქციეთ, რომ არ დაგემორჩილათ?

– ამაში მართალი ხარ. ის ხალხი ზღვარს გადავიდა, რაც ძალიან ცუდია. ამის გამო ყველამ საკადრისი პასუხი მიიღო. – აღიარა დოქტორმა. – მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანები, ვინც ამ საქმიანობას ეწევა, ჩვენნაირები არ არიან. უნდა ვიცოდეთ, რომ ამ დროს ველურებთან, მკვლევებთან და უსულგულო პირუტყვებთან გვაქვს საქმე. ამიტომ ხშირად ზედმეტი მოსდით, როგორც ეს როლანდოს შემთხვევაში მოხდა. დამიჯერე, ამის გამო ძალიან ვწუხვარ.

– წარმოდგენა არ მაქვს, მე რატომ მეუბნებით ამას, დოქტორო. ვალიარებ, ძალიან შეშინებული ვარ.

– ამას იმიტომ გეუბნები, რომ გენდობი, რეტაკიტა. შენ ჩემი საუკეთესო თანამშრომელი ხარ. სწორედ ამიტომ შოულობ ახლა იმდენ ფულს, სიცოცხლეში თვალთ რომ არ გინახავს, თანაც ხალხს

შენი ეშინია და პატივს გცემს. – შეარბილა ტონი დოქტორმა. – ამიტომაც შეძელი ხუთი კუთხის უბნიდან მირაფლორესში გადასვლა და ავეჯი და ტანსაცმელიც შეიძინე. ჩვენ შორის დაფარული არაფერი უნდა იყოს, რადგან მეგობრები და თანამოაზრენი ვართ. ერთ-ერთი ჩვენგანი თუ ჩაიძირება, მეორესაც თან ჩაითრევს; მაგრამ მე თუ ზედაპირზე ვიქნები, შენც ჩემს ბედს გაიზიარებ. ამიტომ უკვე იცი, შენი ერთგულება მჭირდება. ახლა კი საქმეზე გადავიდეთ. პირველ ყოვლისა, მომახსენე, როგორ მიდის დეპუტატ არიეტა სალომონის საქმე.

– ამ სიბინძურის ჩამორეცხვა ლამის სიცოცხლის ფასად დამიჯდა, შემეძლია საბრალო დედაჩემის სული დავიფიცო, ახლა მშვიდად რომ განისვენებს, მაგრამ მეხსიერებიდან ამ სირცხვილს ვერასოდეს წავშლი, მეგობარო. ჩემი ძმები ფიქრობენ, რომ დედაჩემი იმ სკანდალმა შეიწირა და მართლებიც არიან. ამით იმის თქმა მინდა, რომ დედაჩემი მე მოვკალი, ლუსიანო. როგორ ფიქრობ, ამას ჩემს თავს ოდესმე ვაპატიებ?

– უკვე, უკვე, – ხვნეშოდა ჩაბელა, – უკვე ვათავებ, გრინგიტა.

ცოტა ხანში მარისა წამოდგა, მეგობარს მოეხვია, ტურებში აკოცა და ყურში ჩურჩულით ჰკითხა, რა იგრძნო ვნების მწვერვალზე ყოვლის დროს.

– ჩემზე არ უნდა ეჭვიანობდე, ჩაბელა! მე და კიკე ერთმანეთს როცა ვეფერებით, ჩემს წარმოსახვაში შენც ყოველთვის ჩვენ გვერდით ხარ.

– რა სისულელეს ამბობ, მარისა. – აღელდა ჩაბელა, ორივე ხელი მეგობარს თმაში ჩაავლო და სახე მის სახესთან მიიტანა. – შემთხვევით კიკესთვის ხომ არ გითქვამს, რომ...

მარისამ ჩაბელას კისერზე მოხვია ხელები, აკოცა და უთხრა:

– ჰო, ჩაბელა, ყველაფერი მოვუყევი და ამან კიკე სიგიჟემდე აღაგზნო. ამიტომ მას შემდეგ მასთან სექსის დროს შენც ყოველთვის ჩვენთან ხარ და ერთად ვეძლევიტ ხოლმე სიამოვნებას.

– მოგკლავ, გეფიცები, მოგკლავ, მარისა! – წამოიყვირა ჩაბელამ და აღარ იცოდა ეს ამბავი დაეჯერებინა თუ არა. მერე ხელი შემართა დასარტყმელად, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, ფეხებშუა შეუცურა და სასქესო ორგანოზე მაგრად მოუჭირა.

– ფრთხილად, ჩაბელა, მტკივა. – წამოიკივლა მარისამ და წინა-აღმდეგობა სცადა.

ცოტა ნარკოტიკი პენისზე მოიფრქვიეთ, ცოტა კი ცხვირით შეისუნთქეთ! – განაცხადა ბატონმა კოსუტმა იმ ექიმივით, ავადმყოფს დანიშნულებას რომ აძლევს. – აი, ნახავთ, თავს ოცი წლის ბიჭივით იგრძნობთ!

– ჩვენმა ქალბატონებმა მთელი დილა საუნაში ხომ არ უნდა გაატარონ? – იკითხა ლუსიანომ და საათს დახედა. – შენი არ ვიცი, მე მომშივდა.

– მოეშვი, გაერთონ. – არ დაეთანხმა კიკე. – ეს ამბები მათ სულ არ ადარდებთ. ცოტა ხნით აფორიაქდებიან ხოლმე, მერე კი კვლავ ტანსაცმლით, საყიდლებითა და ჭორებით ინტერესდებიან. ბედნიერებაა, როცა ადამიანს შეუძლია არაფერი მიიტანოს გულთან ახლოს.

– მთლად ეგრეც არ არის საქმე, მეგობარო. ტერორისტების გამო, ჩაბელას რა ხანია წესიერად ველარ დაუძინია. სულ იმის ეშინია, კაჩიტოსავით მეც არ გამიტაცონ, ან მთლად უარესი, ჩვენს შვილებს არ დაუშაონ რამე. საბრალო ძილის წინ საძილე აბებს ყლაპავს, რომ ღამე თეთრად არ გაათენოს.

– გინდა ჩემი უძილობის მიზეზი გითხრა, ლუსიანო? – უთხრა მეგობარს კიკემ ისე ჩუმად, თითქოს მის სიტყვებს ვინმე გაიგონებდა ამ უკაცრიელ ბაღში, სადაც მხოლოდ ორი დანიური დოგი დარბოდა. – ამ საქმეში ძალიან ბევრი რამ ბურუსითაა მოცული. განა უცნაური არ არის, რომ ვიღაც უბედურ, დაჩაჩანაკებულ ხუან პეინეტას აჰკიდეს როლანდო გაროს მკვლელობა? შენ გჯერა ამ ზღაპრის, მე ნამდვილად ვერ დავიჯერებ.

– კი მაგრამ, მან ხომ თავადვე აღიარა დანაშაული? – მიუგო ლუსიანომ ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ. – ეგ ის ტიპი არ არის, მთელი ცხოვრება როლანდო გაროს წინააღმდეგ რომ წერდა წერილებს და ემუქრებოდა? სასამართლოზე ეს წერილები ხომ წარმოადგინეს? ახლა პაპზე დიდ წმინდანად ნუ გამოიღებ თავს, კიკე!

– ამ აღიარების არავის სჯერა, ან ვინ დაიჯერებს, რომ ხუან პეინეტასავით დაჩაჩანაკებულმა ბერიკაცმა ასეთი სასტიკი მკვლელობა ჩაიდინა?!

– ასეა თუ ისე, მოდი, რეალურად შევხედოთ. მნიშვნელოვანი ხომ შედეგია, თანაც შენსავით არავის აძლევდა ხელს გაროს მკვლელის დაჭერა, ეს საქმე დროულად უნდა დაეხურათ. – უთხრა მეგობარს ლუსიანომ. – გამორიცხული არც ის არის, რომ ამ ამბავში დოქტორის ხელი ურევია და მის უკან კიდევ ბევრი სიბინძურე იმალება, რაზეც ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს, მაგრამ ეს შენ რატომ უნდა გაღელვებდეს, მეგობარო?!

– არ მახსოვს, ვინ არის ეგ როლანდო გარო. – ირწმუნებოდა ხუან პეინეტა. – თუმცა ეგ სახელი სადღაც გაგონილი უნდა მქონდეს. ნუ იფიქრებთ, რომ ცემით მეხსიერება აღმიდგება, რაც თავადაც ძალიან მინდა. ტვინი უკვე კარგა ხანია აღარ მიმუშავებს. ახლა კი, ღვთის გულისათვის, გვედრებით, თავი დამანებეთ, ნულარ მცემთ!

– მოსამართლე არჩევანს გთავაზობს, გამოთაყვანებულს. – ინსპექტორი შეეცადა მისთვის აზრი შეეცვლევინებინა. – თუ დანაშაულს აღიარებ, მოსამართლე მოითხოვს გამოიკვლიონ შენი ფსიქიკური მდგომარეობა. ექიმი დასკვნას დაწერს, რომ შეურაცხადი ხარ და საკუთარ ქმედებებზე პასუხს არ აგებ.

– დიახ, ასეა, საკუთარ ქმედებებზე პასუხს არ აგებ, – გაუმეორა პროკურორმა. – და, „ლურიგანჩოს“ საპატიმროს ნაცვლად, პანსიონატში დაისვენებ. აბა, წარმოიდგინე, რა კარგია იქ. ექთნები, ნოყიერი კვება, ექიმების ზედამხედველობა, და ახლობლებიც შეძლებენ

შენს მონახულებას. ყოველდღე ტელევიზორს უყურებ, კვირაში ერთხელ კი ფილმს ნახავ.

– ასეთი ცხოვრება არასოდეს გელირსება სასტუმრო „მოგოლიონის“ ბინძურ, ვირთხებით სავსე სოროში, რომელიც შეიძლება ნებისმიერ წუთს დაინგრეს და ყველა მაცხოვრებელი ქვეშ მოიყოლოს.

– აუხსნა ხუანს ინსპექტორმა. – ტვინის ნაცვლად მართლაც ნაგავი უნდა გედოს მაგ თავში, რომ ამ შეთავაზებაზე უარი თქვა.

– იმ პანსიონატში სერაფინის წაყვანას შევძლებ? – უეცრად იკითხა ხუან პეინეტამ, რომელსაც უკვე დაინტერესება დაეტყო. – სერაფინი ჩემს კატას ჰქვია, მე მოვნათლე ამ ლამაზი სახელით. საბრალოს ძალიან ეშინია, რომ ვინმე დაიჭერს და მისი ხორცისგან კერძს მოამზადებს. მაღლობელი ვიქნები თუ აღარ მცემთ. თავში იმდენი მირტყით, რომ მხედველობა თითქმის დაგკარგე. ოღნავ მაინც გამოიჩინეთ ქრისტიანული კაცთმოყვარეობა, ბატონებო!

– თავში იმიტომ გირტყამენ, რომ ცემის კვალი არ დაგემჩნეს, ხუან პეინეტა! – გაეცინა ინსპექტორს და დანარჩენებსაც სიცილი აუტყდათ. ხუანმა იფიქრა, ეს სიცილი მის მიმართ გამოჩენილი ყურადღება იყო და შეეცადა შესტებით განესახიერებინა, რა იგრძნო, როცა კეფაში ხელკეტი ჩაარტყეს. ამან ყველა გაახალისა.

– შეგიძლია კატა, ძალლიც და თუ გყავს, ქალიც წაიყვანო თან. – არ ცხრებოდა ინსპექტორი.

– აი, აქ გარკვევით მოაწერე ხელი, – უთხრა პროკურორმა და ფურცლის ბოლოს მიუთითა. – და ამაზე ხმა-კრინტი არ დაძრა არავისთან. ისე, იღბლიანი კაცი ყოფილხარ, ხუან პეინეტა.

– ბატონო პროკურორო, ერთი რამ ვერ გამიგია. – წაიბუტბუტა შეწუხებული ხმით ხუანმა. – იმ კაცზე მინდა გითხრათ, აი, სახელი რომ დამავიწყდა. ის მე არ მომიკლავს. ისიც კი არ მახსოვს, ოდესმე თუ ვიცნობდი მას, რა პროფესიის ადამიანი იყო, ან საერთოდ ვინ იყო.

– მგონი, დროა გავიდეთ აქედან. – უთხრა მეგობარს მარისამ. –

კიკეს და ლუსიანოს უცნაურად მოეჩვენებათ, ამდენ ხანს აქ რომ დავრჩით. თანაც მაგ დალურჯებულ ადგილებს რომ დაგინახავენ, რას იფიქრებენ?

– არც შენ გამოიყურები უკეთ, ყველა ცოდვა სახეზე გაწერია. – გაიცინა ჩაბელამ. – კარგი, წავიდეთ, მაგრამ ჯერ ის მითხარი, კიკეს ნამდვილად მოუყევი ჩვენი ამბავი? ისიც მართალია, რომ შენს ქმარს ჩვენი ერთად წარმოდგენა ალაგზნებს?

– ჰო, ყველაფერი მოვუყევი, – გაეცინა მარისას. – მაგრამ ისე, თითქოს ეს ჩემი წარმოსახვა ყოფილიყოს. სხვათა შორის ენრიკე ამის შემდეგ საოცრად გამოცოცხლდა. გეფიცები, ასე ალაგზნებული ჩემი ქმარი არასოდეს მინახავს.

– კიკე, ალაგზნები ხოლმე, როცა მე და ჩაბელას ერთად წარმოგვიდგენ?

– ჰო, ჰო, ჩემო სიყვარულო. – მიუგო ცოლს ენრიკემ და მიუალერსა. – მითხარი, რომ თქვენ შორის ეს ნამდვილად მოხდა, ახლაც ხდება და კვლავ მოხდება!

– ახლა სრულიად დაკმაყოფილებული ვარ! – მთქნარებით თქვა ბატონმა კოსუტმა. – ასეთ დროს ყოველთვის ძილი მერევა ხოლმე და თუ ცოტას წავუძინებ, ამით ალბათ არაფერი დაშავდება. თქვენ კი გაერთეთ და ცოტა ხნით ჩემი არსებობა დაივიწყეთ!

– იცი, მაგ აზრმა მეც ალაგზნო! – ვითომ იხუმრა ჩაბელამ. – ხომ არ გეწყინება, შენს ქმართან რომ დავწვე?

– დამაცადე, მოვიფიქრებ. – ვითომ იხუმრა მარისამაც. – შენ ხომ არ გეწყინება, თქვენი ცქერით რომ დავტკბე და მეც ვისიამოვნო?

– კიკე კარგად ჟიმაობს?

– ძალიან გთხოვ, მაგ სიტყვას ნუ ხმარობ. – უთხრა მარიამ მეგობარს და სახე ზიზლით დამანჭა. – ძალიან უხამსად და თან სასაცილოდ ჟღერს. სხვა სიტყვებით თქვი, მაგალითად სექსი, გარყვნილება ან მრუშობა, ოღონდ ეგ ბინძური სიტყვა არ მიყვარს და მის გაგონებაზე სიცილს ვერ ვიკავებ. კიკეზე კი შემიძლია გითხრა, რომ

ძალიან მაგარია ლოგინში, განსაკუთრებით ბოლო ხანს.

– მარისა, გინდა, ლუსიანოსთან შუამავლობას გაგიწევ, რომ ცოტა შენც შეგახუროს? – ვითომ იხუმრა ჩაბელამ. – ჩემს საბრალო ქმარს ვერც კი წარმოუდგენია, საერთოდ ასეთი რამეები რომ არსებობს!

– დარწმუნებული ვარ, ხუან პეინეტა აიძულეს, დანაშაული ეღიარებინა. მოისყიდეს ან უბრალოდ დააშინეს. – თქვა კიკემ. – თუ ის ნაბიჭვარი არც მას მოუკლავს და არც მე, მაშინ ვინ არის გაროს მკვლელი, ლუსიანო?

– არ ვიცი და არც მინდა, ვიცოდე. – მაშინვე მიუგო ენრიკეს მეგობარმა. – ეგ შენც არ უნდა გაღელვებდეს. ფუზიმორისა და დოქტორის ბინძურ საქმეებში ცხვირის ჩაყოფა არ ღირს. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს საქმე მათი შეთითხნილია, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება, კიკე. იმან იდარდოს, ვინც შემდეგი აღმოჩნდება მათ სიაში.

– სენიორ, თავს ცუდად გრძნობთ? – ჰკითხა კიკეს ორგის ერთერთმა მონაწილე ქალმა, სახელად ლისიამ თუ ლიხიამ. – ძალიან გაფითრებული ხართ.

– რამე გაწუხებთ, ინჟინერო? – თვალეები გაახილა და თავი წამოყო იქვე დივანზე გაშოტილმა ბატონმა კოსუტმა.

– მგონი, ზედმეტი დავლიე. – წაილულლულა ენრიკე კარდენასმა. წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ლისია თუ ლიხია ზემოდან ეჯდა და ადგომაში ხელს უშლიდა. – რომ წამოვდგე, ხომ არ შეწუხდებით? მგონი ლისია თუ ლიხია გქვიათ, არა? გული მერევა, სააბაზანო საით არის?

– ისე შემაშინეთ, რომ მოულოდნელად შარვალში ჩავისვარე, – აღიარა ხუან პეინეტამ – მთლად სველი ვარ და შეიძლება გავცვივდე. ძალიან ვწუხვარ ამის გამო, ბატონებო.

– ახალ შარვალს და საცვალს გიშოვით. – მიუგო პეინეტას იმ მამაკაცმა, რომელიც ბრძანებებს გასცემდა. – ახლა კი თუ შეიძლება, აი, აქაც მოაწერეთ ხელი.

– სადაც მეტყვით, იქ მოვაწერ, – უთხრა ხუანმა და აკანკალებულ ხელში კალამი მოიმარჯვა. – მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ ის პოეტი, როლანდო გარო მე არ მომიკლავს. ასე არ ჰქვია? მეხსიერება თუ არ მღალატობს, ჩემს სიცოცხლეში ჭიანჭველასთვისაც არ დამიდგამს ფეხი. უბედურება ისაა, რომ ამ ბოლო ხანს ტვინი დამიჩლუნგდა და ყველაფერი დამავიწყდა. ჰო, საერთოდ არავინ მახსოვს.

– უნდა წავიდე. – განაცხადა ენრიკე კარდენასმა და რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიეყრდნო. – უკვე გვიანია, თანაც ძვლებში სულ მამტვრევს.

– ბევრმა კოკაინმა ასე იცის, ბიჭუნა. – უთხრა ლისიამ თუ ლიხიამ სიცილით.

– თუ შეიძლება, ტაქსი გამოიძახეთ, ალბათ მანქანის მართვას ვერ შევძლებ. – სთხოვა კედელზე მიყრდნობილმა ენრიკემ.

– პერანგსა და სახეზე პომადა გისვია, საყვარელო. – უთხრა მას ლისიამ თუ ლიხიამ და პიჯაკი ჩამოუბერტყა. – პირი დაიბანე, თუ რა თქმა უნდა, ამით ცოლის აღგზნებას არ აპირებ.

– მე წაგიყვანთ, ინჟინერო. – უთხრა ბატონმა კოსუტმა თავაზიანად. – ჩემი მძლოლი კართან გველოდება. ასეთ მდგომარეობაში უმჯობესია, საჭესთან არ დაჯდეთ.

– თავადაც არ ვიცი, აქამდე რედაქციაში როგორ გაჩერებ, სეფერინო არგუელიო. – თქვა რეტაკიტამ და „დესტაპესის“ ფოტოგრაფს სიძულვილით შეხედა. ქალი ზიზლით დასცქეროდა იმ ფოტოებსაც, ხელში რომ ეჭირა. – გითხარი, არიეტა სალომონს სამარცხვინო, შეურაცხმყოფელი ფოტოები გადაუღე-მეთქი, შენ კი რა მომიტანე? ამ ფოტოებზე ეს ადამიანი იმაზე უკეთ გამოიყურება, ვიდრე სინამდვილეშია.

– კი მაგრამ, ხომ ჩანს, რომ მთვრალია, ხულიეტა. – თავის დაცვა სცადა სეფერინომ. – ნახე, როგორი შუშის თვალებით იყურება, მაგ-

რამ თუ აუცილებელია, შემიძლია ტექნიკური საშუალებები გამოვიყენო და ბევრად უარესად წარმოვაჩინო.

– ჰო, ეგ მაინც გაასწორე და ისეთი სახე მიაღებინე, თითქოს ეს-ესაა უნდა არწყოს. მოკლედ, მთელ შენს წარმოსახვას მოუხმე, რაც შეიძლება, დაამახინჯე და ეფექტი შექმენი, თითქოს იატაკზე უკვე აღებინა. გესმის, რას გეუბნები?

– ვერ დაგპირდები, რომ საოცრებებს მოვახდენ, რეტაკიტა. – მიუდარით შეხედა სეფერინომ შეფს. – ძალღონეს არ ვიშურებ, რომ რასაც მავალეხ, ყველაფერი ზუსტად შევასრულო, მაგრამ დღითი დღე სულ უფრო ასეთ ურთიერთობას მეგობრობა აღარ ჰქვია.

– სამსახურში მეგობრობა მე არ ვიცი! – მოკლედ მოუჭრა ქალმა სეფერინოს. – აქ მე მთავარი რედაქტორი ვარ, შენ კი ჩემი ხელქვეითი. მეგობრები ქუჩაში ან კაფეში ვართ, როცა ერთად ყავას ვსვამთ. ჟურნალში კი მე ბრძანებებს გავცემ, შენ – ასრულებ. ამას შენივე კეთილდღეობისთვის გეუბნები, სეფერინო. მიდი ახლა, შეალამაზე ამ სულელის ფოტოები. შემდეგ ნომერს მაგას ვუძღვნი და ფოტოებზე რაც შეიძლება დამამცირებლად უნდა გამოიყურებოდეს, ლაფში უნდა ამოვსვაროთ. ბრძანებაა, სეფერინო.

– ისევ მაიამიში ხომ არ გავფრინდეთ, მარისა? – საშხაპედან გასძახა ჩაბელამ მეგობარს. – არ ინანებ!

– დიდი სიამოვნებით. – მიუგო მარისამ. თმას ფენით იშრობდა. – შაბათ-კვირას იქ თუ ვიქნებით, უკან დაგვრჩება გათიშული ელექტროენერგია, აფეთქებული ნაღმებიც და კომენდანტის საათიც. საყიდლებზე ვივლიდით, ზღვაში ვიბანავებდით და კარგ დროს გავატარებდით.

– პატარ-პატარა სიგიჟეებზეც არ ვიტყოდით უარს. – გამოსძახა ჩაბელამ საშხაპედან, მაგრამ მისი სიტყვები წყლის ხმამ ჩაახშო.

– აბა, გისმენ, რეტაკიტა. – უთხრა დოქტორმა ქალს.

– ზურგის ქარი ჩვენს სასარგებლოდ უბერავს! – მიუგო მას ხუ-

ლიეტა ლეგისამონმა. – დეპუტატი არიეტა სალომონი შეიძლება საკუთარი მძღოლის ან მოახლე ქალის სექსუალურ ძალადობაში დავადანაშაულოთ.

– რატომ არ შეიძლება ერთდროულად ორივე დანაშაული ავკიდოთ? – ჰკითხა ცოტა არ იყოს დაბნეულმა დოქტორმა. – ორმაგი დანაშაულით მისი სექსუალური გარყვნილების ეფექტი უფრო გაიზრდება.

– შეუძლებელი არაფერია. – დაეთანხმა დოქტორს ჟურნალის რედაქტორი. – მართალია, ეს ცოტა არაბუნებრივი გამოვა, თანაც მძღოლისა და მოახლის დაყოლიება მოგვიწევს.

– მომწონს, რეტაკიტა, როცა ადამიანს ერთხელ ნათქვამი ესმის და აღარ გამეორებინებს. რა ეღირება მათი დაყოლიება?

– თავდაპირველად დაშინებაც საკმარისი იქნება, მერე კი მცირე თანხასაც დასჯერდებიან.

– საქმეს შეუდექი, რეტაკიტა. ეგ ადამიანი მამათმავლისა და მოძალადის როლში ერთდროულად უნდა გამოგვეცხადოს. შესანიშნავია! არარაობად უნდა ვაქციოთ! აბა, ვნახოთ, თუ შეისმენს ამ გაფრთხილებას, და მოკეტავს.

– გაფრთხილებული მეჩვენებით, დოქტორო. – თემა შეცვალა ხულიეტამ. – ცუდად გეძინათ?

– კარგა ხანია დამავიწყდა, რა არის ძილი. ამდენი საქმე რომ არ მქონდეს, კლინიკაში დავწვებოდი. იქ თურმე ჰიპნოზის საშუალებით გაძინებენ და ერთი კვირა გძინავს. მერე კი, როცა გამოიღვიძებ, ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს ხელახლა დაიბადე. კარგი, ახლა წადი, რეტაკიტა, და აბა, შენ იცი, „დესტაპესის“ შემდეგ ნომერში დეპუტატ არიეტა სალომონს როგორ ამოსვრი ლაფში.

– „მოფრინდებიან შავი მერცხლები შენს აივანზე ბუდეების ასაშენებლად“, – წარმოთქვა დათრგუნულმა და იმედგაცრუებულმა ხუან პენეტამ. ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ კი იკითხა: – ნეტავ, როგორი მელოდია აქვს ამ კრეოლურ ვალსს?

– მგონი, ეს ვალსი არ უნდა იყოს. ჩემი აზრით, ეს გუსტავო ადოლფო ბეკერის პოეზიაა. – მიუგო ულვაშა მედლამ.

– მაპატიეთ, მაგრამ გასვლა მინდა. შეგიძლიათ სააბაზანოში გამიყვანოთ? – ჰკითხა ექთანს ტანდაბალმა, გამელოტებულმა მოხუცმა ქალმა.

– პოეზია? – გაოცებით იკითხა ხუან პეინეტამ. – მას ნაყინთან ერთად მიირთმევენ?

– ბინძურო ბებრუხანავ, თუ ისევ ჩაისვარე, შენივე მძღნერს გაჭმევ! – განრისხდა ულვაშა მედლა.

– პოეზია განსაკუთრებით გემრიელია ბრინჯით. – გადაიხარხარა სანიტარმა და მიმტანის პოზაში დადგა. – აბა, პოეზიას ნაყინით მიირთმევენ თუ ბრინჯით?

– ვგონებ, კეტჩუპით უფრო გემრიელი იქნება. – სრული სერიოზულობით მიუგო ხუან პეინეტამ.

– როგორც იქნა, გელირსათ! – უთხრა საუნიდან გამოსულ ქალებს ლუსიანომ. – მთელი საათია იქ სხედხართ.

– ვიფიქრე, რომ გაიგუდეთ. – დასძინა კიკემ.

– ის იფიქრე, რაზეც დიდი ხანია ოცნებობ, არა? – უთხრა ქმარს მარისამ და თმა აუჩეჩა. – ქვრივად დარჩები, მერე კი თავს, ჩვენ რომ ვიცით, მთლიანად მას მიუძღვნი!

– ნახეთ, როგორ გაწითლდა საბრალო კიკე. – თქვა ჩაბელამ და აწეწილი თმა გაუსწორა. – ბოროტი ნუ ხარ, მარისა, ნულარ აწამებ ამ საცოდავს იმ საშინელი მოგონებებით. თუ უკვე ისე საშინელი აღარ გეჩვენება, კიკე?

– კიკეს ხანდახან მოსწონს კიდეც, რომ აწვალევენ. – მიუგო მეგობარს მარისამ და ქმარს შუბლზე აკოცა. – ასე არ არის, საყვარელო?

– მხევალივით ეალერსები ქმარს, მარისა. – უთხრა ჩაბელამ. – ამის ყურება უკვე აუტანელი ხდება.

– თუ შეიძლება ცოტა მდოგვიც დაამატეთ, – მითითება გასცა ხუან პეინეტამ. – და, რაც მთავარია, ცხელი მომართვით.

– ეს კაცი მენსიერებადაქვეითებული კი არა, ნამდვილი გიჟია. – დაასკვნა სანიტარმა, საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიტანა და დაიტრიალა. – ან არადა, ჩვენ გვიგდებს მასხრად და ამით მშვენივრად ერთობა.

– კვირის ბოლოს მე და ჩაბელა მაიამიში ვაპირებთ წასვლას. – განაცხადა უეცრად მარისამ. – ჩაბელას ბინაში რალაც-რალაცების მოწესრიგება უნდა და გაყოლა მთხოვა. აბა, რას იტყვი, საყვარელო?

– მაიამიში ორი დღის გატარება, ყველაფრისგან შორს, ნამდვილად შესანიშნავი აზრია! კი მაგრამ, მე რატომ არ მეპატიუებით? იახტებს დავათვალიერებდი და იქნებ მეყიდა კიდეც. ამაზე კარგა ხანია ვოცნებობთ, მარისა. ლუსიანო, შენც შეგიძლია წამოხვიდე! კუბურ რესტორანში იმ გემრიელ კერძს გავსინჯავთ. მოიცა, რა ჰქვია? ჰო, მგონი „ძველი სამოსი“, არა?

– მართალი ხარ. – უპასუხა ჩაბელამ და ეტყობოდა, რომ კიკეს აღტაცებას დიდად არ იზიარებდა. – იმ რესტორანს „ვერსალი“ ჰქვია, კერძს კი „ძველი სამოსი“, ზუსტად მასხოვს.

„ეს აშკარად გადარეული მარისას დაგეგმილია“, გაიფიქრა ჩაბელამ. „ნეტავ, როდის მოიფიქრა? ახლა უკვე ეჭვი აღარ მეპარება, რომ კიკეს ჩვენ შესახებ უამბო და ცოლ-ქმარმა ეს მოგზაურობა ერთად დაგეგმა! არა, ნამდვილად მოვკლავ!“ ჩაბელას გუნება გაუფუჭდა, ლოყები აუჭარხლდა და უზარმაზარი თვალეებით ხან მარისას, ხანაც ენრიკეს მისჩერებოდა. „კიკემ ყველაფერი იცის, ეს მათი ერთობლივი გეგმაა. განა მარისა ღირსი არ არის, ამისთვის კარგად ვცემო?“ – ფიქრობდა ქალი.

– როგორ გგონიათ, სამსახურში დახვავებული საქმეები დასვენების უფლებას მომცემს? – იკითხა ლუსიანომ. – თქვენ გაემგზავრეთ, უსაქმურებო! ოღონდ მაიამიდან საჩუქარი მაინც ჩამომიტანეთ.

– კარგი, პალმებიან და თუთიყუშებიან ჰალსტუხს გიყიდი. – უთხრა კიკემ. – ჰო მართლა, ჩაბელა, ბინაში ჩემთვის ადგილი გექნება თუ სასტუმრო დავეჯავშნო?

– ადგილი შენთვისაც მოიძებნება. – უთხრა ლუსიანომ. მარისამ კი ჩაბელას მზაკვრულად შეხედა. – უზარმაზარი საწოლი გვაქვს, ასე რომ, იქ ორი წყვილიც თავისუფლად მოთავსდება. ჰა, ჰა, ასე არ არის, საყვარელო?

– მართალი ხარ. – უთხრა ჩაბელამ ქმარს და კიკეს მიუბრუნდა. – წინააღმდეგი თუ არ იქნები, სხვა ბინაც მაქვს. მართალია პატარაა, მაგრამ სააბაზანო აქვს და კედელზე ლამას ნახატიც ჰკივია.

– თუ არ დაგთანხმდება, ალბათ აიძულებ ძაღლის სადგომში დაიძინოს. – იხუმრა ლუსიანომ. – კიკე, იახტას თუ იყიდი, ერთი კაი-უტა სტუმრებისთვის იგულისხმე. იქნებ ბოლოს და ბოლოს თევზაობა ვისწავლო. ამბობენ, ვალიუმზე უკეთ ამშვიდებსო.

„მარისამ ყველაფერი უამბო კიკეს, ამიტომაც არის ასეთი ადგზნებული; როგორც ჩანს, ეს მოგზაურობაც ერთად დაგეგმეს“. უკვე მერამდენედ გაიფიქრა ჩაბელამ, თან სახიდან ღიმილი არ შორდებოდა. „ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, სამივემ ერთად გავატაროთ დრო ლოგინში“. ჩაბელა გაოცებული, გაბრაზებული და შეშინებული იყო, თან აღელვებასაც ვერ მალავდა. „მარისა ნამდვილი გიჟია“. – ფიქრობდა ქალი და მეგობარს მისჩერებოდა, რომელიც თავის ცისფერ, წყლიან თვალებს არ აშორებდა მას, გამომწვევად და ოდნავ დამცინავად უყურებდა. „მოგკლავ, მარისა, ეს როგორ გაბედე!“.

– გილოცავ, რეტაკიტა. – უთხრა დოქტორმა. – დეპუტატ არიეტა სალომონისადმი მიძღვნილი ნომერი შესანიშნავი გამოვიდა, ყოჩაღ. იმ საბრალოს ყველა გზა მოეჭრა და დაგვნებდა.

– ჰო მაგრამ, მან ჩვენ წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღძრა. – მიუგო მას „დესტაპესის“ რედაქტორმა. – უწყება უკვე მივიღეთ.

– დანარჩენი მე მომანდე. – უთხრა დოქტორმა. – შეგიძლია ეგ

უწყება შენს ძალს ამოუსვა ერთ ადგილას. აი, ნახავ, მაგ სასამართლოს რა დღეს დავაყრი.

– თავად დეპუტატ არიეტა სალომონს რა ბედი ეწევა?

– მოსვენებას დაკარგავს. – უთხრა დოქტორმა. – ახლა იმის ნაცვლად, რომ მთავრობას ებრძოლოს, შეეცდება ქვეყნის მამები დაარწმუნოს, რომ არც სექსუალური მოძალადეა და არც მამათმავალი, რომელსაც თავის მძღოლთან აქვს კავშირი. რეტაკიტა, მოდი, ახლა ძაღლებზე ვილაპარაკოთ. ძაღლი გყავს? თუ არ გყავს, შემიძლია ტაქსას ლეკვი გაჩუქო, ჩემმა ძაღლმა ბლომად დაყარა.

– სეფერინო, შენთან სალაპარაკო მაქვს. – უთხრა ხულიეტამ ფოტოგრაფს და ხელკავი გაუყარა. – მინდა სადილად მირაფლორესში, „ლოს სიეტე პესკადოს კაპიტალესში“ დაგპატიჟო. მოლუსკები ხომ გიყვარს?

– მე ყველაფერი მიყვარს. – მიუგო დაბნეულმა სეფერინომ. – ეს ნამდვილად სიურპრიზია, ხულიეტა! ნუთუ მართლა მპატიჟებ? რა ხანია ერთმანეთს ვიცნობთ და ასეთი შემთხვევა არ მახსოვს.

– შენ შებმას ნამდვილად არ ვაპირებ, შენნაირი ტიპები არ მომწონს. – გაიხუმრა რეტაკიტამ. – ძალიან სერიოზული საკითხის შესახებ მინდა დაგელაპარაკო. როცა გაიგებ, გოცებისგან ყბა ჩამოგივარდება. წამოდი, ტაქსი გავაჩეროთ, მე ვიხდი.

– რა ლამაზია მაიამი. – თქვა ენრიკემ და გოცებულმა შეავლო თვალი ცათამბჯენებს. – ბოლოს აქ ათი წლის წინ ვიყავი, მაშინ დიდი ვერაფერი ქალაქი იყო, ახლა კი, ნახე, რა მშვენიერია.

– შამპანურს დაღევ, კიკე? – ჰკითხა მარისამ ქმარს. – ძალიან გემრიელი და ცივია.

– სუფთა ვისკი მირჩევნია, ყინულით. – მიუგო მას ქმარმა, რომელიც ამ დროს ჩაბელას ბინას ათვალიერებდა. სურათებით და სამშვენისებით ოთახი აშკარად დიასახლისის ნატიფ გემოვნებაზე მიუთითებდა, მაგრამ რატომ ექცეოდა მას ასე უხეშად ლუსიანოს ცოლი?

– ესეც ასე, ახლა კი კარგად გამოვთვრეთ, – გაიცინა ჩაბელამ და ჭიქა ასწია. – მოდი, ერთი ღამით მაინც დავივიწყოთ ლიმა!

– გეტყობა, უფულობას არ უჩივი, ხულიეტა. – გაუღიმა სეფერინომ მეგობარს. მართალია, რომ ხუთი კუთხის უბანში აღარ ცხოვრობ და „მირაფლორესში“ გადაბარგდი? ალბათ ხელფასიც მოგემატა. როლანდო გაროს სიკვდილის შემდეგ კი გვეგონა, სამყარო თავზე დაგვექცეოდა და შიმშილით ამოგვძვრებოდა სული.

– მოდი, აქ დაჯექი, საყვარელო. – უთხრა მარისამ ქმარს. – ჩვენთან ამდენი ადგილია, შენ კი ასე შორს ზიხარ.

– ჩვენი ხომ არ გეშინია? – დაცინვით უთხრა ჩაბელამ.

– თქვენთან ყოფნას რა ჯობია. – გაიცინა კიკემ, მერე იმ დივანთან მივიდა, სადაც ქალები ისხდნენ, და მათ შორის ჩაჯდა.

დახურული გალერეიდან ვერცხლისფრად მოლივლივე ზღვა მოჩანდა. წყალი საღამოს მზის სხივებს ირეკლავდა და საოცრად ბრწყინავდა. შორიახლო დინჯად მიცურავდა იალქნიანი ნავი, ირგვლივ საოცარ სიმშვიდეს დაესადგურებინა.

რეტაკიტამ და სეფერინომ ორი ულუფა „სევიჩე დე კორვინა“ და ჩაციებული ლუდი მოითხოვეს. ხულიეტამ შემწვარი ხორციც შეუკვეთა ბრინჯის გარნირით, ფოტოგრაფმა კი „ახი დე გალინა“ მოინდომა, ცხარე სოუსითა და ბრინჯით.

– რა სადღეგრძელო შევსვათ, რეტაკიტა? – ჰკითხა ქალს სეფერინომ ღიმილით და ჭიქა ასწია. ფოტოგრაფს ცნობისმოყვარეობა კლავდა, სანამ გაიგებდა, ასე მოულოდნელად შეფმა რატომ დაპატიჟა სადილად. – განახლებული „დესტაპესის“ და მისი წარმატებების შევსვათ?

– ჟურნალის დამფუძნებლის, როლანდო გაროსი! – თქვა ხულიეტამ და სეფერინოს ჭიქა მიუჭახუნა. – გულწრფელად მითხარი, რა აზრის იყავი გაროზე? მის მიმართ პატივისცემას გრძნობდი, ალფრთოვანებას თუ გულის სიღრმეში შენც სხვებივით გძულდა?

სამივე ფართო, ნახევრად ჩაბნელებულ ტერასაზე გავიდნენ.

– ახლა, როცა ყველანი კარგად შევთვერით, ერთი შეკითხვა უნდა დაგისვა, კიკე, ოღონდ სიმართლე მითხარი, – მიუბრუნდა მარისა ქმარს. – ჩაბელა მოგწონს?

– ეს რა შეკითხვაა, მარისა, გაგიჟდი? – ნაძალადევად გაიცინა ჩაბელამ.

– მითხარი, არასოდეს არ მოგდომებია მისი კოცნა? – არ ეშვებოდა ენრიკეს ცოლი, თვალს არ აშორებდა და ნელ-ნელა გალიზიანება ეტყობოდა. – გულახდილად მიპასუხე, ქალაჩუნა ნუ იქნები.

ვიდრე რეტაკიტას შეკითხვას უპასუხებდა, სეფერინომ „სევიჩე“ დააგემოვნა და კმაყოფილი დარჩა. რესტორანში ხალხმრავლობა არ შეინიშნებოდა და მოწყენილი, ნაცრისფერი დილა იდგა.

– მითხარი, რომელ კაცს არ მოუნდება ჩაბელასავით ლამაზი ქალის კოცნა? – წაიბუტბუტა კიკემ და გაწითლდა. „მარისა მაგარი მთვრალია და ალბათ ამიტომ მეკითხება ამ სისულელეებსო“, გაიფიქრა.

– გმადლობ, კიკე, – მიუგო ჩაბელამ. – მაგრამ ეს საუბარი უკვე აღარ მსიამოვნებს, ამიტომ მაგ შენს ცოლს მოაკეტიე!

– რა თქმა უნდა ულამაზესი ქალია, და ამქვეყნად ყველაზე ვნებიანი ტუჩები აქვს. – თქვა მარისამ, ქმარს ზემოდან გადააწვა, ჩაბელას სახე ხელებში მოიქცია და თავისკენ მიიზიდა. – აი, კიკე, უყურე და შურით გასკდი.

ჩაბელა შეეცადა შეწინააღმდეგებოდა, მაგრამ დიდად არ გამოუღია თავი. ბოლოს ლოყაზე კოცნის ნება დართო.

– შეფი ნამდვილად არ მძულდა, თუმცა ხანდახან ძალიან ცუდად მექცეოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვეული სიგიჟე მოუვლიდა ხოლმე. – თქვა ბოლოს სეფერინო არგუელით. – თუმცა პირველად როლანდო გარომ მომცა საშუალება, ჩემი საყვარელი საქმე მეკეთებინა და პროფესიონალი ფოტორეპორტიორი გავმხდარიყავი. გაბედული ჟურნალისტი იყო, თავისი საქმე კარგად იცოდა და ეს ძალიან მომწონდა. ამას რატომ მეკითხები, რეტაკიტა?

– გამიშვი, გიჟი ხარ, რას აკეთებ? – წამოიყვირა აწითლებულმა და დაბნეულმა ჩაბელამ და მარისას სახე აარიდა. – რას იფიქრებს კიკე?

– არაფერსაც არ იფიქრებს, ხომ ასეა, კიკე? – მარისა ქმარს სახეზე მიეფერა. ენრიკე მას პირდაღებული მიშტერებოდა. – ნუ დაგავიწყდება, რომ ის ორგიების ექსპერტია, თანაც ახლა, ჩვენ რომ გვიყურებს, შურით სკდება. მიდი, კიკე, აკოცე ჩაბელას, ამის უფლებას გაძლევ.

ხულიეტამ სეფერინოს შეკითხვას არ უპასუხა, „სევიჩე“ გასინჯა და კვლავ ჰკითხა:

– მისი სიკვდილი გეწყინა? შეგზარა ამ საშინელმა, ველურმა მკვლელობამ?

კიკემ აღარ იცოდა, რა ექნა. ნუთუ, ამას ცოლი სერიოზულად თუ ეუბნებოდა? ხომ არ მოეჩვენა ეს ყველაფერი? ენრიკეს სახეზე დიმილი შეჰყინვოდა და გრძნობდა, რომ სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

– რა მხდალი ხარ, კიკე. – უთხრა მარისამ. – დარწმუნებული ვარ, სიგიჟემდე გინდა ჩაბელას კოცნა, ეს ჩემთვისაც ბევრჯერ გითქვამს, და ახლა, როცა ამის საშუალება მოგეცა, გამბედაობა აღარ გყოფნის. ჩაბელა, მაშინ შენ აჩვენე მაგალითი და პირველმა აკოცე!

– ამის უფლებას მართლა მაძლევ? – გაიცინა ახლა უკვე თავდაჯერებულმა ჩაბელამ. – მაშინ გავბედავ.

ქალი წამოდგა, კიკეს კალთაში ჩაუჯდა და ტუჩები მიუშვირა. ენრიკემ ცოლს გადახედა და ჩაბელას აკოცა. თავი თითქოს გამოცარიელებოდა, თვალდანუჭული გრძნობდა, როგორ ცდილობდა ლუსიანოს ცოლი ტუჩების მოძრაობით მისთვის პირი გაეღებინებინა. ბოლოს ენრიკე დანებდა და ჩაბელას ვნებიანად აკოცა. საიდანლაც მარისას სიცილი გაისმა.

სეფერინოს ხელი ჰაერში გაუშეშდა, იგი სწორედ „სევიჩეს“ მომდევნო ლუკმის დაგემოვნებას აპირებდა და ჩანგალზე გულდასმით

წამოეგო ხახვი, მწვანე სალათის ფურცლები, და წიწაკა.

– რა თქმა უნდა, ამ მკვლელობამ შემზარა, – ფოტოგრაფს სახე დაუსერიოზულდა. – მაგრამ მითხარი, საიდან მოგდის თავში ასეთი აზრები? დღეს უცნაური მეჩვენები. ამ შეხვედრის ნამდვილ მიზეზს რატომ არ მეუბნები, რეტაკიტა?

– ეს დივანი ძალიან მოუხერხებელია. – ჩაესმა ყურში კიკეს მარისას ხმა და დაინახა, რომ ჩაბელა მონუსხულივით იჯდა და თვალები უბრწყინავდა. მერე მარისამ მეგობარს ხელი ჩაკიდა და საძინებლისკენ წაიყვანა. – შენც წამოდი, საყვარელო. საწოლში უფრო მოხერხებულად ვიგრძნობთ თავს.

კიკე გაქვავებულივით იჯდა. ქუჩიდან შემოჭრილ შუქს ტერასა ოღნავ გაენათებინა. ეს ყველაფერი მართლა მოხდა თუ მოეჩვენა? მარისამ და ჩაბელამ ერთმანეთს ტუჩებში აკოცეს? ლუსიანოს ცოლი მის მუხლებზე იჯდა და ისინი ერთმანეთს კოცნიდნენ? ვნებამ კიკეს თავიდან ფეხებამდე დაუარა და შეაკრთო, მაგრამ იმ წუთს განსაკუთრებული სურვილი არ გასჩენია, ქალებს საძინებელში გაჰყოლოდა.

ხულიეტა იძულებული გახდა ლაპარაკი ჩურჩულით გაეგრძელებინა, რადგან გვერდით მაგიდას მოდურად ჩაცმული, ახალგაზრდა მიუჯდა. ისინი მენიუს ათვალეირებდნენ და სიყვარულით შესცქეროდნენ ერთმანეთს.

– კარგი, გეტყვი, რადგან ეს ამბავი გულზე უზარმაზარი ლოდით მაწევს. წყეულიმც იყოს ის დღე, როცა ორიოდე პესოს გამო იმ ფოტოების გადაღებაზე დათანხმდი. სწორედ მას შემდეგ დაიწყო ყველაფერი. ეგ ფოტოები რომ არა, როლანდ ახლა ცოცხალი იქნებოდა და ჩვენ შორის ეს საუბარიც არ შედგებოდა, რა თქმა უნდა, არც სადილად დაგპატიჟებდი და არც იმას გეტყოდი, რის თქმასაც ახლა ვაპირებ.

კიკე დივანს ორივე ხელით დაეყრდნო და წამოდგა. შეშინებული,

მაგრამ იმავდროულად ძალიან ბედნიერი იყო. განა ამაზე ყოველთვის არ ოცნებობდა?! მაგრამ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ეს ოცნება ოდესმე აუხდებოდა. ახლა სიბნელეში, ფეხის წვერებზე, საძინებლისკენ ისე მიიპარებოდა, თითქოს თავისი მოულოდნელი გამოჩენით ვინმეს გაოცება სურსო. ოთახში მხოლოდ ღამის ღამპა ენთო.

საძინებლის კარიდან ენრიკემ მარისა და ჩაბელა დაინახა. ისინი შიშვლები, ფეხებგადაჭდობილები იწვნენ ლოგინზე, ერთმანეთს კოცნიდნენ და ეალერსებოდნენ. „ქერა და შავგვრემანი“, – გაიფიქრა კიკემ. „ნეტა, რომელი უფრო ღამაზია?“ ღამის ღამპის სუსტ სინათლეზე ქალების სხეულები საოცრად ბრწყინავდა და ჩანდა, ისინი მთელი არსებით შთაენთქა ვნებას, რადგან კიკეს არსებობა საერთოდ დავიწყებოდათ. ენრიკემ ხელები უნებლიედ აამოძრავა და ჯერ შარვალი, მერე კი ფეხსაცმელი და წინდები გაიხადა.

– საკმარისია, რეტაკიტა. ამით კიდევ უფრო საგონებელში მაგდებ. – ფოტოგრაფი ლაპარაკობდა და თან ისე სწრაფად ჭამდა, თითქოს ვინმე მისთვის „სევიჩეს“ წართმევას აპირებდა. – განაგრძე, მაპატიე, რომ გაგაწყვეტინე.

დედიშობილა კიკე ფეხისწვერებზე საწოლს მიუახლოვდა და მის კიდებზე ჩამოჯდა, მაგრამ ქალებს არ შეხებია.

– ძალიან ღამაზები ხართ, ასეთი სიღამაზე არასდროს მინახავს. – წაიბუტბუტა ენრიკემ ისე, თითქოს ვერ აცნობიერებდა, რომ ლაპარაკობდა. – მადლობელი ვარ, ეს სიამოვნება რომ მომანიჭეთ, ახლა ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ.

კიკეს ფალოსი გამკვრივებოდა, მაგრამ იმის გაფიქრებამ, რომ მოძალებული სურვილის გამო შეიძლებოდა დროზე ადრე განეცადა ორგაზმი, ცოტა არ იყოს, შეაშინა.

– ის უცხოელი, ფოტოების გადაღება რომ შეგიკვეთა, შესაძლოა, განგსტერიც იყოს. – უთხრა რეტაკიტამ და თან ზიზლი ველარ ღამა-

ლა, როცა დაინახა, რა ხარბად ჭამდა სეფერინო. ფოტოგრაფი ხმაურით დეჭავდა, პირს აწკლაპუნებდა და ნამცეცებს სუფრაზე ყრიდა. – რაკი ის ტიპი ასე მოულოდნელად გაუჩინარდა, ალბათ გასაქცევად ჰქონდა საქმე. როგორც ჩანს, თანამზრახველები ან მტრები მოკვლით ემუქრებოდნენ. ფოტოები კი იმ მილიონერის დასაშანტაჟებლად სჭირდებოდა.

მარისამ ენრიკეს გახედა, მაგრამ ხმა არ გაუცია. ახლა იგი მხოლოდ ჩაბელას ელაპარაკებოდა ჩურჩულით. „ნება მომეცი, გასიამოვნო“, – უთხრა და მეგობრის ფეხებშუა ჩარგო სახე. ჩაბელა ზურგზე იწვა, ცალი მკლავი თვალებზე დაეფარებინა, სიამოვნებისგან ოხრავდა და ხვნეშოდა. კიკე ნელა შეწვა ლოგინში.

– ეს ყველაფერი მესმის, რეტაკიტა. – სიტყვა გააწყვეტინა ქალს სეფერინომ. – აბა, რა გგონია, კოსუტმა იმიტომ გადამაღებინა ეს ფოტოები, რომ მათი თვალიერებით დამტკვარიყო?!

– ძალიან შევცდი, როცა გითხარი, ფოტოებთან დაკავშირებით რჩევა როლანდოს ჰკითხე-მეთქი, სეფერინო. – აღიარა შეწუხებულმა რეტაკიტამ. – ყველაფერი ჩემი ბრალია, რადგან ჩემდა უნებურად მე ავამოქმედე ის მექანიზმი, რომელმაც ჩვენი შეფი იმსხვერპლა.

კიკემ ჩაბელას თვალებიდან მკლავი ააცალა, სიმორცხვე დასძლია და ვნებით აკოცა ტუჩებში, თან ხელებით მკერდზე ეალერსებოდა. მერე მარისას თმას დაუწყო მოფერება და იგრძნო, რომ ასეთი ბედნიერი არასოდეს ყოფილა.

სეფერინომ „სევიჩე“ ბოლომდე შეჭამა და ქალაქის ხელსახოცით პირი მოიწმინდა. მეზობელ მაგიდასთან მჯდომ წყვილს სადილი უკვე შეეკვეთა და ახლა ვაჟი გოგონას თითებს უკოცნიდა და შეყვარებული თვალებით მისჩერებოდა.

– მაგით რისი თქმა გინდა, რეტაკიტა? – ჰკითხა სეფერინომ.

– როლანდო გარო დოქტორზე მუშაობდა. შენი ფოტოები მას მიუტანა და რჩევა ჰკითხა. – აუხსნა რეტაკიტამ.

– რა თქვი, დოქტორზე მუშაობდაო? – იკითხა გაოცებულმა ფოტოგრაფმა. – ამის შესახებ გაგონილი კი მქონდა, მაგრამ არ მჯეროდა. ნუთუ ეს მართალია?

– ჰო, სწორედ ისე მუშაობდა, როგორც ახლა მე, შენ და მთელი ჩვენი რედაქცია ვმუშაობთ. – მშვიდად უთხრა რედაქციამ. – ამერიიდან გეცოდინება, რომ დიდი სიფრთხილე გვმართებს. ალბათ იმასაც ხვდები, დოქტორი რომ არა, ამხელა ხელფასებს ვერასოდეს ველირსებოდით და ჟურნალიც არ დაიბეჭდებოდა. ამიტომ აჯობებს, სისულელეებს თუ არ ჩავიდნთ და საქმეს სერიოზულად მოვეკიდებით, სეფერინო.

კიკე მიხვდა, რომ სურვილს ვეღარ უმკლავდებოდა და სირცხვილს გრძნობდა იმის გამო, რომ ჩაბელაში შეღწევას ვეღარ მოასწრებდა. მერე თვალები დახუჭა, ცალი ხელი ქალს წელზე მოჭხვია, მეორეთი ძუძუზე მოეალერსა და საოცარი ნეტარება იგრძნო. ამ დროს ზურგზე მარისას სხეული შეეხო. ცოლმა ტუჩები სახესთან მიუტანა, ყურის ბიბილოზე უკბინა და ჩასჩურჩულა. „კიკე, ხომ აიხდინე ოცნება და გვნახე მე და ჩაბელა როგორ ვეალერსებით ერთმანეთს?“. თვალდახუჭულმა ენრიკემ მარისას ტუჩები მოძებნა, აკოცა და უთხრა: „მადლობელი ვარ შენი, ჩემო საყვარელო, მიყვარხარ“. ამ დროს ჩაბელას სიცილი გაისმა. „რა უცნაური სიყვარულის სცენაა! იქნებ ოთახიდან გავიდე და მარტო დაგტოვოთ, გვრიტებო?“ – „არა, დარჩი“, – წაჩურჩულა კიკემ. „თავს ვეღარ მოვერიე და დროზე აღრე გავათავე, მაგრამ არ წახვიდე, ცოტა ხანს დამაცადე, რომ მოგესიყვარულო“. – მარისამ გაიცინა. – „აბა, რას გეუბნებოდი, ნამდვილი მარია-მეთეი. – ჩაბელა, მიდი, ახლა შენ მიეფერე, მე უკვე მოვიქანცე“. – „ნუ დელავ, მარისა, ამ ჩიტის ხელახლა აჭიკჭიკებას ჩემს თავზე ვიღებ“. – დაამშვიდა ჩაბელამ მეგობარი.

რედაქცია იძულებული გახდა, გაჩუმებულიყო, რადგან მათ მაგიდას მიმტანი მიუახლოვდა და დაინტერესდა, რატომ არ მიირთავა სენიორამ „სევიჩე“. ხულიეტამ მიუგო, რომ არ შიოდა და აღარაფერს

შეუკვეთავდა.

– დოქტორმა როლანდოს მილიონერის ფოტოების გამოქვეყნება და მით უმეტეს ამით კარდენასის დაშანტაჟება აუკრძალა. ახლა ამის მიზეზი არ მკითხო, სეფერინო! იმედია, შენც ხვდები, რომ დოქტორს ამით გავლენიანი ადამიანების გადამტყერება არ სურდა, რადგან ამ ხალხს დიდი ზიანის მიყენება შეეძლო მისთვის. ან კი, ვინ იცის, იქნებ თავად უნდოდა მათთვის ფული დაეცინცლა?! როლანდომ კი სიგიჟე ჩაიდინა, ფოტოებით მეწარმე დააშანტაჟა და სანაცვლოდ ჟურნალის დაფინანსება მოსთხოვა. ჩვენი შეფი ყოველთვის ოცნებობდა, რომ „დესტაპესი“ პერუში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, დამოუკიდებელი ჟურნალი ყოფილიყო, დოქტორის მარწუხებიდან თავი დაეღწია და ფუნიმორის რეჟიმის დამცველად აღარ გამოსულიყო.

რამდენიმე წუთი კიკე ზურგზე იწვა და ეჭვი ღრღნიდა, რომ ველარაფერს შეძლებდა, მაგრამ მალე სასიამოვნო ღიტიანი შეიგრძნო და პენისი ნელ-ნელა გაუმკვრივდა. მერე ორივე ხელი ჩაავლო ჩაბელას წელში, ზედ დაისვა და მასში შეაღწია. ნეტარების მწვერვალზე მყოფი ენრიკე ახლა იმაზე ფიქრობდა, რომ გასული თვეების უსიამოვნო მოვლენები ნამდვილად ღირდა იმ სიამოვნების განსაცდელად, რომელიც მან მარისას და ლუსიანოს ცოლის წყალობით იგრძნო. მისთვის წარსულში დარჩენილიყო შანტაჟი, შიში, ციხე, დამამცირებელი დაკითხვები, მოსამართლეებში და ადვოკატებში დახარჯული ფული, რადგან იმ წუთში ძალიან ბედნიერი იყო.

– ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ვხვდები, რომ კიდევ რაღაცის თქმა გინდა. – უთხრა სეფერინომ რეტაკიტას და ნერწყვი გადაყლაპა. – შენსავით ძლიერი რომ ვიყო, ასე არ შემეშინდებოდა! მე კი ერთი მხდალი კაცი ვარ, მაგრამ არ მრცხვენია ამის, რადგან არც გმირობის ჩადენას და არც მოწამებრივ სიკვდილს არ ვაპირებ. მხოლოდ ის მინდა, ჩემი ცოლ-შვილის გვერდით, ბუნებრივი სიკვდილით მოვ-

კვდე. ჰო, არ მინდა დროზე ადრე გამომასალმონ სიცოცხლეს! ამიტომ ვერ ვხვდები, რა ჯანდაბად მიყვები ამ ამბებს. გინდა, მაგ საშინელებაში მეც გამხვიო? ვფიქრობდი, ცოტა დავმშვიდდი-მეთქი, შენ კი ისევ კედელთან მიმაყენე. რა გინდა ჩემგან, რეტაკიტა?

– ჯერ ეგ შენი „ახი დე გალინა“ ჭამე და ლუდი და– ლიე, სეფერინო– უთხრა მისი სიტყვებით გულმომბალმა რეტაკიტამ და ფოტოგრაფს თანაგრძნობითა და სინაზით მიაჩერდა. – ის, რაც გითხარი, არაფერია იმასთან შედარებით, რის თქმასაც ახლა ვაპირებ!

– ნუთუ ვერ ხედავ, რომ შიშისგან მადა დავკარგე და აღარც ლუდი მინდა?

– კარგი, მადა მეც დამეკარგა, მაგრამ უნდა დავილაპრაკოთ, სეფერინო. უფრო სწორად, მე ვილაპარაკებ, შენ კი მომისმინე, ხმა არ ამოიღო და შეკითხვები არ დამის– ვა! მერე კი, თუ გინდა, ეგ ლუდის ბოთლი ჩამცხე თავში ან პოლიციაში წადი, მაგრამ დამაცადე, ჩემი სათქმელი გითხრა! ყურადღებით მომისმინე და შეეცადე სწორად გაიგო, რასაც გეტყვი.

– კარგი, გასაგებია. – ბურტყუნით დაეთანხმა ფოტოგრაფი.

– საყვარელო, ახლა სირცხვილით თავი სად უნდა გამოყო მას შემდეგ, რაც ჩემი საუკეთესო მეგობარი იხმარე და თანაც ჩემი თანდასწრებით?

– ეს ხომ შენი ნებართვით გავაკეთე? – მიუგო კიკემ. – ახლა უფრო მეტად მიყვარხარ და მადლობას გიხდი ამ შესანიშნავი წუთებისთვის, მარისა.

– უმადურო, გინდა თქვა, რომ მე ამაში წვლილი არ მიმიძღვის? – სიცილით უთხრა მას ჩაბელამ.

– მაგას ნუ ამბობ, ჩაბელა! – სწრაფად მიუგო კიკემ. – რა თქმა უნდა, შენიც უზომოდ მადლობელი ვარ. თქვენ ხომ ჩემი ცხოვრების ოცნება ამიხდინეთ. ამას წლებია ვნატრობ, მაგრამ არ მეგონა, ეს ნატვრა თუ ოდესმე ამისრულდებოდა!

– ახლა ცოტა ხანს დავიძინოთ და ძალები აღვიდგინოთ. – თქვა

მარისამ. – ხვალ კი მაიამიში ყოფნით ბოლომდე დავტკბეთ!

– ამ ბატონის წყალობით მთელი ლოგინი დასვრილია. გინდათ თეთრეულს გამოვცვლი?

– მაგაზე ნუ შეწუხდები, ჩაბელა. პირადად მე ეგ არ მაწუხებს, თანაც მალე გაშრება.

– არასოდეს მითქვამს შენთვის, გარყვნილი ქმარი რომ მყავს, ჩაბელა? – გაიცინა მარისამ.

– აბა, როგორ მოიარეთ მაიამი? – ჰკითხა ლუსიანომ, რომელიც აეროპორტში მათ დასახვედრად მივიდა. – ხომ კარგად გაერთეთ? რა იყიდეთ? „ვერსალში“ ის კერძი მიირთვით?

– პალმებიანი ჭრელი ჰალსტუხი ჩამოგიტანე, ძმაო. – უთხრა კიკემ მეგობარს.

ხულიეტა ლეგისამონმა ლაპარაკი ჩუმად დაიწყო, რადგან შიშობდა, გვერდით მაგიდასთან მჯდომ წყვილს არ გაეგონა რამე, მერე კი ხმას აუწია, რაკი დარწმუნდა, რომ ქალ-ვაჟი ერთმანეთის ალერსით იყო გართული და მათ არსებობას ვერც კი ამჩნევდა.

რეტაკიტა ცდილობდა დამაჯერებლად ელაპარაკა და თავისი უზარმაზარი, ცივი თვალებით სეფერინოს ისე დაჟინებით მისჩერებოდა, თითქოს მის მოჯადოებას ცდილობსო. ფერდაკარგულ და გაოცებულ ფოტოგრაფს თვალები დაეჭყიტა და ხან გაოცებით და შიშით, ხანაც უიმედოდ შეჰყურებდა ხულიეტას. საბრალო დროდადრო რაღაცის სათქმელად პირს აღებდა, მაგრამ ვერაფერს ამბობდა, რადგან ახსენდებოდა, რომ პირობის თანახმად, რეტაკიტას სიტყვას ვერ გააწყვეტინებდა. ნეტავ, რამდენ ხანს ლაპარაკობდა ხულიეტა? როგორც ჩანს, დიდხანს, რადგან თითქმის ცარიელი რესტორანი ჯერ გაივსო კლიენტებით, კრეოლური ზღვის პროდუქტების დასაგემოვნებლად რომ მოსულიყვნენ, მერე კი ყველა გაიკრიფა და იქაურობა ისევ დაცარიელდა. მიმტანმა გაოცებით დახედა რეტაკიტას და სეფერინოს ხელუხლებელ ულუფებს და დაინტერესდა, მომსახურებით უკმაყოფილოები ხომ არ იყვნენ. მერე სტუმრებს ჩარობი და

ყავა შესთავაზა და როცა უარი მიიღო, იქაურობას გაეცალა.

ხულიეტა ლეგისამონმა ლაპარაკი დაამთავრა, ანგარიში მოითხოვა და სეფერინოს შეკითხვების დასმის ნება დართო. ფოტოგრაფმა თავი ჩაქინდრა და ქალს უთხრა, საშინლად დავიღალე, ფეხები მარათონის მონაწილესავით მიკანკალებს და სადაცაა, ალბათ, გონებას დავკარგავ, ამიტომ შეკითხვებს მოგვიანებით, ან სულაც ხვალ დაგისვამ, როცა შენს ნათქვამს კარგად გავაანალიზებ და ამ ჩემს აფორიაქებულ ტვინს ცოტათი მაინც დავიმშვიდებო. რეტაკიტამ ფული გადაიხადა, მერე ტაქსი გააჩერეს და „დესტაპესის“ რედაქციაში დაბრუნდნენ. ახლა ორივემ მშვენივრად იცოდა, რომ იმ წუთიდან მათი ცხოვრება შეიცვლებოდა და უწინდელივით ველარასოდეს იქნებოდა.

21. „დესტაპესის“ სპეციალური გამოცემა

პოლიტიკურ-პრიმინალური აღვირახსნილობა

ჩვენი ყოველკვირეული ჟურნალი ამიერიდან უარს სიცრუისა და ჭორების გავრცელებაზე. დღეიდან გამოცემის მთავარი თემები პოლიტიკა და კრიმინალური ქრონიკა იქნება, პირუთვნელად გამოვიტანთ დღის სინათლეზე სრულ სიმართლეს და აღვწერთ იმ ბოროტ-მოქმედებას, რომლის მსხვერპლიც გახდა ჟურნალის დამფუძნებელი, შესანიშნავი რედაქტორი როლანდო გარო.

მოწინავე სტატია

ვიცი, რა საფრთხეც გველის, მაგრამ,

ჩვენი დირექტორის,

ხულიეტა ლეგისამონის გამო, უკან არ ვიხევთ.

ვაცნობიერებთ, რომ შესაძლოა ეს ჩვენი საყვარელი ჟურნალის ბოლო ნომერი იყოს. გააზრებული გვაქვს მოსალოდნელი საფრთხეც, როცა „დესტაპესის“ სპეციალურ ნომერს ვაქვეყნებთ. ჩვენს

ჟურნალში მკვლელად და პრესის სახელის შემრყვნელად საჯაროდ ვაცხადებთ ადამიანს, რომელმაც ქვეყანაში უდიდესი ძალაუფლება იგდო ხელთ, გააბატონა კორუფცია და უმძიმესი ზიანი მიაყენა ჩვენს საყვარელ სამშობლოს – პერუს. ეს ადამიანი სახელმწიფო დაზვერვის უფროსია, რომელიც თავის მომხრეებსა თუ მოწინააღმდეგებს შორის, „დოქტორის“ მეტსახელითაა ცნობილი.

კარგად ვიცით, რომ ამის გამო შეუძლიათ მე, ხულიეტა ლევისამონი სიცოცხლეს გამომასალმონ, ისევე როგორც მოკლეს „დესტაპესის“ დამფუძნებელი, ცნობილი ჟურნალისტი როლანდო გარო. მეც და რედაქციის ყველა თანამშრომელსაც გვესმის, რაც გვემუქრება: ჩვენ დავკარგავთ სამსახურს და შესაძლოა ჩვენს ოჯახებთან ერთად ამ საქმეს მსხვერპლად შევუწიროთ. დოქტორი და მისი თანამოაზრე პრეზიდენტი ფუხიმორი ამის გამო ალბათ მხეცურად იძიებენ ჩვენზე შურს! – დიახ, ეს ყველაფერი მშვენივრად ვიცით, მაგრამ მაინც მტკიცედ გადაწყვიტეთ „დესტაპესის“ ამ ნომრის გამოქვეყნება. როლანდო გაროს მკვლელობა, ღმერთმა უწყის, მერამდენე შემთხვევაა, როცა ხელისუფლება ასეთი მხეცური ანგარიშსწორებით ემუქრება ჩვენს თავისუფლებას, და ყველაზე სასტიკ ძალადობას სჩადის. ამ ქვეყანაში გარო ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ჟურნალის დამფუძნებელი იყო, მაგრამ მისი ნიჭის, სიმამაცისა და ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო, ამ ადამიანს დაუძინებელი მტრებიც კი პატივისცემით მოიხსენიებენ და მის პროფესიონალიზმს აღიარებენ.

რატომ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება?

რატომ მივდივართ ასეთ რისკზე?

ამის მთავარი მიზეზი თავისუფლების სურვილია, რომელსაც ხელისუფლება ჩვენი უმოქმედობისა და მორჩილების წყალობით, სულ ადვილად ჩაგვიხშობს. მას უამრავი უკანონობისა და ბოროტმოქმედების ჩადენა შეუძლია, რითიც უკვე საკმაოდ მოწამლა ჩვენი ქვეყ-

ნის უახლესი ისტორია. დიახ, ამ რისკზე სიმართლისა და სამართლიანობის სახელით მივდივართ. ნებისმიერი ჟურნალისტი მზად უნდა იყოს ამ საქმისთვის მსხვერპლი გაილოს და მას სიცოცხლეც კი შესწიროს. ჩვენ ვხედავთ, როგორ აყალბებენ როლანდო გაროს მკვლელობის საქმეს, საკუთარ სამართლიანობას კი იმ გროტესკული ფაქტით გვიმტკიცებენ, თითქოსდა მისი მკვლელი მხატვრული კითხვის ოსტატი, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული, მოხუცი ხუან პეინეტა იყოს. დიახ, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს მათი სულმდაბლური ქმედებები, წინააღმდეგ შემთხვევაში პერუ კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლობა უსამართლობის ჭაობში, რომელშიც ახლა ავტორიტარული და ბოროტმოქმედი რეჟიმის წყალობით იმყოფება.

ამ რისკზე სწორედ იმიტომ მივდივართ, რომ ვამხილოთ ეს სასტიკი რეალობა და წინ აღვუდგეთ ბოროტებას, რომელიც ჩვენი ქვეყანა, დოქტორისა და მისი თანამზრახველის, პრეზიდენტი ფუხიმორის წყალობით, ამერიკის კონტინენტზე ბანანის რესპუბლიკად აქცია.

Alea jacta est! კამათელი გაგორებულია!

*ჟურნალის მთავარი რედაქტორი
ხულიეტა ლეგისამონი*

ისტორიის დასაწყისი
გარყვნილი უცხოელი, მიზანში
ამოღებული მილიონერი
და ჩოსიკაში გამართული ორგია
(ჩვენი მამაცი ფოტორეპორტიორის,
სეფერინო არგუელიოს აღიარება)

ესტრელიტა სანტიბანიესი

ჟურნალისტი როლანდო გაროს მკვლელობა ფუხიმორის რეჟიმის

ყველაზე ძლიერამოსილმა და გავლენიანმა ადამიანმა დაუკვეთა, რომელსაც ხალხი „დოქტორის“ მეტსახელით იცნობს. ეს ამბავი ორი წლის წინ, იმ დროს დაიწყო, როცა იდუმალი უცხოელი, ვინმე კოსუტი (სახელი, რა თქმა უნდა, ყალბია) პერუში ჩამოვიდა. საიმიგრაციო სამსახურში მისი ჩამოსვლის შესახებ არანაირი ცნობა არ არსებობს, რაც აღრმავებს ეჭვს, რომ საქმე განგსტერს ან საერთაშორისო მაფიის ერთ-ერთ წევრს ეხება. ამ უცხოელმა „დესტაპესის“ ფოტოგრაფს, სეფერინო არგუელიოს ჩოსიკაში, რომელიღაც საზოგადოებრივ თავყრილობაზე დამსწრე ადამიანების ფოტოების გადაღება დაავალა.

„იმ კაცმა საშინლად მომატყუა. დასაწყისში საქმიან და პატივსაცემ ადამიანად მომაჩვენა თავი, მაგრამ ბოლოს ცრუპენტელა და აფერისტი აღმოჩნდა. ამასთან გამორიცხული არ არის, საერთაშორისო კრიმინალური დაჯგუფების ერთ-ერთი აგენტიც ყოფილიყო“.

– გვითხრა ფოტოგრაფმა სეფერინომ. – „მან მთხოვა, ჩოსიკაში, რომელიღაც ბანკეტზე ფოტოები გადამეღო, და მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს მეძავების მონაწილეობით გამართული ორგანიზაცია იყო“.

რამდენი მეძავი მონაწილეობდა ორგიაში, სეფერინო?

როგორც მახსოვს, ოთხნი ან ხუთნი უნდა ყოფილიყვნენ. ჩემი სამალავიდან, საიდანაც ფოტოებს ვიღებდი, ისინი ფრაგმენტულად ჩანდნენ, მაგრამ ჩემს ფოტოაპარატს კარგი პროექცია აქვს და ყველაფერს ზუსტად აღბეჭდავდა.

შეგიძლია ის ორგია აღგვიწერო, სეფერინო?

კარგი, შევეცდები! თავიდან ყველა დამსწრე გაშიშვლდა და სექსუალური აქტის ინსცენირებას დაუფარავად შეუდგა. ამას ისინი ხან ნორმალურად, ხან კი გარყვნილი პოზებით სჩადიოდნენ, რასაც ფოტოები ადასტურებს.

სეფერინო, ამით იმის თქმა გინდა, რომ ყველა: მეძავი, იდუმალი

უცნობი და ენრიკე კარდენასიც გაშიშვლდნენ და ველურებივით ერთად ჩაერთვნენ გარყვნილებაში?

თუ გარყვნილებაში მხოლოდ სექსს გულისხმობთ, ეს ასე არ იყო. იქ სხვა ქმედებებიც ვიხილეთ. თუ ნებას დამრთავთ, აქ არქაულ და მივიწყებულ სიტყვას „სოდომიზმს“ გამოვიყენებ, რადგან კოსუტმა სწორედ ამ გარყვნილებით მოინდომა თავის გამოჩენა. მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ეს ვერ გამოუვიდა, რადგან ქალი აკივლდა და წინააღმდეგ გობა გაუწია. შეშინებულმა უცხოელმა კი, რა თქმა უნდა, უკან დაიხია. ხმები არ მესმოდა, მაგრამ ეს კადრები ფოტოებზეა აღბეჭდილი.

როგორ იქცეოდა ენრიკე კარდენასი ორგის დაწყებისას?

როგორც ჩანს, მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა ეს ყველაფერი, მასაც ეგონა, რომ ბანკეტზე იყო დაპატიჟებული. თუმცა ბოლოს ვერც მან გაუძლო ცდუნებას და ორგიაში ჩაება. მერე ძალიან ცუდად გახდა, რაც ალბათ ზედმეტი ალკოჰოლისა და ნარკოტიკის ბრალი იყო, რომლებსაც ის უცხოელი სთავაზობდა. კარდენასს ეტყობოდა, რომ ასეთი რამეების მოხმარებას მიჩვეული არ იყო, ამიტომ ლიმაში იგი კოსუტის მძლოლმა წაიყვანა. ასეთ მდგომარეობაში ინჟინერი საკუთარი მანქანის მართვას ნამდვილად ვერ შეძლებდა.

ორგის ამბებს თუ გამოვრიცხავთ, კიდევ რატომ შეიძლება ბატონ კოსუტს აფერისტი უწოდოთ?

– მაგ კაცმა შეპირებული ხუთასი დოლარი არ გადამიხადა, და, იმ დღის შემდეგ თვალით აღარ მინახავს. სასტუმრო „შერატონში“, სადაც ცხოვრობდა, მითხრეს, ნომერი ჩაგვაბარა და მოულოდნელად წავიდაო.

სეფერინო, მოგვიანებით როგორ გამოიყენე ორგის ფოტოები?

გულდაგულ ვინახავდი, იმ იმედით, რომ ის აფერისტი ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდებოდა და ჩემს ფულს გადამიხდიდა.

რატომ უთხარი ორი წლის შემდეგ „დესტაპესის“ მთავარ რედაქტორს, რომ ეს ფოტოები ჰქონდა?

ეს გაჭირვებამ მაიძულა. ცოლი და სამი შვილი მყავს და კრე-ოლურ გამოთქმას თუ გამოვიყენებ, გახვრეტილი სენტავოც არ მე-ბადა. უმცროს შვილს ქუნთრუშა შეხვდა, ავად გამიხდა და სასწრა-ფოდ დამჭირდა ფული. აი, მაშინ ვაჩვენე ფოტოები ჩვენი ჟურნალის რედაქტორს და თან ყველაფერი მოვუყევი. გარომ მითხრა, მოვი-ფიქრებ, რაში შეგვიძლია მათი გამოყენებაო, და თვე-ნახევარში „დესტაპესში“ გამოაქვეყნა. მერე კი ისინი „ჩოსიკას ორგის ფოტო-ების“ სახელით გავრცელდა და ყველას ამდენი უბედურება დაგვა-ტენა თავს. ახლა უკვე ვიცი, რომ როლანდო გარო ასე მხეცურად ინჟინერი ენრიკე კარდენასის სკანდალური ფოტოების გამოქვეყნე-ბის გამო სწორედ დოქტორმა მოაკვლევინა.

(ამ მკვლელობის ისტორიის გაგრძელება ჟურნალის მომდევნო გვერდზე იხილეთ. სტატიის ავტორი ჩვენი ჟურნალის მთავარი რე-დაქტორი, ხულიეტა ლევისამონია. სათაური: „ხელი, რომელიც მკვლელებს უბიძგებს და „ვინ მოკლა დესტაპესის“ მთავარი რედაქ-ტორი“).

ჟურნალისტის მკვლელობა და
თავისუფალი სიტყვის დევნა პერუში

*ხულიეტა ლევისამონი,
„დესტაპესის“ რედაქტორი*

ზოგჯერ სიმართლე ისე გვტკენს გულს, რომ ვნატრობთ ხოლმე, ის ტყუილი აღმოჩნდეს. მიუხედავად ამისა, მუშტებშემართული და კრიჭაშეკრული მაინც მტკივნეული და სასტიკი სიმართლის თქმას ვამჯობინებ.

„დესტაპესის“ რედაქციაში არავინ იცოდა, რომ ჩემი მეგობარი, მასწავლებელი და ჟურნალის დამფუძნებელი როლანდო გარო დოქ-

ტორსა და მის დაზვერვაზე მუშაობდა. ამის გამო, ჩვენ მიერ დასაბეჭდად მომზადებული მასალის დამკვეთიც და დამსათაურებელიც ხშირად თურმე დაზვერვის შეფი იყო. ცხადია, ეს მასალა ობიექტური ვერ იქნებოდა, რადგან დოქტორი ამასთან დაკავშირებით პირადად აძლევდა როლანდოს მითითებებს. ეს ფაქტები იმ საიდუმლო ჩანაწერების საშუალებით დასტურდება, რომ ლეზიც უკვე გადავეცით სასამართლოს და პროკურატურას.

რატომ დათანხმდნენ როლანდო გარო და მისი კოლეგები ფუნიმორის ძლევაშემოსილი რეჟიმის სისხლიანი ხელიდან მიეღოთ ხელფასი? ამის ერთადერთი, უტყუარი და აშკარა, თუმცა მტკივნეული მიზეზი თვითგადარჩენა იყო, რაც შეუძლებელი იქნებოდა რეჟიმის ეკონომიკური დახმარების გარეშე. იმისათვის, რომ „დესტაპესს“ არსებობა გაეგრძელებინა და ჟურნალისტური და სამოქალაქო მისია შეესრულებინა, როლანდო იძულებული იყო ამ ბოროტი და ძლევაშემოსილი კაცის მოკავშირე გამხდარიყო და არასოდეს გასჩენია ეჭვი, რომ იმ თავდადების გამო, რომლითაც იგი ჟურნალის გადარჩენას ცდილობდა, თავად განდებოდა მსხვერპლი.

ყველაფერი კი იმ წუთიდან დაიწყო, როცა ჩვენმა კოლეგამ, ფოტორეპორტიორმა სეფერინო არგუელიომ ჩოსიკაში გადაღებული ფოტოები მაჩვენა. ბუნებრივია, ვურჩიე ისინი ჩვენს შეფთან მიეტანა და მისთვის აფერისტ კოსუტზეც ყველაფერი მოეყოლა. სეფერინო ასეც მოიქცა, ჩვენ კი მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვეთ (ეს ასევე აღნიშნულია იმ ფარულ ჩანაწერებში, რომლებიც სამართალდამცავებს გადავეცით), რომ გარომ ფოტოები დაუყონებლივ დოქტორს აჩვენა და რჩევა ჰკითხა. დაზვერვის სამსახურის უფროსმა თურმე როლანდო კატეგორიულად გააფრთხილა, ფოტოები არსად გამოეჩინა და არ დაეშანტაჟებინა ინჟინერი ენრიკე კარდენასი, რომელიც იმ ორგანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი გახლდათ. ამის შესახებ მოგვიანებით პირადად დოქტორისგან შევიტყვე. მან აღიარა, რომ როლანდოს ფოტოების გამოყენება აუკრძალა, რადგან ეს პერუში

გავლენიანი და მდიდარი ადამიანების უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მით უფრო, რომ ამჯერად საქმე წესიერ მეწარმეს, ენრიკე კარდენასს ეხებოდა.

როლანდო გარო არ დაემორჩილა დოქტორს და მეწარმე კარდენასის დაშანტაჟება სცადა, ფოტოები აჩვენა და მათ სანაცვლოდ „დესტაპესის“ დაფინანსება სთხოვა. ამით ჟურნალი შეძლებდა გამოცემის ხარისხის გაუმჯობესებას და ინჟინრის პატიოსანი სახელის წყალობით რეიტინგიც გაეზრდებოდა. მაგრამ კარდენასმა როლანდოს ამ წინადადებაზე საკმაოდ უხეშად უთხრა უარი და დაემუქრა კიდევ. შეფმა სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა სკანდალური ფოტოები ჟურნალში დაებეჭდა. ეს იყო მიზეზი, რის გამოც მას დოქტორმა ასეთი საშინელი განაჩენი გამოუტანა.

(ამ საუბრის ფარული ჩანაწერი არსებობს, რადგან დაზვერვის სამსახურის უფროსმა თავად აღიარა ჩემთან ამის შესახებ და თანაც გამაფრთხილა, რომ როლანდოს ბედს გაიზიარებდა ყველა, ვინც მას არ დაემორჩილებოდა)

როლანდო გაროს მკვლევლობის ეს სევდიანი ისტორია გახდა მიზეზი, ჩვენი საჯარო განცხადებებისა, რომლებსაც ჟურნალის გვერდებზე ვათავსებთ. ჩვენ ვადანაშაულებთ სამართალდამცავ ორგანოებს და მკითხველს სწორ ინფორმაციას ვაწვდით. ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ მოსამართლეები სამართლიან განაჩენს გამოუტანენ როლანდო გაროს მკვლელს და იგი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება.

(ჟურნალში ასევე წაიკითხავთ, რა გამბედაობა და სიმამაცე გამოიჩინა ხულიეტა ლეგისამონმა, როდესაც სამხრეთის სანაპიროზე არსებულ საიდუმლო თავშესაფარში ფარულად ჩაიწერა დაზვერვის სამსახურის უფროსის გულახდილი აღიარება. ჩანაწერიდან ჩანს,

რომ დოქტორი ჟურნალისტს, რეჟიმის კრიტიკოსებისა და მოწინააღმდეგეების დისკრედიტაციის მიზნით, მითითებებს აძლევს და მორჩილების საფასურად ჟურნალის მფარველობას სთავაზობს)

ამ ისტორიის მომდევნო ნაწილს ფაქტებით ვერ ვამტკიცებთ, მაგრამ ვცდილობთ ამის შესახებ ჩვენი ვარაუდი და მოსაზრება გამოვთქვათ. ჟურნალის რედაქტორის სასტიკმა მკვლელმა და მისმა თანამზრახველებმა, სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, საკუთარი დანაშაული მხატვრული კითხვის ოსტატს, სკლეროზით დაავადებულ, მოხუც ხუან პეინეტას აჰკიდეს. მას სძულდა როლანდო გარო, რაკი მიაჩნდა, რომ მისი კრიტიკის გამო დაკარგა სამუშაო „ამერიკა ტელევიზიონის“ გადაცემაში „სამი ხუმარა“. პეინეტას აგრესიას და სიძულვილს „დესტაპესის“ ყოფილი შეფის მიმართ დოკუმენტურად ადასტურებს მისი წერილები და სატელეფონო ზარები გაზეთის რედაქციებში, რადიოსა და ტელევიზიებში. ამ ფაქტების გამოყენებით, დოქტორმა ყველა ღონე იხმარა, რათა როლანდო გაროს მკვლელობა ამ საბრალო მოხუცისთვის დაებრალეხინა. აი, ეს არის სიმართლე ჩვენი შეფის მკვლელობის შესახებ.

*„დესტაპესის“ მთავარი რედაქტორი,
ხულიეტა ლეგისამონი*

ფარული ჩანაწერები
(რისკზე წასვლა სიმართლისა და
სამართლიანობის სახელით)

ავტორი ესტრელიტა სანტიბანიესი

ინტერვიუს დაწყებამდე ხულიეტა ლეგისამონს შევახსენე, რომ იგი ჟურნალისტის სტატუსით კი არა, იმ რიგითი მოქალაქის რანგში მოვიწვიე, ვისთვისაც მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე გამოძიება. მან კი მიპასუხა: „რა თქმა უნდა, ესტრელიტა, ახლა კი საქმეს შე-

უდექი და შენი ვალი მოიხადე!“ ამის შემდეგ, მას ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირველი შეკითხვა დაეფუსვი:

როგორ მოიფიქრეთ, ტანსაცმელში ჩამწერი აპარატი დაგემალათ და ცნობილი დოქტორის საუბარი ჩაგეწერათ?

ჩამწერი მოწყობილობა მაშინ დავიმაგრე, ვიდრე დოქტორთან მეორედ მივიდოდი სტუმრად, რადგან პირველი შეხვედრისას, ჩემდა გასაოცრად, შევიტყვე, რომ როლანდო გარო თურმე მასზე მუშაობდა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ კი, „დესტაპესს“ მუშაობა რომ გაეგრძელებინა, ჟურნალის შეფობა მე დამაკისრა. სწორედ იმ დღის შემდეგ გადავწყვიტე, დოქტორთან ყველა შეხვედრა ჩამეწერა.

არ გიფიქრიათ, რომ ასეთი გადაწყვეტილებით საკუთარ თავს საფრთხეში იგდებდით?

ჩამწერი აპარატი უბეში მქონდა დამალული, და თუ აღმომიჩინდნენ, ვიცოდი, რომ მეც როლანდო გაროს ბედს გავიზიარებდი. დოქტორს არასოდეს ვენდობოდი, ამიტომ რისკზე წასვლა გადავწყვიტე, მერე კი პირადად მისგან შევიტყვე ყველაფერი, რის შესახებაც ახლა უკვე მთელმა პერუმ იცის. ჟურნალის თანამშრომლების დახმარებით სასამართლოში სამხილი შევიტანეთ და დაზვერვის შეფს ბრალი წავუყენეთ, რომლის თანახმად, როლანდო გაროს მკვლელობა დოქტორმა იმიტომ შეუკვეთა, რომ ჟურნალისტი მას არ დაემორჩილა და ჩოსიკაში მოწყობილი ორგანის ფოტოები გამოაქვეყნა. ღმერთს მადლობას ვწირავ იმ დღისთვის, როცა დოქტორმა ჩემთან, საკუთარი პირით აღიარა, რომ მან მოკლა ჩემი მეგობარი და მასწავლებელი, „დესტაპესის“ დამფუძნებელი.

როგორ ფიქრობთ, დაზვერვის სამსახურის უფროსი რატომ იყო თქვენთან ასეთი გულახდილი? განა არ იცოდა, რომ ამ მკვლელობის გამო შეგეძლოთ მისთვის ბრალი წაგეყენებინათ? დოქტორი უამრავი სხვა თვისებითაა ცნობილი, მაგრამ მსგავსი დაუფიქრებელი ქმედებები არ სჩვევია!

საკუთარ თავს ეგ მეც ბევრჯერ ვკითხე, ესტრელიტა, და ვფიქრობ, ამას შეიძლება ბევრი მიზეზი ჰქონდეს. რაკი ამიერიდან ჟურნალის მთავარი რედაქტორი მე უნდა ვყოფილიყავი, დოქტორი იძულებული იყო ამ საქმიანობის შესახებ ყველა დეტალი ჩემთვის გაეცნო, თანაც გამაფრთხილა, რომ ლალატის შემთხვევაში არ დამინდობდა. გამორიცხული არ არის, მას ეს მხოლოდ შესაშინებლად ეთქვა, რათა მცოდნოდა, რა მელოდა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში. როლანდოს სიკვდილით კი იმაზე მიმანიშნა, რომ არავის დაინდობდა, ვინც მის ნებას წინ აღუდგებოდა. ხომ ამბობენ, რომ უკანონოდ დაკავებული თანამდებობა ადამიანებს ხშირად აგიჟებსო?!

რა იგრძენით, როცა დოქტორმა გითხრათ, რომ როლანდო გარომან მოაკვლევინა?

ძალიან შემეშინდა, და, ესტრელიტა, მაპატიე ამ გამოთქმისთვის, ლამის ქვეშ გამივიდა. მერე კი, შეიძლება არც დამიჯერო, მაგრამ საოცრად გამიხარდა, რომ როლანდო გაროს ნამდვილი მკვლელი ვიპოვე. მაშინ ყველა წმინდანს შევევედრე, ჩამწერ აპარატს კარგად ემუშავა, რადგან არის შემთხვევები, როცა ჩანაწერი უხარისხო გამოდის. ღმერთმა შეისმინა ჩემი ვედრება და ყველაფერი გამომივიდა.

ჩანაწერის რამდენი ფირი გადაეცით პროკურატურას და გამომძიებელს?

ოცდაჩვიდმეტი. მათ შორის უხარისხობივ იყო, მაგრამ წინასწარ ყველა ჩანაწერის ასლი გადავიღე, იმ შემთხვევისთვის, თუ მას დაკარგავდნენ ან გააქრობდნენ.

როგორ ფიქრობთ, სამართალდამცავებს ეყოფათ გამბედაობა და ჩანაწერებს დოქტორის საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ? არ გეშინიათ, რომ ისინი ჩანაწერებს უკანონოდ სცნობენ ან მკვლელობის მამხილებელ საბუთად არ მიიჩნევენ?

რა თქმა უნდა, არც ეგ არის გამორიცხული. შესაძლოა დოქტორ-

მა ყველა ხერხს მიმართოს და თავი დაიძვრინოს. ამის შესახებ ადვოკატებს უკვე ველაპარაკე. მათ ამიხსნეს, რომ მას არანაირი მორალური და იურიდიული საფუძველი არ გააჩნია, რაიმე ხრიკს მიმართოს ან სამართალდამცავები მოისყიდოს, რადგან ეს საზოგადოებაში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს და მხოლოდ იმის დასტური იქნება, რომ ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს და მოსამართლეებიც, ჟურნალისტების მსგავსად, ქვეყანაში არსებულ რეჟიმს ემსახურებიან.

დოქტორთან რომ მიხვედით, დაცვის თანამშრომლებმა არ გაგჩხრიკეს?

არა, ხელით არ შემხებიან და მხოლოდ შემათვალისწინებენ. დროთა განმავლობაში კი, ამ მხრივ, სრული თავისუფლება ვიგრძენი, თუმცა დოქტორთან შესვლის უფლება იქამდე არ მქონდა, ვიდრე თავად არ დამიძახებდა. ერთი სიტყვით, გადავრჩი!

არ გეშინიათ, რომ ასეთი აურზაურის შემდეგ ავარია მოგიწყონ, მოგწამლონ ან ქუჩაში ვინმემ დანა გაგიყაროთ?

რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით თავდაცვითი ზომები მივიღე, მაგრამ ნუ დაგვაავიწყდება, რომ ამ წუთებიდან ფუზიონური და დოქტორი პერუს ველარ დააჩოქებენ. ოპოზიცია აქტიურად გამოდის, დიქტატურის წინააღმდეგ თითქმის ყოველდღე მიტინგები იმართება, და ფუზიონური მომავალ არჩევნებშიც თუ გაიმარჯვებს, აშკარა იქნება, რომ ხმები გააყალბა. ადამიანთა უფლებების დამცველები მთავრობის სასახლესთან დროშებს რეცხავენ და მართალია ტელემედია უწინდებურად უსუსურობას იჩენს, მაგრამ პრესამ უკვე გაბედა, რეჟიმი ღიად გააკრიტიკა და ფუზიონური და დოქტორი ადამიანების რეპრესიებში, მკვლევლობებსა და ცენზურაში დაადანაშაულა. წინააღმდეგობა დროთა განმავლობაში უფრო გაიზრდება, და დოქტორი აუცილებლად აღმოჩნდება მსჯავრდებულის სკამზე, მერე კი ციხეში. თუმცა იმის საშიშროებაც არსებობს, დაზვერვის უფროსმა ამასობაში საზღვარგარეთ მოასწროს გაქცევა, სადაც მას

და ფუნქციონირის ქვეყნიდან გაზიდული დიდძალი ქონება აქვთ.

როგორ ფიქრობთ, „დესტაპესს“ ეს სკანდალი არ დააზარალებს და დოქტორი მისი სამუდამოდ დახურვის ბრძანებას არ გასცემს?

ვიმედოვნებ, ჟურნალი არსებობას განაგრძობს, საკუთარი ფინანსების მოძიებას შეეცდება და რეჟიმის მესვეურების ნაწყალობევე ფულს აღარ დაელოდება. ამასთან, ყველა ღონეს ვიხმარ ჩემი ერთგული თანამშრომლების დასახმარებლად, რომ როლანდო გაროს მსგავსად მათაც საფრთხე არ დაემუქროთ და იმედი მაქვს, რომ ამაში საზოგადოების სამართლიანობისადმი და თავისუფლებისადმი უსაზღვრო ლტოლვა დამეხმარება.

(ჟურნალში ასევე ნახავთ ფოტოგრაფ სეფერიინო არგუელიოს მიერ გამჟღავნებულ ფოტოებს, რომლებიც ხულიეტა ლევისამონმა ფარული კამერით გადაიღო. სწორედ ეს ფოტოები ამხელენ დაზვერვის სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს).

(ჟურნალის გვერდებზე ასევე წაიკითხავთ ცნობილი ჟურნალისტის, როლანდო გაროს ბიოგრაფიას, დაზვერვის სამსახურის უფროსის კრიმინალური ცხოვრების ამბებს და ცნობებს ქვეყანაში არსებული სამარცხვინო დიქტატურის შესახებ)

(ჟურნალის მოწინავე გვერდებზე ვაქვეყნებთ ჩოსიკაში მოწყობილი ორგის შესახებ შემაჯამებელ დასკვნას და მხატვრული კითხვის ცნობილი ოსტატის ხუან პენეტას სევდიან ამბავს. ეს ადამიანი როლანდო გაროს მკვლელობაში დაადანაშაულეს, აიძულეს თავი დამნაშავედ ეცნო, შემდეგ კი მოხუცებულთა თავმესაფარში უკრეს თავი. საბრალო მოხუცი ამ დრამის უნებლიე მსხვერპლად იქცა და გონებრივად დასნეულებული დღემდე ვერ მიმხვდარა, რატომ დაისაჯა ასე. ბოლოს კი ნახავთ ჩვენი ჟურნალის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს. გამოკითხულთა 30% ფიქრობს, რომ ხუან

პეინეტა შეწყალებული უნდა იქნეს, რადგან ამგვარ ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი მსგავს ბოროტმოქმედებას ნამდვილად ვერ ჩაიდენდა!).

22. HAPPY END?

– თავიდან არ გამომდის იმაზე ფიქრი, რომ ლუსიანომ ყველაფერი იცის, საყვარელო. – თქვა უეცრად კიკემ. მარისა, რომელიც მის გვერდით იწვა და „კარეტასს“ ფურცლავდა, მოულოდნელობისგან შეკრთა.

– არაფერიც არ იცის, კიკე. – მიუგო ცოლმა, ბალიშებზე წამოიწია და მისკენ შეტრიალდა. – ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყე ეგ აკვიატებული აზრი!

შეშფოთებულმა ენრიკემ მარისას შეხედა და ენტონი ბივორის სქელტანიანი წიგნი მეორე მსოფლიო ომის შესახებ ტუმბოზე გადადო.

ბოლოს და ბოლოს ლიმაში ზაფხული დადგა და მზიანი დილა გათენდა. მარიამ კიკე ადრიანად გააღვიძა. გადაწყვიტეს, რომ კვირადღეს „ლა ონდაში“, პლაჟის სახლში გაატარებდნენ, მოგვიანებით კი მეგობრებთან ერთად ისადილებდნენ. მაგრამ საუზმის შემდეგ იქ წასვლა აღარ მოინდომეს და იფიქრეს, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ დილას ლოგინში გაატარებდნენ, რამეს წაიკითხავდნენ ან, უბრალოდ, ისაუბრებდნენ, საღამოს კი კარგ რესტორანში ივანშმებდნენ.

- ლუსიანო ძალიან შეცვლილი მერყენება, მარისა. - არ ცხრებოდა კიკე. - დიდი ხანია ვაკვირდები და ვხედავ, რომ ცდილობს არაფერი შეიმჩნიოს და ჩვეულ ჯენტლმენობას არ დალატობს, მაგრამ აშკარად რაღაც აწუხებს. უკვე ორი თვე იქნება, რაც ერთად აღარ გვისადილია, ადრე კი კვირა არ გავიდოდა, რომ ერთმანეთი არ გვენახა.

- გარწმუნებ, ლუსიანომ ჩვენი ამბავი რომ იცოდეს, სამუდამოდ დაგვკარგავდა, ალბათ შენ ღუელში გამოგიწვევდა და ჩაბელასაც დაუყოვნებლივ გაეყრებოდა. აბა, როგორ წარმოგიდგენია? როცა გაიგებდა, რომ მის ცოლს ჩვენთან სექსი ჰქონდა, მშვიდად გააგრძელებდა მასთან ცხოვრებას?

- საკუთარ სიტყვებზე მარისას უეცრად სიცილი აუტყდა, წამოწითლდა და ქმარს მიეხუტა. კიკემ ცოლს აბრეშუმის საღამურში ხელები შეუცურა და შიშველ სხეულზე მოეაღწერა.

- ჰო, ამით მეც ხშირად ვიმხნევებ ხოლმე თავს. - ყურში უჩურჩულა მარისას კიკემ და ყურის ბიბილოზე ნაზად უკბინა. - ლუსიანოს ხასიათი რომ ვიცი, ამ ამბავს თუ გაიგებდა, ლანძღვა-გინებით ჯერ ჩვენ აგვიკლებდა, მერე კი ჩაბელას გაეყრებოდა და ალბათ შვილებსაც წაართმევდა.

უეცრად კიკემ იგრძნო, რომ ცოლმა მას პენისზე უხეშად წაავლო ხელი და მაგრად მოუჭირა.

- ეი, მტკივა, მარისა.

- თუ გავიგებ, რომ შენ და ჩაბელას ჩემგან მალულად სექსი გქონდათ, გეფიცები, მაგ საოხრეს ლორენა ბობიტივით ძირში წაგაჭრი.

- უთხრა ქმარს უეცრად გაბრაზებულმა მარისამ და ცისფერი თვალები მრისხანებით დაკვესა. - ლორენა ბობიტის ამბავი გახსოვს? ამ ეკვატორელმა ქალმა თავის გრინგო ქმარს პენისი დანით წააჭრა და ამ საქციელით შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ცნობილი ქალი გახდა.

- ნუთუ ამას მართლა ჩაიდენ? - სიცილით ჰკითხა კიკემ ცოლს. -

მაინც როგორ წარმოგიდგენია ჩემი და ჩაბელას სექსი შენ გარეშე? მგონი, გააფრინე, ძვირფასო! ამ ურთიერთობაში ყველაზე მეტად სწორედ ეგ აღმაგზნებს, სამნი რომ ვართ. გიჟური ვნება მიჰყრობს, როცა ვხედავ როგორ ეალერსებით შენ და ჩაბელა ერთმანეთს, მერე კი მეც გიერთდებით.

– ბოლო შეხვედრისას ჩაბელას უფრო ეალერსებოდი, ალგზნებულ მარისა კი საცოდავად მიაგდეთ გვერდით.

კიკე დაიხარა, ცოლს მთელი ტანით მიეკრა და ტუჩებში აკოცა.

– ჩაბელაზე და ჩემზე ეჭვიანობ? – წაიჩურჩულა კმაყოფილმა ენრიკემ და თან შეეცადა მარისასთვის სალამური გაეხადა. – საშინლად აგზნებული ვარ.

ქალმა ქმარი სიცილით მოიშორა. მარისას ქერა თმა გასწეწოდა, ნაზი ყელი კი ლოყების და შუბლის ფონზე უფრო თეთრი მოუჩანდა.

– არ ვიცი, ამას რა დავარქვა, კიკე. – უთხრა მარიამ ქმარს და მიეხუტა. – თქვენს ალერსს რომ ვუყურებ, თავს უცნაურად ვგრძნობ, საშინლად ვიგზნები, ვნება მიჰყრობს, მაგრამ თან რატომღაც ვბრაზდები, როცა შენ და ჩაბელა ერთმანეთს ეალერსებით. შენც იგივე გემართება?

– ჰო, მეც ზუსტად იგივე გემართება. – ენრიკემ ცოლს მხრებზე მოჰხვია ხელი. – თავს მიგდებული ბავშვივით განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობ და ვბრაზდები, როცა შენ და ჩაბელა ერთმანეთს ესიყვარულებით. მას შემდეგ, რაც ეს ურთიერთობა დაიწყო, ჩვენი სექსუალური ცხოვრება უფრო ვნებიანი გახდა, ასე არ არის? შენ როგორ ფიქრობ?

– მართალი ხარ, – დაეთანხმა ცოლი. – მას შემდეგ რაც სამივენი მაიამიში წავედით პირველად, მალე სამი წელი შესრულდება. გახსოვს ის დღე? ეს აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. ამას წინათ სწორედ მაგაზე ვლაპარაკობდით და ჩაბელამ მითხრა, ძალიან მინდა ეს დღე მაიამიში, ჩემს ბინაში გავატაროთ.

– სამი წელიწადი, – გონება დაძაბა ალელვებულმა კიკემ. – ყველაფერი ხომ მას შემდეგ დაიწყო, ძვირფასო! ახლა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ადრინდელზე მეტად მიყვარხარ და დარწმუნებული ვარ, ჩვენს ცოლქმრობას ამიერიდან აღარაფერი ემუქრება. სიგიჟემდე ვარ შეყვარებული ჩემს საოცარ ცოლზე და ვხვდები, როგორ გამიმართლა ცხოვრებაში, მას რომ შევხვდი.

კიკე დაიხარა და მარისას ტუჩებში აკოცა.

– ისე რა საოცრება მოხდა, არა? – თქვა ქალმა. – აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ქვეყანაში ტერორიზმს ოდესმე ბოლო მოეღებოდა, ფუხიმორისა და დოქტორს ციხეში უკრავდნენ თავს და ტერორისტ აბიმაელ გუსმანსაც ზედ მიაყოლებდნენ. ჰო მართლა, მეორე ტიპს რა ერქვა? აღარ მახსოვს.

– ვიქტორ პოლაი, ეგ კაცი MRTA-ს ერთ-ერთი ლიდერი იყო. სწორედ მაგათ გაიტაცეს და მოკლეს საბრალო კაჩიტო. იმედი მაქვს, ეს სასტიკი, ველური ხალხი ციხეში ჩალპება, მაგრამ ასეთი ოპტიმიზტებიც ნუ ვიქნებით! ზოგიერთი ტერორისტული დაჯგუფება დღემდე თარეშობს სელვაში, სამხედროებს კი ძალა არ შესწევთ, ამას ბოლო მოუღონ.

– მოდი, ის ვარიანტიც დავუშვათ, რომ ჩაბელამ ნამდვილად უთხრა ლუსიანოს ჩვენი ამბავი, ის კი გაბრაზების ნაცვლად, აღფრთოვანდა? ესეც ხომ შესაძლებელია? – მარიამ გაიცინა და დაინახა, რომ მის ნათქვამზე კიკე გაფითრდა და თვალებში შიში ჩაუდგა. – კარგი, ვიხუმრე, სულელო, ნუ გეშინია!

– ეგ მეც მიფიქრია, – თქვა კიკემ. – მაგრამ არა მგონია, ასეთი რამ მოხდეს. როცა საქმე ლუსიანოს ეხება, ვიცი, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ ეჭვი მაინც მღრღნის. მარისა, ლუსიანო ხანდახან ისეთი თვალებით მიყურებს, რომ შინაგანად მაცახცახებს და ამ დროს ეჭვი აღარ მეპარება ხოლმე, რომ ყველაფერი იცის.

ჩაბელამ დაიფიცა, ჩემი ქმარი არაფერს ეჭვობსო, რადგან სპეტაკი სულის ადამიანია და აზრადაც კი ვერ გაივლებს, თუ ვინმეს რამის

ჩადენა შეუძლიაო.

ცოლ-ქმარს ლაპარაკი იქვე ტუმბოზე ახმაურებულმა მობილურმა შეაწყვეტინა. მარიამ ტელეფონს უპასუხა და უეცრად სახე გაეზარდა. „გამარჯობა, ლუსიანო! რა სიურპრიზია შენი ხმის გაგონება! სად დაიკარგე? რა ხანია აღარ გვინახავხარ. ჰო, ვიცი, შენც კიკესავით მუდმივად მოუცლელი ხარ, მაგრამ ცხოვრება მხოლოდ სამუშაო ხომ არ არის? გართობისთვისაც უნდა გამონახო ხოლმე დრო, არა? თქვენთან ვისადილოთ, დღეს? (კიკემ მარისას თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია) შესანიშნავი აზრია. აი, ახლა კიკეც აქ არის და შენმა მიპატიჟებამ ისიც ძალიან გაახარა. ორი საათისთვის? ჰო, კარგი დროა. სადილის შემდეგ თქვენს კინოთეატრში შეგვიძლია ფილმსაც ვუყუროთ. მშვენიერია. ჩაბელას ჩემ მაგივრად აკოცე! აბა, ჯერჯერობით!“

მარისამ ტელეფონი გათიშა და ქმარს კმაყოფილი მიუბრუნდა. ქალს ცისფერი თვალები საოცარად უბრწყინავდა.

– კიკე, ახლა მაინც დარწმუნდი, რომ შენი შიში უსაფუძვლო იყო?
– შესძანა მან, – ლუსიანო ძალიან თავაზიანად მელაპარაკა. გადაუწყვეტიათ, „სევიჩე დე კორვინათი“ გაგვიმასპინძლდნენ და სადილზე გვპატიჟებენ.

– ძალიან კარგი. – გაუხარდა კიკეს. – ჩვენი საქციელის გამო ქვეცნობიერად სინდისი რომ მექენჯნის, ალბათ მუდმივად ამიტომ ვარ ეჭვებში. ეგ კარგი ამბავი მითხარი. ლუსიანო ჩემი მეგობარია, ძალიან მიყვარს, აღფრთოვანებული ვარ მისი პიროვნებით და ეს გრძნობა ჩაბელასთან ურთიერთობის შემდეგაც არ გამნელებია.

– კიკე, გინდა იცოდე, ვინ ხარ? – გაიცინა მარისამ. – მაშინ გეტყვი, რომ შენისთანა ცინიკოსი და გაიძვერა ადამიანი არასოდეს მინახავს! მეუბნები, ლუსიანო ძალიან მიყვარს და საუკეთესო მეგობრად მიმაჩნიაო, და თან მის ცოლთან სასიყვარულო ურთიერთობას აგრძელებ.

– ეს ყველაფერი ხომ შენი ბრალია! – უთხრა კიკემ ცოლს, ხელე-
ბი მოჰხვია, მთელი სხეული დაუკოცნა და ყურში უჩურჩულა. – შენ
შემაცდინე, საყვარელო. განა შენ არ იყავი ამ საქმის ავანჩავანი?

– შენგან განსხვავებით, მე ჩოსიკაში გამართულ ღრეობაში არ
ვმონაწილეობდი. – უთხრა მარისამ ქმარს. – ამიტომ ჯერ კიდევ გა-
სარკვევია, ვინ ვინ შეაცდინა.

– რამდენჯერ გთხოვე, ჩოსიკას ამბავი აღარ გაიხსენო-მეთქი. –
კიკეს ხმა შეეცვალა, მარისას ხელი გაუშვა და პირალმა დაწვა. – ხე-
დავდი, როგორ მინდოდა შენთან სექსი, შენ კი მაგ ჩოსიკას გახსენე-
ბით ყოველგვარი სურვილი დამაკარგინე!

– გეხუმრე, სულელო. თანაც დღეს განსაკუთრებულ ფორმაში
ხარ!

– გვედრები, მარისა, – სერიოზულად წამოიწყო კიკემ. – ეგ წყე-
ული ჩოსიკა აღარასოდეს გამახსენო.

– კარგი, ძვირფასო, მაპატიე, გეფიცები, აღარასოდეს გაგახსე-
ნებ. – მარისა კიკესკენ მიიწია და ლოყაზე აკოცა, – იცი, რომ მუდ-
მივად ეწინააღმდეგები საკუთარ თავს?

– მაინც რატომ? – ჰკითხა კიკემ. – რაში ვეწინააღმდეგები საკუ-
თარ თავს?

– იმაში, რომ ხუმრობითაც კი არ გინდა ამ ამბის გახსენება, არა-
და, ყოველ საღამოს იმ ქალის სულელურ გადაცემას მისჩერებიხარ.
კიკეს სიცილი აუტყდა.

– იმედია, ხულიცა ლევისამონზე არ ეჭვიანობ და ის გადაცემა
არ გაღიზიანებს, „რეტაკიტას დრო“ რომ ჰქვია.

– ეგლა მაკლია, მაგ მახინჯ ჯუჯაზე ვიეჭვიანო. – მიუგო მარისამ.
– წესით ეგ ქალი უნდა გძულდეს. დაგავიწყდა, როლანდო გაროს
მკვლელად რომ გამოგაცხადა? მაგის წყალობით არ იყურყუტე რამ-
დენიმე დღე ციხეში ბანდიტებთან და ნაძირლებთან ერთად? არ
გრცხვენია? როგორ შეგიძლია ყოველ საღამოს მაგ ქალს უყურო და
მის ბინძურ ჭორებს უსმინო, კიკე?

– ამჟამად პერუში „რეტაკიტას დრო“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეგადაცემაა. – მხრები აჩჩეჩა ენრიკემ. – გეტანხმები, რომ გადაცემის დონე დაბალია, ბინძურ ჭორებს ავრცელებს, მაგრამ არ ვიცი ეს ინტერესი როგორ ავხსნა, რადგან თავადაც არ მაქვს პასუხი. მართალია, მაგ ქალმა ცხოვრება ძალიან გამირთულა, მაგრამ მასში მაინც ვხედავ რაღაც ხიბლს!

– კი მაგრამ, მაგ მახინჯ ქალს ეგეთი რა ხიბლი აქვს? – დაცინვით ჰკითხა მარიამ.

– ჰო, ეგ ქალი ნამდვილად მნიბლავს და მისი გამართლებაც შემიძლია. ხულიეტა ლეგისამონი დარწმუნებული იყო, რომ ფოტოებზე ატეხილი სკანდალის გამო როლანდო გაროს მკვლელობა მე შევუკვეთე, და ასე მხოლოდ ის არ ფიქრობდა. მაგრამ როცა გაიგო, რომ ნამდვილი მკვლელი ფუხიმორის მარჯვენა ხელი და თანამზრახველი, დოქტორი იყო, ამის შესახებ თამამად განაცხადა და საკუთარ სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა. ისიც ნუ დაგავიწყდება, რომ მისი განცხადებებით დაიწყო დიქტატურის დამხობის პროცესი. სწორედ ამ ქალის დამსახურებაა, რომ დღეს ფუხიმორი, დოქტორი და მთელი მათი ბანდა ციხეში ზის და, იმედია იქ ჩალპება. ყველას ეგონა ხულიეტასაც სხვებივით მოკლავდნენ, მაგრამ ვერ გაბედეს. ეგ ქალი პერუს ტელევიზიაში თითქოს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ სინამდვილეში დიდი გავლენა აქვს. იბლლიანი ადამიანი ყოფილა! მართალია, ამბობ, რომ ჯუჯა და მახინჯია, მაგრამ მაინც აქვს განსაკუთრებული ხიბლი!

– ხუთ წუთსაც ვერ ვუძლებ მაგ გოიმურ გადაცემას! – ზიზლით თქვა მარისამ. – ვერ ვიტან, ადამიანებზე ბინძურ ჭორებს რომ ავრცელებენ. ხომ წარმოგიდგენია, ჩვენს ამბავს თუ შეიტყობს, რას იზამს? ალბათ მთელ გადაცემას მიუძღვნის და სათაურსაც გამოუნახავს: „ბედნიერი, გარყვნილი სამეული“. თმა ყალყზე მიდგება, ამაზე როცა ვფიქრობ. ჰო, ამასობაში სადილზე არ დაგვაგვიანდეს. წყალს გადავივლებ და ჩავიცვამ.

კიკემ აბაზანაში შესულ მარისას გახედა. მერე კედელზე სზის-ზლოს ნახატს შეავლო თვალი. ნეტავ, რისი თქმა სურდა მხატვარს ამ ტოტემით და სივრცით, რომელსაც თითქოს ნებისმიერ წუთში ცეცხლი უნდა წაჰკიდებოდა?! ენრიკეს უსიამოვნო შიშის გრძნობა დაეუფლა. მერე ტილსას გველ-ქალს მიაჩერდა და სურათის დანახვამ რატომღაც დაამშვიდა, თუმცა ქალის წირპლიან თვალებში მისტიკური ნიშნები ვერ ამოიკითხა. რატომღაც ისევ ხულიეცა ლეგისამონზე დაიწყო ფიქრი. როგორც ჩანს, ეს ქალი მართლა ხიბლავდა, რაკი ყოველ საღამოს გულმოდგინედ უყურებდა მის გადაცემებს. ამ ადამიანმა თავისდა უნებურად პერუს ახალ ისტორიას დაუდო სათავე და თავისი გამბედაობით ისეთი უჩვეულო მოვლენების შუაგულში აღმოჩნდა, რომლებმაც ქვეყნის ცხოვრება რადიკალურად შეცვალეს. განა მართლა საოცრება არ იყო, რომ ამ პატარა ქალმა, რომელიც ამ ცხოვრებაში არაფერს წარმოადგენდა, საკუთარი სიმამაცის წყალობით ყოვლისშემძლე დოქტორი დაამხო? იმ წუთას კიკეს ძალიან მოუწონდა მისი გაცნობა და მასთან დალაპარაკება. უნდოდა ენახა, სინამდვილეში როგორი იყო ან რას წარმოადგენდა, მაშინ, როცა სხვის ცხოვრებაში ცხვირს არ ჰყოფდა. ნეტავ ამ სისულელეებზე რატომ ფიქრობდა, ნაცვლად იმისა, რომ ამდგარიყო, წყალი გადაევლო და პირი გაეპარსა? რა კარგია, ლუსიანომ ის და მარისა სადილზე რომ დაჰპატიჟა! მერე მათ საკუთარ კინოთეატრში რამე საინტერესო ფილმსაც ნახავდნენ! კიკემ შვება იგრძნო იმის გაფიქრებაზე, რომ ლუსიანომ ჩაბელასთან მათი ურთიერთობის შესახებ არაფერი იცოდა და ისინი კვლავ საუკეთესო მეგობრებად რჩებოდნენ.

ენრიკემ კბილები გამოიხეხა, პირი გაიპარსა და საშხაპეში შევიდა. წყლის ქვეშ რომ დადგა და გაისაპნა, უცებ მიხვდა, რომ ჯონ ლენონის ერთ-ერთ სიმღერას ლილინებდა. ეს კომპოზიცია მოდაში იმ დროს იყო, როცა კიკე კემბრიჯის „MIT“-ში სწავლობდა. „საშხაპეში სიმღერა დაიწყე? აბა, ეგ სად გაგონილა, ენრიკე კარდენას?“ ჰკითხა

საკუთარ თავს. ძალიან კმაყოფილი იყო, რომ მეგობარმა თავად დაურეკა და სადილზე დაპატიჟა, რადგან ლუსიანო ძალიან უყვარდა და ყოველთვის აღფრთოვანებული იყო მისით. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მან და მარისამ მის ცოლთან სექსუალური ურთიერთობა გააბეს, კიკეს მუდმივად ქენჯნიდა სინდისი, თუმცა არასოდეს უფიქრია, ამ ურთიერთობისთვის წერტილი დაესვა, რადგან ეს ყველაფერი სიამოვნებას ანიჭებდა. „მართლაც რომ საოცარი ამბავია“, გაიფიქრა ენრიკემ და კარადიდან სპორტული ტანსაცმელი გამოიღო. მერე ტილოს შარვალი, მოკასინები და კუბოკრული პერანგი ჩაიცვა, რომელიც მარისამ შეერთებულ შტატებში ბოლო მოგზაურობიდან ჩამოუტანა, და მსუბუქი ქურთუკი მოიცვა.

– სიმართლე კი ის იყო, რომ იმ წყევულ შანტაჟამდე, კიკეს და მარისას სექსუალურ ურთიერთობაში ჩვეული მგზნებარება ჩაცხრა, მიინავლა და უღიმღამო თამაშად გადაიქცა. მერე „დესტაპსის“ სკანდალის გამო ისინი ცოტა ხნით ერთმანეთს დაშორდნენ, შერიგების შემდეგ კი კიკემ ხელახლა დაიწყო ცოლთან სისხლსავსე და სრულყოფილი სექსუალური ურთიერთობა და მეორე თავლობის თვეც მოიწყო. მარისაც იმავეს განიცდიდა. მაგრამ თითქმის სამი წლის წინათ, ჩაბელასთან გაბმული სასიყვარულო სამკუთხედის წყალობით, თითოეულ მათგანს ახალგაზრდული აღმაფრენა და სხვანაირი სიცოცხლის ხალისი დაბრუნებოდა. კიდევ კარგი, რომ ლუსიანომ ამის შესახებ არაფერი იცოდა, თორემ მაშინ მათი მეგობრობა ნამდვილად დასრულდებოდა და ეს კიკესთვის ძალიან მტკივნეული იქნებოდა.

მარისა უკვე მზად იყო და ქმარს ელოდებოდა. იმ დილას იგი განსაკუთრებით კარგად გამოიყურებოდა. ღრმად დეკოლტიან ბლუზაში მშვენიერი, თეთრი მხრები მოუჩანდა, ხოლო შემოტმასნილი ფორთოხლისფერი შარვალი ხაზს უსვამდა მის ნატიფ ტანს. კიკე და-

იხარა და ცოლს ყელზე აკოცა: „რა მშვენიერი ხარო დღეს, ქალბატონო“.

საჭესთან ენრიკე დაჯდა და გეზი „ლა რინკონადასკენ“ აიღეს.

– ვერ წარმოიდგენ, რა სასიამოვნოა ფილმის ყურება ლუსიანოს და ჩაბელას კინოთეატრში! კარგია, როცა შეგიძლია ნებისმიერ დროს შეარჩიო ფილმი, სავარძელში მოკალათდე და ისე უყურო. არ მეთანხმები? – უთხრა მარისამ.

– ჩვენს ბინაში ასეთი კინოთეატრისთვის საკმარისი ფართი არ არის, – მიუგო კიკემ. – მაგრამ, თუ გინდა, შეგვიძლია ჩვენც დიდი სახლი ვიყიდოთ, ბაღით და აუზით. იქ ყველაზე თანამედროვე კინოთეატრს მოგიწყობ, საყვარელო!

– ძალიან თავაზიანი ხარ! – გაეცინა მარისას. – მაგრამ, გმადლობ, არ მინდა. დიდ სახლს დიდი მოვლა-პატრონობა სჭირდება, თანაც ლუსიანოს და ჩაბელას მსგავსად ქვეყნის დასალიერში ვერ გადავსახლდები. ჩემს ბინაშიც მშვენივრად ვგრძნობ თავს, გოლფის მოედნებიც ახლოსაა. რაღაც ძალიან კმაყოფილი მეჩვენები, კიკე, რა ხდება?

– ჩვენ შესახებ ლუსიანოს რამე რომ შეეცყო, ამ ამბავს ნამდვილად ვერ გადავიტანდი, რადგან ჩემი ბავშვობის მეგობარი ალბათ სამუდამოდ გადამემტერებოდა. – უთხრა კიკემ ცოლს.

ლუსიანო და ჩაბელა სტუმრებს საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილი, აუზთან დახვდნენ. ცაზე ღრუბლის ნასახი არ მოჩანდა და მზე ძლიერად აცხუნებდა. რაკი წყალში ჩასვლა არავის უნდოდა, ყველანი აუზთან ახლოს, ქოლგების ქვეშ სავარძლებში დასხდნენ. „კამპარის“ წრუპავდნენ და „იუკიტას“ მიირთმევდნენ მარისას საყვარელი „ოკოპას“ სოუსით, ჩაბელას მზარეულს საგანგებოდ მისთვის რომ მოემზადებინა.

ლუსიანო შესანიშნავ გუნებაზე იყო და სტუმრების მიმართ მეტიმეტ ყურადღებას იჩენდა. მერე მარისას ქათინაურიც უთხრა:

„დღეს ძალიან ლამაზი ხარ, შემთხვევით საყვარელი ხომ არ გაიჩინე?“, კიკეს კი „უანკაველიკაში“, ერთ-ერთ კანადურ კომპანიასთან ერთად მაღაროს ყიდვა მიულოცა და დასძინა: „მეტისმეტი არ მოგივიდეს! მეფე მიდასის სენი ხომ არ შეგეყარა, რომელიც რასაც მიეკარებოდა, ყველაფერს ოქროდ აქცევდა?“. პოლიტიკაზეც ილაპარაკეს და აღნიშნეს, რომ მიუხედავად უამრავი სირთულისა, ახალი პრეზიდენტი ჩოლო ტოლედო ქვეყნის საქმეებს არცთუ ცუდად ართმევდა თავს. ეკონომიკა ვითარდებოდა და, რაც მთავარია, პერუში სტაბილურობა იგრძნობოდა. ადამიანებს აღარ იტაცებდნენ და აღარ ძალადობდნენ მათზე.

მოგვიანებით, ლუსიანომ მეგობრებს უთხრა, რომ მისი ადვოკატურა ახლა იმ კომპანიის იურიდიული კონსულტანტი იყო, რომელიც პერუში კინემატოგრაფიული პროდუქციის დისტრიბუციას ეწეოდა. ამიტომ ახლა ჩაბელას შეეძლო, ბაღში მოწყობილ კინოთეატრში ახალ-ახალი ფილმები ენახა. აღმოჩნდა, რომ ცოლ-ქმარი შაბათ-კვირას ფილმების ყურებაში ღამეებს ათენებდა. მერე ლუსიანომ კიკეს და მარისას უთხრა, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, ჩვენს კინოთეატრში გვესტუმროთო.

მაგიდასთან დაახლოებით სამ საათამდე ისხდნენ. გემრიელ „სევიჩე დე კორვინას“ მიირთმევდნენ და კარგად ჩაციებულ, თეთრ, ფრანგულ „შაბლის“ აყოლებდნენ.

სალამომ მხიარულად და მშვიდად ჩაიარა. ლუსიანოს და ჩაბელას პატარა გოგონები იქვე შორიახლო ძაღლებთან თამაშობდნენ და ლიმონის ღვეზელებს შეექცეოდნენ ქოქოსის ნაყინთან ერთად. უცებ ლუსიანომ, როგორც სჩვეოდა ხოლმე, მშვიდი და უდარდელი ხმით თქვა:

– აბა, მოემზადეთ, ახალი ამბავი უნდა გითხრათ. ბოლოს და ბოლოს მაიამიში წამოსვლა მეც გადავწყვიტე, რათა ერთად აღვნიშნოთ თქვენი ურთიერთობის სამი წლისთავი! – მერე კი ლიმილით დასძინა. – დადგა დრო, ცოტა მეც დავისვენო!

კიკემ ჩაბელას გადახედა. ქალს შავგვრემანი სახე აჭარხლებოდა, თავად კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავი მარწუხებში მოაყოლეს. მარისაც გაწითლებულიყო და აღელვებული ჩანდა. ჩაბელას უხერხულობის დამალვა არც უცდია, უბრალოდ, თავი დახარა და ნაყინიანი კოვზი უაზროდ მიიტანა პირთან. სიტუაცია დაიძაბა. კიკემ და მარისამ აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, ლუსიანო კი ისევ მშვიდად იჯდა და აღელვება არ ეტყობოდა.

– მეგონა, ეს ამბავი გაგახარებდათ, თქვენ კი რატომღაც თავ-პირი ჩამოგტირით! – იხუმრა მან, მერე ღვინით სავსე ჭიქა ოღნავ ასწია და გადაიხარხარა. – ნუ ღელავთ, თუ არ გინდათ, რომ თქვენთან ერთად წამოვიდეთ, დავრჩები ლიმაში განდევილივით. – ისევ გაიცინა ლუსიანომ და ღვინო მოსვა.

კიკეს ხელ-ფეხი უცახცახებდა და თავჩაქინდრულ ჩაბელას თმაზე მიშტერებოდა. ამ დროს მოულოდნელად მარისას თითქმის ბუნებრივი ხმა გაისმა:

– ლუსიანო, ჩვენთან ერთად წამოსვლა არაჩვეულებრივი აზრია! მართალი ხარ, ბოლოს და ბოლოს შენც ხომ უნდა დაისვენო!

– კიდევ კარგი, რომ თქვენს სამეგობროში ჩემს გაწევრიანებას ერთმა ადამიანმა მაინც დაუჭირა მხარი! აი, ნახავთ, ერთად კარგ დროს გავატარებთ. – თქვა ლუსიანომ და მარისას ხელზე აკოცა.